

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

ზურაბ ლიპარტია

# სოციალურ- ეკონომიკური სტატისტიკა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2001

УДК 311: 316.2 (042.4)

ლ 652

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის რელსებზე საქართველოს ეკონომიკის გადაყვანა მოითხოვს პრაგმატული და სისტემური წყობის, საბაზრო ეკონომიკის დაუფლებას. ამ მიზანს ეშასხურება საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ახლებური გააზრებაც.

ნაშრომში გაშუქებულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დაფუძნებული და მსოფლიო სტატისტიკის პრაქტიკაში მიღებული ეროვნული ანგარიშიანობის, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციების მოპოების, უმნიშვნელოვანეს სტატისტიკურ მაჩვენებელთა ფორმირებისა და ანალიზის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის“ კათედრის და ეკონომიკური ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

რედაქტორი: პროფ. გივი თოდუა

რეკენზენტები: პროფ. ტარიელ სართანია

დოც. ანზორ სახვაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

© ზ. ლიპარტია

ლ 0701000000  
608(06)-01

ISBN 99928-33-71-8

## წინასიტყვაობა

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გეგმური განვითარების მოდელიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და ქვეყნის ევროპულ და საერთაშორისო ასპარეზზე ინტეგრების პროცესებმა განაპირობეს პოსტსოციალისტური ეპოქის აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ძირეული გარდაქმნა.

საბაზრო ქვეყნების პრაქტიკაში გამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური მართვის ინსტიტუტებისა და მექანიზმების ტრანსფორმაცია საქართველოში თანამედროვე გარდამავალ ეტაპზე ხორციელდება საქართველოს „კანონის სტატისტიკის შესახებ (1997წ., ნოემბერი)“ და სტატისტიკის განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად.

სტატისტიკა (ლათ. „Status“ – ნივთების, მოვლენების მდგომარეობა), როგორც მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენების შემსწავლელი მეცნიერება, მონოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მართვისათვის აუცილებელი ობიექტური და სამართლიანი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მიწოდება. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის როგორც სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, დანიშნულებაა მოგვანოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით ვითარდება ეკონომიკა, რომელ სექტორში, დარგში მიმდინარეობს ეკონომიკური ზრდა, როგორ ეფექტიანად გამოიყენება შეზღუდული რესურსები, როგორია დასაქმების და ცხოვრების დონის მაჩვენებლები, ფასების ზრდის ტემპი, როგორია საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები და მათი ზემოქმედება სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე და აშ.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსს, იგი ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შეფასებაში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას, რომელიც მოიცავს გაეროს სტატისტიკის კომისიის (1993წ.) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, სახელმწიფო ფინანსების, საგადასახადო ბალანსების და სხვა მნიშვნელოვან სტატისტიკურ მაჩვენებელთა ფორმირების შესახებ.

თანამედროვე განვითარების ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ახლებურად გააზრებამ და მისი შესასწავლი საკითხების არეალის გაფართოებამ, პრაქტიკულად განაპირობა

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა. სალექციო კურსი შედგენილია საუნივერსიტეტო (უმაღლესი) განათლების ეკონომიკური სპეციალობის ბაკალავრთა და მაგისტრთა მომზადების სასწავლო პროგრამის შესაბამისად.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან და მოიცავს:

1) სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ზოგად საფუძვლებს;

2) სოციალურ-დემოგრაფიულ მაჩვენებელთა სისტემას, შრომითი რესურსების ბაზრისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სტატისტიკას;

3) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტატისტიკურ ანალიზს.

ნაშრომში ასახული 15 ძირითადი თემა ილუსტრირებულია სათანადო გრაფიკებით, ფორმულებითა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საინფორმაციო მასალებით. გაშუქებულია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გამოანგარიშების პრაქტიკული ასპექტი. თითოეული თემის ბოლოს მოყვანილია საკონტროლო კითხვები განსჯისათვის და სემინარულ-პრაქტიკული შეცადინებების ჩასატარებლად. ასევე მითითებულია გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სტატისტიკის მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული კლასიფიკაციები და სხვადასხვა ნორმატიული მასალები.

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია მსოფლიოში ერთადერთი ლტოლვილი (დევნილობაში მყოფი) სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა თანადგომითა და ძალისხმევით, რომელსაც უღრმესი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავ. ბუნებრივია, ნაშრომი უნაკლო ვერ იქნება. მისასალმებელი იქნება, თუ კეთილმოსურნე მკითხველი საქმიან შენიშვნებს მიანვდის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ბუღალტრული აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრას, მისამართზე: თბილისი, ჯიქიას ქ. №10.



# თავი I. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ზოგადი საფუძვლები

## თემა 1. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, როგორც მეცნიერება და მისი ორგანიზაცია

### *§1.1. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის არსი, საგანი და მეთოდი*

ცნობილია, რომ სტატისტიკა, როგორც ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის სფერო, შეისწავლის მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, მათი განვითარების კანონზომიერებებს კონკრეტულ დროსა და სივრცეში. სტატისტიკა (ლათ. „Status“ — ნივთების, მოვლენების მდგომარეობა) საზოგადოების ისტორიული განვითარების აუცილებლობამ წარმოშვა. მისი აღიარება, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის აღმწერი მეცნიერებისა, გერმანელი მეცნიერის გოტფრიდ ახენვალდის (1719-1772) სახელს უკავშირდება, რომელმაც ჰამბურგის და გეტინგენის უნივერსიტეტებში (1746 წელს) წაკითხულ ახალ სასწავლო დისციპლინას „სტატისტიკა“ უწოდა.

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინას წარმოადგენს. მისი შესწავლის ობიექტია საზოგადოება და მისი ცხოვრების პირობები. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, როგორც მეცნიერება და პრაქტიკა, ერთიანია და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, მთლიანი ეკონომიკის ყველა ძირითადი ასპექტის სისტემურ რაოდენობრივ აღწერას, თვისებრივად ერთგვაროვანი სტატისტიკური ერთობლიობების განზოგადებულ დახასიათებას დროისა და ადგილის კონკრეტულ პირობებში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტატისტიკურ მაჩვენებელთა შესწავლა, დიდ რიცხვთა კანონის საფუძველზე რაოდენობრივი კანონზომიერების ფორმირება ისეთი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესებისა, როგორცაა მოსახლეობის რიცხოვნობა, შრომითი რესურსების გამოყენება, პროდუქციის წარმოება, ინოვაციური პროცესები, საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო კავშირები და სხვა, აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ ეკონომიკური პო-

ლიტიკის ფორმირებისა და ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების რეგულირების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური განმაზოგადებელი მაჩვენებლის სახით რაოდენობრივი გამოსახვა ემყარება ეკონომიკური თეორიისა და სხვა გამოყენებითი ეკონომიკური მეცნიერების დებულებებს. ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდების ფორმირებისას გამოიყენება სტატისტიკის ზოგადი თეორიის ინსტრუმენტარი. მაგალითად, იყენებს ინდექსების გაანგარიშების მეთოდებს, ფორმულებს, ასევე ინდექსებისადმი ნაყენებულ ანალიტიკურ მოთხოვნებს და სტატისტიკური მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის შესწავლისადმი სისტემურ მიდგომას და შესაბამისად, მაჩვენებელთა სისტემის ფორმირებას, რომლებიც მოიცავენ მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციებსა და მაჩვენებელთა განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

ამრიგად, სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა არის საზოგადოებრივი მეცნიერება, რომლის შესწავლის ობიექტია საზოგადოება და მისი ცხოვრების პირობები; სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, ქვეყნის ეკონომიკის ყველა ძირითადი ასპექტის სისტემურ რაოდენობრივ განსაზღვრას სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით, მათ თვისებრივ ანალიზს სახელმწიფო (საზოგადოებრივი) ინსტიტუტებისა და ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირებას.

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებისა და ხერხების (ნესების) გამოყენებას. ამასთან, სტატისტიკა, როგორც გამოყენებითი ხასიათის მეცნიერება, ფართოდ იყენებს მათემატიკურ მეთოდებს (აღბათობის თეორიისა და ვექტორული ალგებრის მეთოდებს), მათემატიკურ მოდელირებასა და საბალანსო მეთოდს. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია სახალხო-მეურნეობრივი ბალანსები, დარგთაშორისი ბალანსები, შრომითი რესურსების ბალანსები, მატერიალური რესურსების ბალანსები და სხვა, რომელთა მეშვეობით ხდება სტატისტიკურ კანონზომიერებათა დადგენა და მოვლენებს (პროცესებს) შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნული მეთოდების გარდა, სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკას გააჩნია საკუთარი სპეციფიკური მეთოდები, ისეთები, როგორიცაა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფების, საშუალოების, შერჩევითი, საინდექსო, კორელაციურ-რეგ-

რესული და სხვა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სტატისტიკურ მონაცემთა შეკრება, მათი დამუშავება, მაჩვენებელთა ანალიზი და სტატისტიკურ კანონზომიერებათა დადგენა.

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ზოგადი, მეცნიერულ-თეორიული საფუძველია პოლიტიკური ეკონომია, ანუ თეორიული ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკის თეორიული ბაზის განვითარებას. ამასთან, სტატისტიკა ხელს უწყობს ეკონომიკური თეორიის მთელი რიგი დებულებების (მოგების ნორმის შემცირების ტენდენციის, მიწის აბსოლუტური რენტისა და სხვათა სიდიდეების დადგენას) დასაბუთებას; იგი ხელმძღვანელობს ეკონომიკური მეცნიერების დებულებებით და იმავდროულად უზრუნველყოფს ეკონომიკური თეორიის შემდგომ განვითარებას, თუმცა მათი ურთიერთზემოქმედება რთული შემეცნებითი პროცესია.

ქვეყნის სახელმწიფო სტატისტიკის ძირითადი დანიშნულებაა სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფა, აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის შექმნა, მათი მეთოდოლოგიების სრულყოფა და სხვა.

აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემა მოიცავს:

1. ოპერატიულ აღრიცხვას, რომელიც გულისხმობს ოპერატიული მართვის მიზნით სამეურნეო სუბიექტების მიერ ეკონომიკური ოპერაციების მოხდენისთანავე აღრიცხვას;

2. საბუღალტრო აღრიცხვას, რომელიც გულისხმობს საწარმოებში პროდუქციის წარმოების წრებრუნვის დახასიათებას, მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღრიცხვას უწყვეტი, სრული და დოკუმენტური წესით. ანგარიშებში ეკონომიკური ოპერაციების „ორმაგი“ ჩანერის, ე.წ. „დებეტი-კრედიტის“ მეთოდის გამოყენებით. ის უზრუნველყოფს სამეურნეო და საფინანსო დისციპლინის დაცვასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ბუღალტრული ბალანსისა და სხვა ფინანსური მახასიათებლების განზოგადებას და სხვა.

3. სტატისტიკას, რომელიც წამყვანია აღრიცხვის ერთიან სისტემაში და, როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფს ამა თუ იმ მოვლენების რეალურ და ყოველმხრივ რაოდენობრივ გაშუქებას. გამოიყენებს რა ოპერატიული და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს, ის ავლენს მოვლენების (პროცესების) განვითარების კანონზომიერებებს და ხელს უწყობს სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდის პრაქტიკაში დანერგვას.

სტატისტიკა ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში წარმოდგენილია ორი ძირითადი ნაწილით: ზოგადი, ანუ თეორიული სტატისტიკა და დარგობრივი სტატისტიკა.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების რაოდენობრივ კანონზომიერებებსა და თავისებურებებს შეისწავლის ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორცაა: მრეწველობის სტატისტიკა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, მშენებლობის სტატისტიკა, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და ა.შ. სტატისტიკები. დარგობრივი სტატისტიკა ემყარება სტატისტიკის ზოგადი თეორიის მიერ შემუშავებულ ცნებებს, მეთოდებსა და მაჩვენებელთა სისტემას, უზრუნველყოფს მეცნიერებისა და სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტების თავისებურებების შესწავლას, მათი საქმიანობის ნატურალურ და ლირებულეობით ანალიზს.

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად აღიარებულია მაჩვენებელთა სისტემა. მაჩვენებელი სტატისტიკაში არის შესასწავლი მოვლენის სიდიდის გამოხატულება, რომელიც მიუთითებს შესასწავლი ობიექტის რაოდენობრივ (ზომის, მოცულობის) ან ხარისხობრივ-თვისებრივ გამოსახულებაზე. სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში მაჩვენებელთა სისტემა უნდა პასუხობდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს, რათა შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური განვითარების შესწავლა, კერძოდ:

პირველი, მაჩვენებელთა სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს მოვლენების სრულად მოცვის მოთხოვნას, ე.ი. უნდა ვრცელდებოდეს ეკონომიკური პროცესების ყველა ასპექტზე: რესურსები და მათი გამოყენება, უმნიშვნელოვანესი საქონლისა და საქონელჯგუფების, შემოსავლების განაწილება და გადანაწილება, შემოსავლების საბოლოო გამოყენება, ინვესტიციები, ფინანსური სისტემის ფუნქციონირება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ. სრულად მოცვის მოთხოვნა გულისხმობს ასევე, რომ შესწავლილ იქნეს ყველა სამეურნეო ობიექტი და მათ მიერ შესრულებული ყველა ეკონომიკური ოპერაცია.

მეორე, სისტემის მაჩვენებლები, რომლებიც ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტებს მიეკუთვნებიან მეთოდოლოგიურად, უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული და ჰარმონიზებული, ე.ი. ეფუძნებოდეს ურთიერთჰარმონიზებულ კონცეფციებს, განსაზღვრულობებსა და კლასიფიკაციებს.

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას აქვს იერარქიული სტრუქტურა, რომლის სათავეში მოთავსებულია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზოგადი ბლოკი — ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას), რომელიც შედგება ქვესისტემებისაგან. ისინი დაკავშირებულია სისტემის დანარჩენ ბლოკებთან, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების სიღრმისეული ანალიზი. მაჩვენებელთა სისტემის სქემა წარმოდგენილია ნახ. 1.1.-ზე.


ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ტრადიციული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების განახლება, მისი ჩატარების თანმიმდევრობისა და ურთიერთდამაკავშირებელი ბლოკების გარდაქმნა, სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდის პრაქტიკაში ფართოდ დაწერგვა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განხილვისას სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა იყენებს დიალექტიკურ მეთოდს (ე.ი. მოვლენებს განიხილავს მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში, სხვა მოვლენებთან მჭიდრო კავშირში), აგრეთვე ინდუქციისა (კონკრეტულიდან ზოგადისაკენ) და დედუქციის (ზოგადიდან კონკრეტულისაკენ) მეთოდებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადი მეთოდების გარდა სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფების, საშუალოების, შერჩევითი, საინდექსო, საბალანსო, ნორმატიული, კორელაციურ-რეგრესული, მათემატიკური მოდელირებისა და სხვა მეთოდები, რომელთა მეშვეობით სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა არა მარტო აგროვებს შესაბამის ინფორმაციებს, არამედ მათი დამუშავებისა და ღრმა ანალიზის საფუძველზე ადგენს მოვლენებისა და პროცესების განვითარების ტენდენციებს, კანონებსა და კანონზომიერებებს, უზრუნველყოფს მომავლის განვითარების წინასწარხედვას.

სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდი ეწოდება იმ ხერხების ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც წარმოებს საკვლევი ობიექტებისათვის დამახასიათებელი შინაგანი და გარეგანი კავშირების ურთიერთზემოქმედებისა და ცვალებადობის საფუძველზე წარსულის რეტროსპექტული ანალიზი და მომავლის განვითარების წინასწარი ხედვა, განვითარების სტრატეგიის არჩევა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ვას) – მაკროეკონომიკური მახასიათებლები



ნახ. 1.1. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების ბლოკ-სქემა

## §1.2. სტატისტიკის ორგანიზაცია და ამოცანები

ქვეყანაში სტატისტიკის სრულყოფილ ფუნქციონირებას განაპირობებს მისი რაციონალური ორგანიზაცია, სახელმწიფოს მიერ სტატისტიკის შესახებ მიღებული კანონით (1997 წლის 12 ნოემბრის) ხელმძღვანელობა, რომელიც უზრუნველყოფს მიღებულ სტატისტიკურ მონაცემთა უტყუარობასა და სტატისტიკურ მაჩვენებელთა მეცნიერულად დასაბუთებულობას.

საქართველოს კანონმდებლობა სტატისტიკის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონისა და მათ შესაბამისად მიღებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან, რომლებიც ანესრიგებენ ქვეყანაში სტატისტიკურ საქმიანობას. აღნიშნული სამართლებრივი ბაზა მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელ სტატისტიკურ მაჩვენებელთა მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და სახელმწიფო (საზოგადოებრივი) ინსტიტუტებისა და მოსახლეობის ინფორმირება.

კანონი „სტატისტიკის შესახებ“ განსაზღვრავს სახელმწიფო, უწყებრივი და არასახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციულ პრინციპებსა და საქმიანობის მეთოდებს, აგრეთვე სტატისტიკური საქმიანობით დაკავებულ დანესებულებებთან (ორგანიზაციებთან) ურთიერთობებში იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლება-მოვალეობებს. ქვემოთ მოყვანილია საქართველოს კანონი „სტატისტიკის შესახებ“, კერძოდ:

თავი 1. კანონის ზოგადი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ: ა) კანონის მოქმედების სფეროს, იგი ვრცელდება საქართველოს ყველა რეზიდენტი იურიდიულ და, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფიზიკურ პირზე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ არარეზიდენტებზე, მიუხედავად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, და ბ) საქართველოში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზის, გადაცემის, გამოყენებისა და დაცვის საკითხებს.

(შენიშვნა: რეზიდენტი — საქართველოს სანარმო, ორგანიზაცია, აგრეთვე ინდივიდუალური სანარმო, რომლის მართვის ან საქმიანობის ადგილი საქართველოშია).

აღნიშნული კანონის მეორე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ძირითადი ამოცანები და პრინციპები. კერძოდ:

1) სტატისტიკის ძირითად ამოცანებად აღიარებულია:

ა) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, ანალიზი და განზოგადება სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე, საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბ) სახელმწიფო ორგანოებში სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებისა და მოსახლეობის ინფორმირება.

2) სახელმწიფო სტატისტიკის ძირითად პრინციპებად აღიარებულია:

ა) სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობა, უტყუარობა, დამოუკიდებლობა, ქრონოლოგიური შესადარისობა და თავსებადობა;

ბ) სტატისტიკური ინფორმაციის სისრულე, დროულობა და მიწოდების სტაბილურობა;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯაროობა და კონფიდენციალურობა.

(შენიშვნა 1: სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობა. ბუღალტრულ და საფინანსო ანგარიშებში ასახული ინფორმაცია (მოგება-ზარალის ანგარიში, ბალანსი, ფულადი ნაკადის მოძრაობის ანგარიში, აუდიტორული დასკვნა და სხვა), რომლებიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას და გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლისათვის წარსადგენად და პერიოდულ პრესაში გამოსაქვეყნებლად.

შენიშვნა 2: კონფიდენციალური ინფორმაცია — კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები).

თავი II. სტატისტიკის ორგანიზაცია, ხორციელდება მართვის შემდეგი სქემით. სტატისტიკის მართვის ორგანოებად გვევლინებიან:

1. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. დეპარტამენტი ახორციელებს სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციას ქვეყანაში, აგროვებს და ამუშავებს აუცილებელ სტატისტიკურ ინფორმაციას და მის ბაზაზე ქმნის საინფორმაციო რესურსებს (ბანკებს), სხვადასხვა სახის ეროვნული (მსოფლიო სტანდარტებთან მისადაგებული) კლასიფიკატორების მეშვეობით.

აანალიზებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებს და ეკოლოგიურ მდგომარეობას და აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგა-



ნოებს წარუდგენს შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას სამთავრობო პროგრამებისა და პროგნოზების შესამუშავებლად.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი დადგენილი წესით და გარკვეული პერიოდულობით, ატარებს ქვეყანაში საყოველთაო აღწერებს (მოსახლეობის, ძირითადი ფონდების, სანარმოების და სხვა) ან შერჩევითი სახის გამოკვლევებს.

საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, მოიცავს დეპარტამენტის საქმიანობის სახეებსა და ამოცანებს, მის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს, ტერიტორიული ორგანოების ნუსხას და სხვა.

სახელმწიფო დეპარტამენტი მონაწილეობს სტატისტიკური ინფორმაციის წყაროდ გამოსაყენებელი პირველადი აღრიცხვისა და წლიური საფინანსო-საბალანსო ფორმების მაჩვენებელთა, აგრეთვე სხვა დოკუმენტების შემუშავებაში.

2. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოებია:

- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტები;
- ქ. თბილისის სტატისტიკური სამმართველო;
- სტატისტიკის სხვა ტერიტორიული დაწესებულებები (სამხარეო, ქალაქებისა და რაიონების).

ტერიტორიულ ორგანოებში სახელმწიფო სტატისტიკურ საქმიანობას ხელმძღვანელობენ და სტატისტიკის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, თბილისის საქალაქო სამმართველოს, სახელმწიფო სტატისტიკის შესაბამის ტერიტორიულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

3. საქვეუნყებო სტატისტიკის დაწესებულებები. საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად მათ შემადგენლობაში სპეციალური სტრუქტურული ერთეულის სახით შეიძლება შეიქმნას სათანადო ქვედანაყოფი (მუხლი 6), შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მიერ დამტკიცებული დებულებით.

საქვეუნყებო სტატისტიკის დაწესებულება მუშაობას წარმართავს სამთავრობო დაწესებულების მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით, რომელსაც სტატისტიკურ ინფორმაციას წარუდგენენ დადგენილი წესით.

4. სტატისტიკური დაკვირვებების მწარმოებელი არასამთავრობო დაწესებულებები და ორგანიზაციები.

საქართველოს კანონისა „მეწარმეთა შესახებ“ (1994 წლის ოქტომბერი, შესაბამისი ცვლილებით) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად შესაძლებელია შეიქმნას სტატისტიკური საქმიანობით დაკავებული არასამთავრობო დაწესებულებები და ორგანიზაციები. ისინი სტატისტიკური სამუშაოების ჩატარებისას იყენებენ სტატისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს, დაკვირვებათა ფორმებსა და მეთოდებს, უზრუნველყოფენ მოპოვებული, დამუშავებული და გაანალიზებული სტატისტიკური ინფორმაციის სახელმეკრულებო საფუძველზე მომხმარებლისათვის მიწოდებას. არასამთავრობო დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომლებიც სტატისტიკურ დაკვირვებებს აწარმოებენ საკუთარი ინიციატივით, პირველად სტატისტიკურ ინფორმაციებს მოიპოვებენ მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე.

(შენიშვნა: სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვების წყაროა სტატისტიკური დაკვირვება, რომელსაც აწარმოებენ: ა) მიმდინარე სტატისტიკური ანგარიშგებისა და ბ) სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების მეშვეობით. სტატისტიკური დაკვირვების ობიექტები არიან საქართველოს რეზიდენტები, აგრეთვე დაკვირვების პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი არარეზიდენტები).

თავი III. ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრი. ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკატორი

ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრი არის საქართველოში მთავარი კომპლექსური რეგისტრი, რომელიც იდენტიფიკაციის ერთიანი პრინციპების საფუძველზე აფიქსირებს ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ან სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს და შეიცავს რეგლამენტირებულ ცნობებს მათ შესახებ. რეგისტრის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი (მუხლი 14).

კანონით „სტატისტიკის შესახებ“ დადგენილია, რომ სტატისტიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს (დეპარტამენტს) ევალება (მუხლი 15):

ა) ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი ეროვნული კლასიფიკატორების შემუშავება, დანერგვა და წარმართვა;

ბ) სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან („საქსტანდარტი“) ერთად კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის ნორმატიულ-მეთოდოლოგიური ბაზის შემუშავება, მთლიანი საკლასიფიკაციო მეურნეობის წარმოების ზედამხედველობა, კლასიფიკატორებისა და ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის ტირაჟირება.

ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაცია და კოდირება გამოიყენება აღრიცხვის, სტატისტიკის, სტანდარტიზაციის, ლიცენზირების, ევოტირების, სერტიფიკაციის, დაბეგვრისა და სხვა სფეროებში და უზრუნველყოფს ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მის ურთიერთანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საზოგადოებრივ და სამენარმეო საქმიანობაში, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები სავალდებულო წესით იყენებენ საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორებს.

თავი IV. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების და საქვეუნწყებო სტატისტიკის დაწესებულებების უფლება-მოვალეობანი.

კანონით „სტატისტიკის შესახებ“ (მუხლი 16) სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოებს და საქვეუნწყებო სტატისტიკის დაწესებულებებს მინიჭებული აქვთ შემდეგი უფლებები:

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა იურიდიულ პირს და ქვეყნის რეზიდენტებს მის ფარგლებს გარეთ მოსთხოვონ სტატისტიკური დაკვირვებისათვის საჭირო მონაცემები დადგენილ ვადებში, განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით. საჭირო მონაცემებში ლოგიკური და არითმეტიკული უზუსტობის შემთხვევაში შეამონმონ პირველადი მონაცემების უტყუარობა.

2. სახელმწიფო სტატისტიკურ დაკვირვებათა მონაცემების გაყალბების, განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით ან დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვან ანგარიშვალდებულ პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

3. დაკვეთით (ხელშეკრულების საფუძველზე) შეასრულონ სტატისტიკური სამუშაოები ან გასწიონ ინფორმაციული მომსახურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ორგანოები და საქვეუნწყებო სტატისტიკის დაწესებულებები ვალდებულნი არიან (მუხლი 17):

1. უზრუნველყონ სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობა და უტყუარობა, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებისათვის მათი მიწოდების ოპერატიულობა, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ამსახველ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება-სრულყოფა, ამ მაჩვენებელთა მოპოვება და მათ საფუძველზე საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ყოველმხრივი შესწავლა, მეცნიერული და პროგნოზული ანალიზი;

2. დაიცვან შეგროვილი პირველადი მონაცემების კონფიდენციალობა;

3. უზრუნველყონ კრებსითი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა;

4. მიანოდონ საქართველოს რეზიდენტებს მათი მოთხოვნის საფუძველზე მონაცემთა ბანკებსა და რეგისტრებში მათ შესახებ არსებული ინფორმაცია;

5. უზრუნველყონ ანგარიშვალდებული რეზიდენტები სტატისტიკური დაკვირვების ჩასატარებლად საჭირო სტატისტიკური ანგარიშგების ბლანკებით, ანკეტებით, კითხვარებითა და ინსტრუქციებით.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უფლებამოსილია:

დადოს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოების სტატისტიკურ სამსახურებთან და საერთაშორისო ეკონომიკურ-სტატისტიკურ ორგანიზაციებთან და დადგენილი წესით მიანოდოს მათ წარმომადგენლებს სტატისტიკური დაკვირვების მონაცემები.

პასუხისმგებლობა კანონის „სტატისტიკის შესახებ“ დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით, ეკისრებათ საქართველოს რეზიდენტებს (იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს) სახელმწიფო თუ უწყებრივი დაკვირვების მონაცემების გაყალბების ან დამახინჯებისათვის, დადგენილ ვადებში ან განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით წარუდგენლობისათვის, მონაცემების უტყუარობის შემონმებაში სტატისტიკის ორგანოების მუშაკებისადმი ხელის შეშლისათვის.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ფორმირების პირობებში სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ძირითად ამოცანებად უნდა ჩაითვალოს:

1. ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის განსაზღვრა, მათი რეგიონებისა და ტერიტორიების მიხედვით განაწილება. მოსახლეობის აღწარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩ-

ვენებლების: მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების) და მიგრაციის, მოსახლეობის მიმდინარე და პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშება და სხვა;

2. ეკონომიკური პროცესების ძირითადი შედეგებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების განსაზღვრა, ნარმოებული შინა პროდუქციის სიდიდისა და სტრუქტურის დადგენა, დარგებსა და სექტორებს შორის არსებული პროპორციების განსაზღვრა და სხვა;

3. ეკონომიკის ძირითად სექტორებში (სახელმწიფო და კერძო სამეწარმეო სექტორები) პროდუქტის ნარმოებისა და უმნიშვნელოვანეს საქონელთა (საქონელთა ჯგუფის), ასევე მომსახურების, შესრულებული სამუშაოების შედეგების განსაზღვრა და ანალიზი;

4. შემოსავლების განაწილება: პირველადი და მეორადი განაწილება, საბოლოო შემოსავლების ფორმირება და მათი გამოყენება, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისადმი შემოსავლების განაწილების დიფერენციაცია და ა.შ.;

5. მოსახლეობის დასაქმებულობისა და უმუშევრობის ანალიზი და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზემოქმედებენ მოსახლეობის დასაქმებულობასა და უმუშევრობის მაჩვენებელთა სიდიდეზე;

6. მოსახლეობის ცხოვრების დონის სიდიდისა და მისი დინამიკის მაჩვენებლების განსაზღვრა, იმ ძირითადი ფაქტორების დადგენა, რომლებიც ზემოქმედებენ კეთილდღეობაზე, საქონლისა და მომსახურების სიდიდეზე; შემოსავლებისა და დაგროვების, შინამეურნეობათა და ოჯახის ქონების, საოჯახო მეურნეობათა ფინანსური აქტივებისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების პირობების სტატისტიკური ანალიზი;

7. ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირის შესწავლა;

8. საბინაო-კომუნალური მეურნეობებისა და მომსახურების, საცხოვრებელი ფონდების სიდიდეებისა და სტრუქტურის, მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის, საყოფაცხოვრებო საბინაო-კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების დონეთა განსაზღვრა და ანალიზი;

9. ქვეყნის ეკონომიკური რესურსების, მათი სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა. რესურსების ეკონომიკის დარგებსა და სექტორებში განაწილება და მათი ეფექტიანი გამოყენების მაჩვენებლები;

10. ინვესტიციების მოცულობისა და მათი სტრუქტურის, კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისა და მათი ეფექტიანობის მაჩვენებლების განსაზღვრა;

11. ქვეყნის საფინანსო სისტემის ფუნქციონირებისათვის: სახელმწიფო ბიუჯეტის, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში საფინანსო ოპერაციების, მიმოქცევაში ფულადი მასის, გაცემული სესხების სიდიდეების, საფონდო ბაზრების, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების, ფინანსური დავალიანებების, სამეურნეო სუბიექტების ფინანსების და ა.შ., აუცილებელი საფინანსო სტატისტიკური გაანგარიშებების განხორციელება (წარმოება);

12. გარემოს მდგომარეობის შეფასება და გარემოს დაცვის ღონისძიებებისათვის განეული დანახარჯების სტატისტიკური აღრიცხვა;

13. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე განეული დანახარჯების სტატისტიკური აღრიცხვა, ეკონომიკურ ზრდაზე ტექნიკური პროგრესის გავლენის შესწავლა;

14. სამეურნეო სუბიექტების (ეკონომიკური ორგანიზაციების) მახასიათებლების დადგენა;

15. სანარმოო-ტექნიკური დარგთაშორისი კავშირების, ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების მიერ წარმოებული პროდუქციისა და საბოლოო მოთხოვნის კავშირურთიერთობათა შესწავლა დარგთაშორისი ბალანსის მოდელების მეშვეობით.

16. საგარეო ეკონომიკური კავშირების სტატისტიკური შესწავლა, საგარეო სესხებზე მოთხოვნის, ოქროს ვალუტის რეზერვების დინამიკისა და სტრუქტურის განსაზღვრა და ა.შ.

### *საკონტროლო კითხვები (დავალებები)*

1. განსაზღვრეთ სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის ობიექტი და საგანი.

2. დაახასიათეთ სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა და მისი ურთიერთკავშირი თეორიულ ეკონომიკასთან, ასევე ე.წ. მომიჯნავე სტატისტიკურ დისციპლინებთან.

3. განსაზღვრეთ ქვეყნის განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და დაახასიათეთ სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა.

4. ჩამოთვალეთ სტატისტიკის ძირითადი მეთოდები და გან-

საზღვრეთ სტატისტიკური მეთოდოლოგიის ფორმირების საფუძვლები.

5. რას მოიცავს აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემა?

6. დაახასიათეთ სტატისტიკის ორგანიზაცია ქვეყანაში და სტატისტიკის მართვის ორგანოების ფუნქციები.

7. ჩამოთვალეთ სახელმწიფო და საქვეუწყებო სტატისტიკის დაწესებულებათა უფლება-მოვალეობანი „სტატისტიკის შესახებ“ კანონის (1997 წ. 12 ნოემბრის) მიხედვით.

8. რას წარმოადგენს ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრი (რეესტრი)?

9. დაახასიათეთ სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ძირითადი ამოცანები და სტატისტიკური ინფორმაციების ძირითადი მომხმარებლები.

### *გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა*

1. საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ, 1997 წლის 12 ნოემბრის ქვეყნის პარლამენტის გადაწყვეტილებათა უწყებანი.

2. საქართველოს სტატისტიკის განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამა. თბ., 1999 წ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2000.

3. ბ. გაბიძაშვილი. სტატისტიკა, თბ., თსუ, 1998.

4. ტ. სართანია. თეორიული სტატისტიკა, სალექციო კურსი. თბ., 1996.

5. ნ. ასლამაზიშვილი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა (სასწავლო-მეთოდური მასალები), თბ., 1995.

6. ქ. მარშავა, კომერციული სტატისტიკის კურსი, თბ., 1999.

7. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, გაეროს 1993 წლის გამოცემა.

8. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს-ი), თბ., 1999.

## თემა 2. სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები, დაჯგუფებანი და ნომენკლატურა

### § 2.1. ძირითადი კლასიფიკაციები, მნიშვნელოვანი დაჯგუფებანი და ნომენკლატურა

სტატისტიკაში განასხვავებენ ცნებებს: კლასიფიკაცია, დაჯგუფება და ნომენკლატურა, რომლებიც შეადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შესწავლაში და ინფორმაციის ორგანიზებაში.

სტატისტიკაში კლასიფიკაცია არის შესასწავლი მოვლენების, ობიექტებისა და ერთეულების სისტემატიზებული განაწილება განსაზღვრულ სექციებად, ჯგუფებად, კლასებად, პოზიციებად, სახეებად მათი მსგავსებისა თუ განსხვავებულობის საფუძველზე.

სტატისტიკაში კლასიფიკატორი არის ობიექტების სისტემატიზებული ჩამონათვალი, სადაც თითოეულ მათგანს (მაგ., დარგები, საწარმოები, პროდუქციები, საქმიანობანი და ა.შ.) ენიჭება ობიექტის სახელის იდენტიფიცირებული მაჩვენებელი — კოდი. კოდი ეს არის ნიშანი ან ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც გამოიყენებენ კლასიფიცირებული ჯგუფებისა და ობიექტების აღსანიშნავად. თუ ძირითადი კლასიფიკაციები სავალდებულოა გამოსაყენებლად, მათ სტანდარტების ძალა აქვთ.

ნომენკლატურა არის კლასიფიკატორის შევსება და კონკრეტულობა ობიექტებისა და მათი ჯგუფებისა სტანდარტულ ჩამონათვალში. მაგალითად, საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა. საერთაშორისო ვაჭრობის ფართო ეკონომიკურ კატეგორიებს განეკუთვნება 10 გამსხვილებული განყოფილება, რომელიც შედგება 63 განყოფილების, 233 ჯგუფის, 78 ქვეჯგუფისა და 1573 საწყისი პოზიციისაგან. საქონლის ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციას პრაქტიკაში ბევრი ქვეყანა იყენებს, რადგანაც იგი უზრუნველყოფს ეროვნულ მონაცემთა შესადარისობა-შეპირისპირებას და აიოლებს მსოფლიო ვაჭრობის მდგომარეობის, ზოგად ეკონომიკურ ანალიზსა და მიმოხილვებს (იხ. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, №2, გვ. 49-50.).

დაჯგუფებების საშუალებით სტატისტიკაში ახორციელებენ მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენების სოციალურ-ეკონომიკური ტიპების გამოყოფას, სტატისტიკური ერთობლიობის



სტრუქტურის განსაზღვრასა და მოვლენების ცალკეულ სიდიდეებს შორის კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებათა გამოვლენას, შესაბამისად, არსებითი ნიშნების მიხედვით შესასწავლი ობიექტების ერთეულთა განაწილებას ერთგვაროვან ჯგუფებად. განასხვავებენ: ტიპოლოგიურ, სტრუქტურულ და ანალიზურ დაჯგუფებებს, რომლებიც შეიძლება იყოს მარტივი ან კომბინაციური.

## *§ 2.2. ეკონომიკური საქმიანობის სახეობების დარგობრივი კლასიფიკაციები (ISIC)<sup>1</sup>*

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების კლასიფიკაციები საშუალებას გვაძლევს ჩატარდეს სანარმოო მაჩვენებლების, წარმოების ფაქტორების და სხვა სტატისტიკურ მაჩვენებელთა ანალიზი. იგი აუცილებელია დარგობრივი ეკონომიკის სანარმოების ან მათი ნაწილების (ფილიალების, დანაყოფების) დასაყოფად.

ამჟამად მოქმედი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია შემუშავებული იყო გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ და მისი მესამე რედაქციის ვარიანტი გამოქვეყნდა 1990 წელს. ეს სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკატორი მოდიფიცირებული ფორმითა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით საფუძვლად დაედო ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიური კლასიფიკატორების შექმნას.

საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სახეობების დარგობრივ კლასიფიკატორს (ISIC) გააჩნია ლათინური (მიფრით) ალფაბეტის ასოებით აღნიშნული (იხ. ცხრ. 2.1) 17 სექცია, 159 ჯგუფი, რომლებიც ქმნიან 290 კლასს. განყოფილებები და ჯგუფები წარმოდგენილია შემდეგი ნიშნების გათვალისწინებით:

ა) წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე,

ბ) საქონლისა და მომსახურების დანიშნულებიდან გამომდინარე,

გ) ნედლეულის სახეობის, გადამუშავებისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე.

დარგობრივი კლასიფიკატორის (ISIC) დაკვირვების ერთეულად აღებულია ობიექტი, რომელზედაც მოიპოვებენ ინფორმა-

<sup>1</sup> International Standart Industrial Clasificator – საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკატორი

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის (ISIC) სტრუქტურა (1990 წ. მესამე რედაქციით)

ცხრილი 2.1.

ნიშანი	სექციები	ჯგუფების რიცხოვნობა				
		სულ	მათ შორის		დონეების მიხედვით	
			კლასი- ფიკა- ციის დონე	2 ნა- ნილი	3 ჯგუ- ფი	4 კლასი
	სულ	526	17	60	159	290
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყვეობა	18	1	2	6	9
B	თევზჭერა	4	1	1	1	1
C	სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავების სხვა დარგები	28	1	5	10	12
D	გადამამუშავებელი მრეწველობა	218	1	23	61	125
E	ელექტროენერგია, გაზი და ნყალმომარაგება	11	1	2	4	4
F	მშენებლობა	12	1	1	5	5
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომანქანების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	50	1	3	17	23
H	სასტუმროები და რესტორნები	6	1	1	2	2
I	ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კაემირგაბმულობა	33	1	8	10	17
J	საფინანსო შუამავლობა	21	1	3	5	12
K	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	54	1	5	17	31
L	სახელმწიფო მართვა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა	13	1	1	3	8
M	განათლება	11	1	1	4	5
N	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	11	1	1	3	6
O	დანარჩენი კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	36	1	4	9	32
P	კერძო საოჯახო მეურნეობა დაქირავებული მომსახურებით	4	1	1	1	1
Q	ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები	4	1	1	1	1

საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა  
ძირითადი და არაძირითადი ეკონომიკური საქმიანობის  
სახეობების მიხედვით (1998 წ.)<sup>1</sup>

ცხრილი 2.2

N	ეროვნული ეკონომიკის დარგები	სანარმოთა რაოდენობა			გამომეხვეული პროდუქცია, მლნ ლარი			დასაქმებულთა რიცხვი, კაცი		
		სულ	მათ შორის სექტორში		სულ	მათ შორის სექტორში		სულ	მათ შორის სექტორში	
			სა-ხელმ-ნიფო	კერძო		სა-ხელმ-ნიფო	კერძო		სა-ხელმ-ნიფო	კერძო
1	საქართველოს ეკონომიკა — სულ	13818	2681	11137	1623,2	864,9	758,4	434231	219534	214697
2	სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა	447	245	202	8,8	4,8	4,0	15110	103207	4783
3	თევზჭერა	10	1	9	0,09	0,002	0,09	202	5	197
4	მრეწველობა	3131	517	2614	820,6	532,4	288,2	115670	66410	49260
5	მშენებლობა	389	146	243	127,1	65,2	61,9	20809	11886	8923
6	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	6538	422	6116	223,2	18,7	204,5	118405	11598	106807
7	სასტუმროები და რესტორნები	628	47	581	12,0	1,0	11,0	9608	1246	8362
8	ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა, კავშირგაბმულობა	533	255	278	305,3	184,1	121,2	50788	39400	11388
9	საფინანსო მუშაველობა	69	14	55	4,9	0,6	4,3	776	203	573
10	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა, კომერციული საქმიანობა	704	247	457	39,1	11,2	27,9	14993	7401	7592
11	სახელმწიფო მართვა და თავდაცვა	40	30	10	1,5	1,1	0,4	808	727	81
12	განათლება	295	87	208	13,3	6,8	6,5	18202	9577	8625
13	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	583	469	114	33,6	30,2	3,4	53373	49834	3539
14	სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	451	201	250	33,7	8,7	25,0	15487	10920	4567

1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წელს. თბ., 1999, გვ. 71.

ეროვნული ეკონომიკის ძირითადი დარგები და მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) მაჩვენებლები სექტორების მიხედვით 1996-1999 წწ.<sup>1</sup>

ცხრილი 2.3.

ძირითადი დარგები	1996 წელს მიმდინარე შიდა პროდუქტი მლნ. ლარი	მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა %	ზრდის ტემპები % (ნინა წლის შესადარ ფასებთან)		
			1996 წ.	1997 წ.	1998 წ.
1 მრეწველობა	617	14	107	108,1	97,7
2 სოფლის მეურნეობა	1433	33	105	107,1	90,0
3 მშენებლობა	225	5	125	122,2	161,8
4 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	261	6	111	148,6' 110,8	140,6 154,1
5 ვაჭრობა	1079	24	130	112,2	101,2
6 მატერიალური წარმოების სხვა დარგები	79	2	107	120,6	102,5
7 სულ მატერიალური წარმოება	3694	84	113	111,3	
8 არამატერიალური წარმოება	699	16	111	101,2	106,8
სულ	4393	100	112	109,1	
8 ნმინდა გადასახადები პროდუქტებზე და იმპორტზე	154		X	148,9	107,1
9 მთლიანი შიდა პროდუქტი	4547		111	111,3	102,9

1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ინფორმაციები (წელიწადული: 1996, 1997, 1998, 1999).

ციებს, ერთნაირი ეკონომიკური საქმიანობისა და ადგილმდებარეობის პრინციპებიდან გამომდინარე. საქმიანობის სახეობების ერთეულად შეიძლება იყოს სანარმოო ან მისი ნაწილი (კომპონენტები).

საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკატორის სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრ. 2.2-ში, სადაც სამწარმოო სფეროს ეკონომიკური მაჩვენებლები განხილულია 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით (1995 წლის 1 მარტიდან) შექმნილი ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრი მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე დაკვირვებისა და სტატისტიკის სრულიად ახლებურად ორგანიზება.

როგორც ცხრილი 2.3-დან ჩანს, ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად გრძელდებოდა ეკონომიკური რეფორმები, ხორციელდებოდა ინსტიტუციური ცვლილებები. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დეტალური შესწავლა გათვალისწინებულია წინამდებარე კურსის მომდევნო თავებში, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ეროვნული მეურნეობის უმსხვილეს დარგში — სოფლის მეურნეობაში ჯერაც დაბალია სასაქონლო წარმოების დონე, რაც სერიოზულად აბრკოლებს ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზარს და მასზე სამამულო პროდუქციის დამკვიდრებას. ამასთან, 1998-99 წწ. ინტენსიურად ვითარდებოდა ის დარგები, რომლებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარება, მისი უფრო სრული და ეფექტიანი ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის კლასიფიკატორი ითვალისწინებს დარგების დაყოფას შემდეგი ნიშნებით:

1) დარგები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას (მატერიალური წარმოების სფერო): მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მშენებლობა და მატერიალური წარმოების სხვა დარგები.

2) დარგები, რომლებიც ეწევიან მომსახურებას: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, საფინანსო შუამავლობა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება, სახელმწიფო მართვა და თავდაცვა და ა.შ.

ქვემოთ განვიხილავთ სტატისტიკაში გამოყენებულ მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგის დაჯგუფებათა შინაარსს.

#### ა) მრეწველობა

შრომის საგნების მოპოვებისა და მათი დამუშავების მიხედვით მთელი მრეწველობა იყოფა მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობად. მრეწველობის დარგობრივ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს საწარმოს მიერ გამომუშავებული (ან მოპოვებული) პროდუქციის დანიშნულება. მაგრამ კლასიფიკაციის აღნიშნული ნიშანი ყოველთვის არაა საკმარისი იმისათვის, რომ ესა თუ ის საწარმო მრეწველობის მოცემულ დარგს მივაკუთვნოთ. სტატისტიკის პრაქტიკაში გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებად დაყოფისას გამოიყენება კლასიფიკაციის დამხმარე ნიშანი — წარმოებაში მოხმარებული ნედლეულის ერთგვაროვნება. კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისას ასევე გამოყენებულ უნ-

და იქნეს კიდევ ერთი დამხმარე ნიშანი — პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ხასიათი.

სტატისტიკის პრაქტიკაში ფართოდ არის გამოყენებული სამრეწველო სანარმოთა დაჯგუფება წარმოების სიდიდის მიხედვით. ასეთი დაჯგუფება შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ ქვეყნის ცალკეული რეგიონების (მხარეების) მიხედვით მრეწველობის კონცენტრაციის დონე, ეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირი და სხვა.

ქვემოთ განხილულია ქვეყნის მრეწველობის დარგების სტრუქტურა საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის (ISIC) სექციების ნიშნების C, D, E შესაბამისად (იხ. ცხრ. 2.4). კერძოდ, მრეწველობის დარგების სტრუქტურა წარმოდგენილია მოქმედ სანარმოთა რიცხოვნობის მაჩვენებლები-სა და წარმოებულ პროდუქციაში მათი ხვედრითი წილის მიხედვით.

*ცხრილი 2.4.*

მრეწველობის სტრუქტურა	სანარმოთა საერთო რიცხვი	წილი წარმოებულ პროდუქციაში პროცენტებში
1	2	3
მრეწველობა სულ (C+D+E)	3131	100
მათ შორის სექცია C — სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	64	2,39
აქედან: 1. ნახშირისა და ლიგნიტის მოპოვება, ტორფის დამუშავება	2	0,04
2. ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება	2	1,39
3. ლითონური მადნის მოპოვება	8	0,51
4. სამთომომპოვებელი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა დარგები	52	0,45
სექცია D. გადამამუშავებელი მრეწველობა	2885	58,39
აქედან: 1. კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოება	1886	30,17
2. თამბაქოს წარმოება	5	0,18
3. საფეიქრო ნაწარმის წარმოება	36	0,26
4. ტანსაცმლის წარმოება, ბენჯის გამოყვანა და ლებვა	47	0,52
5. ტყავის თრიმლევა და გამოყვანა, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება	25	0,13
6. მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება (გარდა ავეჯისა)	147	0,34
7. ცელულოზის, ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	20	0,18

1	2	3
8. საგამომცემლო საქმე და პოლიგრაფიული წარმოება	179	1,42
9. კოქსის, ნავთობის გამოხდის პროდუქტებისა და ბირთვული საწვავის წარმოება	4	4,84
10. ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება	67	3,32
11. რეზინისა და პლასტმასის წარმოება	30	0,88
12. არალითონური სხვა მინერალური პროდუქტების წარმოება	174	3,24
13. ძირითადი ლითონების წარმოება	9	6,83
14. ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება (მანქანებისა და ხელსაწყოების გარდა)	75	0,49
15. მანქანებისა და მონყობილობების წარმოება	37	0,53
16. საკანცელარიო და ელექტროგამომთვლელი მანქანების წარმოება	2	0,05
17. ელექტრული მანქანებისა და სხვა აპარატურის წარმოება	31	0,37
18. რადიოს, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობისათვის აპარატურის წარმოება	8	0,14
19. სამედიცინო, ზუსტი და ოპტიკური ხელსაწყოებისა და საათების წარმოება	6	0,08
20. ავტომობილების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების წარმოება	8	0,66
21. სხვა სატრანსპორტო მონყობილობების წარმოება	14	3,40
22. ავეჯის წარმოება, სხვა მზა ნაწარმის წარმოება	72	0,40
23. მეორადი გადამუშავება	3	0,003
<b>სექცია E. ელექტროენერჯია, აირი და წყალმომარაგება</b>	<b>182</b>	<b>39,28</b>
<b>აქედან:</b>		
1. ელექტროენერჯიით, აირით, ორთქლითა და ცხელი წყლით მომარაგება	128	36,98
2. წყლის დაგროვება, განმენდა და განაწილება	54	2,30

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წელს, თბ., 1999, გვ. 13-14.

ცხრილის (2.4) ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მრეწველობის 3131 სამრეწველო საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის 47,9 პროცენტი მოდის 52 მსხვილ საწარმოზე, რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ ქვეყნის სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებს. მცირე სამრეწველო საწარმოების (50 კაცამდე დასაქმებულით) მიერ 1998 წელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა მთელი სამრეწველო პროდუქციის 15,8 პროცენტს შეადგენდა და წინა წელთან შედარებით 7,6 პროცენტით გაიზარდა.

## ბ) სოფლის მეურნეობა

საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვან სექტორს სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეადგენს. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქციის მოცულობაში ერთ მეოთხედის (24,7 პროცენტი) ტოლია და მის წილად ქვეყნის დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50,7 პროცენტი მოდის. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ძირითადად ოჯახურ მეურნეობებშია თავმოყრილი.

## გ) ინვესტიციები და მშენებლობა

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდება. 1998 წლის შედეგებით დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ძირითად კაპიტალში ინვესტირებულია 434,8 მლნ ლარი, რაც 1997 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2,1-ჯერ მეტია. მათ შორის ინვესტირებულია 76,0 მლნ ლარის სახელმწიფო სახსრები. ამავე წელს ძირითად კაპიტალში გამოყენებულია 349,7 მლნ ლარის უცხოური ინვესტიციები, აქედან აშშ-ის ინვესტორთა წილად მოდის 28,5 პროცენტი, დიდი ბრიტანეთის — 13,3 პროცენტი, მსოფლიო ბანკის — 13,0 პროცენტი, ევრობანკის — 7,0 პროცენტი, რუსეთის — 6,9 პროცენტი, აზერბაიჯანის — 6,9 პროცენტი, ნორვეგიის — 5,9 პროცენტი, გერმანიის — 4,9 პროცენტი, თურქეთის — 4,7 პროცენტი, საფრანგეთის — 3,8 პროცენტი. უცხოური ინვესტიციების ხარჯზე სახმელეთო ტრანსპორტსა და მილსადენებით ტრანსპორტირებაზე მოდის ინვესტიციების 69,3 პროცენტი, ხოლო ელექტროენერჯით, გაზით და ორთქლით მომარაგებაზე — 24,3 პროცენტი.

სამშენებლო საქმიანობას ქვეყანაში ახორციელებს 465 სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაცია. მათ შორის 202 სახელმწიფო საკუთრებაა. შესრულებული სამუშაოების საერთო მოცულობიდან სახელმწიფო საკუთრების ორგანიზაციების წილად მოდის 51,1 პროცენტი. მშენებლობა მოიცავს შესრულებულ სამუშაოებს როგორც დაკვეთით, ასევე სამეურნეო წესით, ახალმშენებლობის გაფართოება-რეკონსტრუქციას, საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების საწარმოების კაპიტალრემონტს, ტექნიკურ გადაიარაღებას და ა.შ.

## დ) ტრანსპორტი

ეს დარგი მოიცავს რკინიგზის (მათ შორის მეტროპოლიტენი), საერთო სარგებლობის საგზაო ტრანსპორტს (მათ შორის საავტომობილო, საგზაო მეურნეობას და ტროლეიბუსებს), საზღვაო, საჰაერო, მილსადენისა და სხვა სახეობათა ტრანსპორტს. საქართველოში 1998 წელს ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრან-



სპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა წინა წელთან შედარებით 21,8 პროცენტით, ხოლო გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 16,5 პროცენტით გაიზარდა (საქალაქო ელექტროტრანსპორტის გარეშე). წლიურმა მთლიანმა შემოსავლებმა 528,2 მლნ ლარი შეადგინა, მათ შორის შემოსავლების 58,7 პროცენტი მოდიოდა საავტომობილო ტრანსპორტზე.

#### ე) კავშირგაბმულობა

კავშირგაბმულობაში შედის ფოსტა, საკურიერო კავშირები, ელექტრონული და რადიოკავშირები. კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის საწარმოების მიერ 1998 წელს განეული მომსახურებიდან მიღებულია 103,0 მლნ ლარის შემოსავალი.

#### ვ) სამენარმეო საქმიანობა მომსახურების სფეროში

ქვეყანაში მომსახურების სფეროს (საფინანსო შუამავლობა; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა; სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა და სავალდებულო სოციალური დაზღვევა; სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება) საწარმოთა რიცხოვნობა 1092 ერთეულს შეადგენს. ამ საწარმოების მიერ 1998 წლის განმავლობაში ძირითადი საქმიანობის მიხედვით გამოშვებული 46,1 მლნ ლარის პროდუქციიდან არასახელმწიფო სექტორზე მოდის 70,6 პროცენტი. ამ ეკონომიკური საქმიანობის ზემოთ აღნიშნულ სახეობებში დასაქმებული იყო 23,3 ათასი კაცი, ანუ მთელ სამენარმეო სფეროში დასაქმებულთა 5,4 პროცენტი.

სამენარმეო საქმიანობა სოციალურ სფეროში მოიცავს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების სფეროებს, სადაც 964 საწარმო ფუნქციონირებდა, მათ შორის სახელმწიფო სექტორში 600 საწარმო. სამენარმეო აქტივობით დაკავებულ საწარმოებში (ორგანიზაციებში) დასაქმებული იყო 75,3 ათასი კაცი და განეული მომსახურება ამ სფეროში ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა (საანალიზო წელს ძირითადი და არაძირითადი საქმიანობის მიხედვით ზრდის ტემპმა 36 პროცენტი შეადგინა).

სახელმწიფო ფინანსები და ფულის მიმოქცევა. ეს დარგი საბანკო საქმიანობასა და საფინანსო-საშუამავლო საქმიანობას მოიცავს. კერძოდ, ეროვნული, კომერციული და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობას, საბირჟო ოპერაციების ფასეულობათა ფონდებთან და არასახელმწიფოებრივი საფინანსო ბაზრების მართვას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტში (ცენტრალური ბიუჯეტი და სპეციალური სახელმწიფო ფონდები) 1998 წელს (არას-

რული მონაცემებით) შემოსავლებმა 541,7 მლნ ლარი შეადგინა (წინა წლის შემოსავლებთან შედარებით 16 პროცენტით ნაკლები). მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებმა 72,2 პროცენტი შეადგინა. უცხოეთიდან მიღებულმა გრანტებმა 15 მლნ ლარი შეადგინეს, ანუ შემოსავლების ჯამთან მიმართებაში 2,8 პროცენტი. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა და წმინდა დაკრედიტებამ 720,8 მლნ ლარი შეადგინა და შეიქმნა საბიუჯეტო დეფიციტი 179,0 მლნ ლარის ოდენობით. დეფიციტის დასაფინანსებლად გამოყენებული იყო ეროვნული ბანკის სესხები (152,5 მლნ ლარი) და საგარეო წყაროები.

ქვეყნის კონსოლიდირებული ბიუჯეტის (ცენტრალური ბიუჯეტი, სპეციალური სახელმწიფო ფონდები და ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები) მთელი შემოსავლების (729,7 მლნ ლარი, მიღებული გრანტების ჩათვლით) — 81,9 პროცენტი მოდიოდა საგადასახადო შემოსავლებზე, ხოლო 12,0 და 4,0 პროცენტი — შესაბამისად არასაგადასახადო და კაპიტალურ შემოსავლებზე.

ქვეყანაში საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისისა და ნეგატიური საგარეო საფინანსო-ეკონომიკური კონიუნქტურის გამო (1998 წლის ბოლოსათვის) განხორციელდა ქვეყნის ეროვნული ვალუტის — ლარის თავისუფლად მცურავ სავალუტო კურსზე გადაყვანა, რამაც გამოიწვია ბანკთაშორის ბირჟაზე და თავისუფალ ბაზარზე აშშ დოლართან შედარებით ლარის 2,0 ნიშნულზე დაფიქსირება, ანუ ლარის დევალვაციამ 37,3 პროცენტი შეადგინა.

### *§ 2.3. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) კლასიფიკაცია*

პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების კლასიფიკაცია მჭიდრო კავშირშია საქმიანობის სახეობების კლასიფიკაციასთან. ქვეყნის პროდუქციის კლასიფიკატორი მონოდებულია უზრუნველყოს პროდუქციაზე უტყუარი, შესადარისი და ავტომატიზებული და მუშავებადი ინფორმაციების მიღება. იგი არის იერარქიული სისტემით აგებული პროდუქციის ჯგუფების, სისტემატიზებული კოდების ნაკრები და დასახელებანი. კლასიფიკატორი გამოიყენება პროდუქციის სისტემატიზაციისა და კატალოგების შემუშავებისათვის, პროდუქციის მაჩვენებელთა სტატისტიკური ანალიზისათვის მაკროეკონომიკურ, რეგიონულ და დარგობრივ დონეებზე.

პროდუქციის ცენტრალური კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი (CPC)<sup>1</sup> შედგება 10 სექციისაგან, რომლებიც დაყოფილია 69 ნაწილად. ქვემოთ მოგვყავს საერთაშორისო სტანდარტის სექციების ჩამონათვალი (პროდუქციის დაყოფის გარეშე):

სექცია „0“ — სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და თევზჭერის სექცია (სადაც პროდუქცია დაყოფილია სხვადასხვა ნაწილებად: 01 — სოფლის მეურნეობის, მებალეობის და მებოსტნეობის პროდუქცია; 02 — ცოცხალი პირუტყვი და მეცხოველეობის პროდუქცია და ა.შ.).

„1“ — მადანი და მასალები; ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, ნყალი.

„2“ — კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი; საფეიქრო ნაწარმი, ტანსაცმელი და ტყავის ნაწარმი.

„3“ — დანარჩენი ტრანსპორტირებადი საქონელი (მეტალის ნაწარმის, მანქანებისა და მონყობილობის გარდა).

„4“ — მეტალის ნაწარმი, მანქანები და მონყობილობანი.

„5“ — სამშენებლო სამუშაოები, ნაგებობანი და მიწა.

„6“ — სასაქონლო მომსახურება, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება.

„7“ — ტრანსპორტის მომსახურება, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა.

„8“ — კომერციული მომსახურებანი; სოფლის მეურნეობის დარგში მომსახურება, სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი წარმოება.

„9“ — კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

საერთაშორისო სტანდარტის (CPC) ანალოგიურად, სადაც პირველად არის მოცემული ყველა საქონლის და ყველა სახეობის მომსახურების, არასაწარმოო აქტივების, როგორც მატერიალური, მიწის ჩართვით, ასევე არამატერიალური (პატენტები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები) აქტივების კლასიფიკაცია. ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გამოიყენება პროდუქციის კლასიფიკაცია, სადაც ტერმინი „პროდუქცია“ აღნიშნავს საქონელთა ჯგუფს, რომელიც ექვემდებარება ტრანსპორტირებას, ხოლო რომელიც არ ექვემდებარება ტრანსპორტირებას, მიეკუთვნება მომსახურების სახეობას.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა შეკრებასა და ურთიერთობების რეგულირები-

<sup>1</sup> CPC — პროდუქციის ცენტრალური კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი

საქართველოს ექსპორტ-იმპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების  
სტრუქტურა 1997-1998 წ.

ცხრილი 2.5.

ექსპორტ-იმპორტის სახეობები	1997 წ.		1998 წ.	
	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%
<b>ექსპორტი სულ</b>	<b>239787,1</b>	<b>100</b>	<b>194028,8</b>	<b>100</b>
<b>მათ შორის: 1. ფეროშენადნობები</b>	<b>15523,9</b>	<b>6,5</b>	<b>22294,8</b>	<b>11,5</b>
2. ნატურალური ყურძნის ღვინოები	12492,9	5,2	15147,5	7,8
3. აზოტოვანი მინერალური და ქიმიური სასუქები	13811,1	5,8	10668,7	5,5
4. ელექტროენერჯია	11936,3	5,0	9826,	5,1
5. კაკალი ახალი ან გამხმარი	5259,6	2,2	9465,7	4,1
6. ნავთობი და ნავთობპროდუქტები	13393,4	5,6	9419,8	4,9
7. ჩაი არომატიზებული ან არაარომატიზებული	13872,5	5,8	8821,4	4,5
8. მინერალური ნწყლები, გაზიანი შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების გარეშე	17583,5	7,3	7063,9	3,6
9. სამკურნალო საშუალებები	1372,7	0,6	6365,3	3,3
10. ნედლე ნავთობი და ნავთობპროდუქტები	14409,3	6,0	5697,2	2,9
11. დანარჩენი პროდუქცია, სულ	120132,4	50,1	89258,2	46,0
<b>იმპორტი სულ</b>	<b>943512,3</b>	<b>100,0</b>	<b>1048607,1</b>	<b>100,0</b>
<b>მათ შორის: 1. ნავთობი და ნავთობპროდუქტები</b>	<b>52168,9</b>	<b>16,1</b>	<b>161820,4</b>	<b>15,4</b>
2. ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები და სხვა	75806,9	8,0	135381,7	12,9
3. მსუბუქი ავტომობილები და სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები	45332,5	4,8	77786,2	7,4
4. სამკურნალო საშუალებები	35886,7	3,8	42449,1	4,0
5. ხორბალი და მესლინი	57212,2	6,1	32492,2	3,1
6. ხორბლის ან ქვაკ-ხორბლის ფქვილი	37113,1	3,9	24814,3	2,4
7. სიგარები და სიგარეტები	107764,0	11,4	21970,7	2,1
8. ტელეფონის და ტელეგრაფის ელექტრონული აპარატები	17552,3	1,9	20973,8	2,0
9. ლერწმის ან ქარხლის შაქარი	39075,0	4,1	19659,0	1,9
10. დანარჩენი პროდუქცია, სულ	375600,7	39,8	511259,9	48,8

სათვის ქვეყანაში შემოღებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (სესსნ), რომელიც აგებულია საქონელთა აღწერის და კოდირების პარმონიზებული სისტემისა (HS)<sup>1</sup> და ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურის საფუძველზე. იგი რეკომენდებულია გამოსაყენებლად საქონელთა ექსპორტისა და იმპორტის დაჯგუფების პირობებში, სადაც კლა-

<sup>1</sup> Harmonisation System — საქონელთა აღწერისა და კოდირების პარმონიზებული სისტემა.

სიფიკაციის ობიექტად გვევლინება საერთაშორისო სავაჭრო მიმოქცევაში არსებული ყველა საქონელი.

საქონელთა აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის (HS) სტრუქტურა მოიცავს: 21 განყოფილებას, 96 ჯგუფს, 33 ქვეჯგუფს, 1241 პოზიციას, 3558 ქვეპოზიციას და 5019 სუბ-პოზიციას. ეს სისტემა ვრცელდება მხოლოდ იმ საქონელზე, რომლებსაც ფიზიკური განზომილებანი გააჩნიათ, თუმცა მასში ელექტროენერგიაც არის ჩართული. ამასთან, იგი არ მოიცავს მომსახურებას, მაგრამ მოიცავს განუული მომსახურების შედეგებს (მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის დისკეტები).

ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის ანალიზის დროს განისაზღვრება საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვაში ცალკეული მსხვილი სასაქონლო ჯგუფების ხვედრითი წილი. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ (ცხრ. 2.5).

ეკონომიკის საერთო დარგობრივი კლასიფიკაციების გარდა არსებობს სპეციალური დარგობრივი კლასიფიკაციები, მაგალითად, კლასიფიკაციები დარგთაშორისო ბალანსის — „დანახარჯები — გამოშვება“ (NACE-CLIO) ცხრილების შესადგენად და სხვ.

საგარეო ვაჭრობის სტრუქტურული ანალიზი გულისხმობს მისი კანონზომიერებების დადგენას, მათი ცვლილების ხასიათის გამოკვლევას, საგარეო ვაჭრობის ბრუნვის დარგთაშორისი ბალანსების აგებას და ა.შ.

**§ 2.4. სტატისტიკაში გამოყენებული უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური დაჯგუფებები და აღნიშვნების სისტემები**

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა იყენებს კონკრეტულ დანიშნულებათა დაჯგუფებებს. მაგალითად, საკუთრების ფორმების კლასიფიკატორი გამოიყენება შემდეგი ობიექტების კლასიფიკაციისა და კოდირებისათვის: მიწის, სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების, საბინაო ფონდის, წარმოების საშუალებების, მოხმარების საგნების და სხვა ქონების, ასევე სანარმოებისა და ორგანიზაციების. სანარმოებსა და ორგანიზაციებს მიაკუთვნებენ შესაბამის ორგანიზაციულ-სამართლებრივ და საკუთრების ფორმებს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება, დებულება და ა.შ.) საფუძველზე.

საკუთრების ფორმების მიხედვით დაჯგუფება იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს სანარმოთა შრომითი, მატერიალური და

ფინანსური რესურსების სექტორებად განაწილების სტრუქტურა და მათი დინამიკა.

ქვეყნის ერთიან სახელმწიფო სტატისტიკურ რეგისტრში ჩართული ორგანიზაციები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 1999 წლის 1 იანვრისათვის წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურით:

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) 1712 ერთეული.

2. კომანდიტური საზოგადოება — 145 ერთეული.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) — 17584 ერთეული.

4. სააქციო საზოგადოება — 1347 ერთეული.

5. კოოპერატივი — 761 ერთეული.

6. ინდივიდუალური სანარმო — 26117 ერთეული.

7. სახაზინო სანარმო — 1890 ერთეული.

8. ფონდი — 148 ერთეული.

9. კავშირი (ასოციაცია) — 323 ერთეული.

10. დანარჩენი — 6461 ერთეული.

ქვეყანაში ერთიან სახელმწიფო სტატისტიკურ რეგისტრში სულ ჩართული 56488 ერთეულიდან მესაკუთრეების მიხედვით ორგანიზაციები შემდეგნაირად არის განაწილებული: სახელმწიფო საკუთრების — 4596, მუნიციპალიტეტის — 672, საზოგადოებრივი გაერთიანებები — 1724, სახელმწიფო, უცხოეთის მონაწილეობით — 4, სხვა სახის — 69, კერძო პირის — 48326, საზღვარგარეთელი კერძო პირის მონაწილეობით — 705 და უცხოეთის საკუთრებაზე მოდის 392 ორგანიზაცია.

ამრიგად, ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოიყენება აღნიშვნების მრავალმხრივი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა შეკრებას, დამუშავებას და ძიებას. ძირითადი აღნიშვნების სისტემა მოიცავს: საზომის ერთეულებს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, დასახლებული პუნქტების, სახელმწიფო მართვის ორგანოებს, სანარმოთა და ორგანიზაციების, ქვეყნების ვალუტების ერთეულებს. აღნიშვნის სისტემები უზრუნველყოფენ სანარმოთა და დანესებულებათა კლასიფიკაციებს ე.წ. მრავალასპექტური პრინციპების საფუძველზე. სანარმოს სარეგისტრაციო ნომერი და საკლასიფიკაციო დახასიათების საფუძველია სანარმოს საიდენტიფიკაციო კოდი.

### *საკონტროლო კითხვები:*

1. ჩამოთვალეთ სტატისტიკაში ობიექტების კლასიფიკაციების ამოცანები (მიზნები).

2. მოიყვანეთ სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყენებული კლასიფიკატორების ნიმუშები.

3. ერთიანი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების რომელ განაყოფს მიეკუთვნებიან:

ა) საქმიანობა რეკლამის დარგში

ბ) აუდიტორული საქმიანობა

გ) ფინანსური კონსულტაციები

დ) ავტომობილების არენდით მომსახურება

ე) კომპიუტერული მომსახურება

ვ) ლითონმჭრელი ჩარხების წარმოება.

4. რომელ სექტორებს მიეკუთვნება შემდეგი საწარმოები და დაწესებულებები:

ა) მეტროპოლიტენი

ბ) სასაქონლო-სანედლეო ბირჟები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის საშუაშაველო მომსახურებას აწარმოებენ

გ) საპარკმახეროები

დ) უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, იჯარაში გადამცემი სააგენტოები

ე) თბილისის საერთაშორისო სავალუტო ბირჟა.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თბ., 1998.

2. ტ. სართანია, საერთაშორისო სტატისტიკა, თბ., 1995.

3. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის წელიწადური, 1999.

4. ნ. ასლამაზიშვილი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, თბ., 1995.

5. Экономическая статистика. Учебник (под. ред. Ю. Н. Иванова), М., Инфра, 1998, თავი 2, გვ. 31-35.

თემა 3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) როგორც  
სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის  
საფუძველი  
(მაკროეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტი)

*§ 3.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) არსი: ძირითადი  
კონცეფციები, მაჩვენებლები და განსაზღვრებანი*

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, მისი ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურების კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული დახასიათება მოითხოვს ისეთი სტატისტიკური მაკროეკონომიკური მოდელის შექმნას, რომელიც საზოგადოების საქმიანობის საბოლოო პროდუქტის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებს განიხილავს, მატერიალური და ფინანსური რესურსების ნაკადების მოძრაობისა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მიხედვით.

ჩვენს პოსტსოციალისტურ ქვეყანაში დღემდე მოქმედი სტატისტიკური პრაქტიკა, რომლის მეცნიერულ საფუძველს კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია წარმოადგენდა, მხოლოდ ცალმხრივად განიხილავდა მატერიალური წარმოების სფეროს და ამდენად, მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი (ესპ) არ იძლეოდა სრულ წარმოდგენას საზოგადოების საბოლოო პროდუქტის სიდიდეზე, მის შექმნასა და გამოყენებაზე. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, სახალხო მეურნეობის ბალანსი, რომელიც სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესისა და მისი შედეგების დახასიათებელ ეკონომიკურ-სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემას წარმოადგენდა, ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის ეკონომიკის მაკროსტატისტიკური მოდელირების მოთხოვნებს. შესაბამისად, მისი განმაზოგადებელი მაჩვენებლების გამოყენება საერთაშორისო შედარებებისთვისაც მიუღებელი იყო.

საერთაშორისო აღრიცხვისა და სტატისტიკის პრაქტიკაში (მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაში) გამოყენება პოვა საკმაოდ ოპტიმალურმა და უნივერსალურმა მეთოდმა, რომლის მეშვეობით ახასიათებენ ქვეყნის ეკონომიკის არსებითი მაჩვენებლების განგარიშებას. ეს არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომლის შექმნის აუცილებლობა, ნამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში,



1929-33 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოშვა. 1952 წელს ეროვნულ ანგარიშთა სტანდარტული სისტემის პირველი ვარიანტი დაამუშავეს; 1969 წელს გამოიცა მეორე ვარიანტი, ხოლო 1993 წლიდან მსოფლიოში სამოქმედოდ შემოვიდა ანგარიშთა სტანდარტული დეპარტამენტის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკური დირექტორატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტატისტიკური სამსახურებისა და ევროსტატის ერთობლივი ნამუშევარი (2, გვ. 242).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს საზოგადოებრივი მეურნეობის მაკროსტატისტიკურ მოდელში საბუღალტრო ბალანსის პრინციპების გამოყენება. შემაჯამებელ ეკონომიკურ-სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ბაზას საზოგადოების საბოლოო პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების რაოდენობრივი მახასიათებლების შესახებ, ფართოდ გამოიყენება დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში.

ეროვნული ანგარიშთანობის მამამთავრად თვლიან ჯ. კეინსს, რომელიც თვლიდა, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა — არის ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების (შემოსავალი, მოხმარება, დაგროვება) სისტემა, რომლის მაჩვენებლები სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისათვის საინტერესოა ეკონომიკური პოლიტიკისა და საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ღონისძიებათა შესამუშავებლად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეროვნული ანგარიშთანობის საბალანსო მეთოდის თეორიული დამუშავების პირველდამწყებნი არიან ს. კუზნეცი, რ. ფრიში, ი. ტინბერგენი და ვ. ლეონტიევი. პრაქტიკულად მისი დანერგვა და გავრცელება მოხდა ძირითადად რ. სტოუნის კონკრეტული გამოკვლევების შემდეგ, რომელსაც ეწოდა „ეროვნული ანგარიშების სისტემა“. ასევე მნიშვნელოვანია ჟ. მარშალის, პ. სტუდენსკის, ვ. კლიფის და სხვათა გამოკვლევები (2, გვ. 92-93).

იმისათვის, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკური ოპერაციებისა და სამეურნეო სუბიექტების შესახებ მონაცემებმა უფრო ეფექტიანად უზრუნველყონ მაკროეკონომიკური კანონზომიერებებისა და ურთიერთკავშირების გამოვლენა, აუცილებელია მონაცემების მოპოვება. ინფორმაციების დამუშავების წესების განსაზღვრა დაფუძნებული უნდა იყოს თეორიული ეკონომიის მახასიათებლების კონცეფციაზე. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოიყენება ეკონომიკური წარმოების

ფართო კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეკონომიკური წარმოება მოიცავს საქმიანობის შემდეგ სახეობებს:

1. საქონლის წარმოების დარგებს, მათ შორის საქონელს საკუთარი მოხმარებისათვის (მაგ. ფერმერების მიერ სასოფლო სა-მეურნეო პროდუქტების წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის);

2. კომერციული მომსახურების მწარმოებელ დარგებს;

3. საფინანსო საშუაშაველო საქმიანობას;

4. სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ არაკომერციულ მომსახურებას;

5. კერძო არაკომერციული მომსახურების მწარმოებლებს, რომლებიც ემსახურებიან საოჯახო მეურნეობას;

6. კომუნალურ, სოციალურ და სხვა სახეობის პერსონალურ მომსახურებას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეორე მნიშვნელოვან კონცეფციას განეკუთვნება შემოსავლების კონცეფცია, რომლის საფუძველზე გაიანგარიშება შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები (ეროვნული შემოსავალი, პირადი შემოსავალი, პირველადი შემოსავლები და სხვა). ინგლისელი მეცნიერის ჯ. ზიკსის მიერ შემუშავებული „შემოსავლის“ კონცეფციების შესაბამისად, შემოსავალი არის ფულადი სახსრების მაქსიმალური სიდიდე, რომელიც შესაძლოა დახარჯოთ სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, მაგრამ, იმავდროულად არ შეამციროს თქვენ მიერ დაგროვილი სიმდიდრე და არ აიღოს არავითარი ფინანსური ვალდებულებები, ე.ი. არ უნდა გალარიბდეთ.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების კონცეფციის გამოყენება ასევე მოიცავს შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების პროცესს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემდეგი კონცეფცია განსაზღვრავს წარმოების სხვადასხვა ფაქტორის როლს ღირებულების შექმნაში. მარქსისტული თეორიისაგან განსხვავებით, ეს კონცეფცია განიხილავს ღირებულების შექმნაში შრომის ფაქტორთან ერთად მიწისა და კაპიტალის ფაქტორების მონაწილეობის პროცესს. მაჩვენებელი „ფაქტიური შემოსავალი“ შეცვლილია ცნებით — „პირველადი შემოსავალი“. ზოგიერთ ქვეყანაში მაჩვენებელთა შეფასებას აწარმოებენ ფაქტიური ღირებულებით. მაგალითად, აშშ-ში ეროვნული შემოსავლის შეფასებისას უკანასკნელ პერიოდამდე ფაქტიური ღირებულების მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა წარმოად-

გენს გარკვეულ გადახრას ეროვნული ანგარიშიანობის სისტემის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან, რამეთუ საერთაშორისო სტანდარტების რეკომენდაციით, ამ სისტემით ყველა მაჩვენებელი უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებით.

1993 წლიდან მოყოლებული, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელოვან თავისებურებას შეადგენს მრავალრიცხოვანი სამეურნეო სუბიექტების ხუთ ინსტიტუციურ სექტორად დაჯგუფება:

1. არაფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები;
2. ფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები;
3. სახელმწიფოებრივი მართვის დანესებულებები;
4. საოჯახო მეურნეობები;
5. არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან საოჯახო მეურნეობას.

ამრიგად, ყველა სამეურნეო სუბიექტი, ეკონომიკურ პროცესებში განხორციელებადი, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება ერთ-ერთ ზემოთ აღნიშნულ სექტორს. ყველა სექტორისათვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყოფილია სტანდარტული ანგარიშების ნაერთი, სადაც აღრიცხავენ წარმოებასთან, შემოსავლების ფორმირებასთან, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებასთან, დაზოგვასა და დაგროვებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ოპერაციებს.


ქვეყნის მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა ფორმირებასა და სისტემატიზაციას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრინციპები და მიდგომები:

1. მთელი ეკონომიკის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა;
2. ეკონომიკის სექტორებად დაყოფა (ინსტიტუციური ერთეულების საქმიანობის ხასიათი და ფინანსური როლი) (იხ. ნახ. 3-1).

3. ანგარიშებზე ორმაგი ჩანერა (რომელიც გულისხმობს თითოეული ეკონომიკური ოპერაციის ორ ანგარიშში ერთდროულად გატარებას ერთნაირი აბსოლუტური თანხის მოცულობით).

4. შიდა და ეროვნული ეკონომიკის გამიჯვნა;

5. ყველა სახის შემოსავლებისა და ხარჯების დაყოფა მიმდინარედ და კაპიტალურად (რაც მათი ფორმირების წყაროებისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ზუსტი კლასიფიკაციის საშუალებას იძლევა).



ნახ. 3.1. ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონალური სტრუქტურა

**§ 3.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურული მახასიათებლები**

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ზოგადი სტრუქტურა მოიცავს:

- ეროვნული ეკონომიკის ანგარიშებს;
- საქონლისა და მომსახურების ანგარიშებს;
- წარმოების ანგარიშს;
- შემოსავლების ფორმირების ანგარიშს;
- შემოსავლების გამოყენების ანგარიშს;
- კაპიტალის ანგარიშს;

— ფინანსურ ანგარიშებს;

— საზღვარგარეთის სექტორის ანგარიშებს.

ეკონომიკური საქმიანობის პროცესის მონაწილეთა შორის ურთიერთობა წარმოშობს ეკონომიკურ ოპერაციებს, რომლებიც შემდეგ სამ ჯგუფად იყოფა:

1. საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციები;

2. გამანაწილებელი ოპერაციები;

3. ფინანსური ოპერაციები.

გაერო-ს სტანდარტული ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ემყარება შემდეგ პრინციპულ სტრუქტურას:

ა. შემაჯამებელი ანგარიშები:

1. მთლიანი ეროვნული პროდუქტი და მისი გამოყენება;

2. ეროვნული შემოსავალი და მისი განაწილება;

3. ინვესტიციების (კაპიტალური დანახარჯების) დაფინანსება.

4. საგარეო ოპერაციები.

ბ. წარმოების, მოხმარებისა და კაპიტალწარმოქმნის ანგარიშები:

1. სასაქონლო პროდუქციის ანგარიშები;

2. არასასაქონლო პროდუქციისა და არარეალიზებული მომსახურების ანგარიშები;

3. საქონლის მწარმოებელი დარგების ანგარიშები;

4. სახელმწიფო დანესებულებათა მომსახურება;

5. კერძო არაკომერციულ ორგანიზაციათა მომსახურება.

გ. შემოსავლებისა და გასავლის ანგარიშები და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების ანგარიშები:

1. არასაფინანსო კორპორაციული და მისი მსგავსი საწარმოები;

2. საფინანსო დანესებულებები;

3. სახელმწიფო დანესებულებები;

4. კერძო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან საოჯახო მეურნეობას;

5. საოჯახო მეურნეობები, კერძო არასაფინანსო არაკომერციული საწარმოების ჩათვლით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ანგარიშებს გააჩნიათ ორი მხარე: რესურსები და გამოყენება (და არა დებეტი და კრედიტი, როგორც ეს მიღებულია ბუღალტრულ აღრიცხვაში). ამასთანავე, თითოეულ ანგარიშზე ორმაგი ჩანერის პრინციპის გამოყენება გულისხმობს, რომ „რესურსების“ ანგარიშზე ჩანერილი თან-

ბა უდრის „გამოყენების“ ანგარიშზე აღნიშნულ თანხას..

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ანგარიშები წარმოდგენილია გარკვეულ ჯგუფებად:

- ეკონომიკური სექტორის ანგარიშები,
- ეკონომიკის ცალკეული დარგების ანგარიშები,
- ცალკეული ეკონომიკური ოპერაციების ანგარიშები,
- ერთიანი ეკონომიკის (კონსოლიდირებული) ანგარიშები.

ეკონომიკური სექტორის ანგარიშები, თავის მხრივ, დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად: 1) მიმდინარე ანგარიშები. 2) დაგროვების ანგარიშები და 3) აქტივებისა და პასივების ბალანსი.

ქვემოთ განვიხილოთ ეკონომიკური სექტორის მიმდინარე ანგარიშების სტრუქტურა.

1. მიმდინარე ანგარიშების მახასიათებლებია:

- წარმოების ანგარიში,
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში,
- შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში,
- ფულადი ფორმით შემოსავლების გადანაწილების (ტრანსფერტების) ანგარიში,
- პირადი (ხელთ არსებული) შემოსავლის ფულადი ფორმით გამოყენების ანგარიში,
- ნატურალური ფორმით შემოსავლების გადანაწილების ანგარიში,
- კორექტირებული პირადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში.

წარმოების ანგარიში გამოიყენება წარმოების შედეგების აღწერისა და ანალიზის საწარმოებლად. გამოშვებული პროდუქცია (წარმოების მოცულობა), რომელიც ჩაინერება წარმოების ანგარიშის მარჯვენა მხარეში (იხ. ნახ. 3.2, „წარმოების ანგარიში“-ს სქემა), არის საწყისი ეტაპი წარმოების შედეგების გაზომვის პროცესში.

გამოყენება	რესურსები
2. შუალედური მოხმარება 3. მთლიანი დამატებული ღირებულება	1. გამოშვება
სულ გამოყენება	სულ რესურსები

ნახ. 3.2. წარმოების ანგარიშის სქემა

1) გამოშვება ეს არის ყველა წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომლის გაანგარიშებისას არ გამოირიცხება წარმოების ფაქტორთა ხარჯები (წარმოების პროცესში დახარჯული საქონლისა (მასალების) და მომსახურების ღირებულება), აქედან გამომდინარე, გამოშვება შეიცავს ღირებულების ორმაგ (მეორად) ანგარიშს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში არსებობს მნიშვნელოვანი მოთხოვნა (ნესი), რომლის თანახმადაც, გამოშვება უნდა შეფასდეს პროდუქციის წარმოების მომენტში მოქმედ ფასებში და არა პროდუქციის რეალიზაციის მომენტში არსებული ფასებით.

2) შუალედური მოხმარება, რომელიც ჩაინერება წარმოების ანგარიშის მარცხენა მხარეს (იხ. ნახ. 3.2. წარმოების ანგარიშის სქემა), ეს არის იმ საქონლის და მომსახურების ღირებულება (ნედლეული, მასალები, სანვაივი, ენერჯია, იჯარის გადასახადი, სატრანსპორტო, სარეკლამო მომსახურება და ა.შ.), რომელიც დახარჯულია წარმოების პროცესში. შუალედურ მომსახურებას არ მიეკუთვნება ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ძირითადი საშუალებების ცვეთა). შუალედური მოხმარების საქონელთა ღირებულება განისაზღვრება საბოლოო მოხმარების ფასებით, რომელიც მოიცავს ყველა სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვებს და გადასახადებს. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) დანახარჯებში არ ჩაირთვება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის რეალიზაციის პირობებში დღგ-ს დარიცხვისას სარგებლობს შესაბამისი ჩათვლის უფლებით საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

3) მთლიანი დამატებული ღირებულება არის ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. იგი გვევლინება წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელ მუხლად და გაიანგარიშება როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედური მოხმარების ხარჯებს შორის. იგი მოიცავს მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ხარჯებს (ამორტიზაციის სიდიდეს). ფართო მასშტაბით ეკონომიკის ყველა სექტორის ან დარგის მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამი არის ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტი.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სტრუქტურა განხილულია ნახ. 3.3.-ში, რომლის ძირითადი ელემენტები მოცემულია ანგარიშის მარცხენა მხარეში. შემოსავლების „გამოყენება“ მოიცავს: შრომის ანაზღაურებას (2), რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან: შრომის ანაზღაურება და სოციალური დაზღვევის ანარიცხები; დანარჩენ გადასახადებს წარმოებაზე (გადასახადები ცალკეული წარმოების ფაქტორებზე — (3); ძირითადი კა-

პიტალის მოხმარებას (ცვეთის თანხა აღდგენითი ღირებულების მეთოდით შეფასებულ ძირითად კაპიტალზე — (4); მოგებას ან შერეულ შემოსავალს (5).

გამოყენება	რესურსები
2. შრომის ანაზღაურება 3 დანარჩენი გადასახადები წარმოებაზე 4. ძირითადი კაპიტალის მოხმარება 5. მოგება / შერეული შემოსავალი (1-2-3-4)	1. მთლიანი დამატებული
სულ გამოყენება	რესურსების ჯამი

ნახ. 3.3. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სქემა

დაგროვების ანგარიშების მახასიათებლებია:

- კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ანგარიში,
- საფინანსო ანგარიში,
- აქტივებისა და პასივების ექსტრაორდინალურ ცვლილება-თა ანგარიში.

კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ანგარიშის სქემა მოცემულია ნახ. 3.4.-ში.

გამოყენება	რესურსები
4. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგ- როვება 5. მატერიალური საბრუნავი საშუალე- ბების მარაგების მატება 6. ფასეულობათა წმინდა შესყიდვები 7. შინებისა და დანარჩენი არანარმოე- ბული აქტივებისა შესყიდვა 8. წმინდა დაკრედიტება ან წმინდა ნა- სესხობა (1+2-3-4-5-6-7)	1. დაზოგვა 2. კაპიტალური ტრანსფერტები (მიღებული (+)) 3. კაპიტალური ტრანს- ფერები (გადახდილი (-))
სულ გამოყენება	რესურსების ჯამი

ნახ. 3.4. კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების სქემა



კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ანგარიშის და-  
ნიშნულებაა ასახოს კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების  
წყაროები და მათი გამოყენება სხვადასხვა სახეობის კაპიტალუ-  
რი ხარჯების სანარმოებლად. კერძოდ, რესურსების სტრუქტურ-  
აში მნიშვნელოვანია დაზოგვა (1), სხვა დაფინანსების წყაროდ  
გვევლინება კაპიტალური ტრანსფერტები (2), ე.ი. ერთდროული  
გადანაწილებითი გადასახადები. მაგალითად, სახელმწიფო ბიუ-  
ჯეტიდან უსასყიდლოდ სანარმოთა კაპიტალურ დაბანდებათა  
დაფინანსება, პრივატიზაციის პროცესში კაპიტალის გადაცემა,  
წინა წლების დავალიანებათა პატიება და სხვ.

კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ანგარიშის „გამო-  
ყენება“ მოიცავს:

— ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას (4), რომელიც  
შედგება აგებული ნაგებობებისა და მონყობილობების ლირებუ-  
ლებისაგან, ასევე შექმნილი მანქანების, დანადგარების, სატრან-  
სპორტო საშუალებებისა და სხვა სახის ძირითადი ფონდებისა-  
გან.

— მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების მატე-  
ბას (5), ეს არის ნედლეულის, მასალების, საწვავის, ინსტრუმენ-  
ტების, დაუსრულებელი ნარმოების, არარეალიზებული მზა პრო-  
დუქციის მარაგების და ა.შ. ლირებულების მატების სიდიდეთა ჯა-  
მი.

— ფასეულობათა წმინდა შესყიდვები (6), რომელიც გულისხ-  
მობს შესყიდვებს (გაყიდვების გამოკლებით) ისეთი ძვირფასი  
საგნებისა (საიუველირო ნაწარმი, ხელოვნების შედევრები, ოქ-  
რო და სხვა ძვირფასი მეტალი), რომლებიც ხანგრძლივი პერიო-  
დის განმავლობაში ინარჩუნებენ თავიანთ ლირებულებას.

— მიწების შესყიდვას და სხვა არანარმოებული აქტივების  
(არამატერიალური არანარმოებული აქტივების: პატენტები, ლი-  
ცენზიები, საავტორო უფლებანი და ა.შ.) შესყიდვას (7).

— წმინდა დაკრედიტება ან წმინდა ნასესხობა (8), რომელიც  
გვევლინება ანგარიშის დამბალანსებელ მუხლად და უჩვენებს  
იმ ფინანსური რესურსების მოცულობებს, რომელსაც ეკონომი-  
კის ერთი სექტორი გადასცემს მეორე სექტორს დაბრუნებითი  
(არაუსასყიდლო) ფორმით კაპიტალური დანახარჯების დაფინან-  
სების მიზნით.

აქვე განვიხილოთ დაგროვების ანგარიშების ჯგუფის ფინან-  
სური ანგარიშების სტრუქტურა, რომელიც ნაჩვენებია ნახ.  
3.5.-ზე.

გამოყენება	რესურსები
<p>8. მონეტური ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები</p> <p>9. დეპოზიტები და ნალდი ფული</p> <p>10. ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა)</p> <p>11. აქციები და სხვა სააქციონერო კაპიტალი</p> <p>12. სესხები და კრედიტი</p> <p>13. დაზღვევის ტექნიკური რეზერვები</p> <p>14. დანარჩენი საკრედიტორო ან დებიტორული დავალიანებები (სხვა გასანაღდებელი ანგარიშები)</p>	<p>1. წმინდა დაკრედიტება (წმინდა ნასესხობა)</p> <p>2. დეპოზიტები და ნალდი ფული</p> <p>3. ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა)</p> <p>4. აქციები</p> <p>5. სესხები და კრედიტები</p> <p>6. სადაზღვევო კომპანიების ტექნიკური რეზერვები</p> <p>7. დანარჩენი საკრედიტორო ან დებიტორული დავალიანებები</p>
სულ გამოყენება	რესურსების ჯამი

### ნახ. 3.5. ფინანსების ანგარიშის სქემა

ფინანსების ანგარიშის მარცხენა მხარეში ასახულია ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შექმნასთან, ხოლო მარჯვენა მხარეში რეგისტრირებულია ფინანსური ვალდებულების მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

დაგროვების ანგარიშების ჯგუფშია წარმოდგენილი „აქტივებისა და პასივების დანარჩენი ცვლილებების ანგარიში“, გამოიყენება ექსტრაორდინალური ხასიათის (კატასტროფები, ომები, ხანძრები და ა.შ.) მიზეზებით გამოწვეული აქტივებისა და პასივების ღირებულების ცვლილებათა დასახასიათებლად.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ეკონომიკური სექტორის ანგარიშების მესამე ჯგუფი წარმოდგენილია აქტივებისა და პასივების ბალანსით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

აქტივებისა და პასივების ბალანსის დახასიათება. აქტივებისა და პასივების ბალანსის სქემის (იხ. ნახ. 3.6.) ანალიზი მიუთითებს, რომ ბალანსი, რომელსაც ადგენენ საწყისი და საბოლოო პერიოდისათვის, ახასიათებს არსებული რესურსების (აქტივების), საფინანსო ვალდებულებების სიდიდესა და სტრუქტურას, ასევე წმინდა საკუთარი კაპიტალის ღირებულებას (4).

აქტივები	პასივები
1. არაფინანსური აქტივები 2. ფინანსური აქტივები	3. ფინანსური ვალდებულებები 4. საკუთარი წმინდა კაპიტალის ღირებულება (1+2-3)
სულ	სულ

ნახ. 3.6. სანყისი პერიოდის აქტივებისა და პასივების ბალანსური სქემა

საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულება ამ ანგარიშის დამბალანსებელ მუხლს შეადგენს. თუ ეკონომიკის ყველა სექტორის საკუთარი კაპიტალის ღირებულებას შევაჯამებთ, მაშინ მიიღება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აგრეგატული მაჩვენებელი, რომელიც ეროვნულ სიმდიდრედ იწოდება.

ამრიგად, აქტივებისა და პასივების ბალანსის შედგენით წლის ბოლოსათვის და დასაწყისისათვის შესაძლებელია გამოვავლინოთ ეროვნული სიმდიდრის გადიდება (შემცირება), ასევე მათი სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც მიუთითებენ მთლიანი აქტივების მოცულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების ხვედრითი წონების ცვლილებების შესახებ.

ეკონომიკის ცალკეული დარგების ანგარიშები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკონომიკური სექტორების ანგარიშების შემდეგ გამოყოფილია ეკონომიკის ცალკეული დარგების ანგარიშები, რომელთა შედგენის სქემა იმის ანალოგიურია, რომელიც ზემოთ განხილული ეკონომიკური სექტორის ანგარიშებისათვის იქნა გამოყენებული.

ცალკეული დარგისათვის მხოლოდ ორ ანგარიშს ანარმოებენ, კერძოდ: 1) წარმოების ანგარიშსა და 2) შემოსავლების ფორმირების ანგარიშს.

ცალკეული ეკონომიკური ოპერაციების ანგარიშები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ოპერაციების აღსარიცხავად გათვალისწინებულია ისეთი ანგარიშების წარმოება, როგორიცაა: ა) საქონლისა და მომსახურების ანგარიში და ბ) დანარჩენი სამყაროს სექტორის ანგარიში. ქვემოთ განვიხილოთ ამ ჯგუფის ანგარიშები. ქვემოთ მოყ-

ვანილი „საქონლის და მომსახურების“ ანგარიშის (იხ. ნახ. 3.7.) მარცხენა ნაწილში მოცემულია ყველა საქონლისა და მომსახურების რესურსები, ხოლო მარჯვენა ნაწილში განხილულია სხვადასხვა მიზნისათვის რესურსების გამოყენების მაჩვენებლები.

რესურსები	გამოყენება
1. გამოშვება 2. იმპორტი 3. პროდუქტზე წმინდა გადასახადები	4. შუალედური მოხმარება 5. საბოლოო მოხმარება 6. მთლიანი დაგროვება 7. ექსპორტი
სულ რესურსები	სულ გამოყენება

ნახ. 3.7. საქონლისა და მომსახურების ანგარიშის სქემა

საქონლისა და მომსახურების ანგარიშების მაჩვენებლები უზრუნველყოფენ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გაანგარიშებას ორივე მეთოდის მეშვეობით, კერძოდ: ა) საბოლოო გამოყენებისა და ბ) საწარმოო მეთოდის საფუძველზე.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება საბოლოო გამოყენების მეთოდის საფუძველზე გულისხმობს საბოლოო მოხმარების, მთლიანი დაგროვებისა და ექსპორტის თანხების ჯამიდან იმპორტის თანხების გამოკლებას, ე.ი. საბოლოო გამოყენების ყველა მუხლის ჯამსა და იმპორტს შორის სხვაობის განსაზღვრას.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება საწარმოო მეთოდის საფუძველზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით ხორციელდება: „გამოშვება მინუს შუალედური მოხმარება, პლუს პროდუქტზე წმინდა გადასახადები“. ამასთან, მხედველობაშია მიღებული, რომ პროდუქციის გამოშვება ძირითად ფასებშია შეფასებული (და არა მენარმის ფასებით). მაგრამ თუ პროდუქციის გამოშვება შეფასებულია მენარმის ფასებით, მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება შემდეგი სქემით:

გამოშვება მინუს შუალედური მოხმარება, პლუს დღგ, პლუს გადასახადები იმპორტზე, მინუს სუბსიდიები იმპორტზე (მენარმის ფასებით).

*§ 3.3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენება  
მაკროეკონომიკურ ანალიზსა და განვითარების  
პროგნოზირებაში*

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემების საფუძველზე წარმართება ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება -- ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური კონიუნქტურული მერყეობების მაჩვენებელთა შესწავლა, სხვა მაკროეკონომიკური საქმიანობის შედეგების ანალიზი, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური პროგნოზირებისათვის. ცნობილია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებლად ითვლება ეროვნული ერთობლივი პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, ინვესტიციების გამოყენების მაღალი ზრდის ტემპი და ა.შ., რადგანაც ეს განაპირობებს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გადიდებასა და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას.

სტატისტიკაში ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად აღიარებულია ზრდის საშუალო ტემპი, რომელსაც, გარდა შესწავლილი პროცესის დინამიკის ზოგადი დახასიათებისა, იყენებენ ასევე ეკონომიკურ მაჩვენებელთა დონეების პროგნოზირებისათვის. ზრდის საშუალო ტემპის გამოთვლა გეომეტრიული პროგრესიის საყოველთაოდ გავრცელებული ფორმულებით დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ეროვნულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ზრდის ტემპის გამოსაანგარიშებლად შემოთავაზებულია ფორმულა, როცა ცნობილია დინამიკის მწკრივის დონეთა რიცხვითი მნიშვნელობები ( $y_1$  და  $y_n$  — მწკრივის პირველი და ბოლო დონეები)(4, გვ. 110-111)).

$$T_{\text{ზრდის საშუალო ტემპი}} = \frac{\sum_{i=1}^n y - y_1}{\sum_{i=1}^n y - y_n} \quad (3.1)$$

გაზომვები მაკროეკონომიკაში, რომელიც იწარმოება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა საფუძველზე, როგორც ამერიკელი სწავლული მეცნიერები მიუთითებენ, საშუალებას იძლევიან ერთი შეხედვით მოვიცვათ ეკონომიკური საქმიანობა და ურთიერთკავშირები წარმოებას, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ცხადია, ეროვნულ ანგარიშებს არ შეუძლიათ აგვიხსნან, თუ ეროვნული ერთობლივი პროდუქტი (ეეპ) მოცემულ მომენტში რატომ იმყოფება რომელიღაც განსაზღვრულ დონეზე. მაგრამ

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესწავლა წარმოადგენს ფაქტორთა ანალიზის შესავალს, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის გამოშვებას, შემოსავლებისა და დასაქმების დონეს (5, გვ. 96-97).

ერთდროული ანგარიშების სისტემის მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური ანალიზის სხვა მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა, ასევე მისი ცვლილებების ანალიზი ამა თუ იმ პერიოდისათვის.

ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემების ანალიზი, კერძოდ, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის გამოყენების სტრუქტურის შესწავლა, საბოლოო მოხმარების, მთლიანი დაგროვებისა და წმინდა ექსპორტის ასპექტში.

შემოსავლების განაწილების პროცესი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შეისწავლება მთელი რიგი მაჩვენებლების (პირველადი შემოსავლები, ტრანსფერტები და ა.შ.) გამოყენებით, რომლებიც ასახვას პოულობენ შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების ანგარიშში. ამასთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს იწვევენ მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ სახელმწიფოს როლს შემოსავლების გადანაწილების პროცესში.

სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გვევლინება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მასშტაბი, რომელიც განისაზღვრება დეფიციტის სიდიდის შეფარდებით ერთობლივ ეროვნული პროდუქციის სიდიდესთან. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ევროპის საბჭოს შემადგენლობაში მყოფი ქვეყნებისათვის დაწესებულია დეფიციტის ზღვრული ოდენობა (3 პროცენტამდე), რომლის დაცვაც ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს გახდნენ სავალუტო კავშირის სრულუფლებიანი წევრები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემების საფუძველზე ასევე ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვან მიმართულებად გვევლინება ბიზნესმენებზე, მეწარმეების ძირითად ჯგუფებზე გადასახადების დაწესებისა და გადახდევინების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა, რათა განისაზღვროს გადასახადების სიდიდე და მისი ხვედრითი წონა ერთობლივ ეროვნული პროდუქტის მიმართებაში, რომელსაც იხდიან საქონლისა და მომსახურების მწარმოებლები.

რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) დინამიკის ანალიზი ზუსტად უჩვენებს ცვლილებებს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რამდენადაც რეალური ეეპ პროდუქცი-

ის გამოშვების მაჩვენებელია ინფლაციის გათვალისწინებით. ინფლაციის გასაზომად ფართოდ გამოიყენება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დეფლიატორის ტემპი (ინფლაციის ნორმა), ანუ მაჩვენებლების ნომინალური ეკპ-ის შეფარდება რეალური ეკპ-ისადმი გამოხატულს ინდექსის სახით.

როგორც ცნობილია, ინფლაციური პროცესის ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება ფულის გაუფასურება, ანუ ფულის მასის გადიდება ბაზარზე საქონლისა და მომსახურების იმავე მოცულობის დონის შენარჩუნების პირობებში. ფულის მასის დასადგენად საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გამოიყენება ე.წ. «ფულადი აგრეგატები». მაგალითად, აშშ-ში და რუსეთში იყენებენ ისეთ ფულად აგრეგატებს, რომელთა შორის აუცილებელია ნონასნორობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ფულის მიმოქცევის დარღვევას (უფრო დანვრილებით იხილეთ ნაშრომი: გ. ცაავა, ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი, თბ., 1999, გვ. 67-71). ქვეყნის ფულადი სისტემის ანალიზის წარმოებისას აუცილებელია არა მარტო სისტემის სტრუქტურის, არამედ ფულადი სახსრების მოძრაობისა და გადაადგილების შესწავლა, ეროვნული პროდუქტის წრებრუნვის ღირებულებაში ფულის მოძრაობის სიჩქარის როლის დადგენა.

მაკროეკონომიკურ ანალიზში მნიშვნელოვანია შრომის ნაყოფიერების შესწავლა და მისი დინამიკის გავლენა ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე. სტატისტიკაში ცნობილია ნაყოფიერების ორი განზოგადებული მაჩვენებელი:

- 1) შრომის (ნაყოფიერების) მაჩვენებელი და
- 2) ნაყოფიერების საერთო (ფაქტორული) მაჩვენებელი.

შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი წარმოადგენს გამოშვებული პროდუქციის ღირებულების შეფარდებას ცოცხალი შრომის დანახარჯებთან. როგორც მრავალი ქვეყნის პრაქტიკა მოწმობს, სტატისტიკური ორგანოები ძირითადად შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელთა გამოქვეყნებით იზღუდებიან.

ნაყოფიერების საერთო (ფაქტორული) მაჩვენებელი ახასიათებს პროდუქციის ღირებულების შეფარდებას შრომისა და კაპიტალის ერთობლივ დანახარჯებთან.

ამრიგად, მაკროეკონომიკურ ანალიზში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენება უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების, მათი მდგომარეობისა და განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ მაჩვენებელთა ფორმირებას, საზოგადოებრივი საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვასა და მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას.

### *საკონტროლო კითხვები:*

1. ჩამოთვალეთ ეროვნული ანგარიშების სისტემის ძირითადი აგრეგატები (მაჩვენებლები) და დაახასიათეთ მათ შორის ურთიერთკავშირი.

2. რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ) და ერთობლივი ეროვნული შემოსავალი?

3. დაასახელეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა შეფასების ძირითადი პრინციპები და მიდგომები.

4. რას ნიშნავს საერთო დამატებული ღირებულება?

5. აღწერეთ სამეურნეო სუბიექტები ეკონომიკის სექტორებისა და დარგების მიხედვით.

6. განსაზღვრეთ რა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას?

### *ლიტერატურა:*

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. გაეროს 1993 წლის გამოცემა.

2. ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თბ., 1998.

3. ნ. ასლამაზიშვილი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა (სასწავლო-მეთოდური მასალები), თბ., 1995.

4. ტ. სართანია, საერთაშორისო სტატისტიკა, თბ., 1995.

5. ს. ფიშერი, რ. დორბეში, რ. შმილენზი, ეკონომიკა, ტ. III (თარგმნილი პროფ. კ. ლურნკაიას საერთო რედაქციით), თბ., 1998.

6. Хикс Дж. Стоимость и капитал, М., Прогрес, 1993.



**თავი II. სოციალურ-დემოგრაფიულ მაჩვენებელთა სისტემა, შრომის ბაზრის, ანაზღაურებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სტატისტიკა**

**თემა 4. სოციალურ-დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა**

**§ 4.1. მოსახლეობა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი და ობიექტი. ინფორმაციები მოსახლეობაზე**

მოსახლეობის სტატისტიკა, როგორც სტატისტიკური მეცნიერების უძველესი დარგი, შეისწავლის მოსახლეობისა და მისი განვითარების კანონზომიერებებს საზოგადოების განვითარების კონკრეტულ პირობებში.

მოსახლეობის, როგორც რთული ერთობლიობის შესწავლა, შეუძლებელია მისი სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფების გარეშე. მოსახლეობის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლებიდან გამოყოფენ დემოგრაფიული პროცესებისა და სიტუაციების შეფასებისა (რომელიც შექმნილია კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ დროსა და სივრცეში) და მათი მომავალში განვითარების (პროგნოზირებას) შემდეგ მახასიათებლებს.

დემოგრაფიული სიტუაციების მახასიათებლებია:

1. მოსახლეობის კვლავნარმოების მაჩვენებლები.

2. მოსახლეობის შემადგენლობის (სტრუქტურის) მაჩვენებლები.

3. მოსახლეობის განსახლებისა და მიგრაციის მაჩვენებლები.

მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროებად გვევლინება მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა და მოსახლეობის აღწერა. აღწერისა და მიმდინარე აღრიცხვის შედეგების საფუძველზე გაიანგარიშება მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ყოველწლიური ზოგადი მაჩვენებლებისა (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების და სხვა კოეფიციენტების) და ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშებისას. მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობას განსაზღვრავენ როგორც წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის არსებული მოსახლეობის რაოდენობათა ნახევარჯამს.

ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობას განსაზღვრავენ მოსახლეობის საყოველთაო აღწერით, რომელიც შრომატევად და ძვირადღირებულ ოპერაციას შეადგენს. ამიტომ მას გარკვეული

ინტერვალებით ანარმოებენ. მაგალითად, ყოფილ სსრკ-ში მოსახლეობის საყოველთაო აღწერები ჩატარდა 1926, 1939, 1959: 1970, 1979 და 1989 წლებში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ შუალედური მონაცემების მოსაპოვებლად იყენებენ შერჩევით გამოკვლევებს (მოსახლეობის მიკროაღწერებს), რომელმაც უნდა მოიცვას მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის არანაკლებ 5 პროცენტისა. მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენას შერჩევითი მეთოდის გამოყენებით ანარმოებენ საქართველოშიც.

ცალკეული კონკრეტული კვლევების პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის შესახებ სხვადასხვა მაჩვენებლების მიღება და სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ, როდესაც მოსახლეობის სტატისტიკურ აღწერას ანარმოებენ, გამოყოფენ მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის შემდეგ ძირითად ამოცანებს:

1. მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისი ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით განლაგების განსაზღვრა.

2. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის (შემადგენლობის) სხვადასხვა ნიშნებით შესწავლა:

ა) დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა),

ბ) ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური ენა),

გ) განათლების პროფესიული საქმიანობისა და სხვა.

3 მოსახლეობის მიგრაციის შესწავლას.

4. მოსახლეობის სოციალური მახასიათებლების განსაზღვრას.

ამრიგად, მოსახლეობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების ძირითადი მიზანია ქვეყნის კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ დროში ფორმირებული დემოგრაფიული სიტუაციის, მისი განვითარების შესწავლა.

#### ***§ 4.2. მოსახლეობის რიცხოვნობის, გადაადგილებისა და შემადგენლობის შესწავლა***

საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების კანონზომიერების შესწავლისა და მართვის პროცესში მოსახლეობის რიცხოვნობა მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მოსახლეობის აღწერისას განასხვავებენ მოსახლეობის მაჩვენებელთა შემდეგ კატეგორიებს: მუდმივი, სახეზე მყოფი, დროებით მცხოვრები და დროებით ნასული მოსახლეობა.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს მოსახლეობის აღწერა შეადგენს. მოსახლეობის რიცხოვნობა განისაზღვრება კრიტიკული მომენტისათვის. კრიტიკულ მომენტს სტატისტიკის პრაქტიკაში სპეციალურად შერჩეულ მომენტს უწოდებენ, რომლის მიხედვითაც ხდება სააღწერო პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის აღწერის პროგრამით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვება. ასე, მაგალითად, 1979 წლის მოსახლეობის სრულიად საკაეშირო აღწერისას კრიტიკული მომენტი იყო 16-17 იანვრის ღამის 12 საათი, ხოლო 1989 წლის აღწერისას 12-13 იანვრის ღამით 12 საათი.

აღწერებს შორის პერიოდებში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით: წლის დასაწყისში მოსახლეობის რიცხოვნობა + წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი - წლის განმავლობაში ჩამოსულთა რიცხვი - წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვი - წასულთა რიცხვი = წლის ბოლოსათვის მოსახლეობის რიცხოვნობას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 4.1) ნაჩვენებია ქვეყანაში სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და მათი ტერიტორიული (ქალაქისა და სოფლის) განსახლების მიხედვით.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1926-1995 წლებში

*ცხრილი 4.1.*

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასი კაცი			პროცენტებში მთელ მოსახლეობასთან		პროცენტებში მთელ მოსახლეობასთან	
	სულ	მათ შორის		ვაჟი	ქალი	ქალაქის	სოფლის
		ვაჟი	ქალი				
1	2	3	4	5	6	7	8
1926	2677	1352	1325	50,5	49,5	22,2	77,8
1939	3540	1765	1775	49,9	50,1	30,1	69,9
1940	3612	1802	1810	49,9	50,1	30,6	69,4
1950	3494	1744	1750	49,9	50,1	35,5	64,5
1959	4044	1865	2179	46,1	53,9	42,4	57,6
1970	4686	2202	2484	47,0	53,0	47,8	52,2
1979	5015	2355	2660	47,0	53,0	51,9	48,1
1980	5053	2375	2678	47,0	53,0	52,1	47,9
1989	5443	2581	2862	47,4	52,6	55,8	44,2
1990	5456	2590	2866	47,5	52,5	56,1	43,9

1	2	3	4	5	6	7	8
1991	5464	2596	2868	47,5	52,5	56,2	43,8
1992	5463	2597	2866	47,5	52,5	56,2	43,8
1993	5447	2587	2860	47,5	52,5	56,0	44,0
1994	5429	2579	2850	47,5	52,5	55,7	44,3
1995	5407					56,0	44,0

როგორც ცხრილი 4.1. ანალიზი მოწმობს, მოსახლეობის ზრდის ტენდენცია 1992 წლამდე გრძელდებოდა, ხოლო შემდეგ – მისი შემცირება, რაც ქვეყანაში მიმდინარე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით აიხსნება. ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდის ტენდენციას. ამასთანავე, სქესის მიხედვით მოსახლეობის დინამიკა გარკვეული სტაბილურობით ხასიათდებოდა.

მოსახლეობის სტატისტიკაში ანგარიშობენ მოსახლეობის რიცხოვნობას ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით. ამასთან, იანგარიშება მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელიც, რომელიც მიიღება მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რიცხოვნობის მოცემული ტერიტორიის ფართობთან შეფარდებით. ეს მაჩვენებელი საქართველოს ცალკეული რაიონების მიხედვით მნიშვნელოვანი ვარიაციით ხასიათდება.

მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების დაჯგუფებას, როგორც უკვე აღინიშნა, აწარმოებენ სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ეროვნებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მოსახლეობის დაჯგუფებას ან დაყოფას სქესის მიხედვით აწარმოებენ მასში ვაჟებისა და ქალების ხვედრითი წილის განსაზღვრისათვის (იხ. ცხ. 4.1). ამასთანავე, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში სქესის მიხედვით დაჯგუფებას კომბინირებული (სხვადასხვა ჯგუფების ნიშნის, როგორცაა წლოვანება, სოციალური მდგომარეობა, განათლება და სხვა) მახასიათებლებითაც აწარმოებენ.

მოსახლეობის მნიშვნელოვან მახასიათებელს შეადგენს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაყოფა. მრავალი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტის მიზნით მნიშვნელოვანია მოსახლეობის დაყოფა შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: სკოლამდელი ასაკის, სკოლის ასაკის; შრომისუნარიანი მოსახლეობა (ვაჟები 16-65 წლამდე, ხოლო ქალები 16-60 წლამდე), არჩევნებში მონაწილეობის ასაკის მქონე მოსახლეობა და ა.შ.

ქვემოთ მოყვანილი გვაქვს 1990 წელს მსოფლიოს კონტინენტებსა და საქართველოში (იხ. ცხრ. 4.2) მოსახლეობის განაწილება სამი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

მსოფლიოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1999 წელს  
ცხრილი 4.2

კონტინენტები	ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტებში)		
	0-14 წლის	15-64 წლის	65 და მეტი წლის
ევროპა	19,7	66,9	13,4
აზია	32,9	62,1	5,0
ჩრდილოეთ ამერიკა	21,4	66,3	12,3
ლათინური ამერიკა	35,9	59,4	4,7
აფრიკა	45,0	52,0	3,0
ავსტრალია და ოკეანეთი	27,0	64,0	9,0
მთელი მსოფლიო	32,3	61,5	6,2
საქართველო	24,7	66,0	9,3

მოსახლეობის ეროვნული ნიშნით დაჯგუფებისას უმეტესად ხელმძღვანელობენ ენობრივი მაჩვენებლით. განსაზღვრავენ ქვეყნის მოსახლეობაში არამკვიდრი ეროვნების (მშობლიური ენის ნიშნით) მოქალაქეთა ხვედრით წილს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. მაგ., საქართველოში 1989 წლის მონაცემებით არამკვიდრი ეროვნების საერთო რიცხოვნობა შეადგენდა 1563 ათას კაცს, ანუ პროცენტებში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან 29,9-ს.

ასევე მნიშვნელოვანია დემოგრაფიულ სტატისტიკაში მოსახლეობის დაჯგუფება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. აღწერის მასალები ამ საკითხთან მიმართებაში შეიძლება დამუშავებულ იქნეს სხვადასხვა ნიშნით. ყველაზე სრულ და სამართლიანადაა მიჩნეული დაჯგუფების ისეთი სახეები, სადაც გამოყოფილია პირები მოსახლეობის ოჯახური მდგომარეობის შემდეგი ნიშნებით: პირები, რომლებიც არასდროს იყვნენ დაქორწინებულნი, ქორწინებაში (მათ შორის რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ მდგომარეობაში) მყოფნი, დაქვრივებულნი, განქორწინებულნი, გამოვარდნილი. ეს ჯგუფები წარმოდგენილია ქალებისა და ვაჟების მიხედვით ცალ-ცალკე, 16 წლის ასაკიდან მოყოლებული.

ზემოთ აღნიშნული დაჯგუფების გარდა დემოგრაფიულ სტატისტიკაში გამოიყენება ჯგუფების ფორმირება არსებობის საშუალებათა წყაროების, განათლების დონის, დასაქმების მიხედვით და სხვ.

#### § 4.3. ტერიტორიის დემოგრაფიული სიტუაციის შეფასების მარვენებელთა სისტემა

ცნობილია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა ცვალებადია. დაბადებულთა და გარდაცვლილთა ხარჯზე გამონეულ მოსახლეობის ცვალებადობას ბუნებრივ მოძრაობას უწოდებენ. ბუნებრივი მოძრაობისაგან განსხვავდება მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა. ანუ მიგრაცია, ე.ი. მოსახლეობის ერთი ტერიტორიული ადგილიდან მეორეზე ხანგრძლივი ან ხანმოკლე პერიოდით გადაადგილება.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითად მახასიათებლებს განეკუთვნება: შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, აგრეთვე მათზე დამოკიდებული ქორწინებისა და განქორწინების აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები.

ქვეყანაში წლის მანძილზე დაბადებულთა, გარდაცვლილთა და ბუნებრივი მატების (მათ შორის სხვაობის) რიცხვი იანგარიშება აბსოლუტური მაჩვენებლით, მაგრამ ეს მაჩვენებელი, ბუნებრივია, ვერ გამოხატავს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დონეს, რამდენადაც დამოკიდებულია მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაზე. ამიტომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს ანგარიშობენ 1000 სულზე გაანგარიშებით (პრომილებში — ‰), რომელიც სტატისტიკაში იწოდება როგორც მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტი და იძლევა დემოგრაფიული სიტუაციის შეფასების საშუალებას.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გაიანგარიშება წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვის (N) გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ ( $\bar{S}$ ) მაჩვენებელზე, ე.ი. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ( $K_a$ ) უდრის:

$$K_a = \frac{N}{\bar{S}} 1000. \quad (4.1)$$

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გაიანგარიშება ანალოგიური სქემით, წლის მანძილზე გარდაცვლილთა რიცხვის (M) გა-

ყოფით მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობაზე ( $\bar{S}$ ), ე.ი. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ( $K_3$ ) უდრის:

$$K_3 = \frac{M}{\bar{S}} 1000. \quad (4.2)$$

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც დაბადებულთა ( $N$ ) და გარდაცვლილთა ( $M$ ) რიცხვებს შორის სხვაობა, გაყოფილი მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობაზე, ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ( $K_{\Delta}$ ) უდრის:

$$K_{\Delta} = \frac{N - M}{\bar{S}} 1000. \quad (4.3)$$

ან როგორც შობადობისა ( $K_1$ ) და მოკვდაობის ( $K_3$ ) ზოგად კოეფიციენტებს შორის სხვაობა:

$$K_{\Delta} = K_1 - K_3 \quad (4.4)$$

საქართველოში 1999 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 8,9%-ის შეადგენდა, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი კი 8,8%-ის. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი იყო 0,1%, რაც მიუთითებს ყოველ 1000 ადამიანზე გაანგარიშებით მოსახლეობის უმნიშვნელო მატებას.

სტატისტიკის პრაქტიკაში ასევე გამოიყენება ე.წ. პოკროვსკი — პირლის ინდექსი, რომელიც მიიღება დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით გარდაცვლილთა რიცხვთან და გამოიხატება პროცენტებში.

სტატისტიკაში იანგარიშება ასევე შობადობის სპეციალური კოეფიციენტი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ფერტილურობის (ანუ ნაყოფიერების) კოეფიციენტი. იგი იანგარიშება როგორც შეფარდებითი მაჩვენებელი დაბადებულთა რიცხვსა და 15-49 წლის ფერტილური ასაკის ქალების საშუალო რიცხოვნობასთან მიმართებაში.

მოსახლეობის სტატისტიკაში შობადობისა და ზოგადი ფერტილურობის კოეფიციენტების გარდა გაიანგარიშება:

ა) შობადობის კოეფიციენტი ქალების ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის,

ბ) შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი,

გ) მოსახლეობის კვლავნარმოების ბრუტო-კოეფიციენტი (რომელიც უჩვენებს თითოეული ქალის მიერ მთელი ფერტილური პერიოდის მანძილზე გაჩენილი გოგონების საშუალო რიცხვს.

ეს მონაცემები კვლავნარმოების ნეტო-კოეფიციენტი.  
 მონაცემები ატატიტიკაში მოკვდაობის რამდენიმე სპეცი-  
 ალურ კოეფიციენტი გაიანგარიშება. გამოყოფენ ჩვილთა სიკვ-  
 დლანობის სპეციალურ კოეფიციენტს, ასევე სიკვდილიანობის  
 კოეფიციენტს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფისათვის. სიკვდილი-  
 ანობის დეტალური მესწავლა ნარმოებს ე.წ. „მოკვდაობის ცხრი-  
 ლის“ მეშვეობით. ცხრილის მაკეტი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხ.  
 4.3). ცხრილის „ქვემდებარედ“ გვევლინება მოსახლეობის ერთნ-  
 ლიანი ასაკობრივი ჯგუფები ახალშობილიდან (0) მოყოლებული  
 100 წლის ასაკამდე (X), ხოლო „შემასმენელი“ მოიცავს შემდეგ  
 მაჩვენებლებს:

მოკვდაობის ცხრილი-მაკეტი

ცხრილი 4.3

ასაკი წლებში	X ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი	X ასაკიდან X+1 ასაკში გადასვლის პერიოდში გარდაცვლილთა რიცხვი	X ასაკიდან X+1 ასაკში გადასვლის პერიოდში სიკვდილიანობის ალბათობა	ცოცხლად დარჩენის ალბათობა	ცოცხლად მყოფთა რიცხვი	კაც-წელნაადების რიცხვი	მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
$x$	$I_x$	$d_x$	$q_x$	$p_x$	$L_x$	$T_x$	$e_x^o$

1. მოცემულ ასაკამდე (X წელი) მიღწეულთა რიცხვი ( $I_x$ ). ეს მაჩვენებელი დგინდება ყოველ 10000 ადამიანზე გაანგარიშებით.

2. გარდაცვლილთა რიცხვი X ასაკიდან X+1 ასაკამდე გადასვლის პერიოდში ( $d_x$ ).

3. X ასაკიდან X+1 ასაკამდე გადასვლის პერიოდში მოკვდაობის ალბათობა ( $q_x$ ), რომელიც გაიანგარიშება ფორმულით

$$q_x = \frac{d_x}{I_x} \quad (4.5).$$

4. მომდევნო ასაკის შესრულებამდე ცოცხლად დარჩენის ალბათობა ( $p_x$ ), რომელიც გაიანგარიშება ფორმულით



$$\rho_x = \frac{I_{x+1}}{I_x} \quad (4.6)$$

სადაც  $I_{x+1}$  არის  $x+1$  ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი, ხოლო  $I_x$  კი არის  $X$  ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი.

5.  $X$ -ს ასაკში ცოცხლადმყოფთა რიცხვი ( $L_x$ ), რომელიც შესაძლოა დადგინდეს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$L_x = \frac{I_x + I_{x+1}}{2}. \quad (4.7)$$

6. კაც-წელიწადების რიცხვი ( $T_x$ ), რომელიც იანგარიშება როგორც კაც-წელიწადების საერთო რიცხვი, რომლებიც უნდა იცხოვრონ  $X$  ასაკს მიღწეულმა პირებმა, მთლიანობაში  $X$  ასაკიდან საზღვრითი ასაკის ჩათვლით, ე.ი.

$$T_x = \sum_x^{\infty} L_x. \quad (4.8)$$

7. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ( $e_x^o$ ), რომელიც გაიანგარიშება ნაცოცხლები კაც-წელიწადების რიცხვის ( $T_x$ ) გაყოფით  $X$  ასაკამდე მიღწეულთა რიცხვზე ( $I_x$ ), ე.ი.

$$e_x^o = \frac{T_x}{I_x} \quad (4.9)$$

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც ცალ-ცალკე ახლად დაბადებულთათვის  $e_0^o$ , ასევე განსაზღვრულ ასაკამდე მიღწეულთათვისაც. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის სიდიდე დამოკიდებულია მოსახლეობის მოკვდაობის დონეზე, რომელიც იმავდროულად დამოკიდებულია მოსახლეობის სოციალურ პირობებზე.

მოსახლეობის სტატისტიკაში იანგარიშება დაქორწინებისა და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი განსხვავებებიდან გამომდინარე, ანგარიშო-

ბენ ზემოთ მოცემულ კოეფიციენტებს ცალ-ცალკე ვაჭებისა და ქალების, აგრეთვე ფერტილური ასაკისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ქორწინების საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის გაანგარიშება, რომელიც გამოიყენება ოჯახის სიმტკიცის სათანადო ანალიზისათვის.

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, რომელიც დემოგრაფიული სიტუაციის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, გულისხმობს, ერთი მხრივ, ქვეყანაში (რეგიონში) ჩამოსვლა-იმიგრაციას, მეორე მხრივ, ქვეყნიდან (რეგიონიდან) წასვლა-ემიგრაციას. იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხვებს შორის სხვაობა წარმოადგენს მიგრაციის სალდოს, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის მექანიკური გადაადგილების ზრდას (ან კლებადობას) მოცემულ ქვეყანაში. განასხვავებენ ქვეყნის შიგა და გარე მიგრაციას. მიგრაციის მონაცემების ანალიზის მაჩვენებლები მრავალმხრივ გამოიყენება საზოგადოებრივი მეურნეობის დაგეგმვისა და სხვა ღონისძიებათა შემუშავებაში. მიგრაციის მაჩვენებლები გაიანგარიშება როგორც აბსოლუტური (ჩამოსულთა და წასულთა რიცხვი), ასევე შეფარდებითი მახასიათებლების ფორმით. მიგრაციის ცალკეული მიზეზების გათვალისწინებით, სქესის, ეროვნებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მიგრაციული პროცესების როლი და მნიშვნელობა აფხაზეთის დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში დაწვრილებითაა განხილული მ. გეჯუას სადისერტაციო ნაშრომში „აფხაზეთის და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები“ (იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ავტორეფერატი, თბ., 2000 წ.) სადაც ვკითხულობთ: „აფხაზეთში დემოგრაფიული განვითარების პროცესი ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური (1992-1993 წწ.) კონფლიქტის შემდეგ კარდინალურად შეიცვალა. დაირღვა აქამდე არსებული ყველა დემოგრაფიული კანონზომიერება. ამასთან, ყოველივე ეს თითქმის თანაბრად აისახა როგორც აფხაზეთში დარჩენილი, ისე რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დემოგრაფიულ მახასიათებლებში“ (5, გვ. 20-21).

აფხაზეთში მოსახლეობის დინამიკის ანალიზი უჩვენებს, რომ 1954 წელს აფხაზები მოსახლეობის 15,1%-ს შეადგენდნენ, ქართველები — 39,1%-ს, 1989 წლისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 17,9%-მდე და 45,7%-მდე გაიზარდა. ამავ პერიოდში პრაქტიკულად ყველა დანარჩენ ეროვნებათა ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად შემცირდა (ბერძნების გარდა). ზემოხსენებული კონ-

ფლიქტის (1992-1993 წწ.) შედეგად აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული სტრუქტურა მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა. არასრული შეფასებებით 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1992 წელთან შედარებით აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 358 ათასი კაცით. აქედან ეთნიკურად ქართველების რაოდენობამ იკლო დაახლოებით 201 ათასი კაცით, ანუ 82%-ით. აფხაზების რიცხვი რაოდენობრივად შემცირდა 40,7 ათასი კაცით (1992 წელს 94,7 ათასი კაციდან 1997 წელს 54 ათას კაცამდე), მაგრამ აფხაზების ხვედრითი წილი რეგიონის მთელ მოსახლეობაში კონფლიქტის შემდგომ პერიოდში 1992 წელს 17,7%-დან 1997 წელს 36,8%-მდე გაიზარდა (5, გვ. 11-12)).

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც მოსახლეობის კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, უშუალო კავშირშია მოცემულ ქვეყანაში (რეგიონში) ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესთან, საზოგადოებრივი განვითარების დონესთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით დემოგრაფიულ სტატისტიკაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მექანიკური გადაადგილების მაჩვენებლები უნდა განვიხილოთ გარკვეულ ისტორიულ პირობებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ფონზე. ასეთ მახასიათებლებს პირველ რიგში უნდა მიეკუთვნოს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე, კულტურისა და განათლების დონე და სხვა.

#### *§ 4.4. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშება (დემოგრაფიული პროგნოზირება)*

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობის სტატისტიკის ერთ-ერთ ამოცანად გვევლინება მომავალში მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშება, ანუ დემოგრაფიული პროგნოზირება, რომელიც შეადგენს მოსახლეობის მეცნიერულ განჭვრეტას სამომავლო განვითარების უახლოეს ან შორეულ პერსპექტივაში.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა, რომელსაც მიაღწევს იგი გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ეკონომიკურ ლიტერატურაში განხილულია დემოგრაფიული პროგნოზირების მეთოდოლოგია. ჩვენ აქ განვიხილავთ ლ. რიბაკოვსკის (7, გვ. 208-209) მიერ შემოთავაზებულ დემოგრაფიული პროგნოზირების

კლასიფიკაციის, რომელიც მოიცავს დემოგრაფიული პროგნოზირების ოთხ ჯგუფს:

1. მისალნევი მიზნიდან გამომდინარე, პროგნოზირება მოიცავს:

ა) პროგნოზებს, რომლებიც უჩვენებენ, რა შეიძლება მოხდეს, თუ მომავალში შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის განვითარების ტენდენცია, რომელიც ახასიათებს თანამედროვე პერიოდს, ანუ „პროგნოზები-გაფრთხილებანი“.

ბ) პროგნოზებს, რომლებიც იმის დემონსტრირებას ახდენენ, თუ რა უნდა მოხდეს შესაბამისი ზომების გატარების შედეგად, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია დემოგრაფიულ პროცესებთან.

2. ობიექტების მიხედვით განასხვავებენ:

ა) მოსახლეობის კვლავნარმოების, შობადობისა და სიკვდილიანობის პროგნოზებს,

ბ) მიგრაციული პროცესების პროგნოზებს,

გ) შრომითი რესურსების რიცხოვნობისა და შემადგენლობის პროგნოზებს.

დ) მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისა და სტრუქტურული ელემენტების ან შრომითი რესურსების (ვაჟები და ქალები, შრომისუნარიანი ასაკის პირები) პროგნოზებს,

ე) მთლიანი მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი და რაოდენობრივი დინამიკის პროგნოზი ცალკეული ტერიტორიული ერთეულისათვის.

3. მოსახლეობისა და შრომითი რესურსების პროგნოზის დონესთან მიმართებაში შეიძლება იყოს:

ა) პროგნოზები, შედგენილი სახალხო მეურნეობის დონეზე,

ბ) პროგნოზები, შედგენილი ტერიტორიულ (ავტონომიური რესპუბლიკა, ეკონომიკური რაიონი, რეგიონი) დონეზე,

გ) პროგნოზები, შედგენილი ცალკეული რეგიონების (ქალაქების, დასახლების, სოფლის და ა.შ.) დონეზე.

4. პროგნოზირების მეთოდების მიხედვით:

ა) პროგნოზები, შედგენილი შინაარსიანი ექსტრაპოლაციის მეთოდით.

ბ) პროგნოზები, შედგენილი ექსპერტული შეფასების მეთოდით,

გ) პროგნოზები, შედგენილი ანალოგიების მეთოდით.

პროგნოზების შედგენის ვადების მიხედვით:

ა) მიმდინარე პროგნოზები (საანგარიშო პერიოდისათვის),

- ბ) უახლოესი პროგნოზები 5-10 წლისათვის,  
 გ) 10 წლის და მეტი პერიოდისათვის შედგენილი პროგნოზები.

მოსახლეობის პერსპექტიულ რიცხოვნობას ანგარიშობენ მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლების საფუძველზე განხილულ და საანალიზო პერიოდში გამოვლენილ კანონზომიერებათა საპროგნოზო პერიოდზე სავარაუდო გავრცელებით. ასე, მაგალითად, თუ ცნობილია საგეგმო პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის საწყისი მაჩვენებელი ( $S_H$ ) და გამოთვლილია მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი ( $K$  საერთო მატების), რომელიც გამოიანგარიშება შემდეგი ფორმუ-

ლის გამოყენებით:  $K_{\text{საერთო მატების}} = K_a + K_b$ , სადაც  $K_a$  და  $K_b$

შესაბამისად არის ბუნებრივი და მექანიკური მატების ზოგადი კოეფიციენტები,  $t$  წლის შემდეგ მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის ( $S_{H+t}$ ) გამოსაანგარიშებლად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$S_{H+t} = S_H \left( 1 + \frac{K_{\text{სა.ა.}}}{1000} \right)^t \quad (4.10)$$

როგორც პრაქტიკა უჩვენებს, მოსახლეობის პერსპექტიული საერთო რიცხოვნობის გამოთვლა არ არის საკმარისი სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზისათვის. აუცილებელია უფრო დეტალური მონაცემების არსებობა მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ასაკისა და სქესობრივი ჯგუფების მიხედვით ისეთი მაჩვენებლის ფორმირებისათვის, როგორიცაა შრომითი ბალანსები, სამომავლო სხვადასხვა ასაკობრივი კონტიგენტების და ა.შ. ამ თვალსაზრისით, მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის დასადგენად გამოიყენება ასაკადაანაცვლების მეთოდი, რომელიც 1922 წელს ჩამოაყალიბა რუსმა აკადემიკოსმა ს. სტრუმლინმა.

ასაკადაანაცვლების მეთოდი გულისხმობს მოსახლეობის მთლიანი აღწერის მონაცემისა და თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის სიკვდილიანობის კოეფიციენტების საფუძველზე მომდევნო ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხვის დადგენას. ამ მეთოდის ასახსნელად მოვიტანოთ შემდეგი პირობითი მაჩვენებლები (იხ. ცხ. 4.4). ცხრილში მოცემულია ქალების ყველა ფერტილური

ასაკობრივი ჯგუფის (15-დან 49 წლამდე) საშუალო წლიური რიცხოვნობის ქალების თითოეული ფერტილური ასაკობრივი ჯგუფისათვის და შობადობის ასაკობრივი მაჩვენებლები. გამოვთვალოთ ბავშვების მოსალოდნელი რიცხოვნობა, შობადობის პერსპექტივა. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი  $N_x$  შეადგენს:

1. 15-19 ასაკობრივი ქალების ჯგუფისათვის

$$N_1 = \frac{2892 \cdot 33,2}{1000} = 96 \text{ ბავშვი}$$

2. 20-24 ასაკობრივი ქალების ჯგუფისათვის

$$N_2 = \frac{4120 \cdot 162,4}{1000} = 669 \text{ ბავშვი}$$

3. 25-29 ასაკობრივი ქალების ჯგუფისათვის

$$N_3 = \frac{3760 \cdot 164,2}{1000} = 617 \text{ ბავშვი}$$

$$4. 30-34 \text{ ასაკობრივი ჯგუფისათვის } N_4 = \frac{4300 \cdot 110,5}{1000} = 475$$

ბავშვი

$$5. 35-39 \text{ ასაკობრივი ჯგუფისათვის } N_5 = \frac{2900 \cdot 67,6}{1000} = 196$$

ბავშვი

$$6. 40-44 \text{ ასაკობრივი ჯგუფისათვის } N_6 = \frac{2700 \cdot 24,6}{1000} = 65$$

ბავშვი

$$7. 45-49 \text{ ასაკობრივი ჯგუფისათვის } N_7 = \frac{3050 \cdot 5,5}{1000} = 17$$

ბავშვი

ქალების ასაკობრივი ჯგუფები	ქალების საშუალოწლიური რიცხოვნობა	შობადობის სქესობრივი მაჩვენებლები %
1. 15-19	2890	33,2
2. 20-24	4120	162,4
3. 25-29	3760	164,2
4. 30-34	4300	110,5
5. 35-39	2900	67,6
6. 40-44	2700	24,2
7. 45-49	3050	5,5
სულ	23720	X

სულ ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი 2135-ს (96+669+617+475+196+65+17 [2135:23720]) შეადგენს, ანუ ახალდაბადებულთა კოეფიციენტი იქნება 0,9 და მიუთითებს იმაზე, რომ 15-დან 49 წლამდე ასაკის ქალთა ყოველ ათას სულზე საშუალოდ ცხრა-ასი ბავშვის დაბადება არის მოსალოდნელი, რაც უარყოფითად იმოქმედებს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებელზე.

დემოგრაფიული პროგნოზირებით განისაზღვრება მოსახლეობის სამომავლო რიცხოვნობა, შრომითი რესურსების განვითარების პერსპექტივა, სამუშაო ძალებზე მოთხოვნილება და მათი განლაგების უზრუნველყოფის მაჩვენებლები.

მოსახლეობის სტატისტიკის შესწავლისას აუცილებელია დემოგრაფიული მაჩვენებლების გარდა გამოყენებულ იქნეს ასევე დარგობრივი სტატისტიკის სხვა მაჩვენებლები, რომელიც შეისწავლება სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში.

ზოგიერთი მახასიათებლები ქვემოთ განიხილება.

განათლების მაჩვენებლები. მოსახლეობის სოციალური მაჩვენებლის მახასიათებლად გვევლინება მოსახლეობის განათლებულობა, რომელსაც ანგარიშობენ მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებელთათვის, ვაჟებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე. 9-წლისა და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის ნაწილში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის (წილის) დადგენით. ამასთან, მოსახლეობის 15 წლისა და მეტი ასაკობრივი ჯგუფისათვის – მოსახლეობის განაწი-

ლებას განათლების დონეების მიხედვით. ზოგადად, ყოველ ათას მცხოვრებზე 15 წლიდან მოყოლებული ასაკობრივი ჯგუფისათვის ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონის მახასიათებლები შემდეგნაირად დაჯგუფდება (იხ. ცხ. 4.5).

ცხრილი 4.5

ასაკობრივი ჯგუფი 15 წლიდან და მეტი	1000 მცხოვრებიდან შესაბამის ასაკში გააჩნიათ შემდეგი განათლება:					
	უმალ- ლესი	არასრული უმალლესი	სპეცია- ლური საშუალო	საშუ- ალო	არასრუ- ლი საშუ- ალო	დანყე- ბითი

განათლების დონის მაჩვენებელი შესაძლოა განვიხილოთ როგორც შუალედური მაჩვენებელი, ხოლო განათლების სისტემის მდგომარეობის უფრო დეტალური ანალიზისათვის აუცილებელია სხვა მახასიათებლების განხილვა, კერძოდ: სკოლამდელი ასაკის ბავშვების რიცხვი და სკოლამდელი ასაკის დანესებულება რაოდენობა; საშუალო საგანმანათლებლო სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი; უმაღლეს სასწავლებელთა და სტუდენტთა რიცხვი; ასპირანტებისა და დოქტორანტების რიცხოვნობა, სამეცნიერო ორგანიზაციებში მოსახლეობის რიცხოვნობა.

სოციალური მახასიათებლების სრულად წარმოსადგენად განიხილავენ ასევე მოსახლეობის უზრუნველყოფას კულტურის დანესებულებებით (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურის სახლები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები და ა.შ.), კინოფილმების წარმოებისა და სხვა მაჩვენებლებს.

საქართველოში 1998 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 84 სახელმწიფო და 58 არასახელმწიფო საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სადაც განათლებას ეუფლებოდა 33,3 ათასი მოსწავლე. უკანასკნელ პერიოდში არასახელმწიფო ქსელის სწრაფი განვითარების პირობებში საშუალო სპეციალური სასწავლებლების მნიშვნელოვან ნაწილში მოხდა პროფილის შეცვლა.

ქვეყანაში აღრიცხულია 24 სახელმწიფო და 156 არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 1999 წლისათვის ირიცხებოდა 126 ათასი სტუდენტი, მათ შორის მთლიანი შემადგენლობის 47,1 პროცენტი მოდიოდა სახელმწი-



ფო უმაღლესი სასწავლებლების საბიუჯეტო სექტორზე, 24,7 პროცენტი — ამავე სასწავლებლების ფასიან სექტორზე, ხოლო 28,2 პროცენტი — არასახელმწიფო (ფასიან) სასწავლებლებზე. ამავე პერიოდში ქვეყანაში ფუნქციონირებდა 3,2 ათასი დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათგან 43 გიმნაზია და 29 ლიცეუმი, რომლებშიც ირიცხებოდა 718,1 ათასი მოსწავლე. აფხაზეთიდან დევნილთა 59 სკოლა (მათ შორის 38 საშუალო, 4 არასრული საშუალო, 11 დანყებითი და 6 სალამოს სკოლა), 8 სახელმწიფო და კომერციული უმაღლესი სასწავლებელი (რომლებშიც 10987 სტუდენტი სწავლობდა) ფუნქციონირებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მოსახლეობის დაავადებათა შესახებ მონაცემებს მოიპოვებენ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციების შესაბამისად. დაავადებათა სტატისტიკის პარალელურად შეისწავლება მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალით, ასევე საავადმყოფო საწოლებისა და სამედიცინო მომსახურების სანარმოებების რიცხოვნობა და ა.შ.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის დახასიათება არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებით.

### *საკონტროლო კითხვები*

1. დაასახელეთ მოსახლეობის სტატისტიკის დაკვირვების ობიექტები და მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის ძირითადი წყაროები.
2. როგორ გაიანგარიშება მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა ამა თუ იმ პერიოდში?
3. დაასახელეთ მოსახლეობის სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი დაჯგუფებანი.
4. ჩამოთვალეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითადი მაჩვენებლები.
5. დაასახელეთ შობადობის საერთო და სპეციალური კოეფიციენტები.
6. დაახასიათეთ მოსახლეობის აღწარმოების „ბრუტო“ და „ნეტო“ კოეფიციენტები.
7. დაახასიათეთ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი.
8. როგორ გამოითვლება მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა?

9. ჩამოთვალეთ მოსახლეობის მიგრაციის შესწავლის ძირითადი მიმართულებები.

10. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ მოსახლეობის ძირითადი სოციალური მახასიათებლები.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. ტ. სართანია, საერთაშორისო სტატისტიკა, თბ., 1995.

2. ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თბ., 1998.

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წელიწადეული, თბ., 1999 წ.

4. მოსახლეობა ციფრებში, მოკლე სტატისტიკური კრებული, „სიახლე“, თბ., 1995.

5. მ. გეჯუა, აფხაზეთის და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები. ავტორეფერატი, საქ. მეც. აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, თბ., 2000.

6. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.И. Иванова), М., Инфра, 1998.

7. Статистика, курс лекций Харченко Л.П., Долженков В.Г., Ионина и др., Новосибирск. Изд-ва НГАЭ и К., М., Инфра, 1997.

8. Турава М. Социальная статистика, Тб., 1996.

## თემა 5. მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები, შრომის ბაზრისა და შრომის ანაზღაურების სტატისტიკა

### *§ 5.1. სამუშაო ძალის კლასიფიკაცია, მოსახლეობის შრომითი მონყობისა და დასაქმების მაჩვენებლები*

ჩვენს ქვეყანაში შრომის სტატისტიკურ მაჩვენებელთა აღრიცხვას, დამუშავებასა და პუბლიკაციას აწარმოებენ შრომის სტატისტიკის საერთაშორისო კონფერენციის, რეკომენდაციების შესაბამისად ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. კერძოდ, სტატისტიკურად შეისწავლება ისეთი პრობლემები, როგორცაა: დასაქმებულობა, შრომითი კონფლიქტები, სამუშაო ძალის მობილურობა და მიგრაცია, დენადობა, შრომის ნაყოფიერება, მშრომელთა მდგომარეობა და სხვა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია დასაქმებულობისა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური შესწავლა.

თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკაში განასხვავებენ დასაქმებულთა შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

- 1) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა,
- 2) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა),
- 3) თვითმოქმედი მოსახლეობა,
- 4) საკუთრივ დასაქმებული მოსახლეობა.

თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზრის სტატისტიკის შესწავლის ძირითადი ამოცანებია:

ა) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულობის, უმუშევრობის, დარგებისა და პროფესიების მიხედვით დასაქმებულობის მიმდინარე მაჩვენებელთა შესწავლა,

ბ) სამუშაო ძალის მოძრაობის მაჩვენებელთა გამოკვლევა,

გ) სამუშაო დროის, მისი სტრუქტურის, ასევე სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელთა შესწავლა,

დ) სამუშაო ძალის შენახვაზე დანახარჯების, მათი სტრუქტურისა და დინამიკის გამოკვლევა:

ე) შრომითი კონფლიქტების სტატისტიკური შესწავლა და სხვა.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს ორ კატეგორიას: დასაქმებულნი და უმუშევრები. უმუშევარი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თავის შრომას სთავაზობს ბაზარს საქონლისა და მომსახურების სანარმოებლად.

ანალიტიკური მიზნის მიხედვით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში განასხვავებენ: „მოცემულ მომენტში აქტიური მოსახლეობისა“ და „ჩვეულებრივ აქტიური მოსახლეობის“ კატეგორიებს.

მოცემულ მომენტში აქტიური მოსახლეობის კატეგორია მოიცავს ყველა პირს, რომლებიც მუშაობდნენ ან უმუშევრები იყვნენ მცირე პერიოდის (მაგ., ერთი კვირის ან ერთი დღის) განმავლობაში.

ამ კატეგორიას აგრეთვე „სამუშაო ძალასაც“ უწოდებენ.

სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის შესადარისობისათვის ანგარიშობენ ეკონომიკური აქტიურობის დონის შეფარდებით მაჩვენებელს. ეკონომიკური აქტიურობის დონის მახასიათებელი გამოითვლება როგორც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდება მოსახლეობის მთელ რაოდენობასთან პროცენტებში.

მოცემულ პერიოდში აქტიური მოსახლეობის, ანუ როგორც მას უწოდებენ „სამუშაო ძალის“ დასახასიათებლად ანგარიშობენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კოეფიციენტს ( $K_{ააა}$ ), რომელიც განისაზღვრება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის ( $P_{ააა}$ ) შეფარდებით ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან ( $P_0$ ) განსაზღვრულ ვადაში.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას აჯგუფებენ სქესის, ასაკის, სოციალური და სხვა დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხოლო დასაქმებულებს კი ეკონომიკური ნიშნების მიხედვით. მდგომარეობის, პროფესიული შემადგენლობის და სხვა ნიშნის მიხედვით თანამედროვე სტატისტიკის პრაქტიკაში აღიარებულია 35 ათასზე მეტი დასახელების შრომითი საქმიანობა და 100 ათასზე მეტი პროფესია.

დასაქმებულობის მახასიათებელია 16 წლისა და მეტი ასაკის ორივე სქესის მოსახლეობის რიცხოვნობა, ასევე უმცროსი ასაკის პირები, რომლებიც განსახილავ პერიოდში:

ა) ასრულებენ სამუშაოს დაქირავებით გასამრჯელოს მიღებით (ფულადი ან ნატურალური ფორმით) ან სხვა სამუშაოს, რომელსაც მოაქვს შემოსავალი, დამოუკიდებლად ან პარტნიორებთან ერთად დაქირავებული შრომის გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, თავისი საქმიანობის ანაზღაურების ან შემოსავლების მიღების პერიოდის მიუხედავად.

ბ) დროებით არ იყვნენ დაკავებული სამუშაოზე შემდეგი მიზეზებით: ავადმყოფობა და ტრავმები; გამოსასვლელი დღეები;

ყოველწლიური შვებულება; სხვადასხვა სახის დამატებითი შვებულებები; შვებულება ადმინისტრაციის ინიციატივით; გაფიცვები და სხვ.

გ) შინამეურნეობებში სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე.

საქართველოში სამუშაო ძალის შერჩევითი კვლევით მიღებული სტატისტიკური მონაცემებით, 1998 წლის მესამე კვარტალში 15 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის 67,2 პროცენტი, ანუ 2145,8 ათასი კაცი ეკონომიკურად აქტიური იყო. აქედან დასაქმებულ კატეგორიას შეადგენდა - 1886,5 ათასი კაცი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 88 პროცენტი), ხოლო დანარჩენი მიეკუთვნებოდა უმუშევართა კატეგორიას, ანუ 12 პროცენტი.

დასაქმების სტრუქტურის დინამიკა კვლავ უცვლელია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. კერძოდ, დასაქმებულთა 57,8 პროცენტი თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, დაქირავებული შრომით იყო დასაქმებული 41,6 პროცენტი. ამასთან, დასაქმების სტრუქტურა ეკონომიკური დარგების მიხედვით შემდეგნაირად ხასიათდება: სოფლის მეურნეობის წილად მოდის დასაქმებულთა 56,8 პროცენტი; მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა - 7,2 პროცენტი; ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო საქონლის ტექნიკური მომსახურება - 8,9 პროცენტი; სახელმწიფო მართვა და თავდაცვა - 6,9 პროცენტი; ჯანმრთელობის დაცვა - 4-6 პროცენტი და ა.შ.

დასაქმებულთა 33 პროცენტი სახელმწიფო ან მუნიციპალურ საწარმოებშია დასაქმებული, 65 პროცენტი კი - კერძო სექტორში. დასაქმებულების 5 პროცენტი არასრული სამუშაო დროითაა დასაქმებული, რომელთა 43 პროცენტისათვის ეს სამუშაო მუდმივია, 28 პროცენტისათვის - დროებითი, ხოლო 26 პროცენტისათვის - სეზონური. ამავე დროს, დასაქმებულთა 8 პროცენტი მეორედ დასაქმებულია.

უმუშევრობა შრომის სტატისტიკის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს. განასხვავებენ: ა) სრულიად უმუშევრებს, ბ) ფარულ და გ) ოფიციალურად აღიარებულ უმუშევრობას. უმუშევრობის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა დაკარგული კაც-საათების სტატისტიკა.

უმუშევრობის მაჩვენებლებად შესაძლებელია ჩაითვალოს ასევე სამუშაო ძალის დენადობის (მობილურობის) მაჩვენებლები.

1998 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში დასაქმების სამსახურებში

რეგისტრირებული იყო 102 ათასი სამუშაოს მაძიებელი, რომელთა 97 პროცენტი უმუშევარი იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამავე პერიოდში უმუშევარი იყო 259 ათასი კაცი. უმუშევრობის დონემ შერბილებული კრიტერიუმებით 14,1 პროცენტი შეადგინა. უმუშევრობის დონის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{უშ.}} = \frac{B_t}{P_{\text{აა.ჯ.}}} - 100, \quad (5.1)$$

სადაც, -  $B_t$  -  $t$  დროისათვის უმუშევართა რიცხოვნობაა,

$P_{\text{აა.ჯ.}}$  - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა  $t$  დროისათვის.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც არ განეკუთვნებიან ისეთ ასაკობრივ ჯგუფებს, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გასაანგარიშებლად. ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა გაიანგარიშება როგორც სხვაობა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასა და სამუშაო ძალის რიცხოვნობათა შორის. იგი განისაზღვრება განსაზღვრული გამოსაკვლევი პერიოდისათვის და მოიცავს მოსახლეობის შემდეგ კატეგორიებს:

- ბავშვები, მოსწავლეები და სტუდენტები, მსმენელები და კურსანტები დღის ფორმის სწავლებისა (ასპირანტურისა და მაგისტრატურის ჩათვლით);

- ხანდაზმული პენსიონერები, ასევე პირები, რომლებიც შეღავათიან პირობებში ან მარჩენალის დაკარგვის გამო იღებენ პენსიებს საპენსიო ასაკის მიღწევამდე;

- პირებს, რომლებიც იღებენ პენსიებს ინვალიდობისათვის;

- პირებს, რომლებმაც შეწყვიტეს სამუშაოს მოძიება მისი მიღების ყველა შესაძლებლობის ამონურვის გამო, მაგრამ ისინი მზად არიან იმუშაონ;

- პირები, რომლებიც დაკავებული არიან შინამეურნეობებში, ბავშვების მოვლით და ა.შ.

## §5.2. შრომითი რესურსების ბალანსი

შრომითი რესურსების ბალანსი წარმოადგენს მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ასახავს შრომითი რესურსების რიცხოვნობას და შემადგენლობას, მათი სახალხო მეურნეობის დარგებისა და საკუთრების ფორმების მიხედვით განაწილებას; უმუშევრობასა და ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას. შრომითი რესურსების ბალანსს ადგენენ ყოველწლიურად როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე ეკონომიკური რეგიონების, რაიონების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვითაც.

*ცხრილი 5.1*

### შრომითი რესურსების ბალანსი

№	მაჩვენებლები	საშუალო წლიური რიცხოვნობა (ათასობით)		
		მათ შორის		
		სულ	ქალაქად	სოფლად
01	შრომითი რესურსები მათ შორის:			
02	შრომისუნარიანი მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში			
03	საპენსიო ასაკს გადაცილებული პირები და ეკონომიკაში დაკავებული მოზარდები, მათ შორის:			
04	საპენსიო ასაკს გადაცილებული პირები			
05	მოზარდები შრომითი რესურსების გამოყენება			
06	სულ დაკავებულია ეკონომიკაში (პირად და მხმარე მეურნეობებში დაკავებულთა გარეშე) მათ შორის:			
07-29	ეკონომიკის დარგების მიხედვით (სახალხო მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკაციის შესაბამისად)			
30	რელიგიური კულტის მსახურნი და სხვა			
31	კერძო შიდა (საოჯახო) მეურნეობების წარმართვა დაქირავებით			
32	შრომისუნარიან ასაკში მოსწავლეები, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით იღებენ განათლებას			
33	შრომისუნარიანი მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, რომლებიც არ არიან დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით ან სწავლებით			

შრომითი რესურსების ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ნაჩვენებია „რესურსები“, ხოლო მეორეში – „გამოყენება“.

თანამედროვე ეტაპზე შრომითი რესურსების ბალანსს ქვეყანაში ადგენენ საშუალო წლიური მაჩვენებლების საფუძველზე (იხ. ცხ. 5.1) შემდეგი სქემით:

ერთ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი (კვარტალი, ნახევარი წელიწადი და წელიწადი) გაიანგარიშება შესაბამისი თვეების მაჩვენებლების საფუძველზე, მარტივი საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით. მაგ: II კვარტ. მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი უდრის აპრილისთვის ( $T_{აპრ.}$ ), მაისისთვის ( $T_{მაისი}$ ) და ივნისისთვის ( $T_{ივნისი}$ ) მაჩვენებელთა საშუალო რიცხვების ჯამის შეფარდებას თვეების რიცხვზე (3),

$$\text{ე.ი. } T_{2კვ} = \frac{T_{აპრილი} + T_{მაისი} + T_{ივნ.}}{3}.$$

### *§ 5.3. სამუშაო ძალის მოძრაობის მაჩვენებლები*

სამუშაო ძალის მოძრაობის სტატისტიკური შესწავლის მიზანია განისაზღვროს მოძრაობის საერთო მოცულობა და ასევე ის ფაქტორები, რომლებიც მასზე ახდენენ გავლენას. ამ მიზნით ანგარიშობენ სამუშაო ძალის ბრუნვის ინტენსივობას, რომელსაც განსაზღვრავენ სამუშაო ძალის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის მიხედვით ბრუნვის კოეფიციენტები, კადრების მუდმივობისა და ცვალებადობის კოეფიციენტები, დენადობის კოეფიციენტი.

სამუშაო ძალის საერთო ბრუნვის მაჩვენებელი ახასიათებს მოძრაობის ინტენსივობას და განისაზღვრება როგორც განსახილველ პერიოდში ყველა სამუშაოზე მიღებულისა და სამუშაოდან დათხოვნილთა ჯამის შეფარდება საშუალოდ პერიოდის განმავლობაში დასაქმებულთა რიცხვთან.

სამუშაო ძალის სამუშაოზე მიღების ბრუნვა წარმოადგენს განსახილველ პერიოდში ყველა სამუშაოზე მიღებულთა ჯამს, ხოლო სამუშაო ძალის სამუშაოდან წასულთა ბრუნვა კი განისაზღვრება საანალიზო პერიოდში სამუშაოდან დათხოვნილთა საერთო რიცხვით.



სამუშაო ძალის სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის ბრუნვა კოეფიციენტებში იანგარიშება ცალ-ცალკე, სამუშაოზე მიღების ან სამუშაოდან დათხოვნის ბრუნვის აბსოლუტური სიდიდეების შეფარდებით საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რიცხვთან.

სამუშაოზე მიღების წყაროებიდან გამომდინარე, სამუშაო ძალის მიღების ბრუნვის განსაზღვრისას გამოყოფენ მუშაკების რამდენიმე ჯგუფს, კერძოდ:

1. დასაქმებისა და შრომითი მონყობის სამსახურების მიერ გაგზავნილები.

2. სანარმოს (ორგანიზაციების) მიერ საკუთარი ინიციატივით მიღებულნი.

3. სხვა ორგანიზაციებიდან და სანარმოებიდან გადმოყვანის წესით მიღებულნი.

4. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან მიღებულები (სანარმოს საკუთარი სახსრებით მომზადებულთა ჩათვლით).

მუშაკების დათხოვნის მიზეზებად გვევლინება:

1. ქვეყნის ჯარში განწვევა.

2. ნარმოებისაგან მონყვევით სასწავლო დაწესებულებაში მონყობა.

3. სხვა სანარმოში (ორგანიზაციაში) გადაყვანა.

4. დაქირავების ხელშეკრულების (კონტრაქტის) დამთავრება.

5. პენსიაზე გასვლა (საპენსიო ასაკის მიღწევა, ინვალიდობა).

6. მუშაკის გარდაცვალება.

7. საშტატო ერთეულების შემცირება.

8. საკუთარი სურვილით მუშაკების დათხოვნა.

9. მოცდენები და სხვა შრომითი დისციპლინის დარღვევები.

სამუშაო ძალის ზედმეტი ბრუნვის რიცხვის (საკუთარი სურვილით და შრომითი დისციპლინების დარღვევის გამო დათხოვნილთა) შეფარდებით საშუალო სიობრივი რიცხვზე განსაზღვრავენ ზედმეტ ბრუნვას ან დენადობის კოეფიციენტს.

ამრიგად, სამუშაო ძალის მოძრაობის ინტენსიურობის შესაფასებლად სტატისტიკაში გამოიყენება შემდეგი შეფარდებითი მახასიათებლები:

ა) სამუშაო ძალის მიღების კოეფიციენტი ( $K_{მიღების}$ ) უდრის:

$$K_{\text{მიღების}} = \frac{\text{მოც. პერიოდში მიღებული მუშაკების რიცხვი}}{\text{მოცემული პერიოდისათვის საშ. სიობრივი რიცხვენობა}} \cdot 100 \quad (5.2)$$

ბ) სამუშაო ძალის დათხოვნის (გასვლის) კოეფიციენტი ( $K_{\text{გასვლის}}$ ) უდრის:

$$K_a = \frac{\text{მოც. პერიოდში ყველა მიზეზებით დათხოვ. მუშაკთა რიცხვი}}{\text{მოცემული პერიოდისათვის საშ. სიობრივი რიცხოვნობა}} 100 \quad (5.3)$$

გ) სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტი ( $K_{აფ}$ ):

$$K_{აფ} = \frac{\text{კადრების დენად. მაასიათ. მიზეზებით დათხოვნ. მუშაკთა რიცხვი}}{\text{მოცემული პერიოდისათვის საშ. სიობრივი რიცხოვნობა}} 100 \quad (5.4)$$

დ) სამუშაო ძალის შენაცვლების კოეფიციენტი ( $K_{აფააა}$ ):

$$K_{აფაა} = \frac{\text{მოცემულ პერიოდში მიღებული მუშაკების რიცხვი}}{\text{მოცემულ პერიოდში დათხოვნილი მუშაკების რიცხვი}} \times \frac{K_2}{K_1} \quad (5.5)$$

შრომითი კოლექტივების სტაბილურობის ხარისხის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მუდმივი შემადგენლობის კოეფიციენტი ( $K_{ააა}$  ზედა):

$$K_{აა} = \frac{\text{სრულ საანგარიშო პერიოდში მომუშავე მუშაკთა რიცხვი}}{\text{პერიოდის ბოლოსათვის მუშაკთა საშ. სიობრ. რიცხვი}} \quad (5.6)$$

აქვე აღვნიშნავთ, რომ სამუშაო ძალის მოძრაობის მაჩვენებლები იანგარიშება საწარმოებისა და ორგანიზაციების, დარგების, ტერიტორიული ერთეულებისა და ასევე მთლიანად ეკონომიკის მიმართაც.

#### **წ 5.4. სამუშაო დროის სტატისტიკური შესწავლა (სამუშაო დროის გამოყენება)**

სამუშაო დროზე ინფორმაციების არსებობა განაპირობებს სამუშაო ძალების გამოყენების ანალიზს, შრომის პირობების შესწავლას, კოლექტიური შრომითი შეთანხმებების შემუშავებას და მიღებას. სამუშაო დროის ფონდი, მისი სტრუქტურა და გამოყენება ზემოქმედებენ საწარმოო პროცესების ორგანიზებულობაზე და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებზე. სამუშაო დროის სტატისტიკა უშუალოდ დაკავშირებულია შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დაზღვევის სტატისტიკებთან.

სტატისტიკის პრაქტიკაში აღრიცხავენ დროის რამდენიმე ფონდს: ა) კალენდარულს, ბ) სატაბელოს, გ) მაქსიმალურად შესაძლებელს, დ) გამოცხადებულს და ე) ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ფონდებს. ამ უკანასკნელის განსაზღვრა დაფუძნებულია საერთაშორისო სტატისტიკური ნორმების მოთხოვნებზე, რომელიც შემუშავებულია შრომის სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის რეზოლუციების შესაბამისად.

დროის ფონდებზე და მათი გამოყენების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად შეიმუშავებენ სამუშაო დროის ბალანსს (იხ. ცხ. 5.2), რომლის მაჩვენებელთა საფუძველზე შესაძლებელია დროის ფონდების გამოყენების მაჩვენებლების გამოთვლა, კერძოდ:

1. მაქსიმალურად შესაძლებელი სამუშაო დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ( $K_{ა.ა.ფ.}$ )

$$K_{ა.ა.ფ.} = \frac{T_{ფაქ}}{T_{ა.ა.ფ.}} 100, \quad (5.7)$$

სადაც,  $T_{ფაქ}$  - საგანაკვეთო დროში ფაქტობრივად გამომუშავებული საათების რიცხვია (იხ. ცხ. 5.2-ის 6-2 სტრ.),

$T_{ა.ა.ფ.}$  - მაქსიმალურად შესაძლებელი სამუშაო დროის ფონდი.

ეს მაჩვენებელი გამოიყენება სანარმოებში, მისი ცალკეული ქვედანაყოფების, ასევე დარგის სანარმოებში სამუშაო დროის გამოყენების ანალიზის სანარმოებლად.

2. სატაბელო დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ( $K_{სტ.}$ )

$$K_{სტ.} = \frac{T_{ფაქ}}{T_{სტ.ფ.}} 100, \quad (5.8)$$

სადაც  $T_{სტ.ფ.}$  - სატაბელო დროის ფონდია.

სამუშაო დროის გამოყენების დონის შედარებისას დარგთაშორისო შედარებების პირობებში მიზანშეწონილია სატაბელო დროის ფონდის გამოყენება. ამ მიზნით  $K_{ა.ა.ფ.}$ -ს გამოყენება (ფორმულა 5,7) არასასურველია, რამდენადაც, მუშაკების რიგითი შვებულებების ხანგრძლივობა სხვადასხვა დარგში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

3. კალენდარული ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ( $K_{კ.ფ.}$ ):

$$K_{კ.ფ.} = \frac{T_{ფაქ}}{T_{კ.ფ.}} 100, \quad (5.9)$$

სადაც  $T_{კ.ფ.}$  - კალენდარული დროის ფონდია.

ეს კოეფიციენტი გამოყენებას პოულობს სამუშაო დროის გამოყენების არა მარტო სანარმოების, დარგებისა და მთლიანად ეკონომიკაში, არამედ სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებების დროსაც.

#### 4. სამუშაო პერიოდის გამოყენების კოეფიციენტი ( $K_{სა}$ )

$$K_{სა} = \frac{D_{ფაქ}}{D_{ნორ.}}, \quad (5.10)$$

სადაც  $D_{ფაქ}$  - მოცემულ პერიოდში ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებულ დღეთა საშუალო რიცხვია;

$D_{ნორ.}$  - ნორმატიულ დღეთა რიცხვია, რომელიც უნდა გამოემუშაებია ერთ მუშაკს მოცემულ პერიოდში საწარმოს მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე.

ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებულ დღეთა საშუალო რიცხვი გამოიანგარიშება როგორც გამომუშავებულ დღეთა საერთო რიცხვის შეფარდება მუშაკების საშუალო სიობრივ რიცხვთან.

#### 5. სამუშაო დღის გამოყენების კოეფიციენტი ( $K_{სდ}$ )

$$K_{სდღის} = \frac{t_{ფაქანაქ}}{t_{ნორ.}}, \quad (5.11)$$

სადაც  $t_{ფაქ}$  ფაქტიური განაკვეთური სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობაა;

$t_{ნორ.}$  - დადგენილი სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა.

სამუშაო პერიოდისა (ფორ. 5.10) და სამუშაო დღის (ფორ. 5.11) გამოყენების კოეფიციენტების მეშვეობით შესაძლებელია გამოვიყენოთ სამუშაო დროის გამოყენების ინტეგრალური მაჩვენებელი ( $K_{სდგ}$ ).

$$K_{სდგ} = K_{სა} \times K_{სდ} \times 100 \quad (5.12)$$

ამ კოეფიციენტის მეშვეობით განისაზღვრება სამუშაო დროის საერთო დანაკარგების ხვედრითი წილი, რომლის ნაწილიც არის მთელი დღიური მოცდენები და ცვლის შუალედური მოცდენები.

საწარმოებში და დარგებში, სადაც გამოიყენება მუშაობის ცვლიანი რეჟიმი, ანგარიშობენ:

ა) ცვლიანობის კოეფიციენტს განსაზღვრული ვადისათვის ( $K_{ცვ}$ ):

$$K_{ცვ(აბა)} = \frac{\text{ყველა ცვლაში მუშების საერთო რიცხოვნობა}}{\text{უმაღლეს ცვლაში მუშების რიცხოვნობა}} \quad (5.13)$$

ბ) ცვლიანობის კოეფიციენტს კალენდარული პერიოდი-სათვის, რომელიც გაიანგარიშება:

დროის ფონდები	სამუშაო დროის გამოყენება
1. კალენდარული დროის ფონდი 2. უქმე და გამოსასვლელი დღეები 3. სატაბელო დროის ფონდი (სტრ. 1-2) 4. მორიგი შვებულებანი	6. ფაქტობრივად ნამუშევარი დრო 6.1. ფაქტობრივად ნამუშევარი განაკვეთური დრო 6.2. ზეგანაკვეთური ნამუშევარი დრო 7. დრო, რომელიც არ იქნა გამოყენებული საპატიო მიზეზებით 7.1. არგამოცხადებანი ავადმყოფობის გამო 7.2. სწავლებასთან ან პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებული შვებულებები 7.3. ოჯახურ და პირად მდგომარეობასთან დაკავშირებული შვებულებები 7.4. სახელმწიფო მოვალეობების შესრულება 7.5. კანონით გათვალისწინებული სხვა არგამოცხადებანი 8. შვებულებები ადმინისტრაციის ნებართვით 9. სამუშაო დროის დანაკარგები 9.1. არგამოცხადება ადმინისტრაციის ნებართვით 9.2. გაცდენები 9.3. მთლიანი დღიური მოცდენები 9.4. ცვლის შუალედური (ცვლისშიდა) მოცდენები 10. სამუშაოს შეწყვეტა შრომითი კონფლიქტების მიზეზით
5. მაქსიმალურად შესაძლებელი სამუშაო დროის ფონდი (სტრ. 3-4)	11. სულ ნამუშევარი და სხვადასხვა მიზეზით გამოუყენებელი სამუშაო დრო (სტრ. 6+სტრ. 1+სტრ. 8+სტრ. 9+სტრ. 10) 12. მათ შორის განაკვეთური დროის ფარგლებში (სტრ. 11-სტრ. 6.2).

$$K_{\text{ფონდები}} = \frac{\text{ჯედა ცელაში გამოუმუშავებული კაც-დღეების ჯამი}}{\text{უმაღლეს ცელაში გამოუმუშავ. კაც-დღეების რიცხვი}} \quad (5.14)$$

მოვიყვანოთ მაგალითი ცვლიანობის კოეფიციენტის განსაზღვრაზე.

სანარმოში სამცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, სამუშაო დღეთა რიცხვი 22-ს შეადგენს, ხოლო სამუშაო ადგილების რიცხვი უდრის 120. აპრილის თვეში მუშების მიერ

პირველ ცვლაში გამომუშავებულ იქნა 2380 კაც-დღე, მეორე ცვლაში 1980 კაც-დღე, მესამე ცვლაში 530 კაც-დღე. ჩვენი მაგალითის მონაცემების საფუძველზე გამოვიანგარიშოთ:

1. ცვლიანობის კოეფიციენტი აპრილის თვეში:

$$K_{\text{ცვ.}} = \frac{2380 + 1580 + 530}{2380} = 1,89.$$

2. ცვლიანობის რეჟიმის გამოყენების კოეფიციენტი (სამცვლიანი რეჟიმის):

$$K_{\text{არ.გამოყენ.}} = \frac{1,89}{3} 100 = 63\%,$$

ე.ი. ცვლიანობის რეჟიმი მხოლოდ 63 პროცენტით არის გამოყენებული.

3. სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტი კალენდარულ პერიოდში:

$$K_{\text{საგამოყენ.}} = \frac{2380}{120 \times 22} 100 = 90,2\%.$$

4. სამუშაო ადგილების გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტი:

$$K_{\text{საორტკ.}} = K_{\text{არ.გამოყენ.}} \times K_{\text{საგამოყენ.}} = 0,630 \times 0,902 \times 100 = 56,8\%.$$

ამრიგად, მოცემულ საწარმოში აპრილის თვეში სამუშაო ადგილების გამოყენების მაჩვენებელი 56,8%-ს შეადგენდა.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სტატისტიკის პრაქტიკაში შეიმჩნევა სამუშაო დროის შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა, რაც აფერხებს სამუშაო დროის გამოყენების ეფექტიანობაზე სრული მაჩვენებლების მოპოვებას.

### *§ 5.5. შრომითი კონფლიქტების სტატისტიკური შესწავლა*

შრომითი კონფლიქტების სტატისტიკა, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ეფუძნება 1993 წელს შრომის სტატისტიკის საერთაშორისო კონფერენციის მიერ რეკომენდებულ საერთაშორისო სტატისტიკურ ნორმებს. სტატისტიკაში განასხვავებენ შრომითი კონფლიქტების შემდეგ სახეობებს:

1. სამუშაოების შეწყვეტის გარეშე შრომითი კონფლიქტები. ასეთ შემთხვევაში საკონფლიქტო მხარეების მიერ წამოყენებული

მოთხოვნების გადანყვეტას მოლაპარაკებით ახორციელებენ ან წარმართავენ ისეთ საქმიანობას არასამუშაო დროის მონაკვეთში, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფლიქტის მოგვარებას.

2. სამუშაოების შეწყვეტით შრომითი კონფლიქტები, რომელთა ორ სახეობას გამოყოფენ: გაფიცვები და ლოკაუტები.

გაფიცვები არის მშრომელთა ერთი ან რამდენიმე ჯგუფის მიერ სამუშაოების დროებითი შეწყვეტა თავისი მოთხოვნების შეთავაზების მიზნით, ან წინ აღუდგებიან, გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ადმინისტრაციის გადანყვეტილებაზე ან მხარი დაუჭირონ დანარჩენი მშრომელების მოთხოვნებსა და უკმაყოფილებას.

ლოკაუტი მოიცავს წარმოების გაჩერებას და ხელფასების გაცემის შეწყვეტას, რათა პროფესიული კავშირი იძულებული გახდეს დათანხმდეს დამქირავებლის (ადმინისტრაციის) მიერ შეთავაზებულ პირობებს.

სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყოფენ კონფლიქტების ორ ჯგუფს:

კონფლიქტების პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ კონფლიქტებს, რომლებიც წარმოიშვნენ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შედგენისათვის, მენარმეების წარმომადგენლებსა და მშრომელთა პროფესიულ ორგანიზაციებს შორის წარმართული მოლაპარაკების პროცესში, შემდეგი საკითხების განხილვისას:

- დასაქმებულობა (საკადრო პოლიტიკა, პერსონალის გადაადგილება, სანარმოს დახურვა, პერსონალის კვალიფიკაცია),

- ხელფასები, პრემიები და შრომის ანაზღაურების დანარჩენი საკითხები,

- შრომის პირობები (სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის ორგანიზაცია და შრომის უსაფრთხოება),

- პროფესიული კავშირების საქმიანობა.

- მშრომელთა სხვა ჯგუფებისადმი მხარდაჭერა სამუშაოს მომცემთათვის მოთხოვნების ნაყენების გარეშე,

- მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისადმი პროტესტის გამოხატვა ან პოლიტიკური მოთხოვნების ნამოყენება,

- დანარჩენი მიზეზები, რომლებმაც მოლაპარაკებანი ჩიხში მონაწყვიდეს და სხვა.

მეორე ჯგუფის კონფლიქტები წარმოშობილია არა კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შედგენისას, არამედ

შრომის ანაზღაურების პირობებით (შრომის ანაზღაურების ვადების დარღვევა, ხელფასის გადიდება, ინფლაციები).

შრომითი კონფლიქტების შესახებ ინფორმაციებს აგროვებენ ყოველთვიურად. მათი დეტალური ანალიზის საწარმოებლად მონაცემების დაჯგუფებას აწარმოებენ შემდეგი მიმართულებებით: შრომით კონფლიქტებში მონაწილეთა ჯგუფების რიცხოვნობის დადგენა, კონფლიქტების რაოდენობის გათვალისწინებით, მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფლიქტებში, სამუშაო დროის დანაკარგების რაოდენობა, ერთი გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ. ეს მაჩვენებლები მუშავდება ცალკეული დარგების, რეგიონებისა და ქვეყნის მასშტაბით.

შრომითი კონფლიქტების საერთაშორისო შედარებებისათვის რეკომენდებულია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება:

1. ყოველ 1000 მუშაკზე კონფლიქტების შედეგად სამუშაო დროის დანაკარგები:

კონფლიქტების შედეგად დაკარგული სამუშაო დრო 1000;  
მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხოვნობა

2. მშრომელთა კონფლიქტში მონაწილეთა რიცხვი ყოველ 1000 მშრომელზე:

მშრომელთა კონფლიქტში მონაწილეთა რიცხვი 1000.  
მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხოვნობა

როგორც ანალიზი უჩვენებს, ჩვენს ქვეყანაში გაფიცვებს და სხვა სახის სამუშაოს შეწყვეტის პროცესებს არა აქვთ მასშტაბური ხასიათი, ეს იმ აზრს ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით მუშაობს არასრული დასაქმების რეჟიმში, მიუხედავად ამისა, მშრომელთა მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვის მიზეზად რჩება შრომის ანაზღაურების გადახდის ვადების უხეში დარღვევები, ფასების ზრდის პირობებში შემოსავლების ინდექსების გამოუყენებლობა, ხელფასების დაბალი დონე და ა.შ.



**§ 5.6. შრომის ანაზღაურების სტატისტიკური შესწავლა  
(შრომის ანაზღაურების ფონდის შედგენილობა)**

შრომის ანაზღაურების (ხელფასის) სტატისტიკურმა შესწავლამ უნდა უზრუნველყოს მისი შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა:

- ხელფასის ფონდისა და სოციალური ხასიათის გადახდების სიდიდის განსაზღვრა,

- ხელფასის ფონდის შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზი,

- მუშაკების საშუალო ნომინალური ხელფასისა და საშუალო შემოსავლების განსაზღვრა,

- მუშაკების ხელფასისა და შემოსავლების დინამიკის შესწავლა,

- მუშაკების ცალკეული პროფესიული ჯგუფებისათვის ხელფასის სიდიდის განსაზღვრა,

- ხელფასის სიდიდის მიხედვით მუშაკების დიფერენციაციის შესწავლა.

როგორც ცნობილია, შრომის ანაზღაურება არის რეგულარულად ანაზღაურებადი გასამრჯელო გამოშვებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) მოცულობისათვის ან, გამომუშავებული დროის მიხედვით, ყოველწლიური შვებულებების, უქმე დღეებისა და სხვა არანამუშევარი დროის მიხედვით ანაზღაურების ჩართვით, რომელიც გაიცემა შრომითი კანონმდებლობისა და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. შრომის ანაზღაურების ძირითად ფორმად გვევლინება ხელფასი.

ხელფასის ფონდი მოიცავს:

1. შრომის ანაზღაურების თანხას ფულადი და ნატურალური ფორმებით, რომლებსაც აღრიცხავენ საწარმოები და ორგანიზაციები გამომუშავებული დროის საფუძველზე.

2. არანამუშევარი დროის ანაზღაურებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მასტიმულირებელი დანამატებსა და ნამატებსა წარმოების რეჟიმიდან და შრომის პირობებიდან გამომდინარე.

4. კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიდან გამომდინარე რეგულარულ გადახდებს მუშაკების საკვებზე, საცხოვრებელსა და სანვავზე.

გამომუშავებული დროის შესაბამისად შრომის ანაზღაურება მოიცავს: ხელფასს, დარიცხულს სატარიფო განაკვეთებითა და

სარგოებით, სანარდო შეფასებით, რეალიზებული პროდუქციის ამონაგებიდან პროცენტების (წილის) სახით; პროდუქციის ღირებულებას, ნატურალური გადახდის წესით გაცემულს; პრემიებსა და ჯილდოებს, რომლებიც ატარებენ რეგულარულან პერიოდულ ხასიათს, მათი გადახდის წყაროების მიუხედავად; მასტიმულირებელი გადასახადები და წამატებანი სატარიფო განაკვეთებზე და სარგოებზე პროფესიების შეთავსების, მაღალი კვალიფიციური ოსტატობისა და ა.შ. მიხედვით; საკომპენსაციო გადასახადები და წამატებანი, დაკავშირებული სამუშაოს რეჟიმისა და მავნე ან საშიშ პირობებთან, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გადახდები.

ხელფასის ფონდი გამოიანგარიშება და აღირიცხება თვის, კვარტლის და წლიური მაჩვენებლებით. ხელფასის ფონდიდან გამომდინარე გაიანგარიშება საშუალო ხელფასის სიდიდე (დონე) როგორც სანარმოებისათვის, ასევე დარგებისა და მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით.

ხელფასის ფონდის მაჩვენებლები აუცილებელია შემდეგი მაჩვენებლების ფორმირებისათვის, კერძოდ:

- სამუშაო ძალის შენახვის ხარჯების განსასაზღვრავად,
- ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შესადგენად,
- მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) განაწილებითი მეთოდით განსასაზღვრად.

ხელფასის ფონდის შესახებ მაჩვენებლები ფართოდ გამოიყენება შიდადარგობრივი ბალანსების შედგენის ეკონომეტრიკულ და სანარმოო ფუნქციების მოდელირებაში, რომელიც გამოიყენება ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზში, ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის პროგნოზირებაში.

სანარმოებში იგეგმება და აღირიცხება ხელფასის საათობრივი დღიური და თვიური ფონდები. ამ მაჩვენებელთა გამოყენებით გაიანგარიშება მუშის საშუალო ხელფასის დონე გამომუშავებული საათის, დღის და თვის მიხედვით. ანარმოებენ საათობრივი, დღიური და თვიური შრომის ნაყოფიერების დინამიკის შედარებით ანალიზს მუშების შესაბამის საშუალო ხელფასის მაჩვენებლებთან.

სოციალური ხასიათის გადასახადების ნუსხა მოიცავს ისეთ გადასახადებს, რომელსაც ახორციელებენ სანარმოები და ორგანიზაციები მუშაკებზე მკურნალობის ჩატარების, დასვენების, გადაადგილების, შრომითი მონყობის და სხვა მიზნებისათვის. სოციალური ხასიათის გადასახადები არ

შეიტანება მუშაკების ხელფასის ფონდში, მაგრამ ისინი ითვლებიან ამა თუ იმ სანარმოში დაქირავებული მუშაკების შემოსავლების ელემენტად.

ხელფასის ფონდისა და სოციალური ხასიათის გადასახადების გარდა სანარმოთა მუშაკებს შეუძლიათ მიიღონ აქციებიდან შემოსავლები და სხვ. სანარმო იხდის ანარიცხებს საპენსიო ფონდში, სოციალური დაზღვევისა და სავალდებულო სამედიცინო ფონდში, აგრეთვე დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში.

### *§ 5.7. ხელფასის დონისა და დინამიკის მაჩვენებლების ანალიზი*

როგორც ზემოთ აღინიშნა, შრომის ანაზღაურების ძირითადი ფორმა არის ხელფასი, რომლის სტატისტიკური შესწავლა საშუალებას იძლევა მოვახდინოთ შრომის ანაზღაურების დონის ანალიზი და გამოვაკლინოთ სამუშაო ძალებზე განეული დანახარჯები, რომელიც მოიცავს სამუშაო ძალის დაქირავებისა და შენახვის ხარჯებს. ინფორმაცია სამუშაო ძალის შენახვაზე წარმოადგენს აუცილებელ პირობას შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ხელფასის დონეს ახასიათებენ ერთი მუშაკის საშუალო ხელფასის მაჩვენებლით. სტატისტიკაში გაიანგარიშება სანარმოს (ორგანიზაციის) მთლიანი პერსონალისა და პერსონალის ცალკეული კატეგორიების, საშუალოთვიური და საშუალოწლიური დარიცხული ხელფასის მაჩვენებლები.

საშუალოთვიური დარიცხული ხელფასის მაჩვენებელი გაიანგარიშება დარიცხული ხელფასის ფონდის გაყოფით მუშაკების საშუალო სიობრივ რიცხოვნობაზე. ამასთან, ხელფასის ფონდიდან აუცილებელია იმ თანხების გამოკლება, რომელიც არასიობრივ შემადგენლობას დაერიცხება სანარმოში. დარიცხული ხელფასის საშუალოთვიური მაჩვენებელს ანგარიშობენ სანარმოებისა და ორგანიზაციების, დარგებისა და მთლიანი ეკონომიკის დონეზე.

1998 წელს საქართველოს ეკონომიკის დარგებში დაქირავებით დასაქმებულთა (სანარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულები) საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,4-ჯერ გაიზარდა და 66,3 ლარი შეადგინა. მათ შორის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 59 ლარს შეადგენს,

საბიუჯეტო დანესებულებებში შესაბამისად 54 ლარს, ხოლო არასახელმწიფო სექტორში - 66 ლარს.

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ხელფასის საშუალო სიდიდის მაჩვენებლები მუშაკთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით. მსოფლიოს პრაქტიკაში ასეთ სტატისტიკას 1925 წლიდან იყენებენ. შრომის სტატისტიკის პირველი საერთაშორისო კონფერენციის რეკომენდაციების შესაბამისად, ყოველწლიურად ოქტომბრის თვეში ატარებენ გამოკვლევებს ხელფასისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შესახებ, პროფესიების მიხედვით და სასურსათო საქონლის ფასებთან მიმართებაში. ამ საერთაშორისო გამოკვლევებში მსოფლიოს 160-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის საქართველოც.

შრომის ანაზღაურების, ხელფასის დონის დინამიკის ანალიზურ კვლევებს აწარმოებენ ხელფასის ინდექსების საფუძველზე. ყველაზე უფრო გამოიყენება ხელფასის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი ( $I_{\text{ფ}}$ ), რომელიც გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_{\text{ფ.შეზღ.}} = \frac{\sum X_1 T_1}{\sum T_1} \cdot \frac{\sum X_0 T_0}{\sum T_0} \text{ ანუ } \frac{\sum F_1}{\sum T_1} \cdot \frac{\sum F_0}{\sum T_0}, \quad (5.15)$$

სადაც  $X_0$  და  $X_1$  - საშუალო ხელფასია პერსონალთა კატეგორიების მიხედვით საბაზისო ( $X_0$ ) და საანგარიშო ( $X_1$ ) პერიოდებში;

$T_0$  და  $T_1$  - პერსონალის ცალკეულ კატეგორიათა საშუალო სიობრივი რიცხოვნობაა (ან პერსონალის რიცხოვნობა საწარმოებში ან დარგებში) საბაზისო ( $T_0$ ) და საანგარიშო ( $T_1$ ) პერიოდებში;

$F_0$  და  $F_1$  პერსონალის ცალკეულ კატეგორიებზე დარიცხული ხელფასის ფონდია, შესაბამისად, საბაზისო ( $F_0$ ) და საანგარიშო ( $F_1$ ) პერიოდებში.

ხელფასის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი უჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან

შედარებით ხელფასის საშუალო დონე, ერთი მხრივ, ცალკეული კატეგორიების პერსონალის საშუალო ხელფასის ცვლილებებით, და, მეორე მხრივ, მუშაკების რიცხოვნობის ხვედრითი წილის (სტრუქტურის) ცვლილებების შედეგად.

ხელფასის დონის დინამიკაში სტრუქტურული ფაქტორების გავლენის გამორიცხვისათვის სტატისტიკაში გამოიყენება ხელფასის ფიქსირებული (მუდმივი) შემადგენლობის ინდექსი ( $I_{\text{ფიქს.ზაღ.}}$ ), რომელიც გააიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_{\text{ფიქს.ზაღ.}} = \frac{\sum X_1 T_1}{\sum X_0 T_1} \text{ ანუ } \frac{\sum X_1 T_1}{\sum T_1} : \frac{\sum X_0 T_1}{\sum T_1} \quad (5.16)$$

სადაც  $X_0$  და  $X_1$ ,  $T_1$  - ფორმულა 5.15-ში მოცემული აღნიშვნების იდენტურია.

ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი უჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა ხელფასის საშუალო დონე, მხოლოდ ხელფასის დონის ცვლილების შედეგად საანგარიშო პერიოდში. სტრუქტურული ფაქტორის გავლენა შესაძლებელია განისაზღვროს სტრუქტურული ძვრების ინდექსის ( $I_{\text{სტრ.ძვრ.}}$ ) მეშვეობით:

$$I_{\text{სტრ.ძვრ.}} = I_{\text{ცვ.ზაღ.}} : I_{\text{ფიქს.ზაღ.}} \quad (5.17)$$

ეს ინდექსი ახასიათებს, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ხელფასის საშუალო დონის ცვლადობა მუშაკების (რომლებიც ხასიათდებიან ხელფასის სხვადასხვა დონით) რიცხოვნობის ხვედრითი წილის ცვლილებასთან.

შრომის ანაზღაურების (ხელფასის) დინამიკის ანალიზის წარმოებისათვის აუცილებელია გაანალიზდეს როგორც დარიცხული, ე.ი. ნომინალური ხელფასის, ასევე რეალური ხელფასის დინამიკაც.

რეალური ხელფასი განისაზღვრება ნომინალური ხელფასის გაყოფით სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების კრებსით ინდექსზე.

### *§ 5.8. სამუშაო ძალის შენახვის ხარჯების სტატისტიკა*

როგორც უკვე აღინიშნა, სამუშაო ძალის შენახვის ხარჯების შესახებ ინფორმაციების მოპოვების აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობის განვითარებამ წარმოშვა, რაც შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების წინაპირობას წარმოადგენს. ეს ხარჯები მოიცავენ როგორც მუშაკების დაქირავების, ასევე მათ შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. შენახვის ხარჯების განსაზღვრისას გამოიყენება ორი კონცეფცია: სახალხომეურნეობრივი და დარგობრივი (ან სანარმოს დონეზე).

ხარჯების სახალხომეურნეობრივი კონცეფცია მოიცავს ხარჯებს, რომლებსაც ხარჯავენ სამუშაოს მიმცემი და მქირავებელი და სახელმწიფო ორგანოები მუშაკების პროფესიული მომზადების, სოციალური პროგრამების, საპენსიო უზრუნველყოფისა და სხვათა მიზნით. ხარჯების დარგობრივი (ანუ სანარმოს დონეზე) კონცეფცია გულისხმობს ხარჯების აღრიცხვას, რომელსაც ხარჯავენ სამუშაოს მიმცემნი სამუშაო ძალის დაქირავებასა და მათ შენახვაზე. სტატისტიკის პრაქტიკაში დარგობრივი მეთოდის გამოყენებამ უფრო მეტი გავრცელება პოვა.

ხარჯები სამუშაო ძალაზე, რომელსაც გასწევს სამუშაოს მიმცემი, შესაძლებელია გაიზომოს შრომის დანახარჯების ერთეულზე გაანგარიშებით. მაგრამ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ანალიზისათვის უპირატესობას ანიჭებენ ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯების გაზომვას. ამასთან გამოყენებული უნდა იყოს პროდუქციის აღრიცხვის ნატურალური მაჩვენებლები. როცა ინარმოება მრავალი სახის პროდუქცია, მაშინ სამუშაო ძალის შენახვაზე ხარჯების გაანგარიშება პრაქტიკულად გართულებულია (მით უმეტეს დარგის დონეზე). აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში უფრო გამოიყენება სამუშაო ძალაზე ხარჯების გაანგარიშება გამომუშავებულ კაც-საათთან ან კაც-დღესთან მიმართებაში.

ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური სამსახური სახელმძღვანელოდ იყენებს საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორს, რომელიც მოიცავს სამუშაო ძალაზე დანახარჯების ელემენტთა 10 ძირითად ჯგუფს (იხ. ცხრილი 5.3), რომელიც შრომის სტატისტიკის მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენციის მიერ არის რეკომენდებული და დანერგული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტატისტიკის პრაქტიკაში.

## სამუშაო ძალაზე დანახარჯების კლასიფიკაცია

N	სამუშაო ძალაზე დანახარჯების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის მაჩვენებლები
1.	პირდაპირი ხელფასი და გასამრჯელო
2.	გადახდები (ანაზღაურება) არასამუშაო დროზე
3.	პრემიები და ჯილდოები
4.	კვება, სასმელები და სხვა სახით ნატურალური გადახდები
5.	მუშაკების საცხოვრებელი ფართის (ბინის) ხარჯები, რომელსაც იხდის სამუშაოს მიმცემი
6.	სამუშაოს მიმცემის დანახარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე
7.	დანახარჯები პროფესიულ მომზადებაზე
8.	დანახარჯები სოციალურ მომსახურებაზე
9.	სხვა დანახარჯები სამუშაო ძალაზე
10.	გადასახადები, რომლებიც განიხილება როგორც ხარჯები სამუშაო ძალის შენახვაზე

სამუშაო ძალაზე დანახარჯების შესახებ მონაცემები გამოიყენება ერთ კაც-საათზე ან ერთ მუშაკზე. დანახარჯების საშუალო მაჩვენებლების გამოსაანგარიშებლად დიდ ინტერესს იწვევს დანახარჯების სტრუქტურის ანალიზი სანარმოების (სხვადასხვა საკუთრების ფორმების), რეგიონების, ეკონომიკის დარგების და მთლიანი ეკონომიკის მიხედვით. სამუშაო ძალაზე დანახარჯების დონე და დინამიკა არის მენარმეებსა და მშრომელებს შორის შრომის სახელშეკრულებო შეთანხმების ცენტრალური საკითხი. დანახარჯების შესახებ მაჩვენებლები გამოიყენებას პოულობენ ასევე შრომის საკითხების საერთაშორისო შედარებებში.

## საკონტროლო კითხვები

1. ვის გულისხმობენ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში?
2. განმარტეთ მოსახლეობის არააქტიური ნაწილის მახასიათებლები.
3. დაახასიათეთ შრომითი რესურსების ბალანსი და განსაზღვრეთ შრომითი რესურსების გამოყენების ძირითადი მიმართულებანი.

4. დაახასიათეთ სამუშაო ძალის მოძრაობის ინტენსივობის ძირითადი მაჩვენებლები და მოიყვანეთ შეფარდებითი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) გაანგარიშების ფორმულები.

5. განმარტეთ სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტების მნიშვნელობა.

6. დაასახელეთ შრომითი კონფლიქტების სახეები.

7. შრომის ანაზღაურების სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების დაახასიათება.

8. ხელფასის (შრომის ანაზღაურების თანხის) ფონდის სტრუქტურა და მის მაჩვენებელთა ფორმირების წესების დაახასიათება.

9. დაახასიათეთ ხელფასის ინდექსები:

ა) ხელფასის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი,

ბ) ხელფასის ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი,

გ) სტრუქტურული ძვრების ინდექსი.

10. ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ნომინალური (დარიცხული) ხელფასისა და რეალური ხელფასების დინამიკა?

11. დაასახელეთ სამუშაო ძალაზე დანახარჯების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის ელემენტთა ჯგუფები.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. საქართველოს შრომის კოდექსი, თბ., 1999.

2. ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თბ., 1998.

3. ტ. სართანია, საერთაშორისო სტატისტიკა, თბ., 1995.

4. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის წელიწადული, თავი VI, 1999.

5. Современные международные рекомендации по статистике, М., Финстатинформ, 1994.

6. Интегрированная система статистики заработной платы, Метод. руководство МБП (Международное Бюро Труда), М., Финстатинформ, 1994.



## თემა 6. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა

### § 6. 1. მოსახლეობის ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებლები

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს „მოსახლეობის ცხოვრების დონის“ ერთმნიშვნელოვანი განმარტება, ამასთან დაკავშირებით სადისკუსიოა საკითხი, თუ რომელი მაჩვენებლების გამოყენებაა მიზანშეწონილი მოსახლეობის ცხოვრების დონის ადეკვატური სტატისტიკური ასახვისათვის. ანალიზის სანარმოებლად გაიანგარიშება მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც შემდეგ ძირითად ბლოკებშია დაჯგუფებული:

- მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლები;
- მოსახლეობის გასავლების, მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მაჩვენებლები;
- დანაზოგები;
- დაგროვებული ქონების მაჩვენებლები და მოსახლეობის ბი-ნებით უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის, სიღარიბის დონისა და საზღვრების მაჩვენებლები;
- სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის შემაჯამებელი მაჩვენებლები.

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფასებლად ზემოთ მოყვანილი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ძირითადი მახასიათებლების (შემოსავალი, მოხმარება) გამოყენება ვერ უზრუნველყოფს შესწავლილი მოვლენების შესახებ სრულ ნარმოდგენას. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ნრეებში მიმდინარეობს დისკუსიები ერთიანი შემაჯამებელი მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, რომელთა შექმნას მრავალი მეცნიერი სკეპტიციზმით უყურებს. ბუნებრივია, ეს არის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის კეთილდღეობის განზოგადებული მაჩვენებლების ფორმირებასა და პრაქტიკაში დამკვიდრებას.

რამდენიმე წლის წინათ, გაეროს განვითარების პროგრამაში (1995 წ.) მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთიანი აგრეგატიული მაჩვენებლის გაანგარიშების ნიმუშის სახით შემოთავაზებულ იქნა ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსი (აპგი), რომელიც შეადგენს კრებსით ინდექსს და მოიცავს 3 ძირითად მაჩ-

ვენებელს, რომლებიც ასახავენ ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ასპექტებს:

1) ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი;

2) განათლებულობის მიღწეული დონის მაჩვენებელი;

3) ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) რეალური მოცულობის (დოლარებში, მყიდველუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე) მაჩვენებელი.

ქვემოთ განვიხილავთ ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსის (აპგი) შემადგენელი თითოეული ინდექსის გაანგარიშების ფორმულებს. თითოეული მაჩვენებლის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_i = \frac{X_i - X_{\text{ინ.}}}{X_{\text{მაქს.}} - X_{\text{ინ.}}} \quad (6.1)$$

სადაც  $X_i$  —  $i$  არის მაჩვენებლის ფაქტობრივი მნიშვნელობა.

$X_{\text{ინ.}}$  და  $X_{\text{მაქს.}}$  — შესაბამისად  $i$  - მაჩვენებლის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები.

კერძოდ:

1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის ინდექსის გამოსაანგარიშებლად, სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალურ მაჩვენებლად აიღება 25 წელი, ხოლო მაქსიმალურ მაჩვენებლად — 85 წელი. მაშინ „სიცოცხლის“ ინდექსს შემდეგი ფორმულის გამოყენებით გაიანგარიშებენ:

$$I_1 = \frac{X_1 - 25}{85 - 25}. \quad (6.2)$$

2. განათლებულობის მიღწეული დონის ინდექსი განისაზღვრება როგორც ორი სუბ-ინდექსის შეწონილი საშუალო არითმეტიკული: 1) სრულასაკოვან მოსახლეობაში განათლებულობის ინდექსი ( $i_{21}$ )  $2/3$  წილით და 2) მოსწავლეთა ერთობლივი წილის (დანყებით, საშუალო, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში) ინდექსი ( $i_{22}$ )  $1/3$  წილით, კერძოდ,

$$I_2 = i_{21} \frac{2}{3} + i_{22} \frac{1}{3}. \quad (6.3)$$

„ცოდნის“ ინდექსის გამოსაანგარიშებლად სრულასაკოვან მოსახლეობაში (15 წლისა და მეტი)  $X_{\text{ინფ}}$ . მნიშვნელობად აიღება „0“,  $X_{\text{მაქს}} = 100\%$ .

მოსწავლეთა ერთობლივი წილის ინდექსი გაიანგარიშება 24 წელზე ნაკლები პირებისათვის, ხოლო წილის საზღვრითი მნიშვნელობა აიღება როგორც „ცოდნის“ ინდექსის გაანგარიშებისას (ე.ი. 0 და 100%).

3. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რეალური მოცულობა გაიანგარიშება დოლარებში მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (მშპ), რომლის კორექტირებაც ხდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ფაქტობრივი შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე მეტია, ვიდრე საწყისი მაჩვენებელი, რომელიც მსოფლიოში აღიარებულია როგორც საშუალოსულადობრივი მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი 1992 წელს შეადგენდა 5210 დოლარს, (ე.ი.  $X_3 = 5120$  დოლარი არის მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რეალური მოცულობა. თუ მოცემულ ქვეყანაში ფაქტობრივი შემოსავალი ( $X'_3$ ) მეტია მის საწყის დონეზე ( $X_3$ ), ე.ი. თუ

$X_3 > X'_3$ , მაშინ გადამატების დისკონტირებას აწარმოებენ შესაბამისი ფორმულების გამოყენებით (3; 155). გაანგარიშებაში გამოყენებულია მონაცემები, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის მოხსენებაში „აღამიანის განვითარების შესახებ 1995 წელს“ (ქ. ნიუ-იორკი, ოქსფორდი, 1995).

კერძოდ, თუ  $X_3 \leq X'_3$ , მაშინ რეალური მშპ-ს მოცულობის ინდექსის გაანგარიშებისას აიღება ამ მაჩვენებელთა ფაქტობრივი მნიშვნელობა. მშპ-ს რეალური მოცულობის მინიმალურ მაჩვენებლად ერთ სულ მოსახლეზე აიღება 100 დოლარის მყიდველობითუნარიანი პარიტეტი (მშპ), ხოლო მაქსიმალური დისკონტირებული მნიშვნელობა აიღება 5448 დოლარის მყიდველობითუნარიანი პარიტეტი.

მაშასადამე, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის რეალური მოცულობის ინდექსი გამოიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლით, კერძოდ:

ა) როცა  $X_3 \leq 5120$  დოლარზე, მაშინ

$$I_3 = \frac{X_3 - 100}{5448 - 100} \quad (6.4)$$

ბ) როცა  $X_3 > 5120$  დოლარზე, მაშინ

$$I_3 = \frac{X'_3 - 100}{5448 - 100} \quad (6.5)$$

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსი (აპგი) შეადგენს

$$I_{\text{აპგი}} = \frac{I_1 + I_2 + I_3}{3} \quad (6.6)$$

ადამიანის პოტენციური განვითარების მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია მუდმივ სრულყოფას განიცდის. მასში ჯერ კიდევ ბევრი სადისკუსიო საკითხია.

### *§ 6.2. საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების მაჩვენებლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (ეას)*

ქვეყნის სტატისტიკის პრაქტიკაში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვამ, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიწვია მაჩვენებელთა გაანგარიშების კონცეპტუალური საფუძვლების შეცვლა. ანგარიშთა სისტემაში ჯ. ხიკსის კონცეფციის შესაბამისად, საოჯახო მეურნეობების შემოსავლები გამოიანგარიშება მათი განანილების სხვადასხვა ეტაპის შემდეგი მიმართულებებით:

- ა) პირველადი შემოსავლები (პშ),
- ბ) პირადი, ხელთ არსებული შემოსავლები (პხშ),
- გ) კორექტირებული პირადი შემოსავლები (კპხშ).

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას აუცილებელია მხოლოდ პირველადი შემოსავლების გათვლა, რომლებიც მიიღეს ქვეყნის რეზიდენტებმა. საბაზრო ფასების განსაზღვრული პერიოდის მანძილზე პირველადი შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებელი შეადგენს ეროვნულ შემოსავალს.

პირველადი შემოსავლები — ეს არის ეკონომიკის საოჯახო მეურნეობების სექტორის შემოსავლები, რომლებსაც იღებენ ისინი დამატებული ღირებულების პირველადი განანილების შედეგად და მოიცავს: პრომის ანაზღაურებას, შერეულ შემოსავლებს, საკუთრებიდან წმინდა შემოსავლებს, მოგებას და ასევე მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს საბინაო მომსახურებიდან.

ყველა პირველადი შემოსავალი საოჯახო მეურნეობებმა შეუძლებელია უშუალოდ გამოიყენონ მოხმარებისა ან დაზოგვისათვის. მათი ნაწილი – მიმდინარე გადასახადების (შემოსავალზე, საკუთრებაზე), აუცილებელი სოციალური დაზღვევის ანარიცხების, ქველმოქმედების, ჯარიმების, ნებაყოფლობითი შენატანების და ა.შ. გადაეცემა ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორს, მეორე მხრივ, ადგილი აქვს შემხვედრ ნაკადს სხვა სექტორებიდან, რომლებიც მიემართება ოჯახურ მეურნეობებში მიმდინარე ტრანსფერტების (მტ) სახით, მათ მიეკუთვნება: პენსიები, სტიპენდიები, დახმარებანი, სადაზღვევო პრემიები და ანაზღაურება და ა.შ.

ამრიგად, საოჯახო მეურნეობების (პირადი, ხელთ არსებული) შემოსავლები განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$პხშ = პშ + \Delta მტ, \quad (6.7)$$

სადაც პშ — პირველადი შემოსავლებია,

$\Delta მტ$  — მიმდინარე ტრანსფერტების სალდო.

პირადი, ხელთ არსებული შემოსავლებიდან საოჯახო მეურნეობები აწარმოებენ საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯებს, ხოლო მათ შორის სხვაობა (შემოსავალი — საბოლოო მოხმარება) წარმოშობს მოცემული სექტორის დანაზოგების თანხას.

როგორც ცნობილია, საოჯახო მეურნეობებს ტრანსფერტები შესაძლებელია გადაეცეს არა მარტო ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით, ე.წ. სოციალური ტრანსფერტების (სტ) სახით (უფასო ჯანდაცვის ორგანიზაციების მომსახურების, განათლების, კულტურისა და ა.შ.) პირადი, ხელთ არსებულ შემოსავლებს (პხშ) თუ დავუმატებთ სოციალური ტრანსპერტების (სტ) სახით მიღებულ შემოსავლებს, მაშინ მივიღებთ ოჯახური მეურნეობების კორექტირებულ პირად, ხელთ არსებულ შემოსავლებს (კპხშ).

$$კპხშ = პხშ + სტ \quad (6.8)$$

საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში საოჯახო მეურნეობების შემოსავლების მაჩვენებლების ზემოთ მოყვანილი ინსტრუმენტარიები გამოიყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის დინამიკის ანალიზის წარმოების პროცესში. ამასთანავე, გამოიანგარიშება არა მარტო რეალური შემოსავლების აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი მაჩვენებლები. კერძოდ, პირადი, ხელთ არსებული რეალური შემოსავლების ინდექსი, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$I_{პხშ} = I_{პშ} : I_{საბოლოო ფასების}, \quad \text{სადაც}$$

$I_{საბოლოო ფასების}$  სამომხმარებლო ფასების ინდექსს წარმოადგენს.

ფასების ცვალებადობა არსებით ზეგავლენას ახდენს საქონელი-სა და მომსახურების იმ მოცულობაზე, რომელსაც მოსახლეობა მიღებული შემოსავლების ხარჯზე შეიძენს.

### § 6.3. მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური მაჩვენებლები

როგორც საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციების შეფასება მონშობს, მოსახლეობის რეალური შემოსავლების ცვალებადობას განაპირობებენ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

ა) ნომინალური შემოსავლების ზრდის ტემპები,  
 ბ) საშემოსავლო და სხვა გადასახადების განაკვეთების სიდიდის ცვალებადობა,

გ) ფულის მყიდველობითი უნარიანობის ცვალებადობა.

სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისად, ქვეყანაში ანარმოებენ ფასებისა და მომსახურების ტარიფებზე ინფორმაციების მოპოვებას, ინფლაციის მაჩვენებლების დადგენას და სამომხმარებლო ფასების ინდექსების გაანგარიშებას. მაგალითად, საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტულმა ცვლილებამ სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 1998 წელს (დეკემბრის თვე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან (1997 წ. დეკემბერთან) 10,7% შეადგინა. ქვემოთ მოტანილია სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ინფლაციის დონეები წლების მიხედვით (იხ. ცხრ. 6.1).

*ცხრილი 6.1*

სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ინფლაციის დონეთა დინამიკა საქართველოში 1995-1998წწ.

წლები	სამომხმარებლო ფასების ინდექსი		ინფლაცია
	საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	დეკემბერი წინა წლის დეკემ- ბერთან	
1995	262,7	157,4	57,4
1996	139,4	113,8	13,8
1997	107,1	107,3	7,3
1998	103,6	110,7	10,7

როგორც (ცხრილი 6.1) ანალიზი მონშობს, 1998 წელს ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 10,7 პროცენტი შეადგინა (რაც საპროგნოზო შეფასებაზე მაღალი აღმოჩნდა) და ლარის კურსის

მკვეთრმა დეველვაციამ (ნლის ბოლოს) გამოიწვია ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით იმპორტირებულ საქონელზე. სასაქონლო ჯგუფებიდან ფასების ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ზეთსა და ცხიმზე (36,1 პროცენტით), თამბაქოს ნაწარმზე (31,7 პროცენტით).

სამომხმარებლო ფასების საერთო ინდექსი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_p = \frac{\sum q_o p_o i_p}{\sum q_o p_o} \quad (6.9)$$

სადაც:  $q_o p_o$  საბაზისო პერიოდის მოხმარებული საქონლის ღირებულებას წარმოადგენს ( $q$  — საქონლის რაოდენობა,  $p$  — ფასი).

$i_p$  — საქონლის (მომსახურების) ფასის ინდივიდუალური ინდექსია.

სამომხმარებლო ფასების საერთო ინდექსი, რომელსაც ასევე ცხოვრების ღირებულების (დონის, ფასის) ინდექსს უწოდებენ, უჩვენებს, თუ მოხმარების დონის შენარჩუნების პირობებში მოსახლეობა რამდენად მეტ სახსრებს ხარჯავს კვების პროდუქტების, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე (სამომხმარებლო ხარჯებზე) მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით.

საქართველოში სამომხმარებლო ფასებზე არსებული დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, 1998 წლის დეკემბერში ქვეყანაში ქალაქების გასაშუალოებული ფასების მიხედვით საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 104,8 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისთვის — 92,0 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახისათვის 182,4 ლარი.

ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა (ოთხსულიანი ოჯახისათვის) ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის 1998 წლის დეკემბერში შეადგინა 45,6 ლარი, საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ნორმატიული მინიმალური ხელფასის 39,5 პროცენტი.

შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის, 1997-1998 წლების დინამიკის ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ ორივე წლის განმავლობაში ძირითადად ერთნაირია დინამიკის ტენდენცია, თუმცა 1998 წელს საარსებო მინიმუმის სიდიდე უფრო დაბალი და სტაბილური იყო, ვიდრე 1997 წელს.

ქვემოთ მოტანილია დაქირავებული შრომით დასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავლების დინამიკა 1996 წლის მესამე კვარტლიდან 1998 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით დასაქმების სექტორების მიხედვით (იხ. ცხრილი 6.2). აქვე მოგვყავს ქვეყანაში სულ დასაქმებულთა რიცხოვნობა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახით. კერძოდ, დასაქმებულთა რიცხოვნობას ძირითადი და არაძირითადი საქმიანობის მიხედვით შეადგენდა 1997 წელს — 427452 კაცს, 1998 წელს — 434231 კაცს. მათ შორის დასაქმებულები ძირითადი საქმიანობის მიხედვით შესაბამისად 412472, 418119 კაცს შეადგენდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1998 წლის მესამე კვარტალში 15 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის 67,2 პროცენტი (3145,8 ათასი კაცი) ეკონომიკურად აქტიური იყო. აქედან 1886,5 ათასი კაცი (ანუ 88%) დასაქმებული იყო. უმუშევრობის დონე 12 პროცენტს შეადგენდა.

დაქირავებული შრომით დასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი დასაქმების სექტორების მიხედვით (ლარი)

ცხრილი 6.2

	1996 წ.		1997 წ.				1998 წ.		
	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.
1. სახელმწიფო საკუთრების სანარმოები უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე	33,1	45,8	42,4	43,4	49,5	57,2	63,7	65,9	69,7
2. საბიუჯეტო ორგანიზაციები ან დანესებულებები	26,7	25,9	29,2	35,0	38,3	44,8	46,7	44,6	43,4
3. არასახელმწიფო საკუთრების სანარმოები (უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე)	50,9	59,3	59,5	65,1	72,6	71,4	75,5	93,5	84,1
4. უცხოური ან ერთობლივი სანარმოები ან ორგანიზაციები	73,8	96,9	84,4	167,2	249,7	166,1	148,1	203,0	195,4
5. სხვა სექტორები	64,6	77,2	59,9	62,4	46,6	89,7	65,4	65,0	53,0
6. სულ	35,3	40,5	40,3	45,7	50,3	56	59,4	63,8	62,9

როგორც ცხრილის 6.2 ანალიზი მონშობს, დაქირავებული შრომით დასაქმებულთა შემოსავალი სტაბილურად ზრდადი იყო როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. ზრდის შედარებით უფრო მაღალი ტემპები კერძო სექტორში აღინიშნებოდა.



*§ 6.4. მოსახლეობის გასაველების და მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების სტატისტიკური შესწავლა*

ოჯახური მეურნეობების შემოსავლების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მათი სამომხმარებლო ხარჯების პოტენციური თანხა. ამასთანავე ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მკაფიოდ არის გამოიჯნული განსხვავება საბოლოო მოხმარების ხარჯებსა და საბოლოო ფაქტობრივი მოხმარების მოცულობებს შორის.

ოჯახური მეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავენ:

— სამომხმარებლო საქონელთა (ბინებისა და სახლების გარდა) შესყიდვის ხარჯები სახელმწიფო, კოოპერაციული ვაჭრობის ობიექტებზე, საქალაქო ბაზრობებზე და არაორგანიზებულ ვაჭრობაში;

— სამომხმარებლო მომსახურების ანაზღაურების ხარჯები;

— ნატურალური ფორმით პროდუქტების მიღება, რომელიც წარმოებულ იქნა ოჯახურ მეურნეობებში საკუთარი საბოლოო მოხმარების მიზნით;

— პროდუქტების მოხმარება, რომლებიც მიიღეს ოჯახურმა მეურნეობებმა შრომის ანაზღაურების საფასურად ნატურალური ფორმით.

თანამედროვე სტატისტიკის პრაქტიკაში ოჯახური მეურნეობების მიერ სამომხმარებლო საქონლის შექმნაზე დანახარჯების შესახებ ინფორმაციებს მოიპოვებენ შემდეგი წყაროებიდან: შერჩევითი საბიუჯეტო გამოკვლევები, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და გასაველების ბალანსი, ვაჭრობის სტატისტიკა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის სიღრმისეული ანალიზისათვის აწარმოებენ ოჯახური მეურნეობების საბიუჯეტო შერჩევით გამოკვლევებს, რომლებიც ითვლებიან მოსახლეობის შემოსავლებისა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციების მნიშვნელოვან წყაროდ. მიღებული ინფორმაციების საფუძველზე დგინდება მოსახლეობის სამომხმარებლო ქმედებანი, გამოვლინდება ურთიერთკავშირი მოხმარების, შემოსავლებისა და ფასების დონეებს შორის.

შემოსავლების ან ფასების და ცალკეულ საქონელთა მოხმარების დინამიკებს შორის დამოკიდებულება რაოდენობრივი შეფასებისათვის გაიანგარიშება ელასტიკურობის კოეფიციენტები, რომლებიც უჩვენებენ, თუ რამდენად იცვლება მოხმარების დონე საშუალოდ სულადობრივი შემოსავლების 1%-ით ცვლილე-

ბის პირობებში. ელასტიკურობის კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ფორმულაა:

$$K_{\text{კ}} = \frac{\Delta Y}{Y_0} : \frac{\Delta X}{X_0}, \quad (6.10)$$

სადაც  $Y_0$  და  $Y_1$  მოხმარების დონეებია, შესაბამისად საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში,

$\Delta Y = Y_1 - Y_0$  — არის მოხმარების დონის ცვალებადობის მაჩვენებელი.

$X_0$  და  $X_1$  — საშუალო სულადობრივი შემოსავალი (ან საქონლის ფასი) შესაბამისად საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში,  $\Delta X = X_1 - X_0$  კი საშუალოსულადობრივი შემოსავლის (საქონლის ფასის) ცვალებადობის მაჩვენებელია.

შერჩევითი დაკვირვების შედეგად, როგორც უკვე აღინიშნა, გამოავლენენ დანახარჯების სტრუქტურას, რომელსაც ყოფენ ორ ჯგუფად: სამომხმარებლო ხარჯები და ხარჯები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მოხმარებასთან. ხარჯების სტრუქტურა მათი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

1. კვების პროდუქტების შექმნა და ცალკე, საზოგადოებრივ კვებაზე დანახარჯები.
2. არასასურსათო საქონლის შექმნა, მათ შორის:
  - ა) ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი, ქსოვილები;
  - ბ) ხანგრძლივი გამოყენების საგნები;
  - გ) ჰიგიენის საშუალებები, მედიკამენტები, საშენი მასალები და ა.შ.
3. მომსახურების ანაზღაურებაზე განეული ფულადი დანახარჯები.
4. დანარჩენი ხარჯები.
5. დაგროვება (ბანკების ანგარიშებში, ფასიანი ქაღალდების შექმნა, უცხოური ვალუტა და ა.შ.).
6. ხელზე ფულის ნაშთი.

ამრიგად, მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახების ბიუჯეტების გამოკვლევას, რასაც სტატისტიკური ორგანოები ანარმობენ შერჩევითი კვლევების გზით. შემოსავლებისა და გასავლების ურთიერთშედარება, დინამიკა და სხვა მაჩვენებლები ახასიათებს ცხოვრე-

ბის დონესა და მის განვითარებას მთელი ქვეყნის, სოციალური ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით, აგრეთვე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

*§ 6.5. მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შესწავლის მეთოდი. სიღარიბის დონე და საზღვარი*

როგორც ცნობილია, მოხმარება საზოგადოებრივი კვლავნარ-მოების საბოლოო სტადიაა, რომელიც გულისხმობს მატერიალური დოვლათის გამოყენებას ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მოთხოვნილება სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის ობიექტურად საჭირო მატერიალური დოვლათისა და მომსახურების, აგრეთვე სოციალური პირობების ერთობლიობას.

მოხმარების დასახასიათებლად გამოიყენება როგორც საერთო მოხმარების აბსოლუტური მოცულობა, ისე საშუალოსულადობრივი მოხმარებაც. ისინი გამოითვლება ზომის ნატურალური, პირობით-ნატურალურ და ფულად ერთეულებში. მოხმარება განსხვავებულია ასაკის, ეროვნების, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, შემოსავლებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. მოხმარების დინამიკას ახასიათებენ ინდივიდუალური და აგრეგატული ინდექსების გამოყენებით. კერძოდ, საშუალოსულადობრივი მოხმარების ინდექსი აიგება შემდეგნაირად:

$$I_{\text{საშუალო}} = \frac{\sum q_o p_o i_p}{\sum q_u p_u} : \frac{\bar{S}_1}{\bar{S}_0} \quad \text{ანუ} \quad I_q : I_{\bar{S}} \quad (6.11)$$

სადაც  $I_q$  — მოხმარების ფიზიკური მოცულობის ინდექსია

$q$  — პროდუქციის ფიზიკური რაოდენობა,  $p$  — ფასი),

$I_{\bar{S}}$  — მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობის ინდექ-

სია ( $\bar{S}_1$  და  $\bar{S}_0$  შესაბამისად ააანგარიშო და საბაზისო პერიოდებში მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობას უჩვენებენ).

მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების როგორც მოცულობას, ასევე მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს.

მოსახლეობის დაყოფა საშუალო რაოდენობრივი ფულადი შემოსავლების დონის მიხედვით გაძნელებულია, რამეთუ არ არსებ-

ბობს შემოსავლების სრული სტატისტიკური აღრიცხვა ოჯახური მეურნეობების მიხედვით, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კეთილდღეობის შეფასებას.

მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციას ანარმოებენ იმიტაციური მოდულების მეშვეობით. მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დაყოფის დასახასიათებლად გამოიანგარიშება რიგი მაჩვენებლები, კერძოდ:

1) მოდალური შემოსავალი, ანუ შემოსავლის დონე, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება მოსახლეობის ფენებში;

2) მედიანური შემოსავალი, ანუ შემოსავლის მაჩვენებელი, რომელიც იმყოფება განაწილების რანჟირებული რიგის შუაში. მოსახლეობის ნახევარს შემოსავალი აქვს მედიანურზე დაბალი, ხოლო მეორე ნახევარს – მედიანურზე მაღალი;

3) მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი  $K$  დეც, განხილული ჩვენ მიერ მეხუთე თავში, ფორმულა 5.18;

4) ფონდების კოეფიციენტი ( $K_{\Phi}$ ), ჩვენ მიერ განხილული მეხუთე თავში, ფორმულა 5.19;

5) შემოსავლების კონცენტრაციის ჯინის კოეფიციენტი ( $K_L$ ), რომელიც ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უტოლობის ხარისხს და რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$K_L = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i+1} q_i, \quad (6.12)$$


სადაც  $P_i$  — იმ მოსახლეობის წილია, რომელსაც არა აქვს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე მისი მაქსიმალური დონეა  $i$ -ურ ჯგუფში.

$q_i$  ჯგუფის შემოსავლების წილი მოსახლეობის საერთო შემოსავლების თანხაში, რომელიც იანგარიშება ნაზარდი ჯამით, ანალოგიურად,  $P_i$  მხოლოდ ფულადი შემოსავლის მაჩვენებელია. ჯინის კოეფიციენტი იცვლება 0-დან 1-ის საზღვრებში. ამასთანავე, რაც უფრო უახლოვდება მისი მაჩვენებელი 1-ს, მით უფრო შემოსავლები კონცენტრირებულია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ხელში.

გრაფიკზე (იხ. ნახ. 6.1) გამოხატულია შემოსავლების არათანაბარი განაწილების ხარისხი, ე.წ. ლორენცის მრუდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჯინის კოეფიციენტის გამოთვლა.

$$K_i = \frac{S_1}{S_1 + S_2} = \frac{S_1}{\frac{1}{2}} = 2S_1 = 1 - 2S_2 \quad (6.13)$$

ამ ფორმულის მეშვეობით გაიანგარიშება ე.წ. ჯინის კოეფიციენტი, როგორც თანაბარი და ფაქტიური განაწილების ხაზებს შორის ფართობის შეფარდება,  $S_1$  და  $S_2$  ფართობების ჯამთან, რომელიც  $\frac{1}{2}$ -ის ტოლია.



ნახ. 6.1. ლორენცის მრუდი

მოსახლეობის დიფერენციაციის საშუალოსულადობრივი შემოსავლების მონაცემთა საფუძველზე განისაზღვრება იმ მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებსაც გააჩნიათ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლები.

ქვეყანაში სიღარიბის დონის დინამიკის ანალიზისათვის გაიანგარიშება ორი მაჩვენებელი:

1. სიღარიბის სიღრმის ინდექსი 
$$I_1 = \frac{1}{N} \sum_{i=1}^n \frac{(C_{ა.წ.} - D_i)}{C_{ა.წ.}}, \quad (6.14)$$

2. სიღარიბის სიმწვავის ინდექსი 
$$I_2 = \frac{1}{N} \sum_{i=1}^n \frac{(C_{ა.წ.} - D_i)^2}{C_{ა.წ.}} \quad (6.15)$$

სადაც  $N$  გამოსაკვლევი ოჯახური მეურნეობების საერთო რიცხოვნობაა,

$n$  — ოჯახური მეურნეობების რიცხოვნობა, რომელთა შემოსავლები საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებია,

$i$  — მათი რიგითობის ნომერი,

$D_i$  — სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით გათვლილი  $i$ -ური ოჯახური მეურნეობების საცხოვრებელ

ლი მინიმუმის საშუალოსულადობრივი სიდიდე.

См. оჯახური მეურნეობების საშუალოსულადობრივი შემოსავალი, რომლებსაც გააჩნიათ საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ დიფერენციაციას, არცთუ იშვიათად, წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებენ, მაგრამ მათი გამოყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემაში თავის აქტუალობას არ კარგავს, რის გამოც მათი გამოთვლის მეთოდოლოგია შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

### *საკონტროლო კითხვები*

1. დაასახელეთ მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები და ახსენით მათ შორის ურთიერთკავშირი.

2. რას წარმოადგენს ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსი?

3. ახსენით მოსახლეობის შემოსავლების დონის მიხედვით დანაწილების ძირითადი მაჩვენებლებისა და მეთოდების შინაარსი.

4. დაასახელეთ ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება ცხოვრების დონის ანალიზისათვის და ახსენით მათი შინაარსი.

5. რა ნაკლოვანებებით ხასიათდება მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ცხოვრების დონის ანალიზის თვალსაზრისით.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკა. თბ., 1998.

2. ტ. სართანია, საერთაშორისო სტატისტიკა. თბ., 1995.

3. გაეროს განვითარების პროგრამა — „მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ 1995 წელს“, ქ. ნიუ-იორკი, ოქსფორდი, 1995.

4. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი, წელიწდეული. თბ., 1999 წ.

5. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.И. Иванова), М., Информ, 1998.

### თავი III. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტატისტიკური ანალიზი

#### თემა 7. ქვეყნის განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის (შეფასების) მეთოდოლოგიური საფუძვლები


##### §7.1. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზოგადი მახასიათებლები

როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად გვევლინება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები (განხილულია მესამე თემაში). ეკონომისტთა დიდი ნაწილისათვის განსხვავება ერთობლივ ეროვნულ პროდუქტსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის მცირეა. ერთობრივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ), როგორც ცნობილია, განისაზღვრება, დროის გარკვეულ პერიოდში წარმოების ფაქტორების მფლობელ მოცემული ქვეყნის მოქალაქეების მიერ წარმოებული ყველა საქონლისა და განეული მომსახურების საბაზრო ღირებულებით. ეეპ-ის ნაწილი იწარმოება საზღვარგარეთ. ამრიგად, ეეპ ზომავს პროდუქტის ღირებულებას, რომელიც მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში იმყოფება. მაგალითად, თუ შემოსავალი მიღებულია აშშ-ში მომუშავე საქართველოს მოქალაქის მიერ, იგი ითვლება საქართველოს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ნაწილად, რამეთუ იგი წარმოებულია საქართველოს მოქალაქის საკუთრებაში მყოფი წარმოების ფაქტორების მეშვეობით.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი არის გამოშვებული საქონლისა და განეული მომსახურების მთლიანი ღირებულება, რაც წარმოებულია მოცემულ ქვეყანაში წარმოების ყველა ფაქტორით, მიუხედავად იმისა, ვინ ფლობს მათ. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ზომავს ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის საბოლოო შედეგებს, მათ მიერ წარმოებულ საქონლის (მომსახურების) ღირებულებას, რომელიც მიმართულია საბოლოო მოხმარებისათვის.

მთლიანი შიდა პროდუქტი ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაში მიღებულ ერთობლივ შემოსავლებზე, ანუ ეროვნულ შემოსავალზე. ეროვნული შემოსავალი ეკონომიკაში იზომება როგორც ნაყიდ საქონელზე გადასახდელების ჯამი, რომელსაც იღებენ წარმოების ფაქტორთა (შრომის, კაპიტალისა და მიწის) მფლობელები.

ქვემოთ მოყვანილ სქემაში ნაჩვენებია (ნახ. 7.1) პროდუქციის გამოშვებასა და შემოსავლებს შორის ურთიერთკავშირი.



ნახ. 7.1. მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლების ურთიერთკავშირის სქემა

### § 7.2. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები

მსოფლიო პრაქტიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სამ მეთოდს გამოიყენებენ:

1. საწარმოო მეთოდი, ანუ მშპ გაიანგარიშება როგორც დამატებული ღირებულებების მთლიანი ჯამი.
2. საბოლოო მოხმარების, ანუ მშპ გაიანგარიშება როგორც საბოლოო მოხმარების კომპონენტების ჯამი.
3. განხილვითი მეთოდი, ანუ მშპ გაიანგარიშება როგორც პირველადი შემოსავლების ჯამი.

ქვემოთ განხილულია მშპ-ის გაანგარიშების მეთოდები.

1. მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც საერთო დამატებულ ღირებულებათა ჯამი (საწარმოო მეთოდის გამოყენება)

მთლიანი დამატებული ღირებულება არის სხვაობა წარმოებული საქონლისა და განეული მომსახურების ღირებულებათა



ჯამისა (გამოშვებისა) და წარმოების პროცესში სრულად გამოყენებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ჯამს (შუალედურ მოხმარებას) შორის.

გამოშვებული პროდუქცია არის მოცემულ პერიოდში ეკონომიკური ერთეულების — რეზიდენტების მიერ წარმოებული და მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში წარმოების საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1) ყველა საქონელს, მათი გამოყენების მიმართულების მიუხედავად;

2) სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის განეულ მომსახურებას, კერძოდ, სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისა და არაკომერციული ორგანიზაციებისადმი განეული არასაბაზრო მომსახურება;

3) საოჯახო მეურნეობათა მომსახურებას საკუთარ ბინაში, რომელსაც აწარმოებენ დაქირავებული საოჯახო მოსამსახურეები.

წარმოების სფეროს საზღვრებში უნდა იყოს განხილულიჩ „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ წარმოებული საქონელი და განეული მომსახურება, ე.ი. როგორც უკანონოდ წარმოებული საქონელი და განეული მომსახურება, ასევე კანონით ნებადართული საქმიანობით წარმოებული, მაგრამ დამალული სახელმწიფო ორგანოების წინაშე (ფარული წარმოების სფერო). განასხვავებენ პროდუქციის გამოშვების 2 სახეობას: საბაზროს და არასაბაზროს.

საბაზრო (კომერციული) გამოშვება მოიცავს:

1. ეკონომიკურად მისაღებ ფასებში გაყიდვების ან ბარტერის მეშვეობით რეალიზებად საქონელსა და მომსახურებას.

2. მუშაკების შრომის ანაზღაურების ფარგლებში ნატურალური ფორმით მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას;

3. ერთ სანარმოში წარმოებულ (მისი სანარმოო დანაყოფების, ფილიალების ჩათვლით) საქონელს და მომსახურებას, რომელიც მიენოდება მოცემული სანარმოს სხვა კომპონენტებს (ერთეულებს) სანარმოო საქმიანობაში გამოსაყენებლად, იმავე პერიოდში ან მომავალში (მაგალითად, კვების პროდუქტები, რომელსაც ანვდიან სანარმოს დამხმარე მეურნეობები მოცემული სანარმოს ბალანსზე მყოფ სასაღილოებს, საბავშვო ბალებს, დასასვენებელ სახლებს);

4. მზა პროდუქციასა და დაუმთავრებელ წარმოებას, რომელიც წარმართება მწარმოებლის მატერიალურ საბრუნავ საშუ-

ალებებში (აქტივებში) და გამიზნულია კომერციული (საბაზრო) გამოყენებისათვის.

საქონლის და მომსახურების არასაბაზრო (არაკომერციული) გამოშვება მოიცავს:

1. ეკონომიკური ერთეულების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის ან დაზოგვისათვის წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას.

2. სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზე, მთლიანად საზოგადოებისადმი უსასყიდლოდ ან უმცირესი ფასებით განეულ მომსახურებათა ჩათვლით (მაგ. უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო მმართველობითი მომსახურება, თავდაცვა და სხვა).

3. მზა პროდუქციასა და დაუმთავრებელ წარმოებას, რომელიც გამიზნულია არაკომერციული გამოყენებისათვის და წარმართება მწარმოებლის მატერიალური მარაგებისათვის.

საქონლისა და მომსახურების საბაზრო-კომერციული გამოშვება რეკომენდებულია შეფასდეს ე.წ. ძირითადი საბაზრო ფასებით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ — მწარმოებელთა ფასებით.

ძირითადი ფასი — ეს არის ფასი, რომელსაც ლეზულობენ საქონლის და მომსახურების მწარმოებლები და რომელიც არ მოიცავს ნებისმიერ გადასახადებს პროდუქტებზე, მაგრამ შეიცავს პროდუქტებზე მიღებულ სუბსიდიებს.

მწარმოებელთა ფასი — ეს არის ფასი, რომელსაც ლეზულობენ საქონელისა და მომსახურეთა მწარმოებლები, რომელიც მოიცავს გადასახადებს პროდუქტებზე (დამატებული ღირებულებისა და იმპორტზე გადასახადების გარეშე) და საიდანაც გამოიქვითება პროდუქტებზე მიღებული სუბსიდიები.

გადასახადები პროდუქტებზე (გაყიდვების მოცულობაზე) ეს არის გადასახადები, რომელსაც იხდიან მწარმოებელი, გამყიდველი ან იმპორტიორი, რეზიდენტი, სანარმოები საქონელზე და მომსახურებაზე, მათი რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულად. პროდუქტზე გადასახადებს მიაკუთვნებენ პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული გადასახადების შემდეგი სახეებს:

— დამატებული ღირებულების გადასახადს (ან ასეთი ტიპის გადასახადებს),

— აქციზებს,

— გაყიდვებზე, შექენაზე, ბრუნვისა და ა.შ. გადასახადს,

— მომსახურების ცალკეულ სახეობებზე (ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, დაზღვევის, რეკლამის, თამაშების, ლატარიის, სპორტული ღონისძიებებისა და ა.შ.) გადასახადს,

- ფისკალური მონოპოლიების მოგების გადასახადს,
- ექსპორტ-იმპორტზე გადასახადებს, საბაჟო მოსაკრებლებს.

სუბსიდიები პროდუქტებზე — ეს არის სუბსიდიები (დახმარება), რომელსაც იღებენ მწარმოებელი, გამყიდველი ან იმპორტიორი, რეზიდენტი, სანარმოები, როგორც წესი, საქონელზე და მომსახურებაზე, მათი რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულად. სუბსიდიებს მიაკუთვნებენ მაგალითად სახელმწიფოს მიერ იმ სანარმოებისათვის მუდმივად წარმოშობადი ზარალის დასაფარავად (რომელიც წარმოიშობა წარმოებულ პროდუქციაზე თვითღირებულების დონეზე უფრო დაბალი გასაყიდი ფასების დანესების პირობებში) გამოყოფილ სახსრებს, ასევე სუბსიდიები ექსპორტზე, იმპორტზე და სხვა.

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც დამატებული (შექმნილი) ღირებულების ჯამი, გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$CDP = D + N - U, \quad (7.1)$$

სადაც  $CDP$  — მთლიანი შიდა პროდუქტია,

$D$  — ეკონომიკის ყველა დარგის დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში,

$N$  — პროდუქტებზე გადასახადები,

$U$  — პროდუქტებზე სუბსიდიები.

ცხრილი 7.1

აშშ-ის ერთობლივი ეროვნული შემოსავლის  
შემადგენლები 1986 წ.

სექტორი	კომპონენტი	სიმბოლო	მლრდ დოლ.	ევპ-ის ხვედ. წილი %
საოჯახო მეურნეობები	მოხმარება	C	2762	65,6
ბიზნესი	ინვესტიციები	I	686	16,3
მთავრობა	მთავრობა	G	865	20,6
დახარჯები სამყარო	წმინდა ექსპორტი	NX	-106	-2,5
	სულ	CNP	4207	100

2. მთლიანი შიდა პროდუქტი როგორც საბოლოო მოხმარების კომპონენტების ჯამი (საბოლოო მოხმარების მეთოდის გამოყენება)

მთლიანი შიდა პროდუქტის საბოლოო მოხმარების მეთოდიკიდან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტი (CDP) გაიანგარიშება როგორც მშპ შემადგენელი კომპონენტების ჯამი, კერძოდ:

ა) საქონლებისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯები, რომელიც მოიცავს საოჯახო მეურნეობათა სამომხმარებლო ხარჯებს (C — Consumption).

ბ) მთლიანი დაგროვება (I - Investment ერთობლივი ინვესტიციები), რომელიც მოიცავს ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვალებადობას, ფასეულობების წმინდა შენაძენებს).

გ) სამთავრობო დანახარჯებს (G — სახელმწიფო მოხმარებას), რომელიც მოიცავს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა მომსახურების, შესაბამისი საქონლის შეძენის ხარჯებსა და სხვა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 1993 წლიდან გამოყენებული ახალი მაჩვენებელი — ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება მოიცავს როგორც საოჯახო მეურნეობების დანახარჯებს საქონლისა და მომსახურების შეძენაზე (C), ასევე სამთავრობო დანახარჯებს მთლიანად საზოგადოების მომსახურების მიზნით (G), ანუ C+G.

დ) წმინდა ექსპორტი (NX), რომელიც გაიანგარიშება როგორც სხვაობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა (X) და იმპორტის ღირებულებებს (M) შორის, ე.ი.  $NX=X-M$ .

აქვე აღვნიშნავთ, რომ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების შეფასება ხდება საბაზრო ფასებით. კერძოდ: ა) ექსპორტის შეფასებას ანარმოებენ FOB-ფასის მეშვეობით (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროდუქციის ღირებულებას და ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე მისი დატვირთვის ხარჯებს), ბ) იმპორტის შეფასებას ანარმოებენ CIF-ფასის მეშვეობით (რომელიც მოიცავს ინტერნაციონალურ ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება საბოლოო მოხმარების მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$CNP = C + I + G + NX \quad (7.2)$$

ზემოთ მოყვანილია აშშ-ში ნარმოებული ერთობლივი ეროვნული პროდუქციის (ეეპ) დანახარჯთა კომპონენტების სტრუქტურა, რომელიც ეკონომიკის 4 სექტორს მოიცავს. როგორც ცხრილის (7.1) ანალიზი გვიჩვენებს, მოხმარების ხარჯებმა (C) 1986 წელს 2762 მლრდ დოლარი, ანუ ეეპ-ის 65,6% შეადგინა, მეორე მნიშვნელოვან მყიდველად მთავრობა გამოვლინდა, რომლის წილმა ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში შეადგინა — 20,6%, ანუ 865 მლრდ დოლარი (G), ინვესტიციების წილი (I) ეეპ-ში 16,3%-ს, ანუ 686 მლრდ დოლარს შეადგენდა და „დანარჩენი სამყარო“-ს წმინდა ექსპორტი უდრის (NX) — 106 მლრდ დოლარს, ანუ მისი წილი ეეპ-ში ტოლია 2,5%-ის. ეს უკანასკნელი გამოიქვეთება საბოლოო მოხმარების ჯამიდან.

ზემოთ მოყვანილი ფორმულის (7.2) გამოყენებით აშშ-ს მაგალითზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (1986 წ) შეადგენდა:  $CNP=2762+686+865-106=4207$  მლრდ დოლარს.

3. მთლიანი შიდა პროდუქტი როგორც პირველადი შემოსავლების ჯამი (განაწილებითი მეთოდის გამოყენებით)

განაწილებითი მეთოდის გამოყენებით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მოიცავს შემდეგი პირველადი შემოსავლების ჯამს, რომლებსაც იხდიან რეზიდენტი საწარმოო ერთეულები: დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება, ნარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები, საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები. განვიხილოთ ეს მუხლები ცალ-ცალკე.

1. დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება ნარმოადგენს მუშაკთა კომპენსაციას (ხელფასს) ფულადი ფორმით ან ნატურით, რომელიც დაქირავებლის (სამუშაოს მიმცემის) მიერ დაქირავებულ მუშაკზე საანგარიშო პერიოდში მის მიერ შესრულებული სამუშაოს საზღაურად უნდა იქნეს გადახდილი. ეროვნული ანგარიშთა სისტემის, შესაბამისად აღნიშნული მუხლი იყოფა: მთლიან ხელფასად და სოციალური დაზღვევის ანარიცხებად.

მთლიანი ხელფასი მოიცავს თვითღირებულებისა და მოგების წყაროს ანგარიშზე დარიცხულ ყველა სახის საზღაურს (სხვადასხვა პრემიების, დანამატის, წანამატის ჩათვლით) ფულადი ან ნატურალური ფორმით, ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების თანხა, უქმე დღეების ანაზღაურება და ა.შ.) არანამუშევარ დროზე დარიცხულ ფულად თანხებს.

CNP - Cross National Product - ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, წყარო - 5; გვ. 113-115.

შრომის ანაზღაურების ფონდის შედგენილობა განხილულია წინამდებარე ნაშრომის მეხუთე თავის §6-ში. ხელფასი აღირიცხება დაქირავებულისაგან გადასახადებისა და სხვა დაკავებების გამოქვითვის გარეშე.

სოციალური დაზღვევის ანარიცხებს იხდიან სამუშაოს მიმცემნი, რათა სამომავლოდ დაქირავებული მუშაკები უზრუნველყოფილნი იყვნენ სოციალური დახმარებების მიღებით.

2. წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები. ამ გადასახადებს, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასთან და იმპორტთან, იხდიან საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, გააჩნიათ თუ არა მათ სამეწარმეო მოგება. ისინი განიხილება როგორც აუცილებელი, არადაბრუნებადი გადასახადი სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისადმი. მათ მიეკუთვნება გადასახადები პროდუქტზე და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები, რომელიც ზემოთ იყო განხილული. წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები არის სხვაობა დარიცხულ გადასახადებსა და წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული სუბსიდიების თანხებს შორის.

3. საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები წარმოადგენენ მთლიანი დამატებული (შექმნილი) ღირებულების ნაწილს, რომელიც რჩება მენარმეს იმ ხარჯების გამოქვითვის შემდეგ, როგორცაა დაქირავებული შრომის ანაზღაურება და წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები. ეს მუხლი ზომავს პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით მიღებულ მოგების (ზარალის) მაჩვენებელს, საკუთრებიდან მიღებული (რენტული) შემოსავლების აღრიცხვამდე. არაინკორპორირებულ მესაკუთრეთა (საოჯახო მეურნეობები) შემოსავლები განიხილება შერეულ შემოსავლებად, რადგან იგი მოიცავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად შემოსავლებს ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობიდან, პირად დამხმარე მეურნეობიდან და სხვა. საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები განიხილება ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ამორტიზაციის) თანხის გარეშე. ამ უკანასკნელის გამოქვითვით მიიღება წმინდა მოგება და წმინდა შერეული შემოსავალი.

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება განაწილების მეთოდის გამოყენებით მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების (პუნქტების) ჯამს, ე.ი. მშპ=1პ+2პ+3პ, ანუ ხელფასს პლუს წმინდა გადასახადები, პლუს საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები.

### *§ 7.3. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთა გამოთვლა მუდმივ ფასებში (მშპ-ის სტატისტიკური ანალიზი)*

ცნობილია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მაჩვენებლების შეფასებას მიმდინარე საბაზრო ფასებში ანარმოებენ, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობაში პროდუქციის რეალური ბრუნვის გასაშუალებელი მაჩვენებლის ფორმირებას და რომელთა საფუძველზეც გროვდება ეკონომიკური პროცესების ყველა მონაწილის შემოსავლები. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მაჩვენებელთა მიმდინარე ფასებში შეფასებით დგინდება ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის, მოხმარებასა და დაგროვებას შორის პროპორციების მაჩვენებლები, მრავალი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური თანაფარდობა, მაგალითად, დეფიციტი სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის, სახელმწიფო ვალსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის და სხვა. მაგრამ მაჩვენებელთა მიმდინარე ფასებში შეფასება არ იძლევა საშუალებას პირდაპირი მეთოდით გაიზომოს ცვლილებები წარმოებულსა და გამოყენებულ საქონელზე და მომსახურებაზე.

მსოფლიო პრაქტიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის დონის ცვლილების გაზომვისათვის — ანალიზისათვის, ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებად გვევლინება მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი. მთლიანი შიდა პროდუქტის ცალკეული ელემენტების ფიზიკური მოცულობის ინდექსი აუცილებელია ეკონომიკის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების, ცხოვრების დონის ცვლილებების ანალიზისათვის და მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების ფიზიკური მოცულობის ინდექსების გამოსაანგარიშებლად, რომლებიც საწყის პერიოდში შეფასებული იყო მიმდინარე ფასებში, ისინი უნდა გადაფასდეს მუდმივ ფასებში, რისთვისაც, როგორც წესი, შესაძარ ბაზად გამოიყენება რომელიღაც პერიოდის მიმდინარე ფასები, ე.ი. საბაზისო პერიოდის ფასები. ამასთანავე, ბუნებრივია, შეუძლებელია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემავალი ყველა მაჩვენებლის წარმოდგენა მუდმივ ფასებში. უფრო ხშირად, მუდმივ ფასებში იმ მაჩვენებელთა გადაფასებას ანარმოებენ, რომლებიც შედარებით ადვილად შეიძლება დაიშალოს ორ ელემენტად: რაოდენობისა და ფასების ელემენტებად.

მუდმივ ფასებში წარმოადგენენ მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი ელემენტების ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა მშპ-ის გამოყენება მოხმარებაზე, დაგროვებაზე და ექსპორტზე, გამოშ-

ვების, იმპორტის, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების მაჩვენებლები, ასევე შრომის ანაზღაურებისა და მოგების მაჩვენებლები, ეროვნული სიმდიდრის ელემენტები.

ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოყენებისას არ ანარმობენ მუდმივ ფასებში ისეთი მაჩვენებლების გადაფასებას, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლების გადანაწილებასთან (ტრანსფერტები), ასევე ინვესტიციების დაფინანსების წყარობთან, წმინდა კრედიტებისა და სესხების მაჩვენებლებთან.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების მუდმივ ფასებში გადაფასების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

1. ფასების ინდექსის გამოყენებით მშპ დეფლატორის განსაზღვრა.

2. ორმაგი დეფლატორის განსაზღვრა.

3. ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოყენებით ბაზისური პერიოდის მაჩვენებელთა ექსტრაპოლაციის მეთოდი.

4. დანახარჯების ელემენტების გადაფასების მეთოდი.

ქვემოთ განხილულია ზემოთ მოცემული მეთოდების გამოყენებით პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსების გამოთვლის პროცედურების არსი და პრაქტიკა.

ფასების ინდექსის (დეფლატორის) მეთოდი უმთავრესად გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის საბოლოო მოხმარების კომპონენტების გადასაფასებლად მუდმივ ფასებში. დეფლატორის არსი მდგომარეობს შემდეგში: მოხმარების (დაზოგვის) ღირებულებას მიმდინარე პერიოდში ( $q_1 p_1$ ) ყოფენ ფასების ინდექ-

სზე  $I_p$  (ფასების ინდექსი  $I_p = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}$ , სადაც  $p_1$  — მიმდინარე

პერიოდის, ხოლო  $p_0$  — საბაზისო პერიოდის ფასს შეადგენს),

რომელიც უჩვენებს მიმდინარე პერიოდის ( $p_1$ ) ფასების ცვლილებას ბაზისური პერიოდის ფასებთან ( $p_0$ ) შედარებით, ეს უკანასკნელი გამოიყენება როგორც ფასების მუდმივი მახასიათებელი.

მათემატიკურად გადაფასების ეს პროცედურა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:



$$\sum q_1 p_1 : \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \sum q_1 p_0, \quad (7.3)$$

სადაც  $\sum q_1 p_0$  — არის მიმდინარე პერიოდში მოხმარების საერთო ღირებულება მუდმივ ფასებში ( $p_0$ ),  $q_1$  — პროდუქციის რაოდენობაა მიმდინარე პერიოდში.

ფიზიკური მოცულობის ინდექსის ( $I_q$ ) გამოთვლას შემდეგი ფორმულის მეშვეობით აწარმოებენ:

$$I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}, \quad (7.4)$$

სადაც  $\sum q_0 p_0$  — არის საბაზისო პერიოდში მოხმარებული პროდუქციის ( $q_0$ ) საერთო ღირებულება მუდმივ ფასებში ( $p_0$ ).

მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოსათვლელად ფასების სტატისტიკის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ლასპეირესის, პააშეს და ფიშერის ინდექსები.

1993 წლიდან ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში თეორიული თვალსაზრისით პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ფიშერის ფორმულას (როგორც ფასების ინდექსს, ასევე ფიზიკური მოცულობის ინდექსს). თუმცა პრაქტიკაში დაშვებულია როგორც ლასპეირესის, ასევე პააშეს ინდექსების გამოყენება. აქედან გამომდინარე, ინდექსების თეორიაში მათი გამოყენების ორ წესს გამოყოფენ:

ა) ანალიზურს და ბ) ტექნიკურს.

ანალიზური წესის პირობებში ფასების ინდექსი გამოიყენება ფასების დინამიკის შესასწავლად. ასეთ შემთხვევაში უპრიანია ლასპეირესის ინდექსის გამოყენება, რომლის გამომანგარიშებისას წონებად გამოიყენება საბაზისო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა. მათემატიკურად ფასების ინდექსი — მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი, გამოიხატება ფორმულით:

$$I_p = \frac{\sum q_0 P_1}{\sum q_0 P_0}, \quad (7.5)$$

სადაც  $\sum q_0 P_1$  — საბაზისო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის ( $q_0$ ) ღირებულებაა გამოხატული მიმდინარე ფასებში ( $P_1$ ),

$\sum q_0 P_0$  — საბაზისო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის ( $q_0$ ) ღირებულებაა გამოხატული საბაზისო (მუდმივ) ფასებში ( $P_0$ ).

ტექნიკური წესის პირობებში ფასების ინდექსის მეშვეობით ანარმოებენ მაჩვენებელთა მუდმივ ფასებში გადაფასებას. ამ მიზნით უფრო მოსახერხებელია პააშეს ინდექსის გამოყენება, რამდენადაც მისი გამოყენებისას ფიზიკური მოცულობის ინდექ-

სის  $\left( I_q = \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0} \right)$  და ფასების ინდექსის  $\left( I_p = \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_1 P_0} \right)$  ნამრავლით მიიღება (მთლიანი შიგა პროდუქტის) ღირებულების ინდექსი, ანუ  $I_{\text{ფ}} = I_q \cdot I_p$ ,

$$I_{\text{ფ}} = \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0} \cdot \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_1 P_0} = \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_0 P_0}. \quad (7.6)$$

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლასპეირესის ინდექსი, როგორც წესი, მეტია პააშეს ინდექსზე. სპეციალურ ლიტერატურაში ეს შეფარდება იწოდება ამერიკელი მეცნიერის გერშენკრონის ეფექტად, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის ინდექსები უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ, რაც უფრო შორს იყო ის საბაზისო პერიოდი, რომლის ფასებიც გამოიყენებოდა მუდმივ მახასიათებლად მიმდინარე პერიოდთან მიმართებაში. აქვე დავუმატებთ, რომ გერშენკრონის ეფექტი გამოვლინდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ნარმოებულ (რეალიზე-

ბულ) პროდუქციის რაოდენობასა და ფასებს შორის. ფიშერის ფორმულის გამოყენებისას ინდექსების გაანგარიშების შედეგები არ არის დამოკიდებული შედარების ბაზის არჩევაზე.

ორმაგი დეფლატორის არსი გამოიყენება დამატებული ღირებულების მუდმივ ფასებში გამოსაანგარიშებლად. დამატებული ღირებულება მუდმივ ფასებში განისაზღვრება როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის. ამ მეთოდის გამოყენებისას ანარმოებენ გამოშვებისა და შუალედური მოხმარების თანმიმდევრულ დეფლატირებას, რომლებიც პირველად (საწყის ეტაპზე) შესაბამისი ფასების ინდექსების გამოყენებით შეფასებული იყო მიმდინარე ფასებში.

ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება გულისხმობს შემდეგი ტოლობის დაცვას.

$$\sum q_0 p_0 I_q = \sum q_1 p_0, \quad (7.7)$$

სადაც  $\sum q_0 p_0$  — საბაზისო პერიოდის მაჩვენებელია მიმდინარე ფასებში,

$I_q$  — ფიზიკური მოცულობის ინდექსი (მიმდინარე პერიოდის ფიზიკური მოცულობის  $q_1$ -ის შეფარდება საბაზისო პერიოდის ფიზიკურ მოცულობასთან ( $q_0$ ),

$\sum q_1 p_0$  — საანგარიშო პერიოდის პროდუქციის მაჩვენებელი მუდმივ ფასებში.

ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, მაშინ როცა შეუძლებელია ფასების ინდექსის გამოანგარიშება ან ფასების ინდექსი თავისი უზუსტობით უფრო აღემატება ფიზიკური მოცულობის ინდექსს. ასე, მაგალითად, ფასების ინდექსების გამოვლენა არასაბაზრო მომსახურების სფეროში (მაგალითად, ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სამთავრობო ორგანოების მომსახურება და ა.შ.) შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ფიზიკური მოცულობის ინდექსის სანაცვლოდ გამოიყენება სამთავრობო ორგანიზაციებში (რომლებიც ანარმოებენ არასაბაზრო მომსახურებას) დაკავებულ მუშაკთა რიცხვნობის მახასიათებლები:

პირდაპირი გადაფასების მეთოდით მაჩვენებლების მუდმივ ფასებში გამოთვლას ანარმოებენ წარმოებული (გამოყენებული) პროდუქციის რაოდენობის გადამრავლებით შესაბამის მუდმივ

ფასებზე. ასეთი მეთოდით გაიანგარიშება ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების მაჩვენებლები.

დანახარჯების ელემენტების გადაფასების მეთოდის გამოყენებისას, მაჩვენებლები მუდმივ ფასებში გაიანგარიშება დანახარჯების ელემენტების დეფლაცირებით. ამ მეთოდით ძირითადად მაშინ სარგებლობენ, როცა ახდენენ არასაბაზრო მომსახურებათა მაჩვენებლების მუდმივ ფასებში გადაფასებას, სადაც „არ არსებობენ“ ფასები, რადგანაც მომსახურებას აწარმოებენ უფასოდ. ეს მეთოდი დაფუძნებულია იმაზე, რომ მომსახურების წარმოებაზე ხარჯების დინამიკა პროპორციულია მომსახურების ფიზიკური მოცულობის დინამიკისა, ანუ პირობითად დაუშვებელია, რომ არასაბაზრო მომსახურების სფეროში შრომის მწარმოებლურობა (ნაყოფიერება) არ იცვლებოდეს. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ არასაბაზრო მომსახურების მაჩვენებელთა გადაფასების მეთოდოლოგია შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მუდმივ ფასებად აღიარებულია იმავე წლის (რომელიც აღიარებულია საბაზისო პერიოდად) მიმდინარე ფასები. მუდმივ ფასებში მაჩვენებელთა გაანგარიშების თეორიის შესაბამისად რეკომენდებულია საბაზისო წლის (ე.ი. მუდმივი ფასების) შეცვლა ყოველ ხუთ წელიწადში, რომელიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ანალიზის სანარმოებლად. ხუთწლიანი პერიოდის დამთავრების შემდეგ ახდენენ ახალ მუდმივ ფასებზე გადასვლას. მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოსაანგარიშებლად, რომელიც აღემატება 5 წელს, მოცემულ პერიოდში მოქმედებენ სხვადასხვა მუდმივი ფასები (დანესებული შესაბამისი ხუთწლიანი პერიოდებისათვის), მაშინ გამოიყენება ინდექსების ჯაჭვური მეთოდი. ეს მეთოდი გულისხმობს, რომ მოცემული წლის მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელშიც ხდება გადასვლა ახალ მუდმივ ფასებზე, უნდა იქნას შეფასებული ორ მუდმივ – ძველ და ახალ ფასებში. მაგ., დავუშვათ, რომ 1985-დან 1990 წლის ჩათვლით მოქმედ ფასებად აღიარებული იყო 1985 წლის ფასები, ხოლო 1990 წლიდან შემოღებულია ახალი მუდმივი ფასები. 1985 წლიდან 1995 წლის ჩათვლით მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოანგარიშება შესაძლებელია (პირდაპირი შედარება მშპ 1995 წლის 1985 წლისადმი შეუძლებელია) შემდეგი ჯაჭვური ინდექსის გამოყენებით:

$$\frac{\sum q_{95}P_{90}}{\sum q_{90}P_{90}} \cdot \frac{\sum q_{90}P_{85}}{\sum q_{85}P_{85}} \approx I_q^{95/85}. \quad (7.8)$$

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაანგარიშების ანალოგიური მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა სურთ მიიღონ ერთიანი მუდმივი ფასები, რომლებიც რეტროსპექტივაში ახასიათებენ მშპ ელემენტებს (მოხმარება, დაგროვება, ექსპორტი).

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი ახასიათებს არა მარტო ფასების ცვლილებას, არამედ მშპ სტრუქტურის ცვლილებასაც თავისი არსით დეფლატორი არის ფასების პაშეს ინდექსი.

მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორს განსაზღვრავენ ასევე არაპირდაპირი მეთოდითაც. მშპ-ს მუდმივ ფასებში შესაფასებლად ეკონომიკაში შესაძლებელია დანესდეს ფასების საშუალო მაჩვენებლები ამა თუ იმ პერიოდისათვის. ასეთ შემთხვევაში მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორს განსაზღვრავენ მშპ-ის ღირებულების ინდექსის (მშპ მიმდინარე ფასებში) გაყოფით მშპ-ს ფიზიკური მოცულობის (მუდმივ ფასებში) ინდექსზე. მათემატიკურად მშპ-ს დეფლატორი შემდეგი ფორმულის მეშვეობით გამოიხატება:

$$I_{\text{ფა.დუ.}} = \frac{\sum q_1 P_1}{\sum q_0 P_0} : \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0} \quad (7.9)$$

სადაც  $\frac{\sum q_1 P_1}{\sum q_0 P_0}$  — მშპ-ს ღირებულების ინდექსია,

$\frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0}$  — მშპ-ს ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

*მაგალითი*, მშპ-ს ფიზიკური მოცულობის ინდექსისა და მისი დეფლატორის განსაზღვრაზე (პრაქტიკული ასპექტი).

მოცემულია ა, ბ და გ სახეობის საქონელთა რაოდენობა და შესაბამისი ფასები (ლარებში) საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში

საქონელი	საბაზისო პერიოდი			საანგარიშო პერიოდი			გადაფასების გაანგარიშება	
	q <sub>0</sub>	p <sub>0</sub>	q <sub>0</sub> p <sub>0</sub>	q <sub>1</sub>	p <sub>1</sub>	q <sub>1</sub> p <sub>1</sub>	q <sub>1</sub> p <sub>0</sub>	q <sub>0</sub> p <sub>1</sub>
„ა“	60	5	300	80	6	480	400	360
„ბ“	40	2	80	40	3	120	80	120
„გ“	30	3	90	20	2	40	60	60
სულ	X	X	470	X	X	640	540	540

მთლიანი შიგა პროდუქტის დეფლატორის გაანგარიშებას ვაწარმოებთ ზემოთ მოცემული ფორმულის (7.9) მეშვეობით. განვსაზღვროთ:

1. მთლიანი შიდა პროდუქტის („ა“, „ბ“, „გ“ ინდექსთა) საქონელბრუნვის ღირებულების ინდექსი

$\sum q_1 p_1$  — საბაზისო პერიოდში მშპ უდრის 470 ლარს  $[(60 \times 5) + (40 \times 2) + (30 \times 3)]$ ,

$\sum q_0 p_0$  — საანგარიშო პერიოდში მშპ უდრის 640 ლარს  $[(80 \times 6) + (40 \times 3) + (20 \times 2)]$ ,

მშპ საქონელბრუნვის ღირებულების ინდექსი

$$I_{\text{მშპ}} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{640}{470} = 1,362.$$

2. მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი

$$I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}, \text{ სადაც}$$

$\sum q_1 p_0$  — საანგარიშო პერიოდის პროდუქტის რაოდენობაა მუდმივ (საბაზისო) ფასებში,

ანუ „ა“ საქონელზე იგი შეადგენს  $(q_1 \cdot p_0) 80 \cdot 5 = 400$  ლარს

„ბ“ საქონელზე იგი შეადგენს შესაბამისად  $40.2=80$  ლარს  
 „გ“ საქონელზე იგი შეადგენს შესაბამისად  $20.3=60$  ლარს  
 სულ „ა“, „ბ“ და „გ“ საქონელზე  $(400+80+60)$  კი - 540 ლარს.

$\sum q_0 p_0$  — საანგარიშო პერიოდის საქონელთა ღირებულება (იხ. ცხ. N7.2) და იგი შეადგენს 470 ლარს.

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის

ინდექსი ( $I_{ფიზ.მოც.}$ ) შეადგენს  $I_q = \frac{540}{470} = 1,150$ .

3. მთლიანი შიდა პროდუქტის ფასების დეფლატორი ( $I_p$ ) უდრის:

$$I_p = I_{\text{საფლ.}} : I_q = 1,362 : 1,150 = 1,182.$$

აქვე აღვნიშნავთ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ფასების ინდექსის ლასპეირესის ფორმულის გამოყენებით გამოანგარიშებაც იმავე შედეგს გვაძლევს:

$$I_p = \frac{\sum q_0 p_1}{\sum q_0 p_0} \text{ სადაც,}$$

$\sum q_0 p_1$  არის საბაზისო პერიოდში შეფასებულ საქონელთა ( $q_0$ ) რაოდენობა მიმდინარე ფასებში ( $p_1$ ). ჩვენს მაგალითში იგი შეადგენს:

„ა“ საქონელზე  $60 \times 6 = 360$  ლარს

„ბ“ საქონელზე  $40 \times 3 = 120$  ლარს

„გ“ საქონელზე  $30 \times 2 = 60$  ლარს

სულ  $\sum q_0 p_1 = 540$  ლარს, ხოლო  $\sum q_0 p_0 = 470$  (ცხ. 7.2).

შესაბამისად, ფასების ინდექსი იქნება  $I_p = \frac{540}{470} = 1,150$ .

#### § 7.4. ეროვნული შემოსავალი და შემოსავლების სხვა მაჩვენებლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ჩარჩოში გამოითვლება უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ზოგადი სტრუქტურის განხილვისას ჩვენ წარმოვადგინეთ შემოსავლების ფორმირებისა და გამოყენების ანგარიშები, კერძოდ შემოსავლების ფორმირების ანგარიშების სტრუქტურა განხილულია ნახ. 3.-ში (§3.2), რომელშიც „რესურსები“ წარმოადგენენ მთლიან დამატებულ ღირებულებას, ხოლო შემოსალების „გამოყენება“ მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, წარმოებაზე დანარჩენი გადასახადების, ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა და მოგების ან შერეული შემოსავლების ფორმირებაზე.

შემოსავლების სტატისტიკის შესწავლა აუცილებელია, რათა ვანარმოოთ:

1) ეკონომიკის საერთო მდგომარეობისა და ცხოვრების დონის ანალიზი.

2) სოციალური და საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება.

3) შიგა რეზერვების მობილიზების ანგარიშზე საინვესტიციო პროცესის გაფართოების შესაძლებლობის შეფასება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შემოსავლების განსაზღვრება, რომელიც გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ჩარჩოში, ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლისას არ ემთხვევა ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში გამოყენებულ შემოსავლების განსაზღვრის პარამეტრებს. აქედან გამომდინარე, არსებობს შემოსავლების განსაზღვრის მაკრო და მიკრო დონეები და მათ შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირები იმ თვალსაზრისით, რომ მაკრო დონეზე შემოსავლების ჯამი არ მიიღება როგორც მიკრო დონეზე შემოსავლების ჯამი. შემოსავლების თითოეულ განსაზღვრას გარკვეული დატვირთვა გააჩნია შესაბამის დონეებზე ეკონომიკური ანალიზის საწარმოებლად და შესაძლებელია, რომ ისინი ამა თუ იმ საკითხების გადანყვეტაში ავსებდნენ ერთმანეთს.

შემოსავლის ცნება (რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს) ერთ-ერთი ურთულესი ცნებაა ეკონომიკურ მეცნიერებაში. მეოცე საუკუნეში შემოსავლის ცნებამ ცნობილი ეკონომისტების და სტატისტიკოსების შრომებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ასე, მაგალითად, ი.ფიშერი თავის 1930 წელს გამოქვეყ-



ნებულ ნაშრომში შემოსავლის ცნებას აიგივებს საბოლოო მოხმარებასთან. ფ.ბოსი ცნობილ ნაშრომში „ეროვნულ ანგარიშებში სისტემატური მიმოხილვა“ (1989 წ.) შემოსავალს განსაზღვრავს — როგორც საბოლოო მოხმარებისა და კაპიტალური აქტივების მარაგების წმინდა ზრდას. ამასთანავე, მისივე განცხადებით, აუცილებელია კაპიტალის განმარტების უფრო კონკრეტული, ზუსტი განსაზღვრა, რამეთუ კაპიტალის განსაზღვრის მრავალი ნიმუშია გამოყენებული მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის პ.სამუელსონის განმარტებით, მინა, ბუნებრივი წიაღისეულის მარაგი და სხვა არანარმოებული აქტივები იძენენ კაპიტალის სახეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ პროცესში მათ გამოსაყენებლად მიმართული იყო შრომა. ამდენად, პ.სამუელსონის განმარტებით, კაპიტალის განსაზღვრა შეზღუდულია სანარმოო რესურსებით.

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ.ხიკსი თავის ნაშრომში „ღირებულება და კაპიტალი“ აღნიშნავს, რომ ზოგადად ცნობილი ცნებანი შემოსავალი და დაზოგვა არ ითვლება ლოგიკურ კატეგორიებად, ისინი წამოადგენენ მხოლოდ მიახლოებას სინამდვილესთან, რომელიც აუცილებელია ბიზნესმენისათვის პრაქტიკული საკითხების გადანყვეტის ორიენტირებაში. ამავე აზრს გამოხატავს ცნობილი გერმანელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, პროფესორი პ.ლიპე, რომელიც გვევლინება ეკონომიკურ სტატისტიკაში სახელმძღვანელოს ავტორად გერმანიაში, როცა აღნიშნავს, შემოსავალი არის ფულადი შემოსავლების გარკვეული თანხა, რომელიც რეგულარულად შემოდის ეკონომიკური სუბიექტების ანგარიშებში და რომელიც ზეგავლენას ახდენს ფულად მოთხოვნაზე. შემოსავლის კატეგორიის ასეთი განსაზღვრა დაკავშირებულია ფულზე მოთხოვნის ამოცანის შესწავლასთან და იგი, ბუნებრივია, გამორიცხავს სხვა შემოსავლების მიღებას ნატურალური ფორმით. მეორე მიდგომა, რომელზედაც მიუთითებს პროფესორი პ.ლიპე, იმაში მდგომარეობს, რომ სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნა საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც ქმნის ეროვნულ პროდუქტს, შესაძლებელია მიეკუთვნოს შემოსავალს. შემოსავლის კატეგორიისადმი ასეთ მიდგომას ხშირად იყენებენ ცხოვრების დონის ანალიზში და იგი მიესადაგება შემოსავლის განსაზღვრის იმ მოთხოვნას, რომელიც მიღებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში.

ამრიგად, გაეროს მიერ 1993 წელს მიღებულ ეროვნულ ანგარიშთა ახალ სისტემაში შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემა

დაფუძნებულია ჯ.ხიკის მიერ ზემოთ ხსენებულ ნაშრომში შემოთავაზებულ კონცეფციასზე.

ჯ.ხიკის მიერ შემოთავაზებული „შემოსავლების კონცეფციის“ არსი მდგომარეობს შემდეგში: შემოსავალი უნდა განისაზღვროს როგორც მაქსიმალური თანხა, რომელიც შესაძლებელია გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოყენებულ იქნეს მოხმარებაზე და იმავროულად ამავე პერიოდის ბოლოსათვის შენარჩუნებული იქნეს კაპიტალის სანყისი მაჩვენებელი, ანუ, სხვა სიტყვებით, შემოსავალია ის თანხა, რომელსაც ადამიანები მოიხმარენ და იმავდროულად არ გალარიბდებიან.

ჯ.ხიკის კონცეფციის შესაბამისად ოჯახური მეურნეობების შემოსავლების გაანგარიშება, რომელიც მოიცავს პირველად, პირად და კორექტირებულ პირად შემოსავლებს, ჩვენ მიერ განხილული იყო ზემოთ (იხ. §6.2).

ჯ.ხიკის მიერ შემოსავლების ზოგადი კონცეფციიდან შემდეგი კონკრეტული დასკვნა გამომდინარეობს:

1. ფულადი შემოსავლების ყველანაირი თანხა არ ითვლება შემოსავლად. ეს გარკვეული შეზღუდვები მიუთითებენ იმაზე, რომ შემოსავლის განსაზღვრა მოიცავს მხოლოდ კვლავნარმოებად კაპიტალს. ბუნებრივია, მიღებული თანხა-ამონაგების ნაწილი, რომელიც მოხმარდება გამოყენებული ნარმოების საშუალებების ღირებულების აღდგენას, არ შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლად.

2. დაზოგილი თანხა არ შეიძლება გაუტოლდეს ნაღდი ფულის მასის ზრდას, დეპოზიტის ბანკში და სხვა ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) მატებას, რამდენადაც ფინანსური აქტივები შესაძლებელია იზრდებოდნენ აქტივების ფორმისა და მიღებული ფინანსური ვალდებულებების (სესხების შედეგად, აქციების გაყიდვით და ა.შ.) შესაბამისად და არა დაზოგვის შედეგად, როგორც ამას განიხილავს ჯ.ხიკი.

3. კაპიტალის ზრდა, რომელიც მიიღწევა შემთხვევითი მიზეზებით (ინფლაცია ან ზოგიერთი აქტივის ღირებულების ზრდა, რომელიც გარე ფაქტორებით, მაგ. მიწის ღირებულების ზრდა იმასთან დაკავშირებით, რომ იქ გაჰყავთ რკინიგზა), არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც შემოსავალი.

როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. §7.1) ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელზე გავლენას ახდენს საზღვარგარეთიდან მიღებული პირველადი შემოსავლების სიდიდე (საღდო) და მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ღირებულება (ამორტიზაცია). შესაბამისად, განსაზღვრავენ მთლიან და ნმინდა ეროვნულ შემოსავალს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყოფენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან

მაჩვენებელს — ხელთ არსებულ ეროვნულ შემოსავალს, რომელსაც ასევე ანგარიშობენ როგორც მთლიანი, ასევე წმინდა მაჩვენებლების სახით. ხელთ არსებული ეროვნული შემოსავალი გაიანგარიშება შემდეგი წესით: თუ ეროვნულ შემოსავალს დაჯუმატებთ მიმდინარე ტრანსფერტების სალდოს, მიღებულს საზღვარგარეთიდან, მივიღებთ ხელთარსებულ ეროვნულ შემოსავალს, რომელიც ჯ. ხიკის კოცეფციის შესაბამისად იყოფა:

ა) ეროვნულ საბოლოო მოხმარებად და ბ) ეროვნულ დანაზოგებად.

აქვე აღვნიშნოთ, რომ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ანგარიშის გაგრძელება „რესურსები“ და „გამოყენება“ განხილული გვაქვს ზემოთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მახასიათებლებში — §3.2, სადაც „რეზერვის“ შემოსავლების (დანაზოგების) და მიღებული კაპიტალური ტრანსფერტების (დადებითი სალდო) „გამოყენება“ მიმართულია ძირითადი კაპიტალის დაგროვებაზე და მარაგების მატებაზე, ფასეულობათა წმინდა შესყიდვებზე, მინებისა და არანარმოებული აქტივების გადიდებაზე და წმინდა ნასესხობაზე (იხ. ნახ. 3.4. კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების სქემა).

შემოსავლის სხვა მაჩვენებლები, რომელიც რეგისტრირებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, როგორც წესი, არ არის საკმარისი შემოსავლების განაწილებითი პროცესების ანალიზისათვის. ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში არ არის ნარმოდგენილი ყველა მაჩვენებელი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყოს მოსახლეობის საერთო შემოსავლების სრული დახასიათება, როგორც ფულადი შემოსავლების, ასევე იმ სოციალურ-კულტურული მომსახურების (სოციალური ტრანსფერები ნატურალური ფორმით) მაჩვენებლებისა, რომელთა დახასიათებაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

### *საკონტროლო კითხვები*

1. დაახასიათეთ ერთობლივი (მთლიანი) შიდა პროდუქტი და მიუთითეთ, რა განსხვავებაა მშპ-სა და ეროვნულ ერთობლივ პროდუქტს (ეეპ) შორის?

2. ჩამოთვალეთ მშპ-ის გაანგარიშების პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდები და გადმოეცით მათი არსი.

3. ჩამოთვალეთ საბაზრო და არასაბაზრო დანიშნულების

პროდუქციის წარმოების (გამოშვების) ძირითადი კომპონენტები.

4. მოიყვანეთ პირობითი მაგალითი მშპ-ს დამატებული ღირებულების მეთოდით განსაზღვრისათვის.

5. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი კომპონენტები გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის საბოლოო მოხმარების მეთოდით განსაზღვრისას: ა) სამომხმარებლო ხარჯები, ბ) ძირითადი კაპიტალის დაგროვება, გ) მარაგების მატება და ფასეულობების შექმნა, დ) საქონლის იმპორტი და ღირებულება, ე) საქონლის ექსპორტის ღირებულება: ვ) საქონელთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები. გადმოეცით საბოლოო მოხმარების მეთოდის ფორმულირება.

6. დაახასიათეთ ეროვნული შემოსავალი და მშპ-ს გაანგარიშების განაწილებითი მეთოდის არსი.

7. დაახასიათეთ შემოსავლების ჯ.ხიკსის კონცეფცია.

8. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთა გამოთვლას მუდმივ ფასებში აწარმოებენ:

ა) ფასების ინდექსის (დეფლატორის) მეთოდით,

ბ) ექსტრაპოლაციის მეთოდით,

გ) დანახარჯების ელემენტების გადაფასების მეთოდით,

... და კიდევ რომელით? შეავსეთ მეთოდების ჩამონათვალი!

9. განმარტეთ ფასების სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული:

ა) ლასპეირესის, ბ) პააშეს და გ) ფიშერის ფასების ინდექსები და დაახასიათეთ გერშენკრონის ეფექტი?

10. წარმოადგინეთ ეროვნული შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სტრუქტურა.

11. რატომ სწავლობენ შემოსავლების სტატისტიკას?

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. ბ.გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თბ., 1998.

2. ტ.სართანია, თეორიული სტატისტიკა, სალექციო კურსი, 1996.

3. ქ.მარშავა, კომერციული საქმიანობის სტატისტიკა, თსუ, 1999.

4. ნ.ასლამაზიშვილი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, თბ., 1995.

5. ს.ფიშერი, რ.დორბეში, რ.შმალენზი, ეკონომიკა, III ტ. (თარგმნილი პროფ. კ.ლურნკაიას საერთო რედაქციით, თბ., 1998.
6. საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის ნელინდეული, თბ., 1999.
7. Экономическая статистика, учебник (под.ред. Ю.И.Иванова, м. 1998.
8. Социально-экономическая статистика, Учебник (под.рсд. Н.В.Назарова, М., 2000.

## თემა 8. ეროვნული სიმდიდრე და მისი სტატისტიკური შესწავლა

### *§8.1. ეროვნული სიმდიდრის ზოგადი კონცეფცია და განსაზღვრება*

ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი, როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, ახასიათებს მთლიანად ქვეყნის ქონებრივ მდგომარეობას. ეროვნულ სიმდიდრეში იგულისხმება განსაზღვრული დროის მომენტისათვის ქვეყანაში დაგროვილი არაფინანსური და წმინდა ფინანსური აქტივების ერთობლიობა. სტატისტიკის პრაქტიკაში ქონებრივი მდგომარეობის გაანგარიშებას ჩვეულებრივ აწარმოებენ წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთლიანი საკუთარი კაპიტალი, ე.ი. ეროვნული სიმდიდრე, წარმოადგენს ყველა სამეურნეო სუბიექტის არაფინანსური აქტივებისა (რეზიდენტების — რომლებიც იმყოფებიან ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში) და სხვა ქვეყნებისადმი წაყენებულ წმინდა მოთხოვნების ერთობლიობას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებისას გამოიყენება მხოლოდ საზღვარგარეთული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებათა სალდო. რამდენადაც ქვეყნის შიდა ეკონომიკური სექტორის შიგა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს აბათილებენ.

ეროვნული სიმდიდრისა და წმინდა საკუთარი კაპიტალის ღირებულების გაანგარიშებას ცალკეული ეკონომიკური ერთეულისა და ეკონომიკური სექტორის მიხედვით აწარმოებენ სპეციალური ცხრილით, რომელსაც უწოდებენ აქტივებისა და პასივების ბალანსს სანყისი და საბოლოო პერიოდისათვის (იხ. ცხრილი 8.1.). სანყისი და საბოლოო პერიოდისათვის ბალანსის აქტივებისა და პასივების მაჩვენებელთა შედარება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს როგორც ეკონომიკური ოპერაციების, ასევე განსაკუთრებული ფაქტორების ზეგავლენით, მაგ. სტიქიური უბედურებების, ხანძრების და ა.შ. შედეგად წარმოებული აქტივების ღირებულებისა და ეროვნული სიმდიდრის ცვალებადობის მაჩვენებელი.

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. თემა 3), ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც იწვევენ აქ-

ტივებისა და ვალდებულებათა ღირებულების ცვალებადობას, კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშების ოპერაციებში აღირიცხება. ექსტრაორდინარული ხასიათის მიზეზების შედეგად საკუთარი კაპიტალის ცვალებადობის (გადიდება ან შემცირება) გასაზომად გამოიყენება აქტივების და პასივების მოცულობების ცვლილებები სხვა ანგარიშებზე (მაგ. გადაფასების ანგარიშის მეშვეობით გაიანგარიშება ცვლილებები აქტივების ღირებულებებისა, რომელიც გამონეულია ინფლაციის შედეგებით), კერძოდ, დაგროვების ყველა ანგარიშზე.

*ცხრილი 8.1.*

*აქტივებისა და პასივების ბალანსი სანყისი  
(საბოლოო) პერიოდისათვის*

აქტივი (მოთხოვნები)	პასივი (ვალდებულებები)
1. არაფინანსური აქტივები	3. ფინანსური ვალდებულებები
2. ფინანსური აქტივები	4. წმინდა საკუთარი კაპიტალის ღირებულება (1+2-3)

ამრიგად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, რომელიც მოქმედებს 1993 წლიდან, გაეროს სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციით ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად: არაფინანსურ აქტივებად და ფინანსურ აქტივებად, რომელთა დეტალური გაანგარიშების მიზნით ქვემოთ განხილულია ეროვნული სიმდიდრის კლასიფიკაცია.

*§ 8.2. ეროვნული სიმდიდრის კლასიფიკაცია*

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა აქტივი, რომლებიც შედიან ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში, დაყოფილია არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებად (იხ. ცხრილი 8.2.).

არაფინანსურ აქტივებად იწოდებიან ის ობიექტები, რომლებიც იმყოფებიან ინსტიტუციური ერთეულების მფლობელობაში და მათი გამოყენების თუ შენახვის შედეგად განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მათთვის მოაქვს გარკვეული ეკონომიკური სარგებელი. ასეთი აქტივები მათი შექმნის წესებიდან (ხერხებიდან) გამომდინარე, იყოფა ორ ჯგუფად:

1. წარმოებული არაფინანსური აქტივები;
2. არანარმოებული არაფინანსური აქტივები.

ქვემოთ მოცემულია არაფინანსური აქტივების მოკლე დახასიათება.

1. წარმოებული არაფინანსური აქტივები. იგი იქმნება სანარმოო პროცესის შედეგად. მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: ა) ძირითად ფონდებს (ძირითად კაპიტალს), ბ) საბრუნავი საშუალებების მატერიალურ მარაგებსა და ვ) ფასეულობებს.

*ცხრილი 8.2.*

ეროვნული სიმდიდრის კლასიფიკაცია

I არაფინანსური აქტივები	II ფინანსური აქტივები
<p>1. წარმოებული აქტივები</p> <p>1.1. მატერიალური აქტივები</p> <p>ა) ძირითადი ფონდები</p> <p>ბ) საბრუნავი საშუალებების მარაგი</p> <p>გ) ფასეულობები</p> <p>დ) საცნობარო მუხლი „ხანგრძლივი სარგებლობის მოხმარების საქონელი“</p> <p>1.2. წარმოებული არამატერიალური აქტივები</p> <p>ა) სასარგებლო ნიაღისეულის ძიებაზე დახარჯვები</p> <p>ბ) ეგმ პროგრამული უზრუნველყოფა</p> <p>გ) გასართობი ჟანრის, ლიტერატურისა და ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებები</p> <p>დ) დანარჩენი არამატერიალური აქტივები</p> <p>2. არანარმოებული არაფინანსური აქტივები</p> <p>2.1. მატერიალური აქტივები</p> <p>ა) მიწა</p> <p>ბ) ნიაღისეული</p> <p>გ) არანარმოებული ბიოლოგიური რესურსები</p> <p>დ) წყლის რესურსები</p> <p>2.2. არამატერიალური აქტივები</p> <p>ა) პატენტები, საავტორო უფლებები, ლიცენზიები</p> <p>ბ) ხელშეკრულებები იჯარაზე</p> <p>გ) „გუდვილი“</p> <p>დ) დანარჩენი არამატერიალური აქტივები</p>	<p>1. ოქროს მონეტა და გასესხების სპეციალური უფლებები (საერთაშორისო სავალუტო ფონდის)</p> <p>2. ნაღდი ვალუტა (ფული) და დეპოზიტები</p> <p>3. ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა)</p> <p>4. სესხები</p> <p>5. აქციები და სხვა სახეობის კაპიტალში მონაწილეობა</p> <p>6. სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები</p> <p>7. დებიტორებისა და კრედიტორების დანარჩენი ანგარიშები</p> <p>8. საცნობარო მუხლი „პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები“</p>



ძირითადი ფონდები (ძირითადი კაპიტალი) წარმოადგენს წარმოებულ მატერიალურ აქტივებს, რომლებიც არაერთხელ ან მუდმივად გამოიყენებიან საქონელთა და საბაზრო (არასაბაზრო) მომსახურების საწარმოებში და ფუნქციონირებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (არანაკლებ ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტი ხნით).

მატერიალური ძირითადი კაპიტალი შედგება შენობების (საცხოვრებლების ჩათვლით), ნაგებობათა, მანქანებისა და მოწყობილობებისაგან, ასევე ზრდადი აქტივებისაგან. მოსახლეობის, ოჯახური მეურნეობების მიერ შექმნილი მანქანები და დანადგარები (წარმოების პროცესის განხორციელების მიზნით შექმნილის გარდა) ხანგრძლივი მოხმარებისათვის (ავტომანქანები, მაცივრები, ტელევიზორები და ა.შ.) არ მიეკუთვნებიან მატერიალურ ძირითად კაპიტალს და აღირიცხება საცნობარო მუხლში: „ხანგრძლივი სარგებლობის მოხმარების საქონელი“.

ზრდადი აქტივები — არის წარმოებული მატერიალური აქტივების ერთადერთი მთავარი ელემენტი სოფლის მეურნეობის სექტორში, რომელიც მოიცავს საჯიშე, სარძევე, საჭაპანე და სხვა სახეობის ჯოგის (ცხოველების) ღირებულებასა და მსხმოიარე ბალების, ვენახების და სხვა მრავალი წარგავის (რომლებიც არაერთგზის მოსავალს იძლევიან) გამოზრდაზე განეულ დანახარჯებს (თვითღირებულებას).

წარმოებული არამატერიალური აქტივები მოიცავენ ისეთ ძირითად ფონდებს, რომლებიც შედგება სასარგებლო ნიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და იმ ობიექტების ღირებულებათაგან, რომლებიც შექმნილია ადამიანის შრომის შედეგად და მიწოდებულია ინფორმაციების სახით (მაგალითად, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების პროგრამული უზრუნველყოფა), ასევე გასართობი ჟანრის, ლიტერატურისა და ხელოვნების ორიგინალურ ნაწარმოებთა ღირებულებებს.

წარმოებული არაფინანსური აქტივები მოიცავს ასევე წარმოებული მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებს, ე.ი. მიმდინარე ან უფრო ადრინდელ პერიოდში წარმოებულ და გასაყიდად ან წარმოებაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გამოსაყენებლად გამიზნულ საქონელს. მარაგებს მიაკუთვნებენ: საწარმოო დანიშნულების მარაგებს, დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციას და შემდგომში გასაყიდად შექმნილ საქონელს, მათვე მიეკუთვნება სტრატეგიული მატერიალური რეზერვები (სურსათი და სხვა საქონელი), რომლებსაც ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

სანარმოო დანიშნულების მარაგების შემადგენლობაში განიხილება ნედლეული, მასალები, სანვაი, სათესლე მასალა, ცხოველების საკვები, ინსტრუმენტები და სხვა საქონელი, რომლებსაც მესაკუთრეები იძენენ წარმოების პროცესში მათი შუალედური მოხმარების მიზნით, ე.ი. ისეთი საქონელი, რომელიც არ არის გასაყიდად შეძენილი. წარმოების ერთ ციკლში მოხმარებული სანარმოო მარაგები სრული ღირებულებით მიეკუთვნებიან წარმოების დანახარჯებს.

ფასეულობები. წარმოებულ მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება ის ფასეულობები, რომლებიც არიან ხანგრძლივი მოხმარების ძვირადღირებული საგნები, რომლებსაც შეიძენენ ან ინახავენ ღირებულების მარაგებად და, როგორც წესი, არ გამოიყენება წარმოების პროცესში ან მოხმარებისათვის. ასეთ ფასეულობებს მიეკუთვნება ძვირადღირებული ლითონები და ქვები (რომლებსაც ინახავენ საოჯახო მეურნეობები და სანარმოები, მაგრამ როგორც არასანარმოო მარაგებს), ანტიკვარული და საიუველირო ნაწარმი, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ღირებულება, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოებები, კოლექციები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიის შესაბამისად ძირითადი ფონდები და საოჯახო ქონება უნდა იყოს შეფასებული ალდგენითი ღირებულებით ცვეთის გარეშე, ხოლო მატერიალური ფასეულობები სრული ალდგენითი ღირებულებით.

2. არანარმოებული არაფინანსური აქტივები. ეს აქტივები არ წარმოადგენენ წარმოების პროცესთა შედეგს და იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

ა) მატერიალური აქტივები (მინა, ნიალისეული, სიმდიდრე, არანარმოებული ბიოლოგიური რესურსები, ნყლის რესურსები);

ბ) არამატერიალური აქტივები (პატენტები, საავტორო უფლებები, ლიცენზიები, ხელშეკრულებები იჯარაზე, "გუდვილი" და დანარჩენი).

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილი 8.2.-დან ჩანს, ეროვნული სიმდიდრის კლასიფიკაციის მეორე ნაწილს შეადგენენ ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები არის ისეთი აქტივები, რომლის განსაკუთრებულ მახასიათებელს შეადგენს ის, რომ მათი უმრავლესობის წინაშე წარმოიშობიან სხვა ინსტიტუციური ერთეულებისაგან ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები წარმოიშობიან იმ შემთხვევაში, როცა ერთი ინტერნაციონალური ერთეული გადასცემს მეორეს ფინანსურ რესურსებს. ამ შემთხვევაში კრედიტორის საშუალება არის მისი ფინანსური აქტი-

ვი, რამეთუ მევალისაგან ის მიიღებს მასზე გადაცემული ფინანსური რესურსებისათვის სარგებელს (პროცენტს), ხოლო მევალისათვის (დებიტორისათვის) მიწოდებული ფინანსური რესურსები შეადგენს მევალის საფინანსო ვალდებულებას კრედიტორის წინაშე. ზემოთ ხსენებული შემთხვევებისგან გამონაკლისს წარმოადგენს ოქროს მონეტა და სესხების სპეციალური უფლებები, რომელსაც მოიცავენ ფინანსური აქტივები.

მონეტური ოქრო — არის ოქროს მარაგი, რომელიც განიხილება როგორც საფინანსო აქტივი და რომელსაც განკარგავს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელი. სხვა ყველა დანარჩენი ოქრო, რომელსაც ფლობენ სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ფიზიკური პირები, ქვეყანაში განიხილება როგორც საქონელი, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები და ფასეულობები.

სპეციალური სასესხო უფლებანი წარმოიშობა (იქმნება) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, როგორც საერთაშორისო საფინანსო აქტივი, და განანიღდება სავალუტო ფონდში მონაწილე წევრებს შორის მოცემული ქვეყნის რესურსების შესავსებად.

ნაღდი ვალუტა, როგორც საფინანსო აქტივი, მოიცავს ყველა ბანკნოტსა და მონეტას, რომლებიც იმყოფებიან მიმოქცევაში, მიუხედავად იმისა, ითვლებიან ისინი მოცემული ქვეყნისა თუ სხვა ქვეყნის ფულად ერთეულებად.

დეპოზიტები განიხილება ფულადი მასის შემადგენლობაში (ფულადი აგრეგატი M2), რამდენადაც ნაღდ ფულთან ერთად შესაძლებელია მისი, როგორც გადახდის საშუალებად გამოყენება.

ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა), რომლებსაც მიეკუთვნება ობლიგაციები, ვექსილები, სავალო ვალდებულებანი და ა.შ., როგორც წესი, იყიდება და იქნენ მათ საფინანსო ბაზრობაზე, რომლებიც მათ მფლობელებს აძლევენ შესაძლებლობას მიიღონ განსაზღვრული ფულადი შემოსავლები.

სესხები (ნასესხობა, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით — სასესხო ხელშეკრულებანი) შედიან ფინანსური აქტივების ჯგუფში.

აქციები და სხვა სახეობის მონაწილეობა კაპიტალში, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტებისა და ჩანაწერების ფორმით, ადასტურებს მისი მესაკუთრის მიერ დივიდენდების მიღების უფლებას, ასევე კორპორაციული საწარმოს ლიკვიდაციის პირობებში — ყველა საკრედიტორო მოთხოვნის დაფარვის შემდეგ დარჩენილი ღირებულების ნაწილის მიღების უფლებას.

დაზღვევის ტექნიკური რეზერვები, რომელიც განიხილება როგორც ფინანსური აქტივები, არის აქტივები სადაზღვევო პოლისების მქონეთათვის და ვადებულებები სადაზღვევო კომპანიებისათვის (სიცოცხლის დაზღვევა ან სხვა სახეობის დაზღვევისათვის), ასევე საპენსიო ფონდებისათვის.

დანარჩენი დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშები. ეს არის ფინანსური აქტივები სავაჭრო კრედიტების, ავანსებისა და სხვა წყაროების სახით საჭირო ფინანსური რესურსების მიღებად.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები გამოიყოფა ეკონომიკის ცალკეული სექტორებისათვის, რამდენადაც მათი შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები აღრიცხულია ფინანსური აქტივების ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებში (აქციები, კრედიტები და ა.შ.), მაგრამ ასეთი ინვესტიციების საერთო თანხების განსაზღვრის აუცილებლობას განაპირობებს აქტივებისა და პასივების ბალანსთა კავშირი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა ანგარიშებთან და საგადამხდელი ბალანსთან.

### *§ 8.3. ძირითადი ფონდების სტატისტიკური შესწავლა*

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შეადგენენ ძირითადი ფონდები. ისინი ძირითადი საშუალებებია, რომლებსაც საწარმოები, ეკონომიკური სუბიექტები გამოიყენებენ საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, სხვებზე იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. მათი გამოყენება გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის — ბასს 16-ის (გადასინჯულია 1993 წელს) შესაბამისად აღიარებული უნდა იქნეს აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ეკონომიკური სუბიექტისათვის ამ აქტივს შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა და თუ შესაძლებელია საწარმოსათვის აქტივის ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სტანდარტის გამოყენებით არ აწარმოებენ ბუნებრივი რესურსების, სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობის, ბუნებრივი აირის და სხვა ამგვარი არაკვლავწარმოებადი რესურსების) მოპოვება-გადამუშავებისათვის განეული დანახარჯების („წარმოებული არამატერიალური აქტივების“) აქტივად აღიარებას.

აღრიცხვის გაადვილების მიზნით ძირითად საშუალებებს აჯგუფებენ მათი ერთნაირი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით. ეს ჯგუფებია:

- ა) მინები;
- ბ) მინა და შენობა-ნაგებობები;
- გ) მანქანები და მონყობილობები;
- დ) ხომალდები;
- ე) თვითმფრინავები;
- ვ) სატრანსპორტო საშუალებები;
- ზ) სამეურნეო ინვენტარი და ინსტრუმენტები;
- თ) ოფისის მონყობილობა.

მატერიალური ძირითადი ფონდების ზემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკაციას აკონკრეტებენ ეკონომიკის ცალკეული დარგისათვის. მაგ. მრეწველობის დარგის ძირითადი ფონდების კლასიფიკატორი განსხვავდება სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ძირითადი ფონდების კლასიფიკატორისაგან, ეს უკანასკნელი განსხვავდება მშენებლობაში გამოყენებული კლასიფიკატორისაგან და ა.შ., მაგრამ აუცილებელ პირობად აღიარებულია დარგობრივი კლასიფიკატორების შესაბამისობის პრინციპის დაცვა ერთიანი ძირითადი ფონდების კლასიფიკატორისადმი.

ძირითადი ფონდების ნატურალური ნივთობრივი კლასიფიკატორი იძლევა ძირითადი ფონდების სტრუქტურის ცვლილების ანალიზის საშუალებას, აგრეთვე, ძირითადი ფონდების აქტიური და პასიური წილის დადგენის შესაძლებლობას, რომელიც დამოკიდებულია დარგობრივი საქმიანობის სპეციფიკაზე.

ძირითადი ფონდების შესახებ მონაცემების მოპოვების ნყარობად ითვლება რეგულირებული სტატისტიკური ანგარიშგება ძირითადი ფონდების არსებობისა და მოძრაობის შესახებ, ერთდროული სტატისტიკური ანგარიშგება ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ, სანარმოთა რეგისტრისა და შერჩევითი გამოკვლევების მონაცემები.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ძირითადი საშუალებების აღიარების (ბასს-16-ის) მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი ღირებულების საიმედო შეფასება. ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილება რთული არ არის, რადგან თითქმის ყოველთვის შესაძლებელია მიღებული (შეძენილი თუ შექმნილი) აქტივის ღირებულების დადგენა.

სანარმოში ძირითადი საშუალება შეიძლება მიღებული იქნეს სხვადასხვა გზით. კერძოდ, სანარმო ძირითად საშუალებას შეიძენს იურიდიული (ფიზიკური) პირისაგან, ანარმოებს (ქმნის) თვითონ, ღებულობს უსასყიდლოდ ან გრანტის სახით, ანარმოებს გაცვლას და სხვა. ქვემოთ განვიხილავთ ძირითადი საშუალებების შეფასების პრინციპებს, კერძოდ,

1. ძირითადი საშუალებების სანყისი შეფასება  
ძირითადი საშუალების ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად უნდა შეფასდეს მისი თვითღირებულებით (ბასს-16, პუნქტი-15).

თვითღირებულების კომპონენტებია:

ა) ნაყიდობის ფასი,

ბ) საიმპორტო ბაჟი,

გ) უკან ამოღებას დაუქვემდებარებელი გადასახადები,

დ) სანარმოში ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირი ხარჯები (აქტივის ექსპლუატაციაში გაშვების ხარჯი, მისი ადგილზე მიტანის და შენახვის ხარჯები, მონტაჟის ხარჯები და არქიტექტორებისა და ინჟინრების შრომის ანაზღაურება, სოციალური ანაზღაურებები და სხვა), ყოველგვარი სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასდათმობის გამოკლებით.

*მაგალითი*, შეძენილი სანარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალების თვითღირებულების განსაზღვრაზე (პრაქტიკული ასპექტი):

შეძენილია სანარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალება ღირებულების თანადროულად (განვადების გარეშე) გადახდით. ნაყიდობის ფასი შეადგენს 100000 ლარს. მათ შორის აქტივის შეძენისას გადახდილია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) 20000 ლარი. აქტივის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის დაიხარჯა შრომის ანაზღაურების ფონდიდან მუშაკებზე ხელფასი (დაერიცხა) 5000 ლარი, სოციალურმა ანაზღაურებამ შეადგინა 1350 ლარი (5000X0,27), დასაქმების ფონდში გადასახადმა – 50 ლარი (5000X0,01). დაიხარჯა დამხმარე მასალები 4000 ლარის ღირებულების. ჩვენს მაგალითში შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებამ შეადგინა:

$100000 - 20000 + 5000 + 1350 + 50 + 4000 = 90400$  ლარი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ძირითადი ფონდების შეფასების თვითღირებულების კომპონენტები განსხვავებულია სხვადასხვა გარემოებათა გამო, რომელსაც ადგილი აქვს სანარმოებში. კერძოდ, მასზე გავლენას ახდენს შეძენისა და შექმნის პირობები.

სანარმოს მიერ შექმნილი აქტივის ღირებულების განსაზღვრა ხდება შეძენილი აქტივის ანალოგიურად (ბასს-16-ის პუნ. 19).

ძირითადი საშუალებების შექმნის პროცესში თუ სანარმო გამოიყენებს სესხს, მაშინ საჭიროა დადგინდეს სესხზე გადახდილი სარგებლის (პროცენტის) არსი. თუ დადგინდება, რომ საჭი-

როა საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაცია, მაშინ აუცილებელია შექმნილი აქტივის ღირებულებაში მისი გათვალისწინება.

ძირითადი საშუალებების შეფასებასთან დაკავშირებული კერძო შემთხვევებიდან განვიხილავთ ძირითადი საშუალებების მიღებას გრანტის სახით. ასეთ შემთხვევაში ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი რეალური ღირებულებით.

აქტივების გაცვლის გზით მიღებული ძირითადი საშუალებების რომელიმე ობიექტის ღირებულება ფასდება მიღებული აქტივის რეალური ღირებულებით, რომელიც გაცემული აქტივის რეალური ღირებულების ეკვივალენტურია და შესწორებულია ნებისმიერი ფულადი სახსრების (ან მისი ეკვივალენტის) სახით გადახდილი თანხით.

### ძირითადი საშუალებების გადაფასება

ძირითადი საშუალების ღირებულება, მისი საწყისი შეფასების შემდეგ, გამოყენების პერიოდში ექვემდებარება გადასინჯვას, რომლის მიზანია ძირითადი საშუალებების ბალანსში სტანდარტით განსაზღვრული ღირებულებით ასახვა. ამ მიზნით პრაქტიკაში დაშვებულია საბაზისო და ალტერნატიული მეთოდის გამოყენება.

საბაზისო მეთოდის მიხედვით ძირითადი საშუალების ესა თუ ის ობიექტი უნდა აისახოს პირვანდელი ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით (ბასს 16, პუნქტი 29). ამავდროს გასათვალისწინებელია, რომ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მის აღდგენით ღირებულებას (ბასს 16, პუნქტი 56), რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მწყობრიდან გამოსვლის, მორალური ცვეთის ან სხვა მიზეზის გამო.

### მაგალითი ძირითადი საშუალების გადაფასებაზე (პრაქტიკული ასპექტი)

საწარმოს გააჩნია ძირითადი საშუალება, რომლის საწყისი ღირებულება, შეძენის თვითღირებულებით, შეადგენს 16000 ლარს. მოცემული აქტივის ცვეთა 3200 ლარს შეადგენს. სხვა გარემოებათა არარსებობისას აქტივი საწარმოს ბალანსში უნდა აისახოს პირვანდელი ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. ჩვენს მაგალითში იგი შეადგენს 12800 (16000-3200) ლარს. მაგრამ თუ დავუშვებდით, რომ მოცემული ძირითადი სა-

შუალემა ექსპლუატაციის პერიოდში შეძლებს მხოლოდ 12000 ლარის სარგებლის მოტანას, მაშინ იგი უნდა ჩამოფასდეს და სანარმოს ბალანსში აისახოს 12000 ლარად, ხოლო გაუფასურების თანხა 800 (12800-12000) ლარი მიეკუთვნება სანარმოს „სხვა არასაოპერაციო ხარჯებს“.

ალტერნატიული მეთოდის მიხედვით ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ობიექტი უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის აქტივის არსებული რეალური ღირებულებისაგან დაგროვილი ცვეთის თანხისა და გაუფასურების თანხის გამოკლების შედეგად დარჩენილი თანხის ტოლია. გადაფასება უნდა ტარდებოდეს რეგულარულად (ბასს 16, პუნქტი 30), იმისათვის, რომ ბალანსის შედგენის თარიღისათვის აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან.

გადაფასების პროცესის წარმართვის სიხშირე დამოკიდებულია შესაფასებელი ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების ცვლილებებზე. მაგალითად, როდესაც აქტივის ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია მისი გადაფასება. ზოგიერთი აქტივისთვის აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება (რომლის რეალური ღირებულება ძალიან სწრაფად იცვლება). ხოლო შედარებით სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისთვის საკმარისია გადაფასების ჩატარება სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ. აქვე გასათვალისწინებელია სტანდარტების მოთხოვნა (ბასს 16, პუნქტი 36). როდესაც ხდება ძირითადი საშუალებების რომელიმე ობიექტის გადაფასება, უნდა მოხდეს მთლიანად აქტივების იმ ჯგუფის გადაფასებაც, რომელშიც შედის მოცემული ობიექტი. შერჩევითი გადაფასების შეზღუდვა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოხდეს განსხვავებული თარიღისათვის შეფასებული დანახარჯებისა და ღირებულების ერთმანეთში არევა.

### ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოანგარიშების უმთავრეს ბაზას ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება წარმოადგენს. ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია მოხმარებული ძირითადი საშუალებების ღირებულების (ცვეთის) გამოანგარიშება და მისი სანარმოს ხარჯებისადმი მიკუთვნება.



ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ნორმის დადგენის დროს ვარაუდობენ, რომ ძირითადი საშუალება მათი მომსახურების ვადის შემდეგ შეიძლება გაიყიდოს ან მათი ლიკვიდაციიდან შეიძლება ისეთი დეტალების მიღება, რომლებიც გარკვეული შემოსავლის წყაროდ იქცეს. ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან ან ლიკვიდაციიდან (მათი მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ) მიღებულ თანხას სალიკვიდაციო ღირებულებას უწოდებენ. ძირითადი საშუალების პირვანდელი და სალიკვიდაციო ღირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც სრული ოდენობით გარდაიქმნება საწარმოს ხარჯებად. ცვეთის დარიცხვით აღწევენ ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულების ხარჯებად ტრანსფორმაციას. ცვეთის გეგმის შესადგენად აუცილებელია ცვეთის მეთოდის შერჩევა. ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფისათვის შერჩეული ცვეთის მეთოდი უცვლელად უნდა იყოს გამოყენებული წლების მანძილზე (მუდმივობის პრინციპი). სტანდარტის მიხედვით სამენარმეო თვალსაზრისით ცვეთის მეთოდის არჩევის შეზღუდვა არ არსებობს. ბასს 16-ის მიხედვით მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ხასიათზე.

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დეტალურად დავახასიათოთ მსოფლიო სააღრიცხვო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული ცვეთის დარიცხვის მეთოდები, რამეთუ ჩვენი პოსტსოციალისტური სტატისტიკური პრაქტიკა არ გამოიყენებდა ამორტიზაციის განსხვავებულ მეთოდებს.

სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად სააღრიცხვო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება:

1) ღირებულების ნრფივი ცვეთის მეთოდი;

2) შესრულებული სამუშაოს მოცულობის (მწარმოებლობის) პროპორციულად ცვეთის მეთოდი;

3) ძირითადი საშუალებების მომსახურების წლების რიცხვითა და ჯამით განსაზღვრული დაჩქარებული ცვეთის (ანუ კუმულაციური) მეთოდი;

4) შემცირებული ნაშთის, ანუ ცვეთის გაორმაგებული ნორმის მეთოდი.

ზემოთ მოცემული მეთოდებიდან პირველი ორი ნორმალური ცვეთის მეთოდების სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო მესამე-მეოთხე კი — დაჩქარებული (რეგრესიული) ცვეთის მეთოდად იწოდება.

ღირებულების ნრფივი ცვეთის მეთოდი გულისხმობს ობიექტის ღირებულების თანაბარ ზომიერად ჩამონერას მისი მომსახუ-

რების პერიოდში. წრფივი ცვეთის მეთოდით ცვეთის წლიური თანხის გამოანგარიშების ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$\text{წლიური ცვეთა (A)} = \frac{\text{პირვანდელი ღირებულება} - \text{სალიკვიდაცო ღირებულება}}{\text{მომსახურების ვადა}} \quad (8.1.)$$

შესრულებული სამუშაოს მოცულობის ან მწარმოებლობის პროპორციულად ცვეთის დარიცხვის მეთოდი ითვალისწინებს ამორტიზაციაზე ექსპლოატაციის შედეგების გავლენას, რომლის გამოსაანგარიშებელი ფორმულაც შემდეგი სახისაა:

$$\text{წლიური ცვეთა პროდუქციის ერთეულზე (A)} = \frac{\text{პირვანდელი ღირებულება} - \text{სალიკვიდაცო ღირებულება}}{\text{პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობა}} \quad (8.2.)$$

*მაგალითი* მწარმოებლობის პროპორციული მეთოდით ცვეთის დარიცხვაზე. დავუშვათ, რომ ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება 200 ათას ლარს შეადგენს, ხოლო სალიკვიდაცო ღირებულება გათვალისწინებულია 20 ათასი ლარის ოდენობით. ეს ობიექტი ემსახურა 1500 ათასი ერთეული ნაწარმის შექმნას. მათ შორის პირველ წელს გათვალისწინებულია პროდუქციის 300 ათასი ერთეულის, მეორე წელს — 300 ათასი, მესამე წელს — 350 ათასი, მეოთხე წელს — 320 ათასი ერთეულის და ბოლო წელს 230 ათასი ერთეულის წარმოება. მწარმოებლობის პროპორციულად ამორტიზაციის მეთოდით (იხ. ფორმულა 8.2.) ცვეთის დარიცხვა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

*ცხრილი. 8.3.*

*მწარმოებლობის პროპორციული მეთოდით დარიცხული ცვეთის თანხის გაანგარიშების პრობოითი ცხრილი*

მარე- ნებლები	პირვანდ- ელი ღირე- ბულება	ნაწარმის სავარაუდო მოცულობა	წლიური ცვეთის განგაროშება	ცვეთა ნაწარმი ჯამით	წარჩენი ღირებუ- ლება
I წელი	200000	300000	$200,0 - 20,0 = 180,0; 1,500 = 0,12 \times 300,0 = 36000$	36000	164000
II წელი	200000	300000	$0,12 \times 300,0 = 36000$	72000	128000
III წელი	200000	350000	$0,12 \times 350,0 = 42000$	114000	86000
IV წელი	200000	320000	$0,12 \times 320,0 = 38400$	52400	47,600
V წელი	200000	230000	$0,12 \times 230,0 = 27600$	180000	20,000

როგორც ცხრილის (8.3.) ანალიზი გვიჩვენებს, ცვეთის წლიურ თანხასა და პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ცვეთის თანხა იზრდება შექმნილი (სავარაუდოდ) პროდუქციის მოცულობის პროპორციულად. ამასთანავე, ძირითადი საშუალებების წარჩენი ღირებუ-

ლება მცირდება შექმნილი პროდუქციის მოცულობის პროპორციულად სალიკვიდაციო (20000) ღირებულებამდე.

დაჩქარებული ცვეთის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძირითად საშუალებას ექსპლუატაციის დასაწყისში უფრო მეტი ცვეთა ერიცხება, ვიდრე მომსახურების ვადის ბოლოს. ამ მეთოდის გამოყენება გამართლებულია, რამეთუ ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის დასაწყისში მისი სარგებლიანობა და მწარმოებლობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მომდევნო და ბოლო წლებში. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებები, რომ ბევრი ძირითადი საშუალება (აქტივი) სწრაფად კარგავს სარგებლიანობის უნარს მორალურად მოძველების (მორალური ცვეთის) გამო. ამიტომ მიზანშეწონილია ძირითადი ცვეთის მეტი ნაწილის მიკუთვნება ხარჯებისადმი, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, ვიდრე მომავალში.

დაჩქარებული ცვეთის მეთოდებიდან პრაქტიკაში უფრო მიღებულია რიცხვთა ჯამით განსაზღვრული და გაორმაგებული ნორმის მეთოდი.

რიცხვთა ჯამით განსაზღვრული დაჩქარებული ცვეთის მეთოდით ყოველწლიური ცვეთის თანხა იანგარიშება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთა } (A_1) = \frac{\text{დარჩენილი წლების რაოდენობა}}{\text{რიცხვთა ჯამი}} \times \text{ცვეთადი ღირებულება} \quad (8.3)$$

სადაც, რიცხვთა ჯამი არის ძირითადი საშუალების მთელი ექსპლუატაციის პერიოდში ყველა წლის რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რიცხვთა ჯამი} = \frac{N \times (N + 1)}{2}, \quad (8.3-1)$$

სადაც  $N$  არის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა. მაგალითად, თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა 3 წელია, მაშინ რიცხვთა ჯამი იქნება  $1+2+3=6$ , ანუ ზე-

მოთ მოყვანილი ფორმულის გამოყენებით:  $\frac{3 \times (3 + 1)}{2} = \frac{3 \cdot 4}{2} = 6$ .

გაორმაგებული ნორმის დაჩქარებული ცვეთის მეთოდის გამოყენებით ცვეთის გაანგარიშება უყრდნობა წრფივი მეთოდით (იხ. ფორმულა 8.1) დადგენილ ცვეთის ნორმას, რომელიც ორმაგდება (მრავლდება ორზე) ან გამოიყენება სხვა მყარი განაკვეთი და ამ ნორმით ხდება ცვეთის წლიური თანხის დადგენა ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (მუხლი 54) საფუძველზე ქვეყანაში რეგულირებულია ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითვები, ძირითად საშუალებათა მიხედვით. საშუალებები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას (ამორტიზაციის თანხა არ დაერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და სხვა არაამორტიზებად აქტივებს), ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით (3. გვ. 72-73.)

ჯგუფის ნომერი	ქონება	ამორტიზაციის ნორმა, %
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მონყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მონყობილობები და აღჭურვილობა	20
2	საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა. სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომოსაბმელები; მანქანები და მონყობილობა მრეწველობის ყველა დარგისა და სამსხელო წარმოებისათვის; სამჭედლო-სანნები მონყობილობა; ელექტრონული მონყობილობა; სამშენებლო მონყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მონყობილობა; ავეჯი ოფისისათვის	15
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო-სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მონყობილობა; თბოტექნიკური მონყობილობა, ტურბინული მონყობილობა, ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მონყობილობები; მილსადენები	8
4	შენობები, ნაგებობები	7
5	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში	10
	<i>შენიშვნა:</i> კოდექსის 54 მუხლის (პუნქტი 10) საფუძველზე გადამხდლებს უფლება აქვთ გამოიყენონ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა მეორე და მესამე ჯგუფის ძირითადი საშუალებების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმების ორმაგი ოდენობისა	

## ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაში განეული დანახარჯები

ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის პერიოდში განეულ დანახარჯებზე მსჯელობისას მხედველობაში მიიღება დანახარჯები, რომელიც უმთავრესად აქტივის მომსახურებასა და რემონტთან არის დაკავშირებული. ეს ხარჯები ორგვარია. ერთი ნაწილი ხელს უწყობს აქტივისაგან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, რომელიც განიხილება როგორც ხარჯი და შესაბამისად მიეკუთვნება მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დანახარჯებს.

მეორე ნაწილი ზრდის აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ოდენობას. შესაბამისად, განეული ხარჯი, რომელიც ემსახურება სასარგებლო მომსახურების ვადის ან მწარმოებლობის ზრდას, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც კაპიტალიზებადი დანახარჯი, ანუ ისეთი დანახარჯი, რომელიც ზრდის საწარმოს აქტივის (ძირითადი საშუალების) ღირებულებას და, შესაბამისად, არ იქნება აღიარებული საანგარიშო პერიოდის დანახარჯად.

### ძირითადი საშუალებების ბრუნვიდან გასვლა (ლიკვიდაცია)

ძირითადი საშუალებების ბრუნვიდან გასვლა (ბასს 16-ის პუნქტი 61 მიხედვით) გულისხმობს მის გაყიდვას, გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ჩამონერას, ბარტერიით გაცვლას, უსასყიდლოდ გადაცემას ან სხვა მიზეზების გამო მათი საწარმოს აქტივებიდან ამოღებას. სტანდარტის მიხედვით „ძირითადი საშუალების შემადგენლობა უნდა ჩამოინეროს ბალანსიდან, თუ ის გაიყიდება ან გამოვა მწყობრიდან და მოსალოდნელი აღარ არის საწარმოში მისგან მიმავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება“.

ძირითადი საშუალების ბრუნვიდან გასვლამ (გასვლის მიზეზის მიუხედავად) შეიძლება გამოიწვიოს მოგების ან ზარალის მიღება. აქტივის მწყობრიდან გასვლის ან გაყიდვის შედეგად მიღებულ მოგებას (ზარალს) განსაზღვრავენ როგორც სხვაობას მოსალოდნელ წმინდა ამონაგებ თანხასა და საბალანსო ღირებულებას შორის. მოგების (ზარალის) თანხა, შესაბამისად აღიარებულ-ასახული უნდა იქნეს მოგებისა და ზარალის ანგარიშებში, როგორც შემოსავალი (ხარჯი).

## ძირითადი ფონდების მდგომარეობისა და კვლავნარმოების მაჩვენებელთა განსაზღვრა

ძირითადი ფონდების მდგომარეობისა და კვლავნარმოების მაჩვენებელთა განსაზღვრას ანარმოებენ საწარმოს ბალანსის მონაცემების საფუძველზე, როგორც საბალანსო, ასევე ნარჩენი ღირებულების მიხედვით. კერძოდ, განსაზღვრავენ შემდეგ მაჩვენებლებს.

1. ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი უჩვენებს ექსპლოატაციაში გადაცემული ახალი ძირითადი ფონდების ღირებულების შეფარდებას წლის ბოლოსათვის არსებული ძირითადი ფონდების ღირებულებასთან, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება ძირითადი ფონდების კვლავნარმოების პროცესი.

ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი ( $K_{\text{განახლების}}$ ) უდრის

$$K_{\text{განახლების}} = \frac{\text{საანგარიშო პერიოდში შემოსული ძირითადი ფონდების ღირებულება}}{\text{ძირითადი ფონდების ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს}} \times 100\% \quad (8.4)$$

2. ძირითადი ფონდების მწყობრიდან გამოსვლის კოეფიციენტი ახასიათებს, მოქმედებიდან გამოსული ძირითადი ფონდების ღირებულების შეფარდებას წლის დამდეგისათვის არსებული ძირითადი ფონდების სრულ ღირებულებასთან.

$$K_{\text{გასვლის}} = \frac{\text{საანგარიშო პერიოდში გასული ძირითადი ფონდების ღირებულება}}{\text{საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული ძირითადი ფონდების ღირებულება}} \times 100\% \quad (8.5)$$

3. ძირითადი ფონდების გაცვეთის კოეფიციენტი უჩვენებს წლის დასაწყისში ძირითადი ფონდების ცვეთის ღირებულების (სხვაობა პირვანდელ და ნარჩენ ღირებულებათა შორის) შეფარდებას წლის დამდეგისათვის არსებული ძირითადი ფონდების ღირებულებასთან

$$K_{\text{ცვეთის}} = \frac{\text{ძირითადი ფონდების ცვეთის ღირებულება}}{\text{ძირითადი ფონდების ღირებულება წლის დასაწყისისათვის}} \times 100\% \quad (8.6)$$

4. ძირითადი ფონდების ვარგისიანობის კოეფიციენტი ახასიათებს დროის მოცემული მომენტისათვის ნარჩენი ღირებულებ-

ბის (ცვეთის გარეშე) შეფარდებას ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულებასთან. მას განსაზღვრავენ ფორმულით:

$$K_{\text{კარგისთანობის}} = 100\% - K_{\text{ცვეთის}}, \text{ ანუ}$$

$$K_{\text{კარგისთანობის}} = \frac{\text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება}} \times 100\% \quad (8.7)$$

ძირითადი ფონდების გამოყენებას ახასიათებენ რიგი მაჩვენებლებით. კერძოდ: ფონდუკუგების, ფონდტევადობის, ფონდრენტაბელობის, ფონდშეიარაღების, სანარმოო ფართობის ერთეულზე პროდუქციის წარმოების და სხვა მაჩვენებლებია.

5. ფონდუკუგების კოეფიციენტი ( $K_{\Phi}$ ) განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{\Phi} = \frac{\text{საერთო სასაქონლო (ნორმატიული) პროდუქციის ღირებულება}}{\text{ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება}} \times 100\% \quad (8.8)$$

6. ფონდუკუგების (რომლის შებრუნებული მაჩვენებელია ფონდტევადობა) დინამიკის ანალიზისათვის სტატისტიკაში გამოიყენება ფონდუკუგების ცვალებადი შემადგენლობის ინდექსის ფორმულა:

$$I_{\text{ფონდ. უკ. ცვლ. შემადგ.}} = \frac{\sum Q_1}{\sum B_1} : \frac{\sum Q_0}{\sum B_0}, \quad (8.9)$$

სადაც  $Q_1$  და  $Q_0$  — საანგარიშო და საბაზისო პერიოდში წარმოებული პროდუქციის ღირებულებაა,

$\bar{B}_1$  და  $\bar{B}_0$  — კი ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება, შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

7. ფონდრენტაბელობის მაჩვენებელი ახასიათებს სანარმოს (ორგანიზაციის) აქტიურ საქმიანობას ფინანსურ საკითხებში, კერძოდ განიხილება სანარმოს საერთო რენტაბელობისა ( $P_0$ ).

$$P_0 = \frac{\text{მოგების საერთო თანხა (საბალანსო მოგება)}}{\text{ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ღირებულება}} \times 100\% \quad (8.10)$$

და სანარმოო კაპიტალის საერთო წრებრუნვის ( $O_k$ ) მაჩვენებლები.

$$O_k = \frac{\text{პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{საწარმოო კაპიტალის საერთო ღირებულება}} \quad (8.11)$$

სადაც, სანარმოო კაპიტალი მოიცავს: ძირითად კაპიტალს (აქტივებს), არამატერიალურ აქტივებს, მატერიალურ საბრუნავ საშუალებებსა და მიმოქცევის ფონდებს.

#### *§8.4. მატერიალურ ფასეულობათა რეზერვების (საბრუნავ საშუალებათა მარაგების) სტატისტიკური შესწავლა*

სანარმოო საბრუნავი ფონდები, როგორც ცნობილია, ძირითადი სანარმოო ფონდებისაგან განსხვავებით, ერთ სანარმოო ციკლში მოიხმარება და მათი ღირებულება სრულად გადაიტანება დამზადებულ პროდუქტში (მომსახურებაში). აღრიცხვის პრაქტიკაში სანარმოო, საბრუნავ ფონდებს (მარაგებს) მიეკუთვნება ასევე ინსტრუმენტები, სამარჯვებები და სხვა საგნები, რომელთა ღირებულება 150 ლარზე ნაკლებია, მიუხედავად მათი სამსახურის ვადისა.

საბრუნავი ფონდები ნატურალური ნივთობრივი ფორმისა და კვლავნარმოების პროცესში მათი როლის მიხედვით იყოფა სანარმოო საბრუნავ ფონდებად და მიმოქცევის ფონდებად. იმასთან დაკავშირებით, რომ სანარმოო პროცესში გამოყენებადი მატერიალური აქტივი დროის მოკლე მონაკვეთში ინარჩუნებს თავის სახეს ან ხანმოკლე პერიოდში არის სანარმოს საკუთრება აღრიცხვის მიზნით, კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე — სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აქტივი და აღრიცხება როგორც მარაგი მანამ, ვიდრე ცნობილი არ გახდება მასთან დაკავშირებული შემოსავლების მიღება.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესები დარეგულირებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 2-ის მიხედვით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულის შემადგენლობაში განიხილება: ნედლეული, მასალები, მზა პროდუქცია და საქონელი. გარდა ამისა, იგი მოიცავს დაუმთავრებელ ნარმოებას ან საკუთარი ნარმოების ნახევარფაბრიკატებს. ბასს-18-ის მიხედვით, მასვე მიეკუთვნება ისეთი მომსახურების დანახარჯები, რომლიდანაც სანარმოს შემოსავლები ჯერ არა აქვს მიღებული.

ბასს 2-ის მიხედვით „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“, ისეთი აქტივებია, რომლებიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;



ბ) მონაწილეობენ წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით და განკუთვნილია სანარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასანევად (4).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასების მეთოდის განხილვისას გასათვალისწინებელია ფასეულების მიმართ ნაყენებული სააღრიცხვო და საგადასახადო მოთხოვნები. კერძოდ, ფასეულობათა შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეფასების მიზანი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით ხდება „მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით“ (ე.წ. უმცირესი ღირებულების პრინციპით) (4).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს:

ა) ფასეულობების შექმნასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს;

ბ) დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მათ ტრანსპორტირებასთან მოცემულ ადგილსამყოფლამდე და ფასეულობების სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ფასეულობების შექმნის დანახარჯები მოიცავს:

1. საქონლის მომწოდებლისათვის გადახდილ (გადასახდელ) თანხას, ანუ შექმნის ფასს.

2. საქონლის სატრანსპორტო და საექსპედიტორო ხარჯებს.

3. იმპორტთან დაკავშირებულ საბაჟო გადასახადს, დეკლარაციის გაფორმებისა და ტერმინალის მომსახურების ხარჯებს.

4. სხვა გადასახადებს, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება და სხვა.

აქვე განვმარტავთ ნეტო სარეალიზაციო ღირებულების არსს. ბასს 2-ის მიხედვით: „ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამენარმეო პროცესისათვის დადგენილი მიახლოებითი გასაყიდი ფასით განსაზღვრული ღირებულებისა და პროდუქციის დაკომპლექტებისა და გაყიდვის ორგანიზაციისათვის საჭირო მოსალოდნელ მიახლოებით დანახარჯებს შორის სხვაობა“ (4).

უმცირესი ღირებულების პრინციპის არსის გასარკვევად მოგვყავს შემდეგი პირობითი მაგალითი.

სანარმოს მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის ნაშთი 10000 ერთეულია და ერთეული პროდუქციის თვითღირებულება 20 ლარის ტოლია. ბალანსის შედგენის მომენტისათვის ნავარაუდევია,

რომ ერთეული პროდუქცია გაიყიდება 18 ლარად და მისი წილი სარეალიზაციო ხარჯი სავარაუდოდ იქნება 2 ლარი. ასეთ შემთხვევაში, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება შეადგენს 16 ლარს (18-2). ბალანსის შედგენის მომენტში მზა პროდუქცია ბალანსში აისახება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით, რამეთუ იგი უმცირესია (16 ლარი) პროდუქციის თვითღირებულებასთან შედარებით (20 ლარი), რომელიც შეადგენს (10000X16) 160000 ლარს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია ფასდება უშუალოდ პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯების ერთობლიობით (ბასს 2. პუნქტი 10). მას მიეკუთვნება დახარჯული ძირითადი მასალების ღირებულება, პირდაპირი შრომის დანახარჯები (პირდაპირი ხელფასი სოციალური დანარიცხების ჩათვლით), ასევე გასანაწილებელი მუდმივი სანარმოო ზედნადები ხარჯები (შენობებისა და მოწყობილობათა ცვეთა, მოწყობილობის ექსპლუატაციის დანახარჯი, მმართველობითი ხარჯები) და ცვალებადი სანარმოო ზედნადები ხარჯები (მიკუთვნებული განაწილებით).

სტანდარტებით გათვალისწინებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში ნასესხებ საშუალებებთან დაკავშირებული დანახარჯების ჩართვა.

სტანდარტებით (ბასს 2-ის 17-18 პუნქტები) ნებადართულია ფასეულობების თვითღირებულების დასადგენად ნორმატიული და საცალო ფასების მეთოდის გამოყენება. ეს უკანასკნელი მეთოდი ხშირად გამოიყენება საცალო ვაჭრობაში, ვინაიდან სავაჭრო ქსელში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა შედგება სწრაფად ცვალებადი მრავალი დასახელებისა და ასორტიმენტის საქონლისაგან და მათთვის თვითღირებულების გაანგარიშების სხვა მეთოდების გამოყენება არაპრაქტიკულია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის (მარაგის) გასვლის (გაყიდვის) შემდეგ მათი პირვანდელი ღირებულება აღიარებული უნდა იქნეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი შემოსავალი (ბასს 2. პუნქტი 31), რაც გულისხმობს გასული (გაყიდული) ფასეულობის ჩამონერას მარაგის შემადგენლობიდან და შესაბამისად ჩამოსანერი ფასეულობის თვითღირებულების დადგენას. ზემოთ ხსენებული სტანდარტით (ბასს 2) დადგენილია მარაგების თვითღირებულების განსაზღვრის ოთხი მეთოდი:

1. იდენტიფიცირებული ფასების გამოყენების მეთოდი.

2. მეთოდი „ფიფო“ – FIFO<sup>1</sup>.

3. მეთოდი „ლიფო“ – LIFO<sup>2</sup>.

4. საშუალო შენონილი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

განვიხილოთ თითოეული მეთოდის არსი.

1. იდენტიფიცირებული ფასების მეთოდის გამოყენება უფრო ხელსაყრელია მაშინ, როდესაც სანარმო ვაჭრობს რამდენიმე დასახელების, შედარებით ძვირადღირებული საქონლით. მოქმედი სტანდარტის მიხედვით, ცალკეული სახის საქონლისა და მომსახურების, ასევე იმ ფასეულობის თვითღირებულება, რომელიც ურთიერთშემცვლელი არ არის, განისაზღვრება მათი ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციით. ბუნებრივია, ამ მეთოდის გამოყენება არახელსაყრელია, როდესაც მრავალი დასახელების და ურთიერთშემცვლელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობით ვაჭრობენ.

2. მეთოდი „ფიფო“ – FIFO, ანუ “პირველი შემოსავალში – პირველი გასავალში” გულისხმობს შემდეგს: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის (მარაგის) ელემენტების გაყიდვისას ყურადღება არ ექცევა მათი შეძენის ფასს და რიგითობას, არამედ იგულისხმება, რომ პირველად გავიდა (გაიყიდა) ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელიც პირველად იყო ნაყიდი ან წარმოებული. ამ მეთოდის გამოყენებით გასული და ნაშთად დარჩენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების გაანგარიშება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ინვენტარიზაციის გზით დგინდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთი.

ბ) განისაზღვრება დადგენილი ნაშთის ღირებულება.

გ) გაყიდული საქონლის ღირებულებას აკლდება ნაშთად დარჩენილი ფასეულობის ღირებულება (იგულისხმება, რომ ნაშთად რჩება ბოლოს შემოსული ფასეულობები). ნაშთად დარჩენილი ფასეულობა ფასდება ბოლო შესყიდვების ან წარმოების თვითღირებულებით.

3. მეთოდი „ლიფო“ – LIFO, ანუ “ბოლო შემოსავალში” – “პირველი გასავალში” გულისხმობს (ალტერნატიული მეთოდით თვითღირებულების განსაზღვრას), თითქოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობიდან პირველად იყიდება ის, რომელიც ბოლოს იქნა შეძენილი ან წარმოებული. შესაბამისად, ბოლოს შეძე-

<sup>1</sup> „ფიფო“ – ინგლ. FIFO method - მომარაგების მეთოდის საბაზისო მეთოდი ბასს-ით.

<sup>2</sup> „ლიფო“ – ინგლ. LIFO method - მომარაგების შეფასების ალტერნატიული მეთოდი ბასს-ით.

ნილი (წარმოებული) ფასეულობის თვითღირებულების მეშვეობით ახდენენ პირველ რიგში რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების შეფასებას.

4. საშუალო შენონილი ღირებულება გამოითვლება შემდეგი წესით: პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის მთლიან ღირებულებას ემატება პერიოდის განმავლობაში შემოსული ფასეულობების მთლიანი თვითღირებულება და იყოფა პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგისა და შემოსული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის რაოდენობის ჯამზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისას, განსხვავებულ ფინანსურ შედეგებს მივიღებთ, შესაბამისად განსხვავებულ მოგებას და მოგების გადასახადს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 77-ე მუხლით დაშვებულია ამ ოთხი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენება. ამიტომ, საწარმომ დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ მეთოდის გამოსაყენებლად (3).

ამრიგად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფინანსური ანგარიშგებით წარსადგენი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთის დადგენა რთული და შრომატევადი საქმეა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღრიცხვის პრაქტიკაში სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის მისაღები წესის (ხერხის) არჩევა. ამ მიზნით, აღრიცხვის პრაქტიკაში ორ ხერხს გამოიყენებენ. კერძოდ, უწყვეტ და პერიოდული აღრიცხვის ხერხებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის უწყვეტი აღრიცხვა გულისხმობს ფასეულობათა შემოსვლისა და გასვლის ყოველი ოპერაციის ტექნოლოგიური თანმიმდევრობით აღრიცხვას საბოლოო ნაშთის განსაზღვრისათვის, რომელიც შემდგომ ექვემდებარება გადაფასებას. სარგებლობენ შემდეგი ფორმულით:

მარაგების საბოლოო ნაშთი	=	მარაგების საწყისი ნაშთი	+	მარაგების მიღება	-	მარაგების გასვლა	(8-12)
-------------------------	---	-------------------------	---	------------------	---	------------------	--------

უწყვეტი აღრიცხვა უზრუნველყოფს: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მოძრაობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას; ნებისმიერ მომენტში იძლევა სრულ სურათს ნაშთისა და მისი შემადგენლობის შესახებ და აადვილებს კონტროლის ფუნქციას.

პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ასევე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა პერიოდულ აღრიცხვას, რომლის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ან-

გარიშებზე ფასეულობის მოძრაობა არ აისახება. მოცემულ ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არავითარი ჩანანერი არ კეთდება. შექმნილი (შექმნილი) ფასეულობა აისახება რეალიზაციის თვითღირებულების ანგარიშზე, რამდენადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა მთლიანად გამოყენებულად ითვლება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალიზებული ფასეულობის თვით-

რეალიზებული ფასეულობის თვითღირებულება	=	ფასეულობის საწყისი ნაშთი	+	ნეტო შესყიდვა	-	საბოლოო ნაშთი	(8-13)
---------------------------------------	---	--------------------------	---	---------------	---	---------------	--------

ღირებულებას შემდეგი ფორმულის მეშვეობით აზუსტებენ:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის საბოლოო ნაშთი ინვენტარიზაციის გზით განისაზღვრება, რომელიც შესაძლებელია საწყის ნაშთზე მეტი ან ნაკლები აღმოჩნდეს. ამიტომ აუცილებელია საწყისი ნაშთის კორექტირება. კორექტირების სიდიდეს ადგენენ ინვენტარიზაციისა და შეფასების ზემოთ მოყვანილი ფორმულების გამოყენებით.

### *საკონტროლო კითხვები*

1. დაახასიათეთ რა არის ეროვნული სიმდიდრე და როგორია მისი ძირითადი ელემენტები.
2. განიხილეთ, თუ რით განსხვავდება ეროვნული შემოსავალი ეროვნული სიმდიდრისაგან და გადმოეცით ეროვნული სიმდიდრის კლასიფიკაცია.
3. დაახასიათეთ რას მოიცავს წარმოებული და არაწარმოებული აქტივები? დაახასიათეთ საკუთარი კაპიტალი და მისი გამოსათვლელი ფორმულა.
4. ჩამოთვალეთ ძირითადი ფონდების კლასიფიკაცია.
5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიყენებული ძირითადი ფონდების შეფასების ძირითადი მეთოდები.
6. ჩამოთვალეთ ძირითადი საშუალებების თვითღირებულების შეფასების კომპონენტები.
7. განიხილეთ და ახსენით ძირითადი საშუალებების გადაფასების საბაზისო და ალტერნატიული მეთოდების არსი.

8. დაახასიათეთ ფინანსური აქტივები და მოიყვანეთ მისი ძირითადი ჩამონათვალი.

9. რა არის ძირითადი საშუალებების მოხმარებული ლირებულება (ცვეთა)?

10. განიხილეთ და ჩამოაყალიბეთ ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის მეთოდების არსი.

12. განიხილეთ და უჩვენეთ ძირითადი ფონდების მდგომარეობისა და კვლავწარმოების ძირითადი მაჩვენებლები.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. გ.გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თბ., 1998.

2. ნ.ასლამაზიშვილი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, თბ., 1995.

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2000.

4. ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები: საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ), თბ., 2000.

5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ნელინდეული, თბ., 1995.

6. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.И.Иванова), М., 1998 წ. თავი 11, გვ. 233.

## თემა 9. ეკონომიკის ცალკეული დარგების, პროდუქციის სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ეკონომიკის ცალკეული დარგების, პროდუქციის მაჩვენებლების გამოთვლა ემყარება შემდეგ ზოგად პრინციპებს:

ა) დარგის პროდუქციის მაჩვენებელთა გაანგარიშებისას განსაზღვრავენ კლასიფიკაციის ერთეულს, აღწერენ იმ ეკონომიკურ ერთეულებს, რომლებსაც ანაც შედგება მოცემული დარგი;

ბ) დარგობრივი კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ყველა სახეობის ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვის ერთეულად აღიარებულია დანესებულება, ე.ი. სანარმოდანაყოფი, რომელიც განლაგებულია ერთ სივრცეში (ადგილას) და ეწევა ერთნაირი სახეობის საქმიანობას საქონლის (მომსახურების) წარმოების თვალსაზრისით და პრაქტიკულად შესაძლებელია მის მიერ წარმოებულ პროდუქციასა და განეულ დანახარჯებზე მონაცემთა მოპოვება.

დარგი — ეს არის ერთნაირი ბუნების დანესებულებათა ერთობლიობა, დარგის პროდუქცია კი არის დარგის მომცველი დანესებულების მიერ წარმოებული ყველა პროდუქციის ერთობლიობა.

დარგის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება:

ა) გამოშვების მაჩვენებელი;

ბ) მთლიანი დამატებული ღირებულება (მდპ).

გამოშვების მაჩვენებელი ახასიათებს წარმოების შედეგებს, რომელიც განისაზღვრება ყველა წარმოებული საქონლის (მომსახურების) მთლიანი ღირებულებით, ე.ი. მისი საერთო ღირებულებიდან არ არის გამოორიცხული წარმოების პროცესში დახარჯული ძირითადი მასალების, ნედლეულისა და შუალედური მოხმარების სხვა ელემენტების ღირებულება.

მთლიანი დამატებული ღირებულება უფრო ზუსტად ახასიათებს სანარმოდანაყოფის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, რამდენადაც საქონლის საერთო ღირებულებიდან გამოორიცხულია შუალედური მოხმარების ელემენტების ღირებულება. მთლიანი დამატებული ღირებულება იმავდროულად მოიცავს მოხმარებული ძირითადი კაპიტალის (ძირითადი ფონდების ცვეთის) ღირებულებასაც.

გამოშვებისა და მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებლები გაიანგარიშება მიმდინარე და მუდმივ ფასებში (განხილულია §7.3.-ში).

მიმდინარე ფასებში გამოშვებისა და მთლიანი დამატებული ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება ფასები, რომლებიც არსებობდნენ როგორც საქონლის წარმოების, ასევე რეალიზაციის მომენტისათვის, რამეთუ მაღალი ინფლაციის პირობებში წარმოებისა და რეალიზაციის ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მუდმივ ფასებში გამოშვების მაჩვენებლის შეფასებას აწარმოებენ წარმოებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დინამიკის შესასწავლად. ამ მიზნით იყენებენ რომელიმე პერიოდის საბაზისოდ ნოდებულ საშუალო მიმდინარე ფასებს. ჩვეულებრივ, ასეთ მუდმივ ფასებს იყენებენ ხუთწლიანი პერიოდის მანძილზე, თუმცა მაღალი ინფლაციის პირობებში შესაძლებელია მათი ყოველწლიური შეცვლა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოშვების მაჩვენებელთა გაანგარიშების ანალოგიურად, რომელსაც აწარმოებენ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, დარგობრივ სტატისტიკაში გამოშვებული პროდუქციის გაანგარიშება ხდება ზემოთ აღწერილი პრინციპების შესაბამისად.

ქვემოთ უფრო დანვრილებით არის განხილული ეკონომიკის ცალკეული დარგების პროდუქციის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია.

### *§ 9.1. მრეწველობის პროდუქციის სტატისტიკა*

სამრეწველო წარმოების პროდუქციის მაჩვენებლები, რომელსაც აქვეყნებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ახასიათებს პროდუქციის მოცულობას, რომელიც წარმოებული სამრეწველო და არასამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმებისა, დაქვემდებარებისა, მასშტაბისა), დანესებულებების, ასევე საოჯახო მეურნეობებში, სამრეწველო პროდუქციის ღირებულებას აფასებენ საწარმოს საბითუმო ფასებში დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩართვის გარეშე.

სამრეწველო პროდუქციის მუდმივ ფასებში შეფასებას, რომელსაც სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დინამიკის შესასწავლად იყენებენ, თანამედროვე სტატისტიკაში აწარმოებენ სხვადასხვა მეთოდებით, კერძოდ: ნატურალურ მაჩვენებელთა მეთოდით; დეფლატორის მეთოდით (ფასების ინდექ-



სების გამოყენებით); პირდაპირი შეფასების მეთოდით და ა.შ.

მრეწველობის პროდუქციით განისაზღვრება როგორც საკუთარი ნედლეულისა და მასალების, ასევე დამკვეთის მიერ მოწოდებული ნედლეულისა და მასალებისაგან დამზადებული მზა პროდუქციის საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებისა (შიდა საქარხნო ბრუნვის ღირებულების გარეშე) და სანარმოს გარეთ განეული სამრეწველო ხასიათის მომსახურებათა ღირებულებების ჯამი.

სამრეწველო სანარმოს (ფირმის) პროდუქციის მოცულობას განსაზღვრავენ საქარხნო მეთოდის გამოყენებით, ე.ი. შიგა საქარხნო ბრუნვის ღირებულების გარეშე. შიგა საქარხნო ბრუნვა მოიცავს, მაგალითად, ნახევარფაბრიკატების ღირებულებას, რომელიც დამზადებულია ერთ საამქროში და გადამუშავებულია სხვა საამქროს (საამქროების) მიერ და ა.შ.

ამრიგად, სამრეწველო პროდუქციის შემადგენლობა მოიცავს: რეალიზებული პროდუქციის მოცულობას; საქონელთა ღირებულებას, რომელიც მიენოდა მოცემული სანარმოს არასამრეწველო ქვედანაყოფს (სოციალურ-კულტურული დანიშნულების) საკუთარი ძალებით კაპიტალური მშენებლობის წარმოებაზე და ა.შ.; პერსონალზე შრომის ანაზღაურების წესით გაცემული პროდუქციის ღირებულებას; მზა პროდუქტების მარაგების (არარეალიზებული ნაწარმის) მატებას და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის მატებას.

მრეწველობის ცალკეული დარგების მიერ გამოშვებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსები გამოიყენება მთლიანად დარგის სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის საშუალო ინდექსის გამოსაანგარიშებლად. კერძოდ, სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის საშუალო დარგობრივი ინდექსი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_{q_{\text{საღარგო}}} = \frac{\sum_i q_{i,1} p_{i,0}}{\sum_i q_{i,0} p_{i,0}}, \quad (9.1)$$

სადაც  $q_{i,1}$  არის  $i$  დარგში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა;

$q_{i,0}$  —  $i$  დარგში საბაზისო პერიოდის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა;

$P_{i,0}$  — არის  $i$  დარგში საბაზისო პერიოდის პროდუქციის ფა-  
სი.

ცალკეულ ქვეყნებში, როგორც სტატისტიკის პრაქტიკა უჩ-  
ვენებს, სამრეწველო პროდუქციის ღირებულების ინდექსი გაი-  
ანგარიშება მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებლის  
გამოყენებით. ამ შემთხვევაში სამრეწველო პროდუქციის ფიზი-  
კური მოცულობის საშუალო ინდექსის გასაანგარიშებლად შეიძ-  
ლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ფორმულა:

$$I_{q_{საფლ.}, 1,0} = \frac{\sum_i I_{i,0} W_{i,0}}{\sum_i W_{i,0}} \quad (9.2)$$

სადაც  $I_{q_{საფლ.}}$  არის სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მო-  
ცულობის ინდექსი საანგარიშო პერიოდის (1) მაჩვენებლის საბა-  
ზისო პერიოდის (0) მაჩვენებელთან მიმართებაში.

$I_{i,0}$  —  $i$  დარგის პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინ-  
დექსი საანგარიშო პერიოდის (1) მაჩვენებლისა საბაზისო პერი-  
ოდის (0) მაჩვენებელთან მიმართებაში;

$W_{i,0}$  — საბაზისო პერიოდში (0)  $i$  დარგის პროდუქციის ნილი  
ქვეყნის მთლიან (საერთო) სამრეწველო პროდუქციის მოცულო-  
ბაში.

### § 9.2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტატისტიკა

სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მაჩვენებლები გამოხატა-  
ვენ მის ძირითად დარგებში, მემცენარეობასა და მეცხოველეო-  
ბაში, სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მი-  
უხედავად წარმოებული ნედლეული პროდუქტების ღირებულე-  
ბას. კერძოდ: სპეციალიზებულ სასოფლო-სამეურნეო სანარმო-  
ებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, ფერმებში, მოსახ-  
ლეობის დამხმარე მეურნეობებში და ა.შ. ამასთანავე, იმ არასა-  
სოფლო სამეურნეო პროდუქციის ღირებულება, რომელიც ინარ-  
მოება სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში (მაგალითად, სასოფ-  
ლო სამეურნეო პროდუქტების სამრეწველო გადამუშავება), გა-

ნიხილება როგორც სამრეწველო პროდუქცია და მიეკუთვნება ეკონომიკის შესაბამისი დარგის პროდუქციას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გაანგარიშებისას, გარდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის მზა პროდუქტებისა, მის ღირებულებაში გაითვალისწინება დაუმთავრებული წარმოების ნაშთის ზრდა, რომელიც იანგარიშება როგორც მომავალი პერიოდის მოსავლისათვის განუღებელი სამუშაოების ღირებულება. მეცხოველეობის პროდუქციის შემადგენლობაში შედის პირუტყვის (ჯოგის) სულადობის ზრდა. სოფლის მეურნეობის დარგთა არსებული საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისად, დანესებულებები და სანარმოები, რომლებიც ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო მომსახურების (მაგალითად, მიწის დამუშავების მომსახურება, ორგანული სასუქების შეტანა და ა.შ.) სამუშაოებს, მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობას. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება მოიცავს ასევე სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ღირებულებასაც.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გამოთვლას აწარმოებენ საერთო ბრუნვის მეთოდის გამოყენებით, ე.ი. ერთად იანგარიშება როგორც მოცემულ სანარმოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება, ასევე მისი წარმოებისას გამოყენებული თესლისა და საკვების ღირებულებაც.

ვეროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების გამოთვლისას გამოიყენება „ეროვნული ფერმის“ მეთოდი, რომლის მიხედვით, ქვეყნის სოფლის მეურნეობა განიხილება როგორც ერთი დიდი ეროვნული ფერმა და ამიტომ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო მოცულობიდან გამორიცხავენ როგორც პროდუქციის ყველა ნაკადს ცალკეულ ფერმას შორის, ასევე შიდა საფერმო ნაკადის ღირებულებასაც. ამდენად, სოფლის მეურნეობის პროდუქცია „ეროვნული ფერმის“ მეთოდით მოიცავს:

ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებას სავაჭრო ორგანიზაციებისადმი საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით;

ბ) პროდუქციის მიწოდებას სამრეწველო სანარმოებისადმი მათი შემდგომი გადამუშავებისათვის;

გ) პროდუქციის მიწოდებას ექსპორტზე;

დ) ფერმერების მიერ საკუთარი ნაწარმის საბოლოო მოხმარებას;

ე) არარეალიზებული მზა საქონლის მარაგების მატებას;

ვ) დაუსრულებელი წარმოების ნაშთის ზრდას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაჩვენებლების გამოთვლას აწარმოებენ მიმდინარე და უცვლელ (მუდმივ) ფასებში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმდინარე ფასებში გამოთვლისას, ყველაზე ეფექტიანია საბალანსო მეთოდის გამოყენება (რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სტატისტიკის პრაქტიკაშიც). საბალანსო მეთოდის გამოყენება გულისხმობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბალანსების სისტემის დამუშავებას, რომელსაც ადგენენ ნატურალურ და ლირებულებით გამოსახულებებში. ისინი მოიცავენ ინფორმაციებს პროდუქციის წარმოებისა და მათი გამოყენების ძირითადი მიმართულების შესახებ.


ამრიგად, ამა თუ იმ პროდუქტზე საშუალო საბაზრო ფასი გამოითვლება როგორც იმ ფასების საშუალო, რომლებიც წარმოიშენ სხვადასხვა კატეგორიების მეურნეობაში. თავის მხრივ, საშუალო ფასი, რომელიც წარმოიშვა ამა თუ იმ პროდუქტზე ცალკეული კატეგორიის მეურნეობაში, არის იმ საბაზრო ფასების საშუალო შენონილი, რომელიც წარმოიშვა პროდუქციის რეალიზაციისა და გამოყენების ცალკეული მიმართულების პირობებში.

როგორც წესი, დაუსრულებელი წარმოების ნაშთის შეფასებას აწარმოებენ შესრულებული სამუშაოების თვითღირებულებით. ინფლაციის პირობებში კი კორექტირება შეაქვთ დაუსრულებელი წარმოების თვითღირებულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების უცვლელ ფასებში გამოთვლისას იყენებენ პირდაპირი შეფასების მეთოდს, რომლის მიხედვითაც წარმოებული პროდუქციის რაოდენობას ამრავლებენ მუდმივი ფასების სიდიდეზე. მოცემული მეთოდის გამოყენება სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია და მიზანშეწონილიცაა, რამეთუ ამ დარგში ინარმოება შედარებით განსაზღვრული ასორტიმენტის პროდუქტი და შესაძლებელია თითოეულ პროდუქტზე როგორც ნატურალური ასევე ლირებულებითი მაჩვენებლების დადგენა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოთვლისას იყენებენ წინა თავში განხილულ ლასპეირესის ფორმულას (იხილეთ მეშვიდე თავი, ქვეყნის შიგა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები, ფორმულა 7.5.).

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა

და დარგის განვითარების ეკონომიკური ანალიზისათვის გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ქვემოთ მოყვანილი სქემა:



ნახ. 9.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მაჩვენებლების ურთიერთკავშირის სქემა

### § 9.3. მშენებლობის პროდუქციის სტატისტიკა

მშენებლობა არის დარგი, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი ნარმოების ციკლით და შესაბამისად მშენებლობის პროდუქციის ღირებულებას განსაზღვრავენ არა საბოლოოდ მისი დასრულების შემდეგ, არამედ ეტაპობრივად, მისი ნარმოების (მშენებლობის) მიმდინარეობის პროცესში შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით.

შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება როგორც შენობა-ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციაზე შესრულებული (დაკვეთით ან სამეურნეო წესით) სამუშაოების ღირებულებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებების ჯამი.

მშენებლობის პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკის პირველადი მონაცემების საფუძველზე. ძირითადი ინფორმაციების წყაროებად გვევლინება:

— ანგარიშგება ობიექტების, ძირითადი ფონდების მოქმედებაში (ექსპლუატაციაში) შეყვანისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების შესახებ;

— ანგარიშგება სიმძლავრეების, ობიექტების მოქმედებაში (ექსპლუატაციაში) შეყვანისა და დამკვეთის სამუშაოების შესრულების შესახებ;

— ანგარიშგება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მოქმედებაში შეყვანის შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშგებანი მოიცავენ იმ ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ საინვესტიციო პროცესსა და სამშენებლო საქმიანობას. კერძოდ:

— კაპიტალურ დაბანდებას;

— ამოქმედებული ძირითადი ფონდების ღირებულებას;

— საკუთარი ძალებით (სამეურნეო წესით) შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობას.

კაპიტალური დაბანდებანი — ეს არის ინვესტიციები ძირითადი ფონდების შექმნაზე, რომელსაც უკავია ყველაზე მნიშვნელოვანი წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში. კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკაში ისინი მოიცავენ შემდეგ სამუშაოებსა და ხარჯებს:

ა) სამშენებლო სამუშაოები;

ბ) დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები;

გ) სამშენებლო ხარჯთაღრიცხვაში დანადგარებზე, ინსტრუმენტზე, ინვენტარზე გათვალისწინებული დანახარჯები;

დ) დანახარჯები მანქანებზე და დანადგარებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სამშენებლო ხარჯთაღრიცხვაში;

ე) დანარჩენი კაპიტალური სამუშაოები და დანახარჯები საპროექტო-საძიებო, გეოლოგიურ-სადაზვერვო და საბურღავ სამუშაოებზე, რომელიც ეკუთვნის განსაზღვრულ სამშენებლო ობიექტებს, კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებზე დანახარჯები, მრავალწლიანი ნარგავების ჩაყრასა და გამოყვანაზე განეული (ბაღების, ვენახების, ქარსაცავი ზოლების და ა.შ.) დანახარჯები.

მშენებლობის პროდუქციის ღირებულების გამოთვლისას გამოიყენება საწარმოო მეთოდი, რომლის დროსაც შესრულებული სამუშაოების ღირებულება სუბმოიჯარე ორგანიზაციების მიერ მთავარი მოიჯარისთვის განიხილება როგორც მთავარი მოიჯარის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილად.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში კაპიტალური დაბანდებანი განიხილება როგორც «ძირითადი კაპიტალის საერთო დაგროვე-

ბა" (წინამდებარე ნაშრომში განხილულია მესამე თემაში) და თავისი შინაარსით იგი განსხვავებულია კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკაში გამოყენებული ცნებისაგან.

სამშენებლო საქმიანობის საბოლოო შედეგად გვევლინება ძირითადი ფონდების ამოქმედება (ექსპლუატაციაში შეყვანა) და ამიტომ მშენებლობის პროდუქციას შეადგენს საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულებულ და ექსპლუატაციაში მიღებული სამშენებლო ობიექტის ღირებულება.

სამშენებლო ორგანიზაციების, რომლებიც სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებს ხელშეკრულებით (იჯარით) ახორციელებენ, წარმოებული საქმიანობის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება სამშენებლო საიჯარო სამუშაოების მოცულობა, რომელიც განისაზღვრება როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე განეული სამუშაოების, ასევე გენერალური, პირდაპირი და სუბმოიჯარე ხელშეკრულებით, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შესრულებული სხვა დანარჩენი შეკვეთილი სამუშაოების ღირებულებით.

ახალი მშენებლობის პროდუქციის ღირებულება, რომელსაც ახორციელებენ საწარმოები და ორგანიზაციები, განისაზღვრება იმ ანგარიშგების საფუძველზე, რომელსაც წარადგენენ სამშენებლო საწარმოები და მშენებარე ორგანიზაციები სამშენებლო ობიექტების, ძირითადი ფონდების ამოქმედებაზე და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების გეგმის შესრულებაზე. ამ ანგარიშგებაში არსებული მონაცემებით შესრულებული კაპიტალური დაბანდებანი განისაზღვრება ფაქტიური ღირებულებით, რომელიც გადახდილია დამკვეთის მიერ და საიდანაც გამოირიცხება ცალკეული ელემენტები (მანქანებისა და დანადგარების ღირებულება, დანახარჯები მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე, ზარალი მშენებლობის ძირითადი ფონდების ლიკვიდაციაზე, ხარჯები, რომლებიც არ ზრდის ძირითადი ფონდების ღირებულებას), რომლებიც არ უნდა იყოს მიკუთვნებული მშენებლობის პროდუქციის ღირებულებისათვის.

მოსახლეობის მიერ ინდივიდუალური მშენებლობის ღირებულებას განსაზღვრავენ იმ ანგარიშგების მონაცემებით, რომლებსაც ადგენენ მმართველობის მუნიციპალური (ადგილობრივი) ორგანოები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ამოქმედების შესახებ. კაპიტალური რემონტის ღირებულებას იმ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც მოსახლეობის მფლობელობაშია, გაიანგარიშებენ მათი ღირებულებიდან განსაზღვრული ნორმატივების მეშვეობით.

*§9.4. ტრანსპორტის პროდუქციის (მომსახურების)  
სტატისტიკა*

დარგობრივი სტატისტიკის შესასწავლ ტრანსპორტის სახე-ებს მიეკუთვნება: რკინიგზის, საავტომობილო, მილსადენი, ქა-ლაქის ელექტროტრანსპორტი, საზღვაო, შიგა სამდინარო, საჰა-ერო და დანარჩენი ტრანსპორტი, აგრეთვე საგზაო მეურნეობა. ტრანსპორტი გულისხმობს როგორც საერთო დანიშნულების ტრანსპორტს, რომელიც აკმაყოფილებს ეკონომიკის ყველა დარ-გსა და მოსახლეობას ტვირთების გადატანაზე და მგზავრების გა-დაყვანაზე, ასევე საუნწყებო ტრანსპორტს, რომელიც აწარმოებს გადატანა-გადაყვანას, როგორც ნესი, თავისი უწყების, სანარ-მოებისათვის და ა.შ.

ტრანსპორტის საქმიანობის დამახასიათებელ ძირითად მაჩ-ვენებლებს მიეკუთვნება: ტვირთბრუნვა, მგზავრთბრუნვა, გადა-ზიდვით მიღებული შემოსავლები. გზების მშენებლობისა და მა-თი კაპიტალური რემონტის ნარმოების საქმიანობა მიეკუთვნე-ბა მშენებლობის დარგს.

ტრანსპორტის პროდუქციის ღირებულება (საგზაო მეურნე-ობის პროდუქციის ღირებულების გარდა) განისაზღვრება, რო-გორც მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადატანის, სხვა სამუ-შაოების და მომსახურების შესრულების შედეგად ფაქტიურად მი-ღებული შემოსავლების თანხა. ეს მონაცემები ასახულია სატრან-სპორტო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებაში ან პროდუქ-ციის (სამუშაოს, მომსახურების) ნარმოებისა და მისი რეალიზა-ციის შესახებ დანახარჯების ანგარიშგებაში. ასევე, იმ სანარმო-თა ანგარიშგებაში, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვა დარგებს, მაგრამ გააჩნიათ თავიანთ დაქვემდებარებაში სატრანსპორტო მეურნეობა და ენევიან სატრანსპორტო საქმიანობას.

საგზაო მეურნეობის პროდუქციის ღირებულებას განსაზღვ-რავენ როგორც შესრულებული სამუშაოების ღირებულებას სა-ავტომობილო გზების მიმდინარე რემონტზე და გზების შენახვა-ზე. ამ მიზნით გამოიყენებენ საგზაო სამუშაოების შემსრულებე-ლი ორგანიზაციების ანგარიშგებას, ასევე არასაბიუჯეტო სახელ-მწიფო საგზაო ფონდის ანგარიშგებას, რომლებიც ითვლებიან ამ სამუშაოების ნარმოების დაფინანსების ძირითად წყაროებად.

ტვირთბრუნვის გამოთვლას აწარმოებენ გადატანილი ტვირ-თების მასის (ტონებში) გამრავლებით გადაზიდვის მანძილზე (კი-ლომეტრებში), ე.ი. ტრანსპორტის მიერ ტვირთის გადატანაზე შესრულებული სამუშაოები გაიზომება ტონა-კილომეტრებში.



ხოლო მგზავრობის დასაწყისში ახსიათებს შესრულებულ სამუშაოებს მგზავრების გადაყვანაზე და გამოითვლება როგორც მგზავრების რაოდენობისა და მგზავრობის ტარიფის (ფასისა) ნამრავლი მათი გადაყვანის მანძილზე, ტრანსპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით.

### *§9.5. ვაჭრობის პროდუქციის სტატისტიკა*

ვაჭრობის დარგს მიეკუთვნება: საშინაო საბითუმო და საცალო ვაჭრობა; საგარეო ვაჭრობა; კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნებისა და სამეურნეო ვაჭრობის საქონლის გაქირავება; ვიდეო და კინოფილმების გაქირავება; ბირჟების საშუამავლო მომსახურების, ბროკერების, მაკლერების, სადილერო კანტორების, აგენტების, სავაჭრო სახლების, ყიდვა-გაყიდვის კომერციული ცენტრების მომსახურება და სამომხმარებლო საგნების გაქირავება.

ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება საქონელბრუნვა. საქონელბრუნვა ერთდროულად უჩვენებს მომხმარებელზე გაყიდული სასაქონლო მასის ღირებულებას, გამყიდველების მიერ მიღებულ ნავაჭრ თანხას (ამონაგებს) და მყიდველების მიერ საქონლის შეძენაზე განეულ დანახარჯებს.

საერთო საქონელბრუნვა, რომელიც საბითუმო და საცალო ვაჭრობაში ცალ-ცალკე გაიანგარიშება, მოიცავს: სხვადასხვა სავაჭრო არხების მეშვეობით რეალიზებულ საქონელბრუნვას, რომელთაგან ძირითადია სავაჭრო ორგანიზაციები, სანარმოები (სახელმწიფო, არასახელმწიფო) და ბაზრები (სამრეწველო, სასურსათო და შერეული). საქონელბრუნვის მოცულობა განისაზღვრება ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებით. მსხვილი და საშუალო სავაჭრო ორგანიზაციები ყოველთვიურად წარადგენენ ანგარიშგებას საქონელბრუნვაზე. ხოლო მცირე სანარმოებზე სტატისტიკის ორგანოები ახორციელებენ შერჩევით კვარტალურ დაკვირვებას, რომლის მეშვეობით განსაზღვრავენ გაყიდული საქონლის მოცულობას. ბაზრებზე სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა და სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის მოცულობას ასევე შეისწავლიან ყოველკვარტალური შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე.

ამრიგად, ვაჭრობის პროდუქცია (ნავაჭრი თანხა) არის სავაჭრო საქმიანობის შედეგი, მიუხედავად იმისა, სად და ვის მიერ ხორციელდება იგი, სანარმოებისა თუ კერძო პირების მიერ (ბაზრობაზე, საველე ვაჭრობა, საშუამავლო მომსახურება სამომხმარებ-

ლო საქონელთა ყიდვა-გაყიდვაზე, საგარეო-სავაჭრო საქმიანობა). ვაჭრობის პროდუქციის ღირებულება დამოკიდებულია სარეალიზაციო დანამატზე, რომელიც არის სავაჭრო ობიექტის საერთო შემოსავალი. იგი გამოიყენება სავაჭრო ობიექტის შენახვის ხარჯების დასაფარავად და ამ ობიექტში მოგების ფორმირებისათვის, ე.ი. სავაჭრო დანამატი შეადგენს მიმოქცევის ხარჯებსა და მოგების თანხას.

კერძო პირების მიერ განხორციელებული სავაჭრო საქმიანობის ღირებულების შეფასების მიზნით, ანარმოებენ სპეციალურ გათვლებს. ასე, მაგალითად, ორგანიზებულ ვაჭრობაში (როგორც სავაჭრო ორგანიზაციებში და ბაზრობაზე), მოსახლეობის მიერ შესყიდული საქონლის მოცულობას საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტების გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე უდარებენ ორგანიზებული სავაჭრო ქსელის გარეთ შეძენილი საქონლის მოცულობას. მიღებულ შეფარდებით მაჩვენებლებს გაავრცელებენ სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვაზე და ასეთნაირად განსაზღვრვენ სამომხმარებლო საქონელთა გაყიდვების საერთო სიდიდეს არაორგანიზებულ ვაჭრობაში. ასეთი შესყიდვების პირობებში სავაჭრო დანამატის ოდენობა დგინდება ექსპერტული შეფასების გზით.

### *საკონტროლო კითხვები*

1. განსაზღვრეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ეკონომიკის ცალკეული დარგების პროდუქციის მაჩვენებელთა გაანგარიშების პრინციპები.
2. განსაზღვრეთ დარგის პროდუქციის ცნება და დარგის ძირითადი მაჩვენებლები.
3. დაახასიათეთ მრეწველობის დარგი და განსაზღვრეთ სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის საშუალო მაჩვენებელი (ინდექსი).
4. დაახასიათეთ სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები და პროდუქციის ღირებულების გამოთვლის საერთო ბრუნვის მეთოდი.
5. რას მოიცავს ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების განსაზღვრის ე.წ. „ეროვნული ფერმის“ მეთოდი.
6. დაახასიათეთ დასავლეთის ქვეყნებში გამოყენებული წარმოების ძირითადი ფაქტორების მიხედვით პროდუქციის მთლიან-



## თემა 10. ფასების სტატისტიკა

### § 10.1. ფასების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა და მათი გამოყენების ამოცანები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების სტატისტიკური კვლევების აუცილებლობა ფასების სტატისტიკის ამოცანებიდან გამომდინარეობს. ფასებისა და ფასწარმოქმნის პრობლემა განეკუთვნება ეკონომიკური თეორიის რთულ ნაწილს და სახალხო მეურნეობის მართვის სერიოზულ კომპონენტს.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში ფასებმა უნდა „დაიბრუნონ“ ეკონომიკის რეგულატორის ფუნქცია, სადაც კონცენტრირდება ფასწარმოქმნელი ფაქტორების მთელი კომპლექსი, სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურა და ეკონომიკის განვითარების ყველა კანონზომიერება. ფასების განსაკუთრებულ როლზე გამოჩენილი ეკონომისტი კ.მარქსი წერდა, რომ „მთელი კაპიტალისტური წარმოების და მოხმარების პროცესი რეგულირდება პროდუქციის ფასების მეშვეობით“ (კ.მარქსი, ფ.ენგელსი, თხზ. ტომი 25, ნან. 2, გვ. 455.).

ფასების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებით სწარმოს (ფირმის) მენეჯერთა გუნდს შესაძლებლობა ეძლევა უზრუნველყო ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციონალური ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა: ფასებზე სტატისტიკური დაკვირვების ოპტიმალური პირობების შექმნა და მისი ორგანიზაცია; ფასების დონისა და სტრუქტურის ანალიზის ჩატარება; ფასების ცვალებადობის, ციკლურობის, სეზონურობის ანალიზის და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და მოდელირება, ფასების პროგნოზირება და სხვა.

საბაზრო ეკონომიკური პირობებისათვის შემუშავებულ ეკონომიკურ თეორიებში ფასწარმოქმნის კანონზომიერებათა სტატისტიკური შესწავლისას გამოიყენება საქონლის ღირებულების ისეთი თეორიები, როგორცაა:

ა) შრომითი ღირებულების თეორია, რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულებას (შესაბამისად, საქონლის ფასს) განსაზღვრავენ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის დანახარჯებით;

ბ) ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულებას არეგულირებენ მისი ზღვრული სარგებლიანობიდან გამომდინარე და ფასის სიდიდეს განსაზღვრავენ მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის მიღწეული შეთანხმე-

ბით. ამასთანავე, საქონლის რაოდენობის ზრდით საქონლის ყოველი შემდგომი ცალკეული ერთეულის ფასი მცირდება;

გ) ნეოკლასიკური თეორია, რომლის თანახმადაც საბოლოო პროდუქციის (საქონლის) ღირებულებას თანაბარი დონით განსაზღვრავენ პროდუქტის დანახარჯებისა და სარგებლიანობის გათვალისწინებით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში კვლავნარმოების მთელი პროცესი რეგულირდება საქონლის ფასის მეშვეობით. ფასნარმოქმნის მეთოდოლოგიის უმთავრეს კითხვას წარმოადგენს: რა მივიღოთ ფასის საფუძვლად — პროდუქტის დანახარჯები, მისი შედეგი (საქონლის სარგებლიანობა), თუ მათი ერთობლიობა? და თუ მათი ერთობლიობა, მაშინ, როგორც ვიპოვოთ მათი გამოხატულება ფასში? ყველა ეს მნიშვნელოვანია და პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წყვეტს მათ — მომხმარებელი (მოთხოვნა) თუ მწარმოებელი (მიწოდება). ასევე, მნიშვნელოვანია თუ როგორ მიიღწევა ყიდვა-გაყიდვის პროცესში მათი წინააღმდეგობრივი ინტერესების ერთიანობა. ფასების დონე, რომელიც კონკურენციის პირობებში დგინდება, ითვალისწინებს არა მხოლოდ ორი მხარის ინტერესებს, არამედ რიგი სხვა ობიექტურად არსებული ბაზრის კონიუნქტურის ფასნარმოქმნელი ფაქტორების ინტერესებსაც.

საბაზრო ეკონომიკური პირობების ამსახველ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემუშავებული ფასების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებით შესაძლებელია ფასების ანალიზის წარმოება, როგორც ეროვნული მეურნეობის და დარგების (მაკროეკონომიკის), ისე ფირმების (მიკროეკონომიკის) დონეზე. თვალსაჩინო მეცნიერი ქ.მარშავა თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილად მიიჩნევს კომერციული ფასების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებას, რომელშიც ასახულია:

I. ფასების დონის მაჩვენებლები:

1. მოცემული ხარისხის სასაქონლო სახის, საქონელ-წარმომადგენლის მომენტური ფასი;

2. საშუალო ფასი მოცემული თარიღისა და პერიოდისათვის საქონლის, სასაქონლო ჯგუფების (კომპლექსის) ტერიტორიების, ბაზრებისა და მყიდველთა ჯგუფების მიხედვით.

3. სამომხმარებლო კალათის ღირებულება;

4. ინდივიდუალური, საშუალო და განზოგადებული ფასების ფარდობა შემოსავლებთან.

II. ფასების სტრუქტურათა მაჩვენებლები:

1. ცალკეული ელემენტის (თვითღირებულება, ფასნამატი,

ფასდაკლება, ხვედრითი წილი საქონლის საბოლოო (საცალო) ფასში;

2. მთლიანი შემოსავლის ხვედრითი წილი საქონელბრუნვაში;
3. საცალო და საბითუმო ფასების ფარდობა.
4. საცალო ფასების სტრუქტურული ელემენტების ფარდობა.

III. ფასების თანაფარდობის მაჩვენებლები:

1. ორი საქონლის ფასის თანაფარდობის კოეფიციენტი;
2. ფასის საბაზრო ფასთან თანაფარდობის გადახრის დონე;
3. ფარდობის მდგრადობის დონის დინამიკა.

IV. ფასების ვარიაციის მაჩვენებლები:

1. ფასების განაწილება სასაქონლო ჯგუფის საზღვრებში, ანუ ერთგვაროვანი საქონლის დაჯგუფება ფასების დონის მიხედვით;
2. ფასების ტერიორიული მერყეობის დონე (რეგიონების ან დასახლებების დაჯგუფება ფასების დონის მიხედვით);
3. ფასების მდგრადობის დონის დინამიკა;
4. ფასების სეზონური და ციკლური მერყეობის დონე;
5. შესყიდვათა ფასების განსხვავების დონე მოსახლეობის სოციალური ჯგუფების მიხედვით (მოსახლეობის დაჯგუფება შესყიდვათა ფასების დონის მიხედვით).

V. საქონლის ხარისხთან ფასების შესაბამისობის მაჩვენებლები:

1. მოდელების პარამეტრები;
2. ელასტიკურობის კოეფიციენტები;
3. ინდექსები;
4. ექსპერტული შეფასებები;
5. მყიდველების შეფასებები.

VI. ფასების ელასტიკურობის მაჩვენებლები:

1. ელასტიკურობის ემპირიული კოეფიციენტი;
2. ჯვარედინი ელასტიკურობის კოეფიციენტი;
3. ელასტიკურობის თეორიული კოეფიციენტი;
4. შეწყვილებული და მრავალფაქტორული მოდელები.

VII. ფასების დინამიკისა და პროგნოზირების მაჩვენებლები:

1. ფასების ინდივიდუალური ინდექსები;
2. ფასების ჯგუფური ინდექსები;
3. საშუალო ფასების ინდექსები;
4. ფასების ტრენდული ინდექსები;
5. მექანიკური მოსწორება (მექანიკურად მოსწორებული ფასები).

მაჩვენებელთა აღნიშნული სისტემის (2; გვ. 232-233) პრაქტიკაში დანერგვით შესაძლებელი გახდება სტატისტიკური კვლე-

ვისა და ანალიზის მეთოდების (ხერხების) სრულყოფილად გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს სანარმოს ხელმძღვანელობას შეიმუშაოს ფასნარმოქმნის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა. შესაბამისად, მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით საქონელზე დაანესოს როგორც მომხმარებლისათვის, ასევე სანარმოსათვის მისაღები ფასები.

### *§ 10.2. ფასების სტატისტიკური ანალიზი*

ფასნარმოქმნა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ეფექტური თვითრეგულირების მთავარ ბერკეტს, მისი საბაზრო მექანიზმი დაფუძნებულია მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთმოქმედებაზე. ფასი გვევლინება როგორც შემაკავშირებელი რგოლი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და უშუალოდ მოქმედებს წარმოებაზე, განაწილებასა და მოხმარებაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სანარმოები (ფირმები) ფასების სტატისტიკური კვლევისას იყენებენ თეორეტიკოს-ეკონომისტებისა და პრაქტიკოს სტატისტიკოსების მრავალწლიან გამოცდილებას. ფირმები ძირითადად საკუთარი ძალებით მოიპოვებენ მათთვის აუცილებელ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ ფასების პოლიტიკის შემუშავებას.

ფასების პოლიტიკის შემუშავება რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს მოიცავს, კერძოდ:

- ა) ფასნარმოქმნის მიზნის დადგენას;
- ბ) მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარებისა და მოთხოვნის შეფასებას;
- გ) კონკურენტების პროდუქციაზე (საქონელ-კონკურენტის) ფასების ანალიზს;
- დ) ფასნარმოქმნის მეთოდის შერჩევას;
- ე) დანახარჯების სტრუქტურულ შეფასებას (თვითღირებულების განსაზღვრას);
- ვ) ფასებზე მოქმედი ფაქტორების შეფასებას;
- ზ) ფასების საბოლოო სიდიდის განსაზღვრას.

ფასნარმოქმნის მეთოდოლოგიური კვლევის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხს, როგორცაა ფასნარმოქმნის მეთოდის შერჩევა, კერძოდ, მეთოდის შერჩევას განაპირობებს: წარმოების მასშტაბი, პროდუქციის სახე, საქონელთა ურთიერთშენაცვლებადობის ხარისხი, გასაღების ბაზრის მდგრადო-

ბის ხარისხი, ბაზარზე კონტროლის პირობები, ლიდერობა ფასებში და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის მოდელის ჭრილში ეკონომიკურ ლიტერატურაში პროდუქციაზე ფასების დადგენის რამდენიმე მეთოდია აღწერილი. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

1. ელემენტების მიხედვით ფასების დადგენის მეთოდი. ამ მეთოდით (აგრეგატული მეთოდით) საერთო ფასის დადგენას აწარმოებენ წარმოებული პროდუქციის ცალკეული შემადგენელი ელემენტების ფასების შეჯამებით.

2. წარმოების დანახარჯების კომპენსაციის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს პროდუქციის შემკვეთის მიერ ყველა დანახარჯის ანაზღაურების პირობებში მწარმის მიერ ვალდებულებების უპირობო შესრულებას.

3. ფიქსირებული ფასების დადგენაზე დაფუძნებული მეთოდი. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მწარმე შემკვეთს პროდუქციას აწვდის წინასწარ დადგენილ ფასში.

4. საქონლის (მომსახურების) მწარმოებლის მიერ ფასების დადგენაზე დაფუძნებული მეთოდი ან სამწარმეო პრაქტიკაში ე.წ. „პრაისინგური მეთოდი“. ამ მეთოდის გამოყენება თავის მხრივ მოიცავს დანახარჯების და მოგების გაანგარიშების სხვადასხვა ხერხებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

1) სრული დანახარჯების მეთოდი, რომელიც პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების ერთობლიობას განსაზღვრავს;

2) საშუალო დანახარჯების მეთოდით გამოითვლება ერთეულ პროდუქციაზე საშუალო დანახარჯები (ერთობლივი დანახარჯების შეფარდება წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე);

3) ზღვრული დანახარჯების მეთოდით გამოითვლება ზღვრული დანახარჯების სიდიდე სანარმოს სავარაუდო გაფართოების შემთხვევაში, რაც დამოკიდებულია მოთხოვნის ზრდის მასშტაბსა და ხასიათზე, მიწოდების შესაძლებლობაზე და სხვა;

4) წარმოების სტანდარტული (ნორმატიული) დანახარჯების მეთოდით გაიანგარიშება პროდუქციის თვითღირებულება დროის გარკვეული მომენტისათვის არსებულ მატერიალური და ლირებულებითი ნორმატივების მეშვეობით;

5) მიზნობრივი მოგების მეთოდით უპირატესად მსხვილი საწარმოები წინასწარ განსაზღვრული მოგების მიღების მიზნით, ბაზარზე სხვადასხვა ზემოქმედებით ფასის განსაზღვრულ სიდიდეს ადგენენ, რომელიც მოიცავს მწარმოებელი ფირმის მთლიან



დანახარჯებსა და მოგებას (მწარმოებლის ფასი).

ამრიგად, ფასების დადგენის ამოცანა ყველა სანარმოს, კომერციული და არაკომერციული სტრუქტურების წინაშე წამოიჭრება და ფასების სწორად განსაზღვრაზე დიდად არის დამოკიდებული სანარმოს რენტაბელობა, კონკურენტუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა და ა.შ. ამდენად, მნიშვნელოვანია ფასების პოლიტიკის შემუშავება ბაზრის კონიუნქტურის, მოდელისა და კონკურენციის პირობების გათვალისწინებით.

კონკურენცია ფასების კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს საბაზრო სისტემაში. სწორედ კონკურენცია აიძულებს მწარმეებს სრულყოფილად გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, მონინავე ტექნოლოგიები, შრომის ორგანიზაციის და მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები.

განასხვავებენ კონკურენციის შემდეგ სახეებს:

1) წმინდა კონკურენცია (შესაბამისად — წმინდა კონკურენტული ბაზარი);

2) წმინდა მონოპოლია (შესაბამისად — მონოპოლიური ბაზარი);

3) მონოპოლიური კონკურენცია (შესაბამისად, ბაზრის ფასების კონტროლის შეზღუდული შესაძლებლობა);

4) ოლიგოპოლია (ოლიგოპოლისტური ბაზარი).

რა განაპირობებს საქონლის კონკურენტუნარიანობას და რაზეა დამოკიდებული მისი მიღწევა?

თანამედროვე კონკურენტუნარიანობის თეორიაში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ორ ტიპს გამოყოფენ:

პირველი — „უფრო დაბალი დანახარჯები“ და მეორე — „სპეციალიზაცია“.

„უფრო დაბალ დანახარჯებში“ იგულისხმება ფირმის შესაძლებლობანი შექმნას, აწარმოოს და გაასაღოს საქონელი უფრო დაბალი დანახარჯებით, ვინემ ამას აღწევენ კონკურენტები.

„სპეციალიზაცია“ — კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში იგულისხმობს კონკურენტების ჯგუფში „გამორჩევის ხელოვნებას“, ანუ უნარს მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით ან არასტანდარტული ნაერთი თვისებებით, რომლებიც რეალურად აინტერესებს მომხმარებელს.

კონკურენციის დიაპაზონის გათვალისწინებით კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის სტრატეგიის ძირითადი ტიპები ერთიანობაში გამოხატულია შემდეგი ნახაზით (10.1):

		კონკურენტული უპირატესობის სახეები	
		უფრო დაბალი დანახარჯები	სპეციალიზაცია
კონკურენტის დიაპაზონი	ვიწრო	დანახარჯებზე შეწოლა $A_1$	არჩევიანი სპეციალიზაცია $A_2$
	ფართო	ორიენტირება დანახარჯებზე $B_1$	უსიკალობა და ხარისხის ლიდერობა $B_2$

ნახ. 10.1. კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის დაგეგმვის პროცესი

ბუნებრივია, ფირმამ კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ზემოთ აღნიშნული (ნახ. 10.1) კონკურენტული უპირატესობის რომელიმე სახეზე (ან კომბინირებულ სახეზე) დაყრდნობით უნდა ამოირჩიოს მისთვის უფრო საიმედო სტრატეგია.

ჩვენი აზრით, ფირმის საქმიანობის საწყის ეტაპზე უფრო მისაღებია ვარიანტები:  $A_1B_1$  („უფრო დაბალი დანახარჯები“), ხოლო მომდევნო ეტაპზე უფრო საიმედო სტრატეგიად გვესახება ვარიანტები:  $A_2B_2$  („სპეციალიზაცია“). შესაბამისად, ფირმამ მოცემულ პირობებში, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა გააკეთოს არჩევანი ბიზნესის მთავარი მიზნის მისაღწევად საქონლის გარკვეული ასორტიმენტის წარმოებისათვის.

ამრიგად, ფირმის მიერ წარმოებულ საქონელზე საბაზრო ფასის ფორმირების პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: ფასწარმოქმნის ამოცანის დასმა, მოთხოვნის სიდიდის განსაზღვრა, დანახარჯების შეფასება, კონკურენტების საქონლისა და ფასების ანალიზის წარმოება, ფასების დაგეგმვის მეთოდის შერჩევა, საბოლოო ფასისა და მომავალში შესაძლო ცვლილებების შეტანის წესების დადგენა, სახელმწიფოს მიერ ფასების რეგულირების მომენტის გათვალისწინება.

ფირმისათვის მისაღები მინიმალური ფასების დონეს ( $P_{\min}$ ) განსაზღვრავენ ფორმულით:

$$P_{\min} = \frac{C}{1-n} \quad (10.1)$$

სადაც  $C$  საქონლის თვითღირებულებაა, ხოლო  $n$  -- ფასებში მოგების ნორმის წილს შეადგენს.

ფირმისათვის მინიმალურად მისაღები მოგების ნორმის ( $n$ ) ნაცვლად, ადრე ჩვენს პრაქტიკაში მეტწილად გამოიყენებოდა რენტაბელობის მაჩვენებელი, ე.ი. მოგების შეფარდება თვითღირებულებასთან, ფონდების ღირებულებასთან ან ხელფასების ჯამთან. საზღვარგარეთელი მენარმეები უპირატესობას ანიჭებენ ფასების ფორმირების პროცესში მოგებაზე ორიენტირებას (ასევე, არ გამოორიცხავენ რენტაბელობის მაჩვენებელს).

მოგების ნორმის განსაზღვრისას ითვალისწინებენ შემდეგ მოთხოვნებს: დავალიანების დასაფარავად, დივიდენდების გასაცემად, ინვესტიციების განსახორციელებლად. მოგების ნორმის ფორმირებაზე გავლენას ახდენს გადასახადებზე მოქმედი კანონმდებლობა, რადგანაც უაზრობაა ფასში მოგების გადიდებული ნორმის გათვალისწინება, თუ საბოლოო ჯამში მოგება ექვემდებარება პროგრესული სკალით დაბეგვრას. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილად ჩაითვლება ფასში მოგების „ზომიერი“ დონის შერჩევა და ამით ბაზრების დიდი ნაწილის დივერსიფიკაცია (Diversification - ინგლისურიდან - გაფართოება, განვითარება), ასევე სამომავლოდაც ფირმის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

ფასწარმოქმნის პოლიტიკაში გასათვალისწინებელია მარკეტინგის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილის — საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც მოიცავს საქონლის ბაზარზე არსებობის ახალგაზრდობის, სიმწიფის, დაბერების და სიკვდილის ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე ფასების ფორმირებისადმი დამოკიდებულება თავისებურ გადანყვეტილებათა მიღებას საჭიროებს.

ფასების სტრატეგიის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის პროცესი. ფასების კორექტირებას ინფლაციის გათვალისწინებით ახდენენ მსოფლიოს ეკონომიკურ პრაქტიკაში დამკვიდრებული შემდეგი ფორმულის გამოყენებით. კერძოდ:

$$P_1 = P_0 x \left( A \cdot \frac{a_1}{a_0} + B \cdot \frac{\delta_1}{\delta_0} + B \right), \quad (10.2)$$

სადაც  $P_1$  არის საქონლის ფასი, მისი მყიდველზე ფაქტობრივად მიწოდების მომენტში;

$P_0$  — საქონლის ფასი, მის მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში;

$A$ ,  $B$  და  $B$  — მიწოდების ხელშეკრულების გაფორმების მომენტში საქონლის ფასში მასალების (ნედლეულის) —  $A$ , შრომის ანაზღაურების —  $B$  და დანარჩენი დანახარჯების —  $B$  ხვედრითი წონებია, შესაბამისად  $A+B+B=1$ .

$a_0, a_1$  — შესყიდული მასალების (ნედლეულის) საშუალო ფასია. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისა და ფაქტობრივად საქონლის მიწოდების მომენტებში;

$\delta_1, \delta_0$  — სანარმოს მუშაკების შრომის საშუალო ანაზღაურებაა შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისა და ფაქტობრივად საქონლის მიწოდების მომენტებში.

ფასების ფორმირების ბოლო ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ფირმის რენტაბელობის მაჩვენებელზე ქვეყნის არაბალანსირებად (კრიზისულ) ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფოს მიერ ფასების ლიმიტირებისა ან ფასების რეგულირების სხვადასხვა ღონისძიების გატარება.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ფასების ფორმირების მეთოდის შერჩევას, არამედ განსაკუთრებით საყურადღებოა ფასების ცვლილებების გამომწვევი ძირითადი ფაქტორების განსაზღვრა, ფასების დინამიკის შესწავლა. ამ მიზნით ანგარიშობენ ფასების ინდექსებს.

როგორც ცნობილია ინდექსი (Index — ლათინ. მაჩვენებელი) — არათანაზომადი ერთეულებისაგან შემდგარი ერთობლიობის დინამიკის ზომაა დროსა და სივრცეში. ინდექსი შეფარდებით მაჩვენებელს წარმოადგენს, რომელიც ახასიათებს სოციალ-ეკონომიკური მოვლენის დონის თანაფარდობას დროსა და სივრცეში. ამასთან, საინდექსო მეთოდი შეფარდებითი სიდიდეების შემდგომი განვითარებაა.

შესაბამისად, ეკონომიკის პრაქტიკაში განასხვავებენ ინდივიდუალურ და საერთო ინდექსებს.

ინდივიდუალური ინდექსები მოვლენის დონეების თანაფარდობას ახასიათებს ცალკეული სახის ერთეულების მიხედვით. ამ-

დენად, ცალკეული საქონლის ფასის დინამიკას განსაზღვრავენ ფასების ინდივიდუალური ინდექსის ( $i$ ) მეშვეობით, კერძოდ:

$$i = \frac{P_1}{P_0}, \quad (10.3)$$

სადაც  $i$  არის ფასების ინდივიდუალური ინდექსი;

$P_1$  — საქონლის ფასია საანგარიშო პერიოდში;

$P_0$  — საქონლის ფასია საბაზისო პერიოდში;

რამდენიმე საქონელზე ან საქონელთა ჯგუფზე ფასების დონის ცვლილებას კი ახასიათებენ ფასების აგრეგატული ინდექსით.

ფასების აგრეგატულ ინდექსს, როგორც უკვე აღინიშნა (იხ. წინამდებარე ნაშრომის თემები: 6;7;9), განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულის მეშვეობით (პააშეს ფორმულა):

$$I = \frac{\sum P_1 q_1}{\sum P_0 q_1}, \quad (10.4)$$

სადაც  $P_1$  და  $P_0$  არის საქონლის ფასი შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდში;  $q_1$  — საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის ნატურალური რაოდენობაა. ინდექსის მრიცხველი ( $\sum P_1 q_1$ ) გამოხატავს საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივ საქონელბრუნვას, ხოლო მნიშვნელი უჩვენებს იმავე პერიოდის საქონელბრუნვის ( $\sum P_0 q_1$ ) მოცულობას საბაზისო პერიოდის ფასებით.

ფასების აგრეგატული (საშუალო) ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა ახასიათებს ეკონომიას ან ზედმეტად გადახდილ აბსოლუტურ თანხას, რომელიც მიიღო (ან გადახარჯა) მომხმარებელმა საანგარიშო პერიოდში შესყიდული საქონლის შედეგად. ეკონომიას ( $\mathcal{O}$ ) განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$\mathcal{O} = \sum P_1 q_1 - \sum P_0 q_1. \quad (10.5)$$

როცა კვლევის მიზანს შეადგენს არა მიმდინარე პერიოდში შესყიდულ საქონელზე ფასების საშუალო დონის ცვლილების დადგენა, არამედ საბაზისო პერიოდში გამოყენებულ საქონელზე ფასების ცვლილების დონის განსაზღვრა, მაშინ ფასების აგრეგატულ (საშუალო) ინდექსს ანგარიშობენ შემდეგი ფორმულის მეშვეობით (ლაპეირესის ფორმულა):

$$I = \frac{\sum P_1 q_0}{\sum P_0 q_0}, \quad (10.6)$$

სადაც,  $q_0$  — საბაზისო პერიოდში გაყიდული საქონლის ნატურალური რაოდენობაა.

ზემოთ მოყვანილი ინდექსების გამოყენებით შეისწავლება საქონელბრუნვის ( $q.p$ ) მოცულობის დინამიკაც. იგი გაიანგარიშება საანგარიშო და საბაზისო პერიოდების საქონელბრუნვის მოცულობების ურთიერთშეფარდებით, ანუ — შემდეგი ფორმულის მეშვეობით.

$$I_{sp} = \frac{\sum P_1 q_1}{\sum P_0 q_0}, \quad (10.7)$$

სადაც  $\sum P_1 q_1$  — არის საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობა;

$\sum P_0 q_0$  — არის საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობა.

საქონელბრუნვის ინდექსის ( $I_{sp}$ ) მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა, რომელიც შეიძლება გამოხატული იქნეს შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$\sum P_1 q_1 - \sum P_0 q_0 = (\sum P_1 q_1 - \sum P_0 q_1) + (\sum P_0 q_1 - \sum P_0 q_0), \quad (10.8)$$

შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ საქონელბრუნვის მოცულობის ცვლილებაზე (ზრდა ან შემცირება) მოქმედი ორი ძირითადი ფაქტორის (გაყიდული საქონლის რაოდენობისა და საქონლის ფასის) გავლენა აბსოლუტურ მაჩვენებლებში.

ეკონომიკურ პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ფასებისა და რეალიზებული საქონლის ფიზიკური მოცულობის აგრეგატული

ინდექსების გარდაქმნას ფასების საშუალო არითმეტიკულ ინდექსებად, რასაც ახორციელებენ შესაბამისი ინდივიდუალური ინდექსების საფუძველზე. კერძოდ, ფასების ინდივიდუალური ინ-

დექსის  $i = \frac{P_1}{P_0}$ , საიდანაც  $P_0 = \frac{1}{i} P_1$ , მნიშვნელობის ფასების აგ-

რეგატულ ინდექსში (ფორ. 10.4) ჩასმით ლებულობენ ფასების საშუალო ჰარმონიული ინდექსის ფორმულას:

$$I_p = \frac{\sum P_1 q_1}{\sum \frac{1}{i} P_1 q_1} \quad (10.9)$$

სადაც  $\sum P_1 q_1$  — არის საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობა;

$\sum \frac{1}{i} P_1 q_1$  — საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულ-

ობა საბაზისო პერიოდის ფასებში.

ანალოგიური გაანგარიშებით ლებულობენ გაყიდული საქონლის ფიზიკური მოცულობის საშუალო არითმეტიკული ინდექსის ფორმულასაც, კერძოდ:

$$I_{qp} = \frac{\sum \frac{1}{i} P_1 q_1}{\sum P_0 q_0} \quad (10.10)$$

სადაც  $\sum \frac{1}{i} P_1 q_1$  — არის საანგარიშგებო პერიოდის საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდის ფასებში,

$\sum P_0 q_0$  — საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდში.

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების შემდგომი განვითარება შესაძლებელს ხდის ვისარგებლოთ ფასების საინდექსო მეთოდის უფრო სრულყოფილი ფორმებით, რომელიც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაშია დანერგილი. კერძოდ, შესაძლებელია ფასების ინდივიდუალური ინდექსის მოდიფიცირებული —

ცვალებადი შედგენილობის ინდექსის შემდეგი ფორმულის გამოყენება:

$$i_{\bar{p}} = \frac{\bar{p}_1}{\bar{p}_0} = \frac{\sum_{i=1}^n P_{i1} q_{i1}}{\sum_{i=1}^n q_{i1}} : \frac{\sum_{i=1}^n P_{i0} q_{i0}}{\sum_{i=1}^n q_{i0}}, \quad (10.11)$$

სადაც  $\bar{p}$  არის სასაქონლო ჯგუფის საშუალო ფასი (ტერიტორიების, ბაზრების) მიხედვით;

$P_i$  და  $q_i$  — შესაბამისად გაყიდული  $i$ -ური საქონლის ფასი და რაოდენობაა;

$i = 1 \dots n$  -მდე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში, საქონელი იმდენად ერთგვაროვანი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს მათი რაოდენობის დაჯამება.

პრაქტიკაში სხვადასხვა სახის საქონელთა ფასების დინამიკის ანალიზის საწარმოებლად (რამდენადაც განსხვავებულ საქონელთა ფასების დაჯამება უაზრობაა) გამოიყენება ცალკეული საქონლის ფასის გაყიდული საქონლის რაოდენობასთან შენონვის გზით შედგენილი მუდმივი (ფიქსირებული) შედგენილობის ფასების ინდექსი. მოცემული ინდექსის მეშვეობით რომ გამოვლინდეს ფასების უშუალო ცვლილება, საჭიროა საქონლის რაოდენობის მაჩვენებლის დაფიქსირება ან საბაზისო (ე.ი. გამოიყენება ლასპეირესის ფორმულა) ან საანგარიშო (ე.ი. გამოიყენება პააშეს ფორმულა) პერიოდის დონეზე.

სამომხმარებლო საქონლის ფასების ინდექსის გაანგარიშებაში მსოფლიოს მასშტაბით გამოყენებული (გაანგარიშების სიზუსტისა და გამოყენების მოხერხებულობის გამო) ლასპეირესის ფორმულა (იხ. ფორ. 10.6) აჩვენებს, თუ რამდენად შეიცვლებოდა სამომხმარებლო დანახარჯები საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით, თუკი ფასების ცვლილების პირობებში მოხმარება უცვლელი დარჩებოდა.

სასაქონლო ჯგუფის საშუალო ფასების ზრდაზე გაყიდვის სტრუქტურული ძვრების (ცვლილების) გავლენის გასაანგარიშებლად გამოიყენება ინდექსის შემდეგი ფორმულა:



$$I_{\text{სტრ.ტერ.ების}} = \frac{\sum_{i=1}^n P_{i0} q_{i0}}{\sum_{i=1}^n q_{i1}} : \frac{\sum_{i=1}^n P_{i0} q_{i0}}{\sum_{i=1}^n q_{i0}}, \quad (10.12)$$

სადაც  $p, q$  — აღნიშვნები შეესაბამება 10.11 ფორმულაში გამოყენებულ მაჩვენებლებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ცვალებადი, მუდმივი შედგენილობისა და სტრუქტურული ძვრების ინდექსებს შორის ურთიერთკავშირის გამოხატვა შესაძლებელია შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$I_{\text{სტრ.ტერ.}} = I_{\text{ცვ.}} : I_{\text{მუდ.}} \quad \text{ან} \quad I_{\text{ცვ.}} = I_{\text{მუდ.}} \cdot I_{\text{სტრ.ტერ.}} \quad (10.13)$$

მსოფლიო პრაქტიკაში ინფლაციის დონის საერთო დახასიათებისას გამოიყენება:

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც საშუალებას იძლევა შედარდეს ინფლაციის დონე სამომხმარებლო ბაზარზე;

2. მთლიანი ეროვნული პროდუქციის დეფლატორი, რომელიც აფასებს ინფლაციის დონეს ქვეყანაში წარმოებული და მოხმარებული მთლიანი დოვლათის შესახებ. ზემოთ ხსენებული ინდექსები ჩვენ მიერ ზემოთ იყო განხილული (იხ. თემა 7.3.)

ინფლაციის დინამიკას ინფლაციის პროცენტული ნორმის ( $N$ ) შემდეგი ფორმულის მეშვეობით განსაზღვრავენ:

$$N = \frac{I_t - I_{t-1}}{I_t}, \quad (10.14)$$

სადაც  $I_t$  და  $I_{t-1}$  არის შესაბამისი პერიოდის ინდექსები.

### ქ0.3. ფასის განსაზღვრის პარამეტრული მეთოდის გამოყენება (საგარეო ვაჭრობის მაგალითზე)

ფასი, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ფასში აისახება ფას-ნარმოქმნილი ფაქტორების მთელი სისტემა, მასში კონცენტრირდება სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურა და ნარმოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. ამრიგად, მნიშვნელოვანია ფასნარმოების მეთოდოლოგიური კვლევის პროცესში ფას-ნარმოქმნის მეთოდის შერჩევა.

ფასნარმოქმნის მეთოდები ძალზე მრავალფეროვანია და დამოკიდებულია საქონლის სპეციალიზაციაზე. მაგალითად, ყველაზე მარტივ მეთოდად აღიარებულია ე.წ. „თურქული ბაზრის“ მეთოდი, როცა ფასები მოისინჯება შევაჭრებით. შედარებით რთულ, მაგრამ ეფექტიან მეთოდად უნდა ჩაითვალოს ფასის განსაზღვრის მეთოდის გამოყენება მსოფლიო ბაზარზე საქონლის სამომხმარებლო თვისებების ბაზის (პარამეტრების) მიხედვით, რომელიც დამახასიათებელია მანქანებისა და მოწყობილობების ბაზრისათვის.

ნაკეთობების ფასის დადგენის სირთულე განისაზღვრება არა მხოლოდ ამ ბაზარზე მიმოქცევადი მანქანა-ტექნიკური ნაკეთობების უზარმაზარი ნომენკლატურით, არამედ მრავალფეროვნებით, აგრეთვე ასეთი ნაკეთობების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების ფასებში აღრიცხვის სირთულით. ამ მაჩვენებელთა ფასში აღრიცხვის აუცილებლობის დემონსტრირებისათვის მოვიყვანთ პოპულარულ მაგალითს, რომელიც აღწერილი აქვს რუს მეცნიერს პუნიჩს (6; გვ. 98). კორპორაცია „კატერპილერი“ ერთ-ერთ გამოფენაზე დემონსტრაციას უკეთებდა თავის ტრაქტორს მისაბმელით, რომლის ფასი 24 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა. მეორე სტენდზე ფირმა კონკურენტმა ნარმოადგინა გარეგნულად მსგავსი ტრაქტორი 20 ათასი დოლარის ოდენობით, როცა მომხმარებლები დაინტერესდნენ დილერთან, რატომ უნდა გადაიხადონ ტრაქტორ „კატერპილერში“ 4 ათასი დოლარით მეტი, მან არ გააანალიზა დანახარჯები, არამედ უპასუხა: 20 ათასი დოლარი — იმისათვის, რომ ტრაქტორი ფუნქციონალურად ანალოგიურია ამ ტიპის სხვა ტრაქტორებთან მიმართებაში.

3 ათასი დოლარი — იმისათვის, რომ ჩვენს ტრაქტორს გააჩნია მწარმოებლობის გაზრდილი ხანგრძლივობა.

2 ათასი დოლარი — ფასდანიამატია მისი ექსპლუატაციაში მომატებული საიმედოობისათვის.

2 ათასი დოლარი პრემიალური დანიამატია ჩვენი განსაკუთრებული ტექნიკური სერვისისათვის.

1 ათასი დოლარი შესწორება ფასისადმი მაკომპლექტებელი ნაწილებისა და კვანძების შედარებით ხანგრძლივი საგარანტიო მომსახურების ვადებისათვის:

სულ 28 ათასი დოლარი ტრაქტორის მთელი კომპლექტისათვის.

4 ათასი დოლარი ფასდაკლება.

24 ათასი დოლარი ტრაქტორის საბოლოო ფასია.

როცა დილერმა თავისი პასუხები განამტკიცა დოკუმენტებით, გაკვირვებულმა მომხმარებლებმა გაიგეს, რომ ტრაქტორ „კატერპილერის“ ყიდვით ისინი ზედმეტს კი არ იხდიან, არამედ იგებენ 4 ათას დოლარს და საქმე დამთავრდა ტრაქტორ „კატელპილერის“ შეძენით. მყიდველი დარწმუნდა იმაში, რომ კაპიტალდაბანდებაში 4 ათასი დოლარით "გადახარჯვა" აძლევს მას შემოსავლების მიღების შესაძლებლობას ტრაქტორის მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში ყველაზე უფრო გამოყენებული ფასების გაანგარიშების მეთოდებსა და საგარეო ვაჭრობაში ფასების შეთანხმების წესებს, ტექნიკური პროდუქციის (მანქანები) მაგალითზე. საგარეო ვაჭრობის ფასების განსაზღვრის ყველა მეთოდს გააჩნია ერთი საერთო საფუძველი — საგარეო ვაჭრობის ფასი უნდა იყოს მსოფლიო ბაზრის ფასის დონეზე. სხვა ფასწარმომქმნელი ფაქტორების თანახმობის პირობებში მსგავსი ფასები დგინდება თანახმობის ხარისხიან პროდუქციაზე ფასების თანახმობის პრინციპით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მსოფლიო ფასებს საფუძვლად უდევს საქონლის ღირებულების (საზოგადოებრივად აუცილებელი შრომითი დანახარჯების) და სახმარი ღირებულების (შრომის შედეგის, პროდუქციის ხარისხის) დიალექტიკური ერთიანობა. ეს ფაქტორები იცვლება ტექნიკის მორალური ცვლელისა და ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებისას. კერძოდ, ფასებზე მოქმედებს ფულის მსყიდველობითი უნარი, ე.ი. ინფლაციის დონე და მოცემულ მომენტში ბაზარზე კონკრეტული საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ურთიერთდამოკიდებულება. ეს ურთიერთდამოკიდებულებები იცვლებიან ციკლის სხვადასხვა ფაზებში. ფასებზე ზემოქმედებენ მონოპოლიები. გარკვეულ პირობებში ისინი ქმნიან, როგორც მონოპოლიურად მაღალ ფასებს (მათ მიერ სა-

კუთარი საქონლის რეალიზაციისას), ასევე მონოპოლიურად დაბალ ფასებს (არამონოპოლიური სტრუქტურებიდან მათ მიერ ნედლეულის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სახის საქონლის შექმნისას). მსოფლიო ბაზრების დონეზე ზემოქმედებენ კომერციული ფაქტორები: გადახდისა და ტრანსპორტირების პირობები, საქონლის რაოდენობა, მისი დაკომპლექტება და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე, როგორც წესი, არ არის ერთიანი ფასი. განსაკუთრებით მზა პროდუქციაზე. მსოფლიო (საგარეო ვაჭრობის) ფასის განსაზღვრა ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში. უფრო მეტი სირთულეები წარმოიშობა ექსპორტ-იმპორტის ფასის განსაზღვრისას ისეთ რთულ ობიექტებზე, როგორიცაა მანქანები და მოწყობილობები. ეს პრობლემა იქნეს განსაკუთრებულ აქტუალობას, რამდენადაც ცალკეული სახის მოწყობილობების რეალიზაციისას ჩნდება კრედიტების დიდი მოცულობით გამოყენების აუცილებლობა. რომელთა საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით დაფარვა გაიანგარიშება 5-10 და მეტი წლის განმავლობაში.

საერთაშორისო ვაჭრობაში სასაქონლო ფასები ურთიერთსარგებლიანობის დასაბუთებულად ან კონკურენტუნარიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუ მათი დონეები მსგავს პირობებში შეესაბამება მსოფლიო ფასს, რომლის მიხედვითაც საქონლის გადაზიდვა ხდება მსგავსი საქონლის ექსპორტიორთა უმრავლესობის მიერ ერთსა და იმავე პირობებში.

რა იგულისხმება „კონკურენტუნარიანი ფასის“ ცნებაში? ეს ტერმინი გულისხმობს იმ ფასს, რომელიც საქონლის მოცემული ხარისხისა და მოცემული ფასების დონის პირობებში დამყარდა ბაზარზე მოცემულ დროს. აქედან გამომდინარე, ფასების დონის დადგენის დაწყებამდე აუცილებელია მსოფლიო სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურის ღრმა შესწავლა. შესწავლილი უნდა იქნეს, როგორც მსოფლიო ბაზარზე მოცემული პერიოდისათვის რეალიზებად საქონელ-კონკურენტთა მახასიათებლები, ასევე მათი რეალიზაციის პირობები და ფასების დონე. ასეთი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ: კონტრაქტების, შეკვეთების და ფირმების ანგარიშების ასლები, პრეისკურანტები, სპეციალური პუბლიკაციები. გამოფენებისა და ვაჭრობების წარმომადგენლები-

სა და ბროკერების ინფორმაციები და სხვა მონაცემები. საინფორმაციო მასალები უნდა პასუხობდნენ მთელ რიგ მოთხოვნებს:

— ისინი უნდა იყვნენ უტყუარნი (ბარტერულ გარიგებებში დადგენილი ფასების საბაზისო ფასებად გამოყენება არ შეიძლება).

— საგარეო ვაჭრობის ფასების გაანგარიშება უნდა ხდებოდეს უახლოესი პერიოდის დოკუმენტაციების გამოყენებით.

საბაზისო ნაკეთობათა დახასიათებები მაქსიმალურად ახლოს უნდა იყვნენ ნაკეთობის შესაბამის მაჩვენებლებთან, რომელთა ფასის დადგენაც ხორციელდება.

საბაზისო დოკუმენტაციების ფასები უნდა იყვნენ გამოსახულნი თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

ფასების გაანგარიშების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ე.წ. „კონკურენტული ფურცლის“ შედგენა ან ექსპორტ-იმპორტის ფასების ბარათების გაანგარიშება. საგარეო ვაჭრობის ფასების გაანგარიშების მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკაში შემუშავებულია და აღიარებულია ექსპორტ-იმპორტის ფასების გაანგარიშების უნიკალური ფორმა მანქანა-მონყობილობებისა და ხელსაწყოების არართულ სახეობებზე.

საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ფასის გაანგარიშების პარამეტრული მეთოდის არსი და მისი გამოყენების პრაქტიკული ასპექტი ილუსტრირებულია სამუშაო სირთულის მანქანა-დანადგარების მაგალითზე. მსოფლიო ვაჭრობაში ფასწარმოქმნის პარამეტრული მეთოდის საფუძველად აღიარებულია ნაკეთობათა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, გადაზიდვის კომერციული პირობების, კომპლექტაციების ღირებულების გათვალისწინებით განსაზღვრული ფასისა და საქონელ-კონკურენტის (წანარმის) ფასის პირდაპირი შედარება. შედარება იმ ფასთან, რომელიც განსაზღვრულია დასახასიათებელ საქონელზე საბაზისოსაგან განსხვავებული პარამეტრების გამანონანსნორებელი მაჩვენებლების სიდიდეების ცვლილებით (პირობით მსგავსზე დაყვანით).

საგარეო ვაჭრობის ფასის გაანგარიშება შედარებით მარტივია, როცა გასაანგარიშებელი ნაკეთობის ყველა შესადარებელი მახასიათებელი ემთხვევა მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე რეალიზებადი ნაკეთობის დახასიათებას. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც რეალიზდება სტანდარტული სანედლეულო საქონელი. ამასთან, ნაკეთობის საგარეო ვაჭრობის ფასი განისაზღვრება მსოფლიო ფასების დონეზე, როგორც ფასი, რომელიც ითვალის-

წინებს მსოფლიო ბაზრის ფასწარმოქმნელ ფაქტორთა მთელ სისტემას და მასში შესწორების შეტანა არ არის საჭირო.

რეალურ სინამდვილეში ცალკეულ ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები და გადაზიდვის პირობები, მსოფლიო ბაზარზე რეალიზებად საქონელზე ჩვეულებრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორ დავადგინოთ ფასი ასეთ პირობებში?

მსოფლიო ფასების დონის გამოყენება გადაზიდვებს დაქვემდებარებული ნაკეთობების ფასის ჩამოსაყალიბებლად, შეიძლება მხოლოდ ფასში სათანადო შესწორებების შეტანით და ასეთი ნაკეთობების პირობითად მსგავსებად წარმოდგენით. როგორ დავადგინოთ შესწორებების სიდიდე?

გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ფასის შესწორების სიდიდე დამოკიდებულია ტექნიკური პარამეტრების განსხვავებულობის ორ ფაქტორზე: შესაბამისი სიდიდეების (პარამეტრების) სხვაობასა და მათ ხვედრით წილზე; ნონადობის განსაზღვრა ინარმოება როგორც ანალიტიკურად, ისე ექსპერიმენტის გზით. ფასის ცვლილების დამოკიდებულების აღრიცხვა ნაკეთობის ხარისხის ყველა ცალკეული მაჩვენებლის ცვლილებისაგან ინარმოება უბრალო მათემატიკური ფორმულის დახმარებით (10.15):

$$U = U_0 \left( \frac{T^B}{T_0} \right), \quad (10.15)$$

სადაც  $U$  — საძიებელი ფასია,

$U_0$  — საბაზისო ფასია,

$T_0$  — ნაკეთობის პარამეტრია,

$T_B$  — საბაზისო ნაკეთობის პარამეტრები,

$B$  — მოცემული პარამეტრის ხვედრითი წილი ნაკეთობის ფასში (მისი ნონადობა).

მაგრამ, როგორც პრაქტიკული გამოცდილება უჩვენებს, ასეთი განტოლებების ამოხსნა ფასების და კონიუნქტურის ოპერატიული შესწავლის პირობებში მარკეტოლოგებისათვის ყოველთვის არ არის მოსახერხებელი, რადგან საჭიროებს ლოგარითმული ოპერაციების ჩატარებას.

ქვემოთ მოყვანილი, შედარებით მარტივი ფორმულა (10.16) იძლევა ნაკლებად ზუსტ მონაცემებს, მაგრამ ნაკეთობის პარამეტ-

რების უმნიშვნელო სხვაობისას ასეთი უზუსტობები საკვებით მისაღება.

$$U = U_0 \left( \frac{T}{T_0} \right) A, \quad (10.16)$$

სადაც  $A$  შენელების კოეფიციენტი, ანუ მოცემული პარამეტრების ნაკეთობის ფასში ხვედრითი წილის დაახლოებითი მაჩვენებელია. სხვა მაჩვენებელთა არსი კი იგივეა, რაც ფორმულა 10.15-ში.

თითოეული პარამეტრის ხვედრითი წილის ანალიზური მეთოდით დასადგენად გამოიყენება რეგრესული ანალიზის ხერხი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტატისტიკური მონაცემები (ნაკეთობის პარამეტრის სიდიდე და ფასი) ჯგუფდება ნაკეთობის თითოეული პარამეტრული რიგისათვის და განისაზღვრება მათ შორის კორელაციური კავშირი.

პარამეტრულ რიგად იწოდება ფუნქციონალურად ერთგვაროვანი ნაკეთობების ერთობლიობა, რომლებსაც ერთი და იგივე დანიშნულება გააჩნიათ, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სიდიდით ან თავიანთი კონსტრუქციის ზოგიერთი თავისებურებით. თითოეული ძირითადი პარამეტრის ფასებზე ზემოქმედების ფორმულის დასადგენად აუცილებელია შეიქმნას ე.წ. „კორელაციური ველი“ ნაკეთობის პარამეტრული რიგისათვის. ამისათვის აბსცისთა ღერძზე გადაიზომება პარამეტრის სიდიდე, ხოლო ორდინატთა ღერძზე — მისი შესაბამისი ფასი, რამდენადაც კორელაციური ველი ჩვეულებრივად ქმნის ფასის განსაზღვრულ გაფანტვას. „პარამეტრ-ფასის“ დამოკიდებულების საშუალო მნიშვნელობას პოულობენ გრაფიკით ან ანალიზურად „უმცირეს კვადრატთა“ მეთოდით. შედეგად განსაზღვრავენ რეგრესიის ხაზს. ამ ხაზის გრაფიკზე გადატანით განსაზღვრავენ ნანარმის ფასს (მაგალითად, ნაკეთობა — დიზელის ძრავის ფასის დამოკიდებულება მის სიმძლავრეზე, დავეუშვათ 10-დან 100 კვტ-მდე).

გაანგარიშების წარმოების შედეგად მიღებული შესწორებები იკრიბება და ლებულობენ საბოლოო შესწორებებს.

— საერთო შესწორება ტექნიკური მაჩვენებლების მიმართ.

— საერთო შესწორება კომერციული მონაცემების შეჯერებაზე.

— შესწორებანი სხვადასხვა კომპლექტაციაზე.

საბოლოო შესწორებათა ჯამობრივი სიდიდით საბაზისო ფა-

სის შესწორებით (კოეფიციენტის გამოყენებით) დგინდება ნანარმის სარეალიზაციო ფასი. ნაკეთობის პარამეტრების პირობითად მსგავსისაქენ დაყვანის ხერხის გამოყენება ფასების მიმართ შესწორებების გათვთლისწინების გზით საშუალებას გვაძლევს არამხოლოდ დავადგინოთ ფასების დონე, არამედ გამოვავლინოთ ნაკეთობის (ნანარმის) კონკურენტუნარიანობის ხარისხი, როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, ასევე ფასების მიხედვითაც.

რამდენადაც საბაზისო ნანარმის როლში ჩვეულებრივად იღებენ რამდენიმე კონკრეტულ ნაკეთობას, ამიტომ მათი დაყვანა პირობითად მსგავსზე საშუალებას იძლევა ფასის გაანგარიშების პროცესში აგრეთვე დავადგინოთ ცალკეული კონკურენტის სხვადასხვა ფასები და მათ შორის ამოვარჩიოთ შედარებით საფუძვლიანი ან საშუალო საბაზისო ფასი.

ზემთ მოყვანილი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ფასები მონონებული უნდა იყოს მყიდველი ფირმის (სანარმოს) მიერ, რომელიც, როგორც წესი, სთავაზობს მისთვის ხელსაყრელ ფასებს. პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, პირველად ფასს აცხადებს „ექსპორტიორი“, ხოლო შემხვედრ ფასს „იმპორტიორი“. ურთიერთმისაღები ფასის მისაღწევად ჩვეულებრივ გამოიყენება ორი მიმართულება:

1. ნარდგენილი ფასების მსოფლიო ფასების დონესთან შესაბამისობის დამტკიცების გზით (კონტრაგენტს ნარედგინება შესაბამისი კონკრეტული დოკუმენტაცია და შესწორებები ტექნიკურ-ეკონომიკური და გადაზიდვის პირობების განსხვავებისათვის).

2. კომპრომისის მიღწევის მიზნით კონტრაგენტი დათანხმდება შემოთავაზებულ ფასზე, ამა თუ იმ ფასდაკლების ან გადაზიდვის პირობების შეცვლის გათვალისწინებით.

#### *§ 10.4. საგარეო ვაჭრობის ფასის გაანგარიშების*

##### *პრაქტიკული ასპექტი*

*(ნაკეთობა „დიზელის ძრავა - 24 ცხენის ძალის მაგალითზე)*

საგარეო ვაჭრობის ფასის გაანგარიშება „დიზელ-24 ც.ძ.ის“ ნანარმზე ნარმოებს უნივერსალური „კონკურენტული ფურცლის“ გამოყენებით, რომლებიც მიღებულია საგარეო ვაჭრობის ფასის გამოსაანგარიშებლად საშუალო სირთულის მანქანა-ტექნიკურ მოწყობილობებზე (იხ. ცხრილი 10.1)



კონკურენტული ფურცელი „დიზელი 24 ც.დ.-ზე“  
 მოდელის საგარეო ვაჭრობის ფასის გაანგარიშებაზე

N	მახასიათებლები	ზომის ერთეულები	გამოსაანგარიშებელი ნაქეთობა	კონკურენტი (საბაზისო) ნაქეთობა	შესწორების % ის ოდენობა საბაზისო ნაქეთობისადმი
			(წინადადება შეკეთა პრესკურანტი) მოდელის (ტიპი 4)	(წინადადება შეკეთა პრესკურანტი) მოდელის (ტიპი 1)	
1	2	3	4	5	6
	<b>A ტექნიკური მონაცემები</b>				
1	სიმძლავრე	კძ	24	20	+16
2	ბრუნვათა რიცხვი	ბრ/ნთ	1500	1600	+0.5
3	ცილინდრების რაოდ.	ც.	4	4	-
4	დგუმის დიამეტრის სვლა	მმ	90/110	78/92	-
5	დგუმის სიჩქარე	მმ/წმ	5.5	4.9	-
6	სანვავის ხარჯვა	ს/ლ	215	240	+1.5
7	მოტორესურსი	სთ	2590	2450	+0.5
8					
9					
10					
11	საერთო შესწორება ტექნიკური შეჯერება %				+18.5
	<b>B კომერციული მონაცემები:</b>				
12	მონყობილობის ფასი უცხოურ ვალუტაში	უც.ვალ.		1010 დოლ.	
13	უცხოური ვალუტის კურსი	1 ლარზე			
14	მონყობილობის ფასი ლარი	ლარი			
15	ფასები (ფრანკო გადაზიდვებით)		ფრანკო საზღვარზე	ფრანკო საზღვარზე	
16	მონოდების რაოდენობა	ც	200	500	+8.0
17	დათმობა შევაჭრებაზე	%			-10
18	მაკომპლ. ნაწილის ფასი	დოლ.	66.5	107.75	-4.1
19	სათადარიგო ნაწილების ფასი	“-“	საზღვაო რეეს.	ინგლასტური	+3.0
20	შეფუთვა		საზღვაო	საზღვაო	
21	გადაზიდვის პირობები		აკრედიტივი	აკრედიტივი	
22	საერთო კომერციული შესწორება				-3.1
23	ფასი ყველა შესწორების გათვალისწინებით	დოლ.	1160		

**ბანკარტიპიტი ჩანაწერი ფასის  
ბანკბარიშპისათვის**

ა) ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების შეჯერება როგორც კონკურენტული ფურცლიდან გამომდინარეობს, საბაზისო ნაკეთობა განსხვავდება ნაკეთობისაგან, რომლის ფასიც უნდა დადგინდეს, შემდეგი მაჩვენებლების სიმძლავრით, ბრუნვათა რიცხვით, სანვავის ხარჯვით, მოტორესურსითა და კომპლექტაციით.

დანარჩენი პარამეტრები ზემოქმედებას არ ახდენენ ფასზე ან ემთხვევიან ერთმანეთს:

1. შესწორება სიმძლავრეზე. რამდენადაც საბაზისო ნაკეთობის სიმძლავრე ნაკლებია 4 ერთეულით, შეგვაქვს შესწორება. იგი გაიანგარიშება სიმძლავრეების დამოკიდებულებით, ხვედრითი ნონების B მაჩვენებლის შემოღებით, რომელიც ტოლია 0.065 (გალოგარითმების შემდეგ ტოლია 0.965). მაშინ შესწორება კოეფიციენტის ფორმით ტოლი იქნება 0,16, რაც დამრგვალებულად ტოლია 16%.

2. შესწორება ბრუნვათა რიცხვზე. რამდენადაც ბრუნვათა რიცხვის გადიდება რამდენადმე ამტკიცებს მის გამოყენებას არსებული რედუქტორის სისტემაში, შემოგვაქვს შესწორება ფასში კონკრეტულ დიზელში +0,5% (ექსპერტული შეფასება).

3. შესწორება დიზელის სანვავის სხვადასხვა ღირებულებაზე, ექსპლუატაციის საშუალო პერიოდში კაპიტალურ შეკეთებამდე. მეთოდისა და ქარხნის ექსპერტების შეფასებათა თანახმად (სუდოიმპორტი და რუსული დიზელი — სანკტ-პეტერბურგი), შესწორება გაიანგარიშება ფორმულით (10.17):

$$\Pi_{PT} = \frac{(q_1T - q_2T) \cdot N \cdot T \cdot P_T}{1000000}, \quad (10.17)$$

სადაც  $\Pi_{PT}$  — გახარჯული სანვავის ღირებულებაა ექსპლუატაციის საშუალო პერიოდში კაპიტალურ შეკეთებამდე.

$q_1, q_2$  — საბაზისო და საანგარიშო ნაკეთობების სანვავის ხვედრითი ხარჯვა.

$T$  — საბაზისო დიზელის მოტორესურსი,

$N$  — საბაზისო დიზელის სიმძლავრე,

$P_T$  — დიზ. სანვავის კოტირებული (ინგლ. Quoting - კოტირება - შემზღუდველი ღონისძიებების ერთობლიობა) ფასი ექსპლუატაციის პერიოდში (ლარებში).

მაკომპლექტებელი ნაკეთობების განსხვავებაზე  
შესწორების სიდიდის გაანგარიშება

N	მაკომპლექტებელი ნაკეთობის დასახელება	ფასი (დოლ.)	საანგარიშო ნაკეთობა		კონკურენტული ნაკეთობა	
			პროც. არსი	ფასი	პროც. არსი	ფასი
1	ამძრავი	34.0	არის	34.0	არის	34.0
2	სამართავი გროტი	12.5	არის	12.5	არის	12.5
3	ალვერი	3.25	არის	3.25	არის	3.25
4	ჩაჭიდების მუხტა	5.5	არის	5.5	არის	5.5
5	წყლის საქაჩი	9.75	არის	9.75	არ არის	-
6	ხის დამხშირი	1.5	არის	1.5	არ არის	-
7	რევერს რედუქტორი	52.5	არ არის	-	არის	5.5
სულ კომპლექტის ფასი				66.5		107.75
შესწორება (სხვაობა) მაკომპლექტებელ ნაწილებზე						
საბაზისო და საანგარიშო ნაკეთობებში (დოლ.)				41.25		
ფასის შესწორება (%)				-3.1		

მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ შესწორებას საბაზისო ნაკეთობის ფასისადმი +1.5%.

4. შესწორებებით სხვადასხვა მოტორესურსებზე, პროცენტულად განესაზღვრავთ მათ დამოკიდებულებას:

$$2530/2450 = 1.055 \text{ ან დამრგვალებულად } +0.6\%.$$

სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე კრებსითი შესწორება ტოლია  $1,5 + 16 + 0,5 + 0,5 = 18,5\%$ ,

ანუ კოეფიციენტის ფორმით 1,185.

5. შესწორებები კომერციულ პირობებზე, გადაზიდვასა და კომპლექტაციაზე:

1) რამდენადაც ფასი კონკრეტულ დიზელზე მოცემულია (1010 ლარი), შემოგვაქვს შესწორება ვაჭრობაზე - 10% ოდენობით.

2) კონკურენტული ფირმის მიერ გათვალისწინებულია 500 ც დიზელის გადაზიდვა, ხოლო 200 დიზელის გადაზიდვისას ფირმას შეუძლია ასწიოს ფასი (სხვა წინადადებების მონაცემთა შესაბამისად) დაახლოებით 8%-ით. ამდენად, შემოგვაქვს შესწორება ფასში +8%.

3) შესწორება მაკომპლექტებელი ნაკეთობების განსხვავებაზე განისაზღვრება შემაჯერებელ ცხრილში მოყვანილი მონაცემებით, რომელმაც შეადგინა 4,1%.

4) შესწორება სათადარიგო ნაწილების განსხვავებაზე. დიზელების სათადარიგო ნაწილების დაკომპლექტება ხდება საზღვაო რეგისტრის წესის თანახმად, ხოლო უცხოური წარმოების დიზელების ინგლასტური რეგისტრის წესით. საანგარიშო დიზელის სათადარიგო ნაწილების ღირებულება 3%-ით მეტია კონკურენტთან შედარებით, ამდენად მიიღება შესწორება +3%.

კრებსითი შესწორება, სხვადასხვა კომერციულ პირობებზე და კომპლექტაციაზე შეადგენს —  $10+8-4,1+3=3,1\%$  ან კოეფიციენტის ფორმით 0,969.

მოცემული ვარიანტის მიხედვით დიზელის ფასი ორი კრებსითი შესწორების გათვალისწინებით მათი კოეფიციენტის ფორმაში გადაყვანით შეადგენს:

$1010 \times 1,185 \times 0,969 = 1160$  დოლ., ე.ი. ზემოთ წარმოდგენილი განგარიშების შედეგად განისაზღვრა საექსპორტო ფასი, რომელიც 1160 დოლარს შეადგენს.

ვალუტის ეფექტიანობის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საჭიროა გამოყენებულ იქნეს ვალუტის მიმდინარე კურსი და მოქმედი საბითუმო ფასები.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში ფასწარმოქმნის პარამეტრული მეთოდების გამოყენება, სადაც ფასწარმოქმნას ჯერ კიდევ დანახარჯებითი მეთოდით აწარმოებენ, ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას მისი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების გაშლას. ფასწარმოქმნის პარამეტრული მეთოდების გამოყენება მსოფლიო ვაჭრობაში ნაკარნახევია იმ გარემოებითაც, რამდენადაც საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები (დანახარჯების მეთოდის არსი) უცნობია; ხოლო ინდივიდუალური დანახარჯები (პროდუქციის თვითღირებულება) წარმოადგენს ფირმის კომერციულ საიდუმლოებას.

ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასევე ქვეყნის შიგნსახელმწიფოებრივი ფასების განსაზღვრისთვისაც, როგორც პროდუქციის ფასწარმოქმნაში გამოყენებული დანახარჯების მეთოდის ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა.

ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა საწარმოში (ფირმაში) უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად ფაქტორებს: დანახარჯებს, მოთხოვნასა და კონკურენციას. ასევე მნიშვნელო-

ვანია შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინება, როგორცაა საქონლის სიახლე და ხარისხი; საქონლის სასიცოცხლო ციკლი, სერვისი; მოგების ოპტიმიზაციის სტრატეგია და ა.შ.

### *საკონტროლო კითხვები*

1. განმარტეთ ფასების ცნება და დაახასიათეთ ღირებულების განსაზღვრის ეკონომიკური თეორიები.
2. განმარტეთ ფასნარმოქმნის პოლიტიკა და ჩამოთვალეთ ფასნარმოქმნის მთავარი ფაქტორები.
3. დაასახელეთ ფასნარმოქმნის მეთოდები.
4. როგორ განისაზღვრება ფასი დანახარჯის მიხედვით?
5. ჩამოთვალეთ ფასების სახეები სასაქონლო მომსახურების სფეროების მიხედვით და განმარტეთ მომსახურების ფასებისა და ტარიფების არსი.
6. ჩამოთვალეთ ფასების სახეები გაყიდვის ფორმების მიხედვით.
7. ჩამოთვალეთ ფასების სახეები სატრანსპორტო დანახარჯების ასახვის მიხედვით.
8. დაახასიათეთ საბითუმო, საცალო და შესასყიდი ფასები.
9. დაახასიათეთ ფასნარმოქმნის პარამეტრული მეთოდი.
10. განმარტეთ ფასების სტატისტიკის ამოცანები და ფასების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის არსი.
11. ჩამოთვალეთ ფასების თანაფარდობის მაჩვენებლები.
12. დაასახელეთ ფასების ელასტიკურობის მაჩვენებლები.
13. განმარტეთ ფასების ინდივიდუალური დონე და რას ნიშნავს საშუალო ფასი?
14. განმარტეთ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ფასების დონეზე.
15. განმარტეთ საინდექსო მეთოდის არსი და დაასახელეთ ინდექსების სახეები.
16. გაიანგარიშეთ ფასების ინდივიდუალური ინდექსი.
17. როგორ განისაზღვრება ფასების საშუალო (აგრეგატული) ინდექსი?
18. გაიანგარიშეთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის დონე.
19. რას ნიშნავს ინფლაცია და რომელი მაჩვენებლით განისაზღვრება მისი დონე?

20. ჩამოთვალეთ ფასების დინამიკისა და პროგნოზირების მაჩვენებლები.

*გამოყენებული ლიტერატურა:*

1. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა, თსუ, თბ. 1998.
2. ქ.მარშავა, კომერციული საქმიანობის სტატისტიკა, თსუ, თბ., 1999.
3. ლურწკაია კ., ეკონომიკური თეორია, თბ., 2001.
4. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ორტომეული, სახელმძღვანელო. თბ., 1998.
5. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.
6. Пунин Е.И. Маркетинг, менеджмент и ценообразование на предприятиях в условиях рынка. М., 1993.
7. Социально-экономическая статистика, под ред. Н. Назарова. М., 2000.
8. Торвей Р. Индексы потребительских цен: пер. с англ. — Москва: Финансы и статистика, 1993.
9. Экономическая статистика, под ред. Ю.И.Иванова. М., 1998.

## თემა 11. პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკა

### § 11.1. პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები

პროდუქციის თვითღირებულება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. თვითღირებულება არის დანახარჯთა ჯამი, რომელსაც მენარმე წარმოების რესურსების (ფაქტორების) შესაძენად ხარჯავს. წარმოების კლასიკურ ფაქტორებად განიხილება მინა (ბუნებრივი რესურსები), კაპიტალი და შრომა. თანამედროვე ლიტერატურაში გამოყოფენ განსაკუთრებულ ფაქტორს — მენარმეობით უნარს. წარმოების ცალკეული ფაქტორების შექენაზე მენარმის მიერ განეული ხარეები არაერთგვაროვან დამოკიდებულებაშია გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებასთან. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ეკონომიკური დანახარეების ორ ძირითად სახეს — მუდმივ და ცვალებად (ცვლადი) ხარეებს.

მუდმივი დანახარეები (ინგლ. Fixed costs (FC) ეწოდება ისეთ დანახარეებს, რომელთა სიდიდე არ მოქმედებს წარმოების მოცულობის ცვლილებაზე. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, მიწის რენტა, დაზღვევის გადასახადი, იჯარის ქირა, საამორტიზაციო ანარიცხები, მართვის აპარატის პერსონალზე, შრომის ანაზღაურებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. განეული დანახარეები.

ცვალეზადი დანახარეები (ინგლ. variable costs (VC) ეწოდება ისეთ დანახარეებს, რომელთა სიდიდე იცვლება გამოშვების მოცულობის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით. მაგალითად, დანახარეები შრომის საგნებზე, შრომის ანაზღაურებაზე, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე და ა.შ.

მთლიანი დანახარეები (ინგლ. Total costs (TC) ეწოდება მუდმივი და ცვალეზადი დანახარეების ჯამს. კერძოდ:

$$TC=FC+VC, \quad (11.1)$$

სადაც TC — მთლიანი (საერთო) ხარეებია,

FC — მუდმივი დანახარეები,

VC — ცვალეზადი დანახარეები.

სანარმომ წარმოების ფაქტორების ოპტიმალური კომბინაციის არჩევისას უნდა გაითვალისწინოს ის მდგომარეობა (რომელიც მუდმივი და ცვალეზადი დანახარეების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს), რომ არ შეიძლება თვითნებურად გაზარდოს ცვალეზადი ფაქტორების რაოდენობა მუდმივი ფაქტორის ერთეულ-

ზე, რამდენადაც ამ შემთხვევაში ამოქმედდება კლებადი უკუგების (მზარდ დანახარჯთა) კანონი.

კლებადი უკუგების კანონის თანახმად ერთი ცვალებადი რესურსის განუწყვეტელი გადიდება სხვა რესურსების უცვლელ რაოდენობასთან შეხამებით, გარკვეულ ეტაპზე მისი უკუგების ზრდის შეჩერებას, ხოლო შემდეგ კი მის შემცირებას იწვევს. კლებადი უკუგების კანონი მისაღებია ცვალებადი ფაქტორის ყველა სახეობისათვის ნებისმიერ დარგში, წარმოებაში ცვალებადი რესურსის დამატებითი ერთეულების მუდმივი შეყვანით, როცა ნაგულისხმევია, რომ ყველა დანარჩენი რესურსი მუდმივია. ცვალებადი რესურსის უკუგება თავიდან სწრაფად იზრდება, ხოლო შემდგომ თანდათან ეცემა (1).

ეკონომიკურ ლიტერატურაში დანახარჯებს განიხილავენ ორ ჯგუფად: პირველი, წარმოების დანახარჯები ხანმოკლე პერიოდში და მეორე, წარმოების დანახარჯები ხანგრძლივ პერიოდში (2). ასეთი დაყოფა პირობითია (პერიოდი განისაზღვრება არაკალენდრულ დღეთა რაოდენობით) და იგი დამოკიდებულია წარმოების ხასიათზე და საწარმოო შესაძლებლობაზე. ასე, მაგალითად, ხანმოკლე პერიოდში განიხილავენ წარმოების მოცულობის ზრდის შესაძლებლობას მხოლოდ ცვლადი დანახარჯებით (მასალები, ნედლეული, ცოცხალი შრომა), რომელთა გამოყენების სიდიდეს განსაზღვრავს ე.წ. ზღვრული სარგებლიანობის კანონი. ამ კანონის თანახმად, რესურსების ყოველი დამატებით დაბანდება შეიძლება მანამ გაგრძელდეს, სანამ უკანასკნელი (პირობითად ბოლო) რესურსის დაბანდებაზე განეული ხარჯები არ გაუტოლდება უკუგებას, ანუ როდესაც ადგილი ექნება ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლის ტოლობას ( $MR=MC$ , სადაც  $MR$  — ზღვრულ შემოსავალს, ხოლო  $MC$  — ზღვრულ დანახარჯებს წარმოადგენენ).

ზღვრული, ანუ დამატებითი ხარჯები (ინგლ. Maximum Costs (MC) ეწოდება პროდუქციის დამატებითი (კიდევ ერთი) ერთეულის წარმოებაზე განეულ ხარჯებს. ზღვრული ხარჯები ცვალებადი ხარჯების ნაშთის ტოლია, თუკი იგულისხმება, რომ მუდმივი ხარჯები (FC) უცვლელია. ზღვრული დანახარჯები (MC) გამოითვლება მთლიანი დანახარჯების ცვლილების ( $\Delta TC$ ) შეფარდებით პროდუქციის მოცულობის შესაბამის ცვლილებასთან ( $\Delta Q$ ):

$$MC = \frac{\Delta TC}{\Delta Q}; \text{ განმარტების თანახმად } \Delta Q = 1, \text{ ამიტომ}$$



$$MC = \Delta TC. \quad (11.2)$$

ზღვრული დანახარჯებით კონცეფციას სანარმოს განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. მისი განსაზღვრით მენარმე იღებს გადაწყვეტილებას კიდევ რამდენიმე (დამატებითი) ერთეულით წარმოების მოცულობის გაზრდის შესახებ, წარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ამ მიზნით გაიანგარიშება საშუალო მთლიანი (საერთო) ხარჯები, რომელიც მოიცავს საშუალო მუდმივ და საშუალო ცვალებად ხარჯებს.

საშუალო (ინგლ. Average costs (AC) ეწოდება ხარჯებს, რომელიც მოდის წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. საშუალო ხარჯები (AC) იანგარიშება დანახარჯების (TC) გაყოფით წარმოებული პროდუქციის (Q) რაოდენობაზე. შესაბამისად განისაზღვრება:

ა) საშუალო მუდმივი (ინგლ. Average fixed costs — AFC) დანახარჯები შემდეგი ფორმულით:

$$AFC = \frac{FC}{Q}, \quad (11.3)$$

სადაც, AFC — საშუალო მუდმივი დანახარჯებია,

FC — მუდმივი დანახარჯებია,

Q — პროდუქციის რაოდენობაა.

ბ) საშუალო ცვალებადი (ინგლ. Average variable costs — AVC) დანახარჯები შემდეგი ფორმულით:

$$AVC = \frac{VC}{Q}, \quad (11.4)$$

სადაც AVC — საშუალო ცვალებადი დანახარჯებია,

VC — მუდმივი დანახარჯებია,

Q — პროდუქციის რაოდენობაა.

გ) საშუალო მთლიანი ხარჯები (ინგლ. Average total costs — ATC) შემდეგი ფორმულით:

$$ATC = \frac{TC}{Q} = \frac{FC + VC}{Q} = AFC + AVC. \quad (11.5).$$

ამრიგად, საშუალო წარმოების დანახარჯები ხანმოკლე პერიოდში (ATC) შედგება საშუალო მუდმივი (AFC) და საშუალო ცვალებადი (AVC) დანახარჯების ელემენტებისაგან.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში წარმოების საუკეთესო მოცულობის, მისი ეფექტიანობის გაანგარიშება გულისხმობს ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების შედარებას. ლიტერატურაში განხილულია ასეთი შედარების ორი ხერხი (ნესი).

კერძოდ: პირველი ხერხი არის საბუღალტრო ანალიტიკური გაანგარიშება თითოეული ერთეული პროდუქციის წარმოებისათვის ზღვრული შემოსავალი (MR) და ზღვრული ხარჯები (MC) და შედარების საფუძველზე ასკვნიათ, რომ წარმოების ყველაზე ხელსაყრელი მოცულობაა, როცა ზღვრული შემოსავალი აჭარბებს ზღვრულ ხარჯებს. იმ შემთხვევაში, თუკი იზრდება წარმოება საქონლის ერთი ერთეულითაც და ადგილი აქვს ზღვრული შემოსავლის ნაკლებობას ზღვრულ ხარჯებთან მიმართებაში, მაშინ წარმოების გაზრდა აშკარად არახელსაყრელია და სანარმოო ამ სიდიდის ზევით არ უნდა გამოუშვას პროდუქცია.

მეორე ხერხი არის გრაფიკული. იგი განისაზღვრება ზღვრული შემოსავლებისა და ხარჯების შედარების საფუძველზე (ჩვენს მიერ განხილულია ნაშრომში. იხ. (3) „ფირმის ეკონომიკა და ბიზნესგეგმა“, თსუ, თბ., 1995 წ. გვ. 90-95). საზოგადოდ, გრაფიკის მონაცემის ანალიზით დგინდება, რომ ზღვრული დანახარჯების (MC) მრუდი ATC — მუდმივი დანახარჯებისა და AVC ცვლადი დანახარჯის მრუდებს გადაკვეთს მათი მინიმალური მნიშვნელობის წერტილებში. სხვანაირად, სანამ ზღვრული დანახარჯების სიდიდე ნაკლებია ზღვრული შემოსავლის სიდიდეზე, მანამ შეიძლება წარმოების მოცულობის ზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება ხელსაყრელი არ არის და იგი უნდა შევაჩეროთ.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დანახარჯების განხილვას აწარმოებენ სანარმოო ფუნქციონირებისას ხანგრძლივ პერიოდშიც. დასავლეთის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ფირმის გაფართოებამ, წარმოების მასშტაბის ზრდამ, „მასშტაბის დადებითი ეფექტის“ მოქმედებამ ხელი შეუწყო ფირმის მაღალეფექტურ საქმიანობასა და „სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებაში“. კერძოდ, მიიღწევა საერთო დანახარჯების ეკონომია. გამოყოფენ შემდეგ ფაქტორებს, რომელიც ამ ეკონომიას უზრუნველყოფენ, ესენია სანარმოო კაპიტალის ეფექტური გამოყენება, თანმდევი პროდუქციის წარმოებაში წარჩინების უტილიზაცია, მართვის და მუშების შრომის სპეციალიზაცია.

სანარმოო ფუნქციონირებისას ხანგრძლივ პერიოდში, ზოგჯერ ადგილი აქვს „მასშტაბის ზრდის უარყოფითი ეფექტის“ მოქმედებასაც, რაც იმას გულისხმობს, რომ ფირმის მასშტაბის გა-

ფართობებს დროთა განმავლობაში შეიძლება მოჰყვეს ერთეული პროდუქციის წარმოებაზე განეული დანახარჯების ზრდა. მაგალითად, გიგანტურმასშტაბური საწარმოების მართვის სიძნელებებთან დაკავშირებული მართვის იერარქიური აპარატის გაფართოების გამო დანახარჯების ზრდა და სხვა.

ამრიგად, ხანგრძლივ პერიოდში ცვლილებას განიცდის როგორც ცვლადი, ასევე მუდმივი დანახარჯებიც. გასათვალისწინებელია, რომ მასშტაბის დადებითი და უარყოფითი ეფექტების თანაფარდობა არცთუ იშვიათად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დარგის სტრუქტურის ცვლილებაზე.

პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირება, რომლის მიღწევა საწარმოს შეუძლია შიგა რეზერვების გამოვლენის, წარმოების ფაქტორების ოპტიმალური კომბინაციების საშუალებით, უზრუნველყოფს მოგების ზრდას, რამეთუ მენარმის შემოსავლების ფორმირებაში ფასების რეგულირება სრული კონკურენციის პირობებში არ არის დამოკიდებული მენარმის ნება-სურვილზე.

პროდუქციის თვითღირებულების შესწავლასთან დაკავშირებით ეკონომიკური სტატისტიკის წინაშე დგას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. საწარმოების (ფირმების), დარგების, ეკონომიკური სექტორების პროდუქციის თვითღირებულების ღონის ანალიზი, თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებზე კონტროლის დანერგვა.

2. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის შესწავლა.

3. პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი წარმოების ფაქტორებისა და სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯების ანალიზი.

4. პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზი.

### *§ 11.2. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის სტატისტიკური შესწავლა*

როგორც უკვე აღინიშნა, პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელთა როლი განსხვავებულია პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესში. ასევე, დანახარჯებს გააჩნიათ სხვადასხვა ეკონომიკური დანიშნულება. მართვის პროცესის სრულყოფისათვის, საწარმოში თვითღირებულებ

ბის შემცირების რეზერვების გამოვლენის, დაგეგმვის, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის სწორი წარმართვისათვის მიზანშეწონილია დანახარჯების კლასიფიკაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკა რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების აღრიცხვის ორ მეთოდს იყენებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის) მიხედვით, რომელიც 1999 წლიდან საქართველოში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის საფუძველს წარმოადგენს, უკავშირდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენის მეთოდებს და აღრიცხვაშიც შესაბამისი სახელწოდებით მოიხსენიება. კერძოდ:

ა) ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის (ელემენტების) მიხედვით;

ბ) ხარჯების აღრიცხვა მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

საწარმოში პროდუქციის თვითღირებულების დადგენა მმართველობითი აღრიცხვის უშუალო საგანია. ფინანსურ აღრიცხვაში ხარჯების აღრიცხვის პროცესი გარკვეულწილად დაკავშირებულია დანახარჯებისა და გასაღვლების აღრიცხვასთან. ეკონომიკურ ლიტერატურაში (5) განხილულია გასაღვებისა და დანახარჯების არსი. „დანახარჯები“ გამოიყენება აქტივების (მარაგები) გადამუშავების (კონვერსიის) პროცესთან დაკავშირებით თვითღირებულების განსაზღვრის მიზნით. მაგალითად, ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომელიც პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან უშუალოდაა დაკავშირებული. დანახარჯი, რომელიც პროდუქციის თვითღირებულებას აყალიბებს, ფინანსური თვალსაზრისით ხარჯად იქცევა პროდუქციის (მარაგის) გაყიდვისთანავე. შემოსავლებისადმი (რეალიზაციიდან ამონაგებისადმი) შესაპირისპირებელი გასაღვლები (ხარჯები) აღრიცხვის მიზნისათვის შემდეგნაირად არის დაჯგუფებული:

ა) რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება;

ბ) საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები;

გ) მინოდების ხარჯები.

ამრიგად, დანახარჯები, რომელიც არ არის ჩართული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში, კერ-

ძოდ, საერთო და ადმინისტრაციული და მინოდების ხარჯები მიმდინარე პერიოდის ხარჯად განიხილება.

ქვემოთ განვიხილავთ ხარჯების აღრიცხვის თითოეულ მეთოდს.

ა) დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის (ელემენტების) მიხედვით

პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ეკონომიკურად ერთტიპური ხარჯები ასახავენ პროდუქციის წარმოებაზე განეულ საერთო ფულად დანახარჯებს. ამასთანავე, ასეთი დაჯგუფება საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯები, დავახასიათოთ თვითღირებულების სტრუქტურა. ქვემოთ მოცემულია ერთგვაროვანი შინაარსის დანახარჯების ელემენტები:

\* მატერიალური დანახარჯები (ნედლეული და ძირითადი მასალები (ნარჩენების გარეშე) შექმნილი დამხმარე მასალები, შექმნილი სათბობი და ენერჯია);

\* პერსონალის შენახვის ხარჯები (დანახარჯები ხელფასზე, ანარიცხები სოციალური საჭიროებისათვის);

\* გრძელვადიანი აქტივების — მატერიალური (ძირითადი საშუალებების) და არამატერიალური აქტივების მოხმარებული ღირებულება. მაშასადამე, მათზე ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები;

\* სხვა მიმდინარე ხარჯები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული დანარჩენ ელემენტებში: იჯარის გადასახადი, რეკლამაზე განეული ხარჯები, დანახარჯები სესხის სარგებელზე, ანარიცხები არასაბიუჯეტო ფონდში და ა.შ.

წარმოების დანახარჯთა სტრუქტურის ამგვარი დაჯგუფება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ცოცხალი და განივთებული შრომის როლი პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. ასევე, იგი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს დარგის, სექტორის წმიდა პროდუქციის, დამატებითი ღირებულების სიდიდე. ეს მეთოდი გამოიყენება სამრეწველო ხასიათის მომსახურების განევის, გარეშე შეკვეთებზე ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით.

ბ) დანახარჯების დაჯგუფება ფუნქციური დანიშნულების (საკალკულაციო მუხლების) მიხედვით

დანახარჯების ფუნქციური დანიშნულების მეთოდის გამოყენების ერთტიპური ხარჯების დაჯგუფებას ახდენენ მათი წარმოშობის (ხარჯვის) ადგილისა და მიზნობრივი დანიშნულებიდან გა-

მომდინარე, რათა შესაძლებელი გახდეს პროდუქციის წარმოებაზე განეული ხარჯების კონტროლი მათი ფორმირების ადგილის მიხედვით და თითოეული სახის (სახეობის) ერთეული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება. ჩვენი ქვეყნის სტატისტიკის პრაქტიკაში ხარჯების ამგვარი დაჯგუფება იწოდება როგორც საკალკულაციო მუხლების მიხედვით დაჯგუფება.

ქვემოთ მოცემულია ტიპობრივი კალკულაციის მუხლები, რომელთა კლასიფიკაცია ხარჯის შემადგენლობის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი და კომპლექსური; თვითღირებულებაზე დანახარჯების მიკუთვნების მიხედვით — პირდაპირი და არაპირდაპირი; პროდუქციის მოცულობისაგან დამოკიდებულების მიხედვით — პროპორციული და არაპროპორციული. საკალკულაციო ერთეული (ობიექტი) შეიძლება იყოს ნაკეთობა, კომპლექტი, დეტალი, ენერჯია და ა.შ.

საკალკულაციო მუხლების ჩამონათვალი (სქემა 1):

1. ნედლეული და მასალები.
  2. დასაბრუნებელი ნარჩენები (აკლდება).
  3. შექმნილი ნახევარფაბრიკატები და მაკოპლექტებელი ნაკეთობანი.
  4. ტექნოლოგიური მიზნებისათვის მოხმარებული სათბობი და ენერჯია.
  5. საწარმოო მუშების ძირითადი და დამატებითი ხელფასი
  6. ანარიცხები სოციალური მიზნებისათვის
  7. წარმოების მომზადებისა და ათვისების ხარჯები
  8. ხარჯები მონეობილობის შენახვასა და ექსპლოატაციაზე
  9. საამქრო ხარჯები
- სულ 1+9 პუნქტების ჯამი უდრის პროდუქციის საამქრო ღირებულებას
10. საერთო-საწარმოო (საქარხნო) ხარჯები.
  11. დანაკარგები წარმოების წუნიდან.
  12. სხვა საწარმოო ხარჯები.

1-12 პუნქტების ჯამი უდრის პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას.

13. წარმოების გარეშე ხარჯები (კომერციული)

1-13 პუნქტების ჯამი უდრის პროდუქციის სრულ (კომერციულ) თვითღირებულებას.

სქემა 1. საკალკულაციო მუხლების სტრუქტურა

როგორც უკვე აღინიშნა, კალკულაციის მუხლების მიხედვით თვითღირებულების დაჯგუფების მიზანია დაადგინოს, სად იქნა განეული ხარჯები (ნარმოშობილი) მოცემული პროდუქციის წარმოებაზე. კომპლექსური ხარჯები „საერთო-სამეურნეო“ და „საერთო-საწარმოო“ წესით გამოშვებული პროდუქციის მთელ რაოდენობასთანაა დაკავშირებული, ამიტომ იგი ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებისას პირობით ნაწილდება: ერთ შემთხვევაში, საწარმოო მუშების ხელფასის პროპორციულად (მაგალითად, მრეწველობის შრომატევადი დარგების საწარმოებში), სხვა შემთხვევაში — ნარმოებაში მოხმარებული ნედლეულისა და მასალების ღირებულებათა შესაბამისად (მრეწველობის მასალატევადი დარგების საწარმოებში (6)).

სახალხო მეურნეობის სხვა სექტორში, მაგალითად სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში „საერთო-საწარმოო“ და „საერთო საამქრო“ ხარჯების ნაცვლად გამოყენებულია საკალკულაციო მუხლი „ზედნადები ხარჯები“, სადაც ნაგულისხმევია ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები, მშენებელთა მომსახურებასა და სამუშაოს ორგანიზაციაზე (დროებითი ნაგებობებისა და მოედნების აღმართვაზე) განეული ხარჯები. ზედნადები ხარჯების პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართვას აწარმოებენ ძირითადი პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად.

ამრიგად, დანახარჯების საკალკულაციო მუხლების მიხედვით თვითღირებულების სტრუქტურის სტატისტიკური შესწავლა აუცილებელია თვითღირებულების, გეგმის შესრულების ანალიზისათვის, პროდუქციის თვითღირებულებაზე საწარმოს საქმიანობაზე დამოკიდებული თუ დამოუკიდებელი ფაქტორების გავლენის განსაზღვრისა და თვითღირებულების შემცირებისათვის საჭირო რეზერვების გამოსავლენად.

### *§1.3. პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზი*

პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის შესწავლა სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. სტატისტიკის პრაქტიკაში თვითღირებულების დინამიკას ახასიათებენ ინდექსების მაჩვენებელთა საშუალებით. კერძოდ, სტატისტიკური მუშაობის პრაქტიკაში გამოიყენება ინდივიდუალური და საერთო (აგრეგატული) ინდექსები. ქვემოთ განვიხილავთ ინდექსების საშუალებით პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზს.

ა) ინდივიდუალური ინდექსით თვითღირებულების დინამიკის ანალიზის წარმოება

1. ინდივიდუალური ინდექსი ( $i_c$ ) გამოიყენება ერთი რომელიმე სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის დასახასიათებლად და გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$i_c = \frac{C_1}{C_0}, \quad (11.6)$$

სადაც  $i_c$  — პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების ინდივიდუალური ინდექსია,

$C_1$  — საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ერთეულის (ფაქტობრივი) თვითღირებულებაა,

$C_0$  — საბაზისო პერიოდში პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების მაჩვენებელია.

2. პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალების ინდექსი გამოიანგარიშება ფორმულით:

$$i_c = \frac{C_{\text{გგმ.}}}{C_0}, \quad (11.7)$$

სადაც  $C_{\text{გგმ.}}$  — პროდუქციის თვითღირებულების გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის დონეა,

$C_0$  — საბაზისო პერიოდის თვითღირებულების მაჩვენებელია.

3. პროდუქციის ერთეულის ფაქტობრივი თვითღირებულების ცვლილება გეგმური მაჩვენებლიდან გამოიანგარიშება ფორმულით:

$$i_c = \frac{C_1}{C_{\text{გგმ.}}}, \quad (11.8)$$

სადაც  $C_1$  — პროდუქციის თვითღირებულების ფაქტობრივი მაჩვენებელია,

$C_{\text{გგმ.}}$  — იგივეა, რაც ზემოთ აღინიშნა (იხ. ფორ. 11.7)



4. წარმოებული პროდუქციის მთელ რაოდენობაზე ( $q$ ) თვითღირებულების ცვლილებით მიღებული ეკონომიის (ზარალის) თანხა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$\mathfrak{Z} = (C_1 - C_0) \cdot q_1, \quad (11.9)$$

სადაც  $\mathfrak{Z}$  არის ეკონომია (ან გადახარჯვა) ფაქტობრივად გამოშვებული პროდუქციის ( $q_1$ ) პირობებში ( $C_1$  და  $C_0$  მნიშვნელობები ზემოთ არის მოცემული).

ბ) საერთო (აგრეგატული) ინდექსით თვითღირებულების დინამიკის ანალიზი.

საწარმოში გამოშვებული სხვადასხვაგვარი სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა შეისწავლება საერთო (აგრეგატული) ინდექსის საფუძველზე, რომელიც გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I_{C(\text{საერთო})} = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 C_0}, \quad (11.10)$$

სადაც  $\sum q_1 C_1$  — საანგარიშო პერიოდში გამოშვებულ პროდუქციაზე ფაქტობრივად განეულ დანახარჯთა ჯამს ასახავს ფულად გამოსახულებაში:

$\sum q_1 C_0$  — დანახარჯთა გაანგარიშებითი (პირობითი) ჯამია, რომელიც დაიხარჯებოდა მოცემულ საწარმოში საანგარიშგებო პერიოდში იმავე რაოდენობისა და შედგენილობის (ასორტიმენტის) პროდუქციის გამოშვებაზე საბაზისო პერიოდის თვითღირებულების ( $C_0$ ) დონის შენარჩუნების პირობებში.

აგრეგატული ინდექსის არსიდან (ფორმულა 11.10-ის) გამომდინარე სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის დაახასიათებს ეკონომიის (ან გადახარჯვის) აბსოლუტურ სიდიდეს, რომელიც მოცემულ საწარმოში საანგარიშო წელს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების (ან გადიდების) შედეგად იყო მიღებული.

$$\mathfrak{Z} = \sum q_1 C_1 - \sum q_1 C_0. \quad (11.11)$$

სტატისტიკის პრაქტიკაში ინდექსის აგრეგატული ფორმის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ცნობილია გამოშვე-

ბული პროდუქციის მოცულობა და მისი ერთეულის საანგარიშო და საბაზისო პერიოდის თვითღირებულება. თუ ასეთი მაჩვენებლების გამოყენება არ არის შესაძლებელი, მაშინ აუცილებელი ხდება თვითღირებულების აგრეგატული ინდექსის (ფორ. 11.10-ის) გარდაქმნა მის ეკვივალენტურ საშუალო ინდექსად. კერძოდ:

ა) თუ შევიტანთ თვითღირებულების აგრეგატული ინდექსის ფორმულაში  $C_1$ -ის მნიშვნელობას, ინდივიდუალური ინდექსის

ფორმულიდან (იხ. ფორმ. 11.6)  $i_c = \frac{C_1}{C_0}$ , საიდანაც  $C_1 = iC_0$  ან

$C_0 = \frac{1}{i} C_1$ , მაშინ მივიღებთ შენონილ საშუალო არითმეტიკული

ინდექსის ფორმულას:

$$I = \frac{\sum q_1 i C_0}{\sum q_1 C_0}. \quad (11.12)$$

ბ) თუ აგრეგატული ინდექსის ფორმულაში შევიტანთ  $C_0$ -ის მნიშვნელობას, მაშინ მივიღებთ შენონილ საშუალო ჰარმონიული ინდექსის ფორმულას:

$$I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 \frac{1}{i} C_1}. \quad (11.13)$$

სტატისტიკის პრაქტიკაში ცნობილია, რომ პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზისას აგრეგატული ინდექსების გამოყენება მიზანშეწონილია, თუ გამოშვებული პროდუქცია შესაძარია.

შესადარ პროდუქციად იწოდება საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც წინა (საბაზისო) პერიოდში სერიულად ინარმოებოდა. მრეწველობაში შესადარ პროდუქციად ითვლება ის ნაკეთობაც, რომლის წარმოებისას ერთი სახის ნედლეული მეორე სახის ნედლეულით შეიცვალა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია პროდუქციის ხარისხის დაქვეითება ან რომელიმე ნაკეთობის ტექნოლოგიის მნიშვნელოვნად შეცვლა, მაგრამ ხარისხის მაჩვენებლების გაუარესებას ადგილი არ ჰქო-

ნია. შესადარ პროდუქციად არ ჩაითვლება ნაკეთობა, რომელიც წინა წელს ექსპერიმენტის სახით ინარმოებოდა.

შესადარი პროდუქციის წილი მრეწველობის სხვადასხვა დარგში წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. მაგალითად, მომპოვებელი მრეწველობის დარგებში (ქვანახშირის, ნავთობის, სამთამადნო) და დამამუშავებელი მრეწველობის ზოგიერთ დარგში (კვების, ხე-ტყის) შესადარი პროდუქციის წილი გამოშვებული პროდუქციის მთელ მოცულობაში 80-100%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვენებელი, მაგალითად, მანქანათმშენებლობაში, სადაც ნაკეთობა ყოველწლიურად განახლებას განიცდის, შესადარი პროდუქციის წილი, ბუნებრივია, შედარებით ნაკლებია და იგი საშუალოდ 50-60%-მდე მერყეობს (6, გვ. 355-56).

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილია შესადარი პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის გაანგარიშების ორი მეთოდი: საფაბრიკო-საქარხნო (სანარმოო) და დარგობრივი.

ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკული ასპექტი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ პირობით მაგალითზე (იხ. ცხ. 11.1).

1. სანარმოო (საქარხნო) მეთოდის გამოყენებით პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკური შეფასება შემდეგი მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 11.1

ფირმის (გაერთიანების) ქარხნები	პროდუქციის დასახელება	სანარმოო პერიოდი		საბაზისო პერიოდი	
		ერთ.თვითღირ-ბა ლარ. (C <sub>1</sub> )	გამომუშაებულია ცა-ლობით (q <sub>1</sub> )	ერთ.თვითღირ-ბა ლარ. (C <sub>0</sub> )	გამომუშაებულია ცა-ლობით (q <sub>0</sub> )
N1	A	4,5	30000	5,0	20000
	B	1,8	80000	2,0	50000
N2	A	3,8	70000	4,0	30000
	B	1,4	120000	1,5	50000

პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა გამოიანგარიშება აგრეგატული ინდექსის საფუძველზე (იხ. ფორ. 11.10)

$$I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 C_0} = \frac{30000 \times 4,5 + 80000 \times 1,8 + 70000 \times 3,8 + 120000 \times 1,5}{30000 \times 5,0 + 80000 \times 2,0 + 70000 \times 4,0 + 120000 \times 1,5} = \frac{713000}{770000} = 0,926, \text{ ანუ } (0,926 \times 100) 92,6\%.$$

მაშასადამე, პროდუქციის თვითღირებულება ფირმის (გაერთიანების) მიხედვით საშუალოდ 7,4% (100-92,6)-ით შემცირდა. შესაბამისად, მიღებულმა ეფექტმა (ეკონომიამ) შეადგინა:

$$\Theta = \sum q_1 C_1 - \sum q_1 C_0 = 713000 - 770000 = -57000 \text{ ლარი.}$$

საქარხნო მეთოდით გაანგარიშებულ ინდექსში (ანუ ფიქსირებული შედგენილობის ინდექსში) აისახება მხოლოდ თვითღირებულების დინამიკაზე მოქმედი შიგასაწარმოო ფაქტორების (შრომის, მატერიალური რესურსების გამოყენება და სხვა) გავლენა.

2. დარგობრივი მეთოდით თვითღირებულების დინამიკის სტატისტიკური შეფასება. ზემოთ მოყვანილი N11.1. ცხრილის საფუველზე, უპირველეს ყოვლისა, პროდუქციის ერთეულის საშუალო თვითღირებულება საბაზისო პერიოდში ( $\bar{C}_0$ ) განისაზღვრება. შენონილი საშუალო არითმეტიკულს ფორმულის გამოყენებით:

$$\bar{C}_0 = \frac{\sum q_0 C_0}{\sum q_0},$$

„A“ — პროდუქციის (საშუალო დარგობრივი შენონილი) თვითღირებულება შეადგენს:

$$\bar{C}_0 = \frac{20000 \times 5,0 + 30000 \times 4,0}{20000 + 30000} = \frac{22000}{50000} = 4,4 \text{ ლარს,}$$

„B“ — პროდუქციის შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენს:

$$\bar{C}_0 = \frac{50000 \times 2,0 + 50000 \times 1,5}{50000 + 50000} = \frac{175000}{100000} = 1,75 \text{ ლარს}$$

ხოლო ფირმის (გაერთიანების) მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების დინამიკას განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_c = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 \bar{C}_0} = \frac{30000 \times 4,5 + 80000 \times 1,8 + 70000 \times 3,8 + 120000 \times 1,4}{30000 \times 4,4 + 80000 \times 1,7 + 70000 \times 4,4 + 120000 \times 7,5} = \frac{713000}{790000} = 0,902. \text{ ანუ } (0,902 \times 100) 90,2\%$$

მაშასადამე, ფირმის (გაერთიანების) მიხედვით პროდუქციის თვითღირებულება (A და B) შემცირდა 9,8%-ით (100-90,2) და მიღწეულია 77000 (713000-790000) ლარის ეკონომია.

მრენველობის დარგების ან სანარმოთა ჯგუფების მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების დასახასიათებლად გამოიყენება ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი (მას სახალხომეურნეობრივი მეთოდით გამოანგარიშებულ ინდექსს უწოდებენ).

$$I_c = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1} : \frac{\sum q_0 C_0}{\sum q_0} = \bar{C}_1 : \bar{C}_0, \quad (11.14)$$

სადაც  $\bar{C}_1$  — ფაქტობრივი საშუალო შენონილი თვითღირებულებაა,

$\bar{C}_0$  — საბაზისო საშუალო შენონილი თვითღირებულება.

სანარმოთა ჯგუფის მიხედვით, რომლებიც ერთსა და იმავე სახის პროდუქციას ანარმოებენ, თვითღირებულების საშუალო დონის ცვლილება დამოკიდებულია არა მარტო თითოეულ სანარმოში თვითღირებულების შემცირების მიღწეულ დონეზე, არამედ საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში ცალკეულ სანარმოთა ხვედრითი წილების (სტრუქტურული ცვლილებები) ცვლილებაზე.

თვითღირებულების დინამიკის გაანგარიშებას ანარმოებენ ასევე ხვედრითი წილების ( $d_i$ ) საფუძველზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_c = \frac{\sum C_1 d_1}{\sum C_0 d_0}, \quad (11.15)$$

სადაც  $\sum C_1 d_1$  — საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების საერთო მაჩვენებელში თითოეული ქარხნის წილია,

$\sum C_0 d_0$  — საბაზისო პერიოდის შესაბამისი მაჩვენებელია.

სტრუქტურული ძვრების ინდექსი აიგება პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებაზე სტრუქტურული ფაქტორების ზომის

გასაანგარიშებლად, კერძოდ:  $I_{\text{სტრ}} = \frac{\sum q_1 C_0}{\sum q_1} : \frac{\sum q_0 C_0}{\sum q_0} \quad (11.16)$

თუ გამოვიყენებთ თვითღირებულების ფიქსირებულ, ცვალებად და სტრუქტურულ ინდექსებს შორის არსებულ კანონზომიერებებს, მაშინ სტრუქტურული ინდექსის ( $I_{სტრ.}$ ) გაანგარიშებას შემდეგნაირად აწარმოებენ:

$$I_{სტრ.} = I_{ცვლ.} : I_{მულ.} \quad (11.17)$$

ზემოთ მოყვანილი მონაცემებისა (იხ. ცხ. 11-ის მაჩვენებლები) და N11.16 ფორმულის საფუძველზე მოვახდინოთ შესაბამისი ინდექსის გამოთვლა, კერძოდ:

$$\begin{aligned} I_{სტრ.} &= \frac{\sum q_1 C_0}{\sum q_0} : \frac{\sum q_0 C_0}{\sum q_0} = \\ &= \frac{30000 \times 5,0 + 80000 \times 2,0 + 70000 \times 4,0 + 120000 \times 1,5}{30000 + 80000 + 70000 + 120000} = \\ &= \frac{20000 \times 5,0 + 50000 \times 2,0 + 30000 \times 4,0 + 50000 \times 1,5}{20000 + 50000 + 30000 + 50000} = \\ &= \frac{770000}{300000} : \frac{395000}{150000} = 2,566 : 2,633 = 0,971, \text{ ანუ } 97,1\%. \end{aligned}$$

ამრიგად, სტრუქტურული ძვრების ინდექსი უჩვენებს, რომ წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში საბაზისო პერიოდთან შედარებით საანგარიშგებო პერიოდში ორივე ქარხნის მიხედვით თვითღირებულების საშუალოდ -2,9%-ით შემცირებაზე დადებითად იმოქმედეს პროდუქციის წარმოებაში არსებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა.

როცა ცნობილია ფიქსირებული შედგენილობის ინდექსი, რომელიც 92,6%-ს შეადგენს (იხ. ცხ. 11.1) და სტრუქტურული ძვრების ინდექსი, რომელიც 97,1%-ს შეადგენს, ადვილად განვსაზღვრავთ ცვალებადი შედგენილობის ინდექსს. იგი გაიანგარიშება, როგორც თვითღირებულების ფიქსირებული (მუდმივი) შედგენილობისა და სტრუქტურული ძვრების ინდექსთა ნამრავლი (იხ. ფორ. 11.17), ანუ  $0,926 \times 0,971 = 0,900$ .

## დანახარჯები ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ინდექსი განიხილება მხოლოდ შესადარი პროდუქციის მიმართ. შესაბამისად, ეს ინდექსი ვერ ასახავს სასაქონლო პროდუქციის მთელ რაოდენობას. აქედან გამომდინარე, სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიანგარიშება — სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯების მაჩვენებელი, რომელიც თეთრებში გამოისახება და გვიჩვენებს, თუ რამდენი თეთრი უჯდება მოცემულ სანარმოს (ფორმას) ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციის წარმოება.

დანახარჯები ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე გაიანგარიშება მთლიანი სასაქონლო პროდუქციის შესადარი და არა-შესადარი სრული თვითღირებულების გაყოფით იმავე მოცულობის პროდუქციის ღირებულებაზე სანარმოს გასაყიდი (საბითუმო) ფასებით დამატებული ღირებულების გადასახადისა (დღგ) და აქციზური გადასახადების გარეშე.

სტატისტიკის პრაქტიკაში მიღებულია ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების ინდექსის განსაზღვრა:

ა) სასაქონლო პროდუქციის გეგმური მოცულობის, გეგმური დანახარჯებისა და გეგმური ფასების პირობებში, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$I_{\text{გგმ.}} = \frac{\sum q_{\text{გგმ.}} \cdot C_{\text{გგმ.}}}{\sum q_{\text{გგმ.}} \cdot P_{\text{გგმ.}}}, \quad (11.18)$$

სადაც  $P_{\text{გგმ.}}$  — გეგმური ფასების მაჩვენებელია (დანარჩენი მაჩვენებლების სიმბოლოები ზემოთ არის განმარტებული);

ბ) სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივი მოცულობის, ფაქტობრივი დანახარჯებისა და ფაქტობრივად მოქმედი (საბაზრო) ფასების პირობებში, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$I_{\text{ფაქტ.}} = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_1}, \quad (11.19)$$

სადაც  $P_1$  — ფაქტობრივად მოქმედი (მიმდინარე) ფასების მაჩვენებელია.

ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების დინამიკის დასადგენად საჭიროა ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივად განეული დანახარჯები გავყოთ გეგმური

დანახარჯების თანხაზე, მაგრამ ასეთი გაანგარიშება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არაა გათვალისწინებული ასორტიმენტისა და მასალებზე, სათბობზე და ა.შ. მოქმედი ფასებისა და ტარიფების განსხვავებათა გავლენა. ამიტომ დანახარჯების დინამიკის შესწავლისას ზემოთ განხილული (11.18; 11.19) გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების გარდა განსაზღვრავენ შემდეგ მაჩვენებლებს:

გ) სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივ მოცულობაზე და ასორტიმენტზე კორექტირებული დანახარჯების გეგმურ მაჩვენებელს, ე.ი.

$$I = \frac{\sum q_1 C_{\text{გეგმ.}}}{\sum q_1 P_{\text{გეგმ.}}} \quad (11.20)$$

დ) ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივ დანახარჯებს გეგმაში გათვალისწინებული გასაყიდი (საბითუმო) ფასით:

$$I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_{\text{გეგმ.}}} \quad (11.21)$$

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ მატერიალური დანახარჯების (მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, ელექტროენერგია, სათბობი და ა.შ.) ფასები და ტარიფები, გადაზიდვის ხარჯები განსხვავდება ბიზნეს გეგმაში გათვალისწინებული შესაბამისი მაჩვენებლებისაგან, მაშინ პროდუქციის ფაქტობრივ დანახარჯებში (იხ. ფორ. 11.21) ინდექსის მრიცხველში შეიტანება შესაბამისი კორექტივი  $\pm K$ , ე.ი. გაიაფებით მიღებული თანხა თვითღირებულებას მიემატება, ხოლო გაძვირებით წარმოქმნილი თანხა — თვითღირებულებას გამოაკლდება. ამრიგად, ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივი დანახარჯები გეგმაში გათვალისწინებული ფასებით განისაზღვრება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 C_1 \pm K}{\sum q_1 P_{\text{გეგმ.}}} \quad (11.22)$$

ამრიგად, ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების დინამიკის (გეგმის შესრულების) დასადგენად აუცილებელია ბიზნეს გეგმაში გათვალისწინებულ სარეალიზაციო (საბი-



თუმცა ფასებით გაანგარიშებული ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივი დანახარჯები შეეუდაროთ ფაქტობრივ მოცულობასა და ასორტიმენტზე კორექტირებულ ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე გეგმური დანახარჯების მაჩვენებელს

$$\left( \text{ე.ი. } I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_{\text{გეგ.}}} \right), \text{ ანუ მივიღებთ შემდეგ ფორმულას:}$$

$$I_{\text{გეგმის შესრ.}} = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_{\text{გეგ.}}} : \frac{\sum q_1 C_{\text{გეგ.}}}{\sum q_1 P_{\text{გეგ.}}} = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 C_{\text{გეგ.}}} \quad (11.23)$$

*ინდექსების გაანგარიშების ნესი განვიხილოთ პირობით მაგალითზე*

დავუშვათ, ერთ-ერთი სანარმოს მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 11.2).

*ცხრილი 11.2*

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები

სასაქონლო პროდუქციის წარმოება ბიზნეს გეგმით (ათას ლარებში)		სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივი გამოშვება (ათას ლარებში)			
გეგმური თვითღირებულებით	სანარმოს გეგმური სარეალაციო (საბითუმო) ფასებით	სანარმოს გეგმური სარეალაციო ფასებით	სანარმოს მოქმედი მიმდინარე სარეალაციო (საბითუმო) ფასებით	გეგმური თვითღირებულება	ფაქტობრივი თვითღირებულებით
$\sum q_{\text{გეგ.}} C_{\text{გეგ.}}$	$\sum q_{\text{გეგ.}} P_{\text{გეგ.}}$	$\sum q_1 P_{\text{გეგ.}}$	$\sum q_1 P_1$	$\sum q_1 C_{\text{გეგ.}}$	$\sum q_1 C_1$
6500	6900	7174	7210	6700	6720

ამ მონაცემების საფუძველზე გამოვიანგაროთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების მაჩვენებელი

1.1. ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული დანახარჯების დონე ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შემდეგი ფორმულის (11.18) საფუძველზე:

$$I = \frac{\sum q_{\text{კვ.}} \cdot C_{\text{კვ.}}}{\sum q_{\text{კვ.}} \cdot P_{\text{კვ.}}} = \frac{6500}{6900} = 0,942 \text{ ლარი, ანუ } 94,2 \text{ თეთრი}$$

1.2. ფაქტობრივი დანახარჯების დონე ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შემდეგი ფორმულის (11.19) საფუძველზე:

$$I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_1} = \frac{6720}{7210} = 0,932 \text{ ლარი, ანუ } 93,2 \text{ თეთრი}$$

1.3. თვითღირებულების (დანახარჯების) გეგმის შესრულების მაჩვენებლის გაანგარიშება ფაქტობრივი დანახარჯების დონის შესაბამის გეგმურ მაჩვენებელთან შეფარდებით:

$$I = \frac{0,989}{0,942} = 0,989 \text{ ლარი, ანუ } 98,9\%$$

მაშასადამე, ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები შემცირდა 1,1%-ით (0,932:0,942X100), ანუ 1,0 (93,2-94,2) თეთრით, ე.ი. გამოშვებული პროდუქციის ყოველ ლარზე მიღებულია ზეგეგმითი მოგება 1,0 თეთრის ოდენობით, ხოლო პროდუქციის მთელ მოცულობაში (7210X1,0=72,1 ათასი ლარი).

2. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენის მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის (11.23) საფუძველზე:

$$I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_{\text{კვ.}}} : \frac{\sum q_1 C_{\text{კვ.}}}{\sum q_1 P_{\text{კვ.}}} = \frac{6720}{7140} : \frac{6700}{7140} = 0,941 : 0,938 = 1,003, \text{ ანუ } 100,3\%$$

ე.ი. თვითღირებულებათა ცვლილების შედეგად ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივი დანახარჯები — 0,3%-ით, ანუ აბსოლუტურ გამოსახულებაში — 0,3 თეთრით (94,1-93,8) გაიზარდა.

3. სასაქონლო პროდუქციის ერთი ლარის დანახარჯებზე პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილების გავლენის მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის (რომელიც მიიღება ფორმულების 11.20 და 11.18 თანაფარდობით) საფუძველზე:

$$I = \frac{\sum q_1 C_{\text{კვ.}}}{\sum q_1 P_{\text{კვ.}}} : \frac{\sum q_{\text{კვ.}} C_{\text{კვ.}}}{\sum q_{\text{კვ.}} P_{\text{კვ.}}} = \frac{6700}{7140} : \frac{6500}{6900} = 0,938 : 0,942 = 0,996 \text{ ლარი, ანუ } 99,6 \text{ თეთრი.}$$

ამრიგად, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილების შედეგად ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები — 0,4%-ით, ანუ აბსოლუტურ გამოსახულებაში — 0,4 თეთრით (93,8-94,2) შემცირდა.

4. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციის დანახარჯებზე სარეალიზაციო ფასების ცვლილების გავლენის მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის (რომელიც მიიღება ფორმულების: 11.20 და 11.19 თანაფარდობით) საფუძველზე:

$$I = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_1} : \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_1 P_{\text{შპა}}} = \frac{6720}{7210} : \frac{6720}{7140} = 0,932 : 0,941 = 0,991 \text{ ლარი, ანუ } 99,1$$

ე.ი. პროდუქციის სარეალიზაციო ფასების ცვლილების გამო სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯები 0,9%-ით, ანუ აბსოლუტურ გამოსახულებაში 0,9 თეთრით (93,2-94,1) შემცირდა.

ზემოთ წარმოებული (2, 3 და 4) გაანგარიშების შედეგად მიღებული სამივე ინდექსის ნამრავლი, როგორც წესი, გამოხატავს ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების გეგმის შესრულების (დინამიკის) ინდექსს:

$$1,003 \times 0,996 \times 0,991 = 0,990 \text{ ანუ } 99,0\%$$

ან იგივე მაჩვენებელი აბსოლუტურ გამოსახულებაში შეადგენს

$$0,3 + (-0,4) + (-0,9) = 1,0 \text{ თეთრს.}$$

ე.ი. სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯები შემცირდა 1 თეთრით, რომელიც შესაბამისობაშია ზემოთ წარმოებულ გაანგარიშებასთან, კერძოდ ფაქტობრივი დანახარჯების დონე ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შეადგენს (იხ. განკ. 1.1 და 1.2) 93,2 თეთრს, ხოლო ბიზნეს გეგმით დანახარჯების დონე შეადგენს 94,2 თეთრს, ანუ 1,0 თეთრით (93,2-94,2) შემცირდა.

ამრიგად, თვითღირებულების ინდექსებით შეისწავლება ერთი სახის (ინდივიდუალური) ანდა სხვადასხვა პროდუქციის (განზოგადებული) წარმოებაზე შრომითი და მატერიალური დანახარჯების ცვლილება. როდესაც საჭიროა პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების თითოეული მუხლის (ფუნქციებიდან გამომდინარე), დინამიკის დადგენა, მაშინ სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიყენება თვითღირებულების ე.წ. კერძო ინდექსი: ნედლეულისა

და მასალების, სათბობის, ხელფასის, კომპლექსური ხარჯების ინდექსები და სხვა.

ქვემოთ დახასიათებულია ზოგიერთი კერძო ინდექსის არსი.

1. მატერიალური ხარჯების ნორმების ინდექსი, რომელიც ახასიათებს მასალების ხვედრითი ხარჯის ცვლილების გამო საანგარიშო პერიოდში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ცვლილებას.

$$I = \frac{\sum q_1 m_1 p_0}{\sum q_1 m_0 p_0} \quad (11.24)$$

სადაც,  $q_1$  — საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაა,  $m_1$  და  $m_0$  — საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე მოხმარებული ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია;  $p_0$  — წარმოებაში მოხმარებული ნედლეულის და მასალების ერთეულის ფასი საბაზისო პერიოდში.

ინდექსის (11.24-ის) მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა დაახასიათებს მასალების ხვედრითი ხარჯის შემცირების (ან გადიდების) შედეგად მიღებული ეკონომიის (გადახარჯვის) აბსოლუტურ სიდიდეს ღირებულებით გამოსახულებაში.

2. ფასების ინდექსი, რომელიც ახასიათებს საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალურ, დანახარჯების ცვლილებას მათი ფასების ცვლილების გამო იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 m_1 p_1}{\sum q_1 m_1 p_0} \quad (11.25)$$

სადაც,  $p_1$  — მიმდინარე (საანგარიშო) პერიოდში მოხმარებული მასალების (ნედლეულის) ერთეულის ფასია.

სხვაობა ინდექსის (11.25-ის) მრიცხველსა და მნიშვნელს შორის ახასიათებს თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ეკონომიას (გადახარჯვას) ფასების ცვლილების ხარჯზე.

3. შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასზე) განეული დანახარჯების ინდექსი, რომელიც ახასიათებს პროდუქციის თვითღირებულების დინამიკაზე შრომის ანაზღაურებაზე განეული დანახარჯების

ჯების გავლენას. ხელფასზე დანახარჯები პირდაპირ-პროპორციულია მუშა-პერსონალის ხელფასისა და უკუ პროპორციულია მათი შრომის ნაყოფიერებისა. ხელფასის დანახარჯების ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_{\text{ხელფ. დანახ.}} = \frac{I_{\text{ხელფასის}}}{I_{\text{შრომის ნაყოფიერების}}}, \quad (11.26)$$

სადაც  $I_{\text{ხელფასის}}$  ინდექსია, რომელიც მიიღება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში სანარმოს მუშების ხელფასის დანახარჯების შეფარდებით

$I_{\text{შრომის ნაყოფიერების}}$  ინდექსია, რომელიც მიიღება გასულ და საანგარიშო პერიოდში სანარმოს მუშების სამუშაო დროის დანახარჯების მაჩვენებელთა შეფარდებით.

პირობით მაგალითზე განვიხილოთ შრომის ანაზღაურების გავლენა პროდუქციის თვითღირებულების დინამიკაზე.

თუ დავუშვებთ, რომ სანარმოს მუშების (ძირითადი და დამატებითი) ხელფასის დანახარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში გასულ პერიოდში შეადგენდა 40 ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში — 36 ლარს, ხოლო მათ მიერ განეული დროის დანახარჯები შესაბამისად: 110 და 100 კაცსაათს, მაშინ პროდუქციის ერთეულზე ხელფასის დანახარჯების ინდექსი გაიანგარიშება შემდეგნაირად (11.26 ფორმულის საფუძველზე):

1. ხელფასის ინდექსი —  $I = 36:40 = 0,90$ , ანუ 90%
2. შრომის ნაყოფიერების ინდექსი —  $I = 110:100 = 1,10$ , ანუ 110%
3. ხელფასის დანახარჯების ინდექსი —  $I = 0,90:1,10 = 0,818$ , ანუ 81,8%.

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდის (შრომატევადობის შემცირების) შედეგად პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაში ხელფასის დანახარჯების წილი შემცირდა 18,2%-ით (81,8-100).

ამრიგად, პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ინდივიდუალური და აგრეგატული ინდექსების მეშვეობით ინარმოება, შესაძლებლობას გვაძლევს სანარმოს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის გამოვავლინოთ სანარმოში არსებული ფარული რეზერ-

ვები, შევიმუშაოთ და გავატაროთ პრაქტიკაში თვითღირებულების შემცირების, რესურსების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმო, რომელიც სრული დამოუკიდებლობის პრინციპით ეწევა მენარმეობით საქმიანობას, იღვნის მოგების მაქსიმიზაციისათვის და, რადგანაც მენარმის მოგება წარმოადგენს შემოსავალსა და დანახარჯებს შორის სხვაობას, ამდენად მოგების სიდიდის გაზრდის უპირველეს შესაძლებლობას იძლევა დანახარჯების შემცირება. კონკურენციის პირობებში შემოსავლების (საქონელზე ფასების სიდიდით განისაზღვრება) ფორმირება სრულიად არ არის დამოკიდებული მენარმის ნება-სურვილზე, ხოლო დანახარჯების (თვითღირებულების) მინიმუმამდე შემცირების მიღწევა საწარმოს ძალუძს წარმოების ფაქტორების (მიწა, კაპიტალი, შრომა, მენარმეობითი უნარი) ოპტიმალური კომბინაციის საფუძველზე, მათი რაციონალური ხარჯვით და მართვის სისტემის სრულყოფით.

ამრიგად, პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკური შესწავლა უზრუნველყოფს: საწარმოების, დარგების, ქვეყნის ეკონომიკური სექტორების პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურული ანალიზის წარმოებას; თვითღირებულების დონის დინამიკის ანალიზს; თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლასა და თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენას; ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების ანალიზს და თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებზე კონტროლის დანერგვას.

### *საკონტროლო კითხვები*

1. განმარტეთ თვითღირებულების კატეგორია და დაახასიათეთ მისი როლი საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ფორმირებაში.

2. დაახასიათეთ წარმოების რესურსებისა (ფაქტორებისა) და მენარმის მიერ განეული ხარჯების დამოკიდებულება გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებასთან.

3. რა არის საერთო (მთლიანი) დანახარჯები (TC)?

4. გადმოეცით კლებადი უკუგების, ანუ მზარდ დანახარჯთა კანონის არსი.

5. განსაზღვრეთ, ზღვრული დანახარჯები უდრის ზღვრულ შემოსავლებს, ტოლობის არსი.

6. რა არის ზღვრული დანახარჯები (MC)?

7. დაახასიათეთ საშუალო მთლიანი ხარჯები (ATC) და მოიყვანეთ მისი შემადგენელი ელემენტების „საშუალო მუდმივი (AFC)“ და „ცვალებადი (AVC)“ ხარჯების განსაზღვრის ფორმულები.

8. დაახასიათეთ ზღვრული შემოსავლისა (MR) და ზღვრული ხარჯების (MC) შედარების წესები (ხერხები) და განმარტეთ ნარმოების საუკეთესო მოცულობის პირობა.

9. რას ნიშნავს ნარმოების „მასშტაბის ზრდის უარყოფითი ეფექტი“?

10. დაახასიათეთ ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის (ელემენტების) მიხედვით.

11. დაახასიათეთ ხარჯების აღრიცხვა მათი ფუნქციური დანიშნულების (საკალკულაციო მუხლების) მიხედვით.

12. დაახასიათეთ სტატისტიკურ პრაქტიკაში გამოყენებული ინდივიდუალური ინდექსები და მათი გამოყენება ერთი სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის დასახასიათებლად.

13. როგორ განსაზღვრავენ საწარმოში გამოშვებული სხვადასხვა სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკას?

14. მოიყვანეთ აგრეგატული ინდექსის გამოყენებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირების (გადიდების) შედეგის განსაზღვრის წესი.

15. მოიყვანეთ აგრეგატული ინდექსის გარდაქმნის მაგალითები და მათი გამოყენების მიზანშეწონილობის პირობები (შესაღარი პროდუქციის არსი).

16. საწარმოო (საქარხნო) მეთოდის გამოყენებით (პირობით მაგალითზე) გაიანგარიშეთ თვითღირებულების დინამიკა.

17. რას გულისხმობს თვითღირებულების დინამიკის სტატისტიკური შეფასება დარგობრივი მეთოდით?

18. განმარტეთ ცვალებადი შედგენილობის ინდექსი და უჩვენეთ მისი გაანგარიშება საშუალო შეწონილი მაჩვენებლების გამოყენებით.

19. განსაზღვრეთ პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის შესწავლაში სტრუქტურული ძვრების გავლენა (ინდექსი).

20. მოიყვანეთ ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების დინამიკის შეფასების არსი.

21. დაახასიათეთ თვითღირებულების დინამიკის შეფასების კერძო ინდექსები (მასალების, ხელფასისა და სხვა).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კ.ლურნკაია, ეკონომიკური თეორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., სტუ, 2001.
2. თ.გოლეთიანი, თ. შენგელია. სანარმოს ეკონომიკა, თბ., „მერანი-3“, 1999.
3. ზ.ლიპარტია, ფირმის ეკონომიკა და ბიზნეს-გეგმა (რუს. ენაზე), თბ. სახ. უნივ. თბ., 1995.
4. ბ.გაბიძაშვილი, სტატისტიკა, თსუ, თბ., 1999 წ.
5. რ.ძაძამია, ფინანსური აღრიცხვა (ბასს-ის მიხედვით) თბ., 2000.
6. ვ.ომიძე, მრეწველობის სტატისტიკა, თსუ, თბ., 1993.
7. გ.ცაავა. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი, თსუ სოხუმის ფილიალი, თბ., 1999.
8. პაპავა გ.ვ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა ორ ტომად, თბ., 1998.



## თემა 12. ფინანსების სტატისტიკა

### § 12.1. საწარმოთა (ორგანიზაციების) ფინანსების სტატისტიკის საგანი და ამოცანები

საწარმოთა ფინანსები ისეთ ფულად ურთიერთობას ახასიათებს, რომლებიც წარმოიშობა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და აისახება საწარმოს ფუნქციონირების პირობებში, მათი ფულადი ფონდების შექმნის, ფინანსური სახსრების განაწილების, გადანაწილების, დაგროვებისა და სახსრების ეფექტური გამოყენების პროცესში.

ფინანსები (ფრანგ. finance) ნიშნავს ფულად სახსრებს. იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფულადი რესურსების გამოყენებით კმაყოფილდება ესა თუ ის მოთხოვნა, განასხვავებენ საერთო სახელმწიფო ფინანსებს, დარგობრივ ფინანსებს, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციების ფინანსებს.

საწარმოების საფინანსო დაგეგმვის ობიექტია ფულადი სახსრების ფონდები, რომლებიც წარმოადგენენ ფულად გამოსახულებაში საწარმოო პროცესში შექმნილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს და რომლებიც აუცილებელია გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნისა (შრომის ანაზღაურების, ნედლეულის შექმნა და ა.შ.) და საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებში შენატანების, ასევე სხვა საზოგადოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. საწარმოს საფინანსო პროგრამაში წარმოდგენილია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, წმინდა შემოსავლის სიდიდე, ბიუჯეტში გადასახადები და ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერტების სიდიდე (თუ ასეთი არის გათვალისწინებული), სხვადასხვა შიგა და გარედან მისაღები სახსრების წყაროები, რომლებიც აისახება შემოსავალ-გასავლის ბალანსის შესაბამის მუხლებში.

საწარმოთა ფინანსების სტატისტიკის შესწავლის საგანს შეადგენს მათი საფინანსო-ფულადი ურთიერთობების რაოდენობრივი დახასიათება იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც განპირობებულია ფულადი რესურსების ფორმირებით, განაწილებითა და გამოყენებით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს საწარმოთა ფინანსების სტატისტიკის წინაშე დასმული შემდეგი ძირითადი ამოცანების განხორციელება.

1. ეკონომიკურ სუბიექტში საფინანსო-ფულად ურთიერთობათა მდგომარეობისა და განვითარების შესწავლა.

2. ფინანსური რესურსების სტრუქტურული ანალიზი.

3. ფულადი სახსრების მოძრაობისა და გამოყენების შეფასება.

4. მოგების დინამიკისა და რენტაბელობის დონის ანალიზი.

5. სამეურნეო სუბიექტების მიერ საფინანსო-საკრედიტო ვალდებულებათა შესრულების შეფასება.

6. სანარმოს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება.

ზემოთ მოცემული ამოცანების გადაწყვეტაში გამოიყენება ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელშიც ასახულია სამეურნეო ერთეულის ფინანსური მდგომარეობა, ფულადი სახსრების შემოსვლა, განაწილება და გამოყენება, დავალიანებათა სტრუქტურა, მათ შორის ვადაგადაცილებული დავალიანების სიდიდე და სხვა. ფინანსების სტატისტიკურ შესწავლაში ფართოდ გამოიყენება შედარების, დაჯგუფების, სტრუქტურული ანალიზის, ინდექსების, დინამიკის მწკრივის, რეგრესიის, კორელაციური ანალიზისა და სხვა მეთოდები.

### ***§ 12.2. ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სტატისტიკური შესწავლა***

ფინანსურ რესურსებში იგულისხმება სანარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები (საკუთარი და მოზიდული), რომელთა მეშვეობითაც აწარმოებენ ფინანსურ ვალდებულებათა შესრულებას და ახორციელებენ დანახარჯებს სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.

ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სტატისტიკური შესწავლისას გამოიყენება სანარმოს ფინანსური ანგარიშგება და მის საფუძველზე მომზადებული დამატებითი ეკონომიკური კვლევის შედეგად მომზადებული ინფორმაცია ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ი) შესაბამისად სანარმო (ეკონომიკური სუბიექტი) საანგარიშო პერიოდის დამთავრების შემდეგ ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც უჩვენებს სანარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური რესურსების მართვის შედეგებს. მისი მიზანია სწორი ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მისაღებად სანარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიანოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს (ინვესტორებს, კრედიტორებს,

მომწოდებლებს, სამთავრობო ორგანოებს, აქციონერებს, მომსახურე პერსონალს და ა.შ.).

ბასს-ის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1) ბალანსს,

2) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას,

3) ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას:

ა) საწარმოს საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ, რომელიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალის გაზრდის ან ამოღების ოპერაციასთან.

4) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას,

5) ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

საწარმოს ანგარიშგების ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან ბალანსი ასახავს საწარმოს საქმიანობის სტატისტიკურ სურათს (მდგომარეობას).

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (რომლის შედგენა ხდება დარიცხვის მეთოდით), ასახულია საქმიანობის შედეგი. მასში საწარმოს მიმდინარე საქმიანობის კავშირი ფულადი სახსრების მდგომარეობასთან და საწარმოს ლიკვიდურობასთან ნაკლებადაა ასახული. კაპიტალის შესახებ ანგარიშგებაში აისახება კაპიტალის სტრუქტურული შემადგენლობა, ცვლილებები და ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულია ფულადი სახსრების მდგომარეობაზე საწარმოს საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის ზემოქმედების შედეგები გარკვეულ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აისახება ინფორმაციები ანგარიშგებაში გამოყენებული შეფასების საფუძვლებისა და საწარმოში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ქვემოთ განვიხილავთ საწარმოს ფინანსური საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საწარმოს ფინანსური რესურსების ფორმირებაში.

მოგება — ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც საწარმოს, დარგის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მნიშვნელოვანი განმაზოგადებელი მაჩვენებელია. საანგარიშგებო პერიოდისათვის წმინდა მოგების სიდიდის განსაზღვრის ნიშნში მოცემულია „მოგება-ზარალის უწყისში“ (იხ. ნახ. 12.1).

სანარმოთა ფინანსების სტატისტიკაში გამოიანგარიშება მოგების შემდეგი მაჩვენებლები.

საბალანსო მოგება, რომელიც გაიანგარიშება როგორც არასარეალიზაციო შემოსავლებით გადიდებული ან არასარეალიზაციო ხარჯებით შემცირებული სიდიდე, ძირითადი საქმიანობის (პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის შედეგი.

*მოგება-ზარალის უწყისი (ათას ლარებში)*

N	მაჩვენებლების დასახელება	გაანგარიშების მეთოდიკა	ანგარიშის ნომრები ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით
1	შემოსავლები		6000
2	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		7100/7200
3	მთლიანი მოგება	3=1-2	
4	ამორტიზაცია		7460
5	გაყიდვის ხარჯები		7300
6	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		7400-7460
7	მთლიანი საოპერაციო ხარჯები	7=4+5+6	
8	მთლიანი საოპერაციო მოგება	8=3-7	
9	შემოსავალი ინვესტიციებიდან		8110/8120
10	სესხზე გადახდილი პროცენტი		8210
11	სხვა შემოსავალი და ხარჯები		8130/8220
12	სულ არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები	12=+9-10+/-11	
13	მოგება გადასახადებისა და გაუთვალისწინებელი მოგების (ზარალის) ჩართვამდე	13=8+/-12	
14	მოგების გადასახადი		9210
15	მოგება გაუთვალისწინებელი მოგების (ზარალის) ჩართვამდე მოგების გადასახადის გარეშე	15=13-14	
16	გაუთვალისწინებელი მოგება (ზარალი) (გამოკლებული სამშრომლო გადასახადები)		9100
17	საანგარიშგებო პერიოდის ნშინდა მოგება	17=15+/-16	

*ნახ. 12.1. მოგება-ზარალის უწყისი*

მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან გაიანგარიშება როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებ თანხასა (შემცირებული დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზური და სპეციალური გადასახადის სიდიდით) და მასზე განეულ დანახარჯებს (სრულ თვითღირებულებას) შორის.

დასაბეგრი მოგება (საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული) განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის (მოგების გადასახადის) ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დაქვითვის თანხებს შორის. გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ერთობლივი შემოსავლის (ერთობლივ შემოსავალში ჩაითვლება უსასყიდლოდ მიღებული ქონება და ფულადი სახსრებიც) მიღებასთან.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოგების, როგორც სანარმოთა მუშაობის სინთეზური მაჩვენებლის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. მოგება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, სანარმოს სამეურნეო საქმიანობას ასახავს ფულადი ფორმით და იგი გაფართოებული კლავნარმოების, სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირებისა და ქვეყნის მოსახლეობის მატერიალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების წყაროდ გვევლინება. მოგება არის წარმოებაში დაბანდებული (ავეანსირებული) კაპიტალის მონანიღეობით მიღებული ზედმეტი პროდუქტის ღირებულების ფულადი გამოხატულება.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამდე, ჩვენს ქვეყანაში მოგებას განიხილავდნენ როგორც ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილ ფორმას, მარქსის ცნობილ ფორმულაში საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება უდრის  $C+V+M$ , სადაც  $C$  — მუდმივი,  $V$  — ცვალებადი კაპიტალია, ხოლო  $M$  — არის ზედმეტი პროდუქტი, რომელშიც განივთებულია კაპიტალისტის მიერ უსასყიდლოდ მითვისებული დაქირავებული მუშების აუნაზღაურებელი შრომა. ადრე მოქმედი წესების თანახმად, მოგების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გადადიოდა მთელი საზოგადოების განკარგულებაში (სახელმწიფო ბიუჯეტი), დანარჩენი რჩებოდა სანარმოს.

ზემთ უკვე აღინიშნა, რომ ფინანსური რესურსების შესახებ ანგარიშგების მომზადების ინფორმაციულ საფუძველს შეადგენს სანარმოს ბალანსის (მოგება-ზარალის ანგარიშგების) მონაცემები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი სათანადო დამატე-

ბითი მონაცემებიც, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქა-  
ლადების ყიდვა-გაყიდვასთან, დივიდენდების გაცემასთან, ძი-  
რითადი საშუალებების ყიდვა-გაყიდვასთან და სხვა ისეთები,  
რომლებიც ზემოთ ხსენებულ ანგარიშგების კომპონენტებში სა-  
თანადოდ არ არის ასახული. ფულადი სახსრების მოძრაობის ან-  
გარიშგება (ზემოთ ნაჩვენები ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი  
კომპონენტი) გვიჩვენებს ფულადი სახსრების მდგომარეობა-  
ზე სანარმოს საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმი-  
ანობის ზემოქმედებას გარკვეულ საანგარიშგებო პერიოდში. მი-  
სი მომზადებისა და წარდგენის პრინციპები განზოგადებულია  
ბასს-ის მეშვიდე სტანდარტით.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება – საკა-  
სო მეთოდით შედგენილი მოგება-ზარალის ანგარიშგებაა, რო-  
მელსაც სანარმო ადგენს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდის  
გამოყენებით.

ქვემოთ მოგვყავს სანარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის  
შესახებ არაპირდაპირი მეთოდით მომზადებული ანგარიშგება,  
რომელიც აღებულია ბასს N7-დან (იხ. ცხ. 12.2).

### ცხრილი 12.2

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება (ათას ლარებში)

N	მაჩვენებლები	თანხა
1	2	3
	I ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
1.	წმინდა მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლამდე შესწორებები	3350
2	ცვეთა	450
3	ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	40
4	შემოსავალი ინვესტიციებიდან	(500)
5	პროცენტის გადახდაზე განეული ხარჯი	400
*	მოგება სანარმოო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3740
6	მოთხოვნების ანგარიშზე ნაშთების ზრდა	(500)
7	მარაგების ანგარიშზე ნაშთების შემცირება	1050
8	კრედიტორული დავალიანების შემცირება	(1740)
*	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	2550
9	გადახდილი პროცენტები	(270)

10	გადახდილი მოგების გადასახადი ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლამდე	(900) 1380
11	განსაკუთრებული მუხლი სადაზღვევო შემოსავალი	180
ა	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1560
	II ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
1.	შვილობილი სანარმოს შექმნა მათი ფულადი თანხების გამოკლებით	(550)
2	ძირითადი საშუალებების შექმნა	(350)
3	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული თანხები	20
4	მიღებული პროცენტები	200
5	მიღებული დივიდენდები	200
*	საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(480)
	III ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
1	თანხების შემოსვლა აქციათა ემისიისაგან	250
2	თანხების შემოსვლა გრძელვადიანი სესხებიდან	250
3	ფინანსური იჯარის ვალდებულებათა განაღდება	(90)
4	გადახდილი დივიდენდები	(1200)
*	საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(790)
ა	ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა (I+II+III ნაწ)	290
ბ	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	120
გ	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	410
	შენიშვნა: (-) - მოქცეული თანხები აკლდება (უარყოფითი ნიშნითაა გამოხატული).	

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშების (ცხ. 12.2-ის) ანალიზი საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლევა. არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით მომზადებული ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში (სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მიუხედავად, საბოლოო შედეგი ყველა შემთხვევაში ერთნაირია) წმინდა მოგებას დაბეგვრამდე ემატება ძირითადი საშუალებების ცვეთისა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი, ასევე ემატება ზარალი და აკლდება მოგება საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების სიღრმისეულ ანა-

ლიზზე აქ არ შევჩერდებით (დეტალურად შესწავლილია დასახელებულ ლიტერატურაში(3). ჩვენს შემთხვევაში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (ბასს-ის მიხედვით ფულადი ეკვივალენტები არის მოკლევადიანი (3 თვის), მაღალლიკვიდური ინვესტიციების ზრდა შეადგენს:

$I+II+III$  ნაწილების ჯამი, ე.ი.  $1560+(-480)+(-790)=290$ , რაც ემთხვევა მოცემული საწარმოს ბალანსში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბოლოო (410) და საწყის (120) ნაშთებს შორის განსხვავებას, ე.ი.  $290=410-120$ .

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სტატისტიკური შესწავლა მიმდინარეობს საწარმოს შემოსავლისა და გასავლის ბალანსში არსებული (შიგა და გარედან შემოსული სახსრების წყაროებით) მონაცემებისა და დამატებითი დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის განხორციელებით, საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისა და მაქსიმალური მოგების მიღების ღონისძიებათა გათვალისწინებით.

### *§12.3. მოგება და რენტაბელობის დონის დინამიკა*

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგება საწარმოს სამეურნეო-საფინანსო და სამეწარმეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემდეგამებელი მაჩვენებელია, მაგრამ მოგების აბსოლუტური სიდიდე საკმარისი არ არის მუშაობის სიღრმისეული შეფასებისათვის. ამიტომ ხშირად ფინანსების სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება ისეთი შეფარდებითი მაჩვენებელი, როგორცაა რენტაბელობა. სიტყვა რენტაბელობა (გერმანულიდან Rentabel) ნიშნავს შემოსავლიანობას, მომგებიანობას. იგი ზოგადად ახასიათებს საწარმოს მომგებიან, ეფექტიან საქმიანობას (ინგლ. Profitability — მომგებიანობა).

რენტაბელობის მაჩვენებელში აისახება საწარმოს საქმიანობის ისეთი რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, როგორცაა წარმოების მოცულობისა და მწარმოებლურობის ზრდის, თვითღირებულების შემცირების, ფონდების ბრუნვაადობისა და სხვა მაჩვენებლები. სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყოფენ რენტაბელობის სამ მაჩვენებელს. კერძოდ:

1) რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობას, 2) საერთო რენტაბელობას და 3) კაპიტალის რენტაბელობას.

ქვემოთ განხილულია რენტაბელობის ცალკეული მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია.



1. რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობას განსაზღვრავენ ფორმულით:

$$R_{რ.ა.} = \frac{\Pi_{რ.ა.}}{C} \times 100\%, \quad (12.1)$$

სადაც  $R_{რ.ა.}$  — რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის დონის მაჩვენებელია;

$\Pi_{რ.ა.}$  — რეალიზებული პროდუქციის მოგების აბსოლუტური მაჩვენებელია, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ამონაგებსა ( $P$ ) და სრულთვითღირებულებას ( $C$ ) შორის.

$C$  — რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულების (დანახარჯების) მაჩვენებელია.

რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებელი (ფორ. 12.1) ასახავს მიმდინარე ხარჯების ეფექტიანობას. კონკრეტული სახის პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებელი დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხზე, შრომის ნაყოფიერებაზე, მატერიალური დანახარჯების ხვედრით წონაზე საერთო დანახარჯებში, ნედლეულისა და მასალების ფასებზე და ა.შ.

2. საერთო რენტაბელობის დონის მაჩვენებელს განსაზღვრავენ ფორმულით:

$$R_{საერთო} = \frac{\Pi_{საბალანსო}}{\Phi_{ა.ფ.} + \Phi_{სა. ფონდ.}} \times 100\%, \quad (12.2)$$

სადაც  $R$  — საერთო რენტაბელობის დონის მაჩვენებელია;

$\Pi$  — საბალანსო მოგების აბსოლუტური მაჩვენებელია;

$\Phi_{ა.ფ.}$  — სანარმოს ძირითადი ფონდების მაჩვენებელია, რომელიც შეიცავს გრძელვადიანი მატერიალურ აქტივებისა (ძირითად ფონდებს) და არამატერიალური აქტივების საშუალო წლიურ ღირებულებას;

$\Phi_{სა.ფ.}$  — სანარმოს საბრუნავი ფონდების (მიმდინარე აქტივების ნაწილს — მატერიალურ საბრუნავ საშუალებებს) საშუალო წლიური ღირებულების მაჩვენებელია.

ამრიგად, სანარმოს საერთო რენტაბელობის მაჩვენებელი ახასიათებს ავანსირებული კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების ხარისხს, სანარმოო პოტენციალის გამოყენებას და სხვა.

3. სანარმოს კაპიტალის რენტაბელობის განსაზღვრისას გაი-

ანგარიშება მაჩვენებელი, რომელშიც აისახება ფინანსურ საქმიანობაში სანარმოს აქტიურობის დონე, ანუ — კაპიტალის საერთო ბრუნვის მაჩვენებელი შემდეგი ფორმულით:

$$O_{\text{კა}} = \frac{R}{K}, \quad (12.3)$$

სადაც  $O_{\text{კა}}$  — კაპიტალის (აქტივების) საერთო ბრუნვის მაჩვენებელია,

$P$  — რეალიზებული პროდუქციიდან ამონაგები (ნავაჭრი) თანხა,

$K$  — სანარმოს კაპიტალის (აქტივების) საბალანსო ღირებულება, რომელიც მოიცავს ძირითად (გრძელვადიან) კაპიტალს, მატერიალურ საბრუნავ საშუალებებს, არამატერიალურ აქტივებს, მიმოქცევის ფონდებს (მარაგები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები).

კაპიტალის საერთო ბრუნვადობის (აქტივობის) ზრდა მიიღწევა არა მარტო სანარმოს ქონების წრებრუნვის დაჩქარებით, არამედ საანგარიშგებო პერიოდში კაპიტალის ოდენობის შემცირებით, ასევე ინფლაციის პირობებში ფასების ზრდით.

სანარმოს კაპიტალის სტრუქტურის და მისი გამოყენების ეფექტიანობის კრიტერიუმის (რენტაბელობის) შეფასება, რომელიც სტატისტიკური შესწავლის საგანს წარმოადგენს, ჩვენს მიერ განხილულია ადრე მითითებულ ნაშრომში (2), სადაც აღვნიშნეთ, რომ კაპიტალში იგულისხმება სანარმოს ყველა ქონება ან ნაღდი ფულადი სახსრები და სხვა საშუალებები, რომლებიც ჩადებულია საქმეში იმ მიზნით, რომ ფირმამ შეძლოს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება ან მოქმედი სანარმოს შემდგომი ფუნქციონირება. განასხვავებენ საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სახეობებს, რომელთა ჯამი ქმნის სანარმოს ერთობლივ კაპიტალს (ქონებას).

საკუთარი კაპიტალი (EK) — არის მესაკუთრეთა საკუთარი საშუალებებისა (აქტივების) და მეკავშირე სანარმოს (სანარმოთა) საშუალებების, ასევე დამფუძნებელთა (მონაწილეთა), მეპაიეების საპაიო შენატანების და რეზერვების (რომელთა ფორმირებაც ხდება წინა პერიოდში გაუნაწილებელი მოგებით) სიდიდე, რომელიც გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად (დასაფინანსებლად).

მოზიდული (ნასესხები) კაპიტალის (FK) ფორმირება ხდება სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორის (მსესხებ-

ლის) მიერ მეორე მხარისათვის, ფულადი სახსრების გადაცემა უკანასკნელის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად. განასხვავებენ გრძელვადიან და მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებს.

საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკაში ცნობილია დაფინანსების ძირითადი წესები, კერძოდ: ა) შორიზონტალური დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისად ძირითადი კაპიტალის (AV) დაფინანსებას აწარმოებენ საკუთარი კაპიტალით (EK) და გრძელვადიანი მოზიდული კაპიტალით (FK), ე.ი. დაფინანსების „ოქროს წესად“ წოდებული პირველი წესი გამოიხატება ფორმულით:

$$AV = FK + FK_1. \quad (12.4)$$

ბ) ვერტიკალური დაფინანსების წესი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$FK \leq 2EK, \quad (12.5)$$

სადაც ნაგულისხმევია, რომ ერთობლივ (საერთო) კაპიტალში, როგორც მინიმუმი, საკუთარი კაპიტალის (EK) სიდიდე ნახევარი მაინც უნდა იყოს, ე.ი. მოზიდული (ნასესხები) კაპიტალი (FK) საერთო კაპიტალის ორჯერად სიდიდეს არ უნდა აღემატებოდეს (ამერიკული ფირმებისათვის 1:1 შეფარდების წესად არის მიღებული).

სტატისტიკის პრაქტიკაში განსაზღვრავენ საკუთარი კაპიტალის, საერთო კაპიტალის ბრუნვალობის მაჩვენებელს, ასევე გაინგარისება მოთხოვნების (დავალიანებების) მიმოქცევის სიჩქარე, სანარმოს ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) დასადგენად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსების სტატისტიკის მიზანია არა მარტო მოგების სიდიდისა და რენტაბელობის დონის დადგენა, არამედ ამ მაჩვენებელთა დონეზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

ასე, მაგალითად, მანქანათმშენებლობის დარგის ერთ-ერთი ქარხნის პირობითი მონაცემების (5) ანალიზით დადგინდა, რომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმური მაჩვენებლების არშესრულებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მოგების ოდენობაზე, ხოლო რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ზეგავლენითი შემცირებით მიღებულ იქნა დამატებითი მოგება.

ცნობილია, რომ სანარმოს მოგებაზე გავლენას ახდენს გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილება. ჩვენს შემთხვევაში, თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალების (ბიზნეს გეგმაში გათვალის-

წინებული მაჩვენებლების) გადაჭარბებით შესრულებისა და შედარებით მაღალი რენტაბელობის პროდუქციის გამოშვების პირობებში სანარმომ ზეგეგმური მოგება მიიღო.

სტატისტიკური ანალიზის საგანია, ასევე, რენტაბელობის დონეზე მოქმედი ფაქტორების გავლენის დადგენა.

ნარმოების რენტაბელობის დონეზე მოქმედი ფაქტორებიდან ასევე გამოიყოფა არა სარეალიზაციო ოპერაციებიდან მიღებული ზარალის ოდენობა, ძირითადი სანარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება და სხვა.

რენტაბელობის დონის დინამიკა თითოეული სანარმოს მიხედვით გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{R_1}{R_0}, \quad (12.6)$$

სადაც  $R_1$  და  $R_0$  — სანარმოს რენტაბელობის საშუალო დონეა მიმდინარე და საბაზისო (გასულ) პერიოდებში.

სანარმოთა ჯგუფის (ან ფირმის, გაერთიანების) მიხედვით რენტაბელობის დონის დინამიკა სტრუქტურული ძვრების გავლენის გათვალისწინებით გაიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum R_1 d\Phi_1}{\sum R_0 d\Phi_0}, \quad (12.7)$$

სადაც  $d\Phi_1$  და  $d\Phi_0$  — თითოეული სანარმოს სანარმოო ფონდების ღირებულების ხვედრითი წილია ფირმის (გაერთიანების) ძირითადი ფონდების და საბრუნავი საშუალებების საერთო მოცულობაში.

რენტაბელობის დონის განზოგადებული, ანუ ცვალებადი შედგენილობის ინდექსი (12.7) შეიძლება დავშალოთ სუბინდექსებად:

ა) ფიქსირებული შედგენილობის ინდექსად, ანუ

$$I_{\text{ფიქს}} = \frac{\sum R_1 d\Phi_1}{\sum R_0 d\Phi_1},$$

ბ) სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსად, ანუ

$$I_{\text{სტრუქტ}} = \frac{\sum R_0 d\Phi_1}{\sum R_0 d\Phi_0},$$

(ა) და (ბ) სუბინდექსების ნამრავლი გვაძლევს რენტაბელობის ცვალებადი შედგენილობის ინდექსს.

ქვემოთ ნაჩვენებია საწარმოთა ჯგუფის (გაერთიანების) მიხედვით რენტაბელობის დინამიკის ზემოთ განხილული ინდექსების გამოანგარიშება.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ მოცემულია ფირმაში (გაერთიანებაში) შემავალი საწარმოთა შესახებ შემდეგი მონაცემები (იხ. ცხ. 12.3)

ცხრილი 12.3

საწარმოთა რენტაბელობის მაჩვენებლები

საწარმოთა დასახელება	საბაზისო პერიოდი		საანგარიშო პერიოდი	
	საბალანსო მოგება ( $\Pi_0$ )	საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება ( $\Phi_0$ )	საბალანსო მოგება ( $\Pi_1$ )	საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება ( $\Phi_1$ )
N1	1800	7160	2000	7310
N2	100	780	120	860
N3	4100	41600	4400	46600
სულ	6000	49540	6520	54770

საჭიროა განვსაზღვროთ:

1. თითოეული ქარხნის რენტაბელობის დონეთა დინამიკა,
2. ფირმის (გაერთიანების) რენტაბელობის დონის ცვალებადი შედგენილობის, ფიქსირებული შედგენილობისა და სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსები.

ზემოთ განხილული ინდექსების (12.2 და 12.6) საფუძველზე:

1. განვსაზღვრავთ რენტაბელობის დონეებს:

ქარხანა N1-ისათვის

$$\text{საანგარიშო პერიოდი } R_1 = \frac{\Pi_1}{\Phi_1} \times 100 = \frac{2000}{7310} \times 100 = 27,36\%$$

$$\text{საბაზისო პერიოდი } R_0 = \frac{\Pi_0}{\Phi_0} \times 100 = \frac{1800}{7160} \times 100 = 25,14\%$$

რენტაბელობის დონის დინამიკა:

$$I = \frac{R_1}{R_0} = \frac{27,36}{25,14} = 1,088, \text{ ანუ } 108,8\%$$

ე.ი. რენტაბელობის ზრდამ შეადგინა 8,8%.

ქარხანა N2-ისათვის

$$\text{საანგარიშო პერიოდი } R_1 = \frac{120}{860} \times 100 = 13,96\%,$$

$$\text{საბაზისო პერიოდი } R_0 = \frac{100}{780} \times 100 = 12,84\%,$$

$$\text{რენტაბელობის დინამიკა } I = \frac{R_1}{R_0} = \frac{13,96}{12,84} = 1,087, \text{ ანუ } 108,7\%$$

ე.ი. რენტაბელობის ზრდამ შეადგინა 8,7%.

ქარხანა N3-ისათვის

$$\text{საანგარიშო პერიოდი } R_1 = \frac{4400}{4660} \times 100 = 9,45\%,$$

$$\text{საბაზისო პერიოდი } R_0 = \frac{4100}{4160} \times 100 = 9,85\%,$$

$$\text{რენტაბელობის დინამიკა } I = \frac{R_1}{R_0} = \frac{9,45}{9,84} = 0,959, \text{ ანუ } 95,9\%,$$

ე.ი. რენტაბელობის დონე შემცირდა 4,1%.

2. ცვალებადი შედგენილობის ინდექსის (ფორ. 12.7) საფუძველზე განვსაზღვრავთ საწარმოო ჯგუფის მიხედვით რენტაბელობის დინამიკას ცვალებად და ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსების მეშვეობით.

პირველ ყოვლისა, გაიანგარიშება თითოეული ქარხნის საწარმოო ფონდების წილი ფირმის (გაერთიანების) საწარმოო ფონდების საერთო ღირებულებაში. კერძოდ:

მიმდინარე პერიოდში

ქარხანა N1-თვის

ხვედრითი წილი გაიანგარიშება ფორმულით

$$\left( d\Phi_1 = \frac{\Phi_1}{\sum \Phi_1} \times 100 \right) = 7310 : 54770 \times 100 = 13,35\%$$

საბაზისო პერიოდში

ქარხანა N1-თვის ხვედრითი წილი გაიანგარიშება ფორმულით:

$$\left( d\Phi_0 = \frac{\Phi_0}{\sum \Phi_0} \times 100 \right), \text{ ანუ } 7160 : 49540 \times 100 = 14,45\%$$

შესაბამისად იქნება ქარხანა N2-თვის  $860 : 54770 \times 100 = 1,57\%$

და ქარხანა N3 -თვის  $46600 : 54770 \times 100 = 85,08\%$ ;

$41600 : 49540 \times 100 = 83,98\%$ .

ა) ცვალებადი შედგენილობის ინდექსი გაიანგარიშება როგორც:

$$\begin{aligned} I &= \frac{\sum R_1 d\Phi_1}{\sum R_0 d\Phi_0} = \frac{27,36 \times 13,35 + 13,96 \times 1,57 + 9,45 \times 85,08}{25,14 \times 14,45 + 12,84 \times 1,57 + 9,85 \times 83,98} = \\ &= \frac{365,25 + 21,91 + 898,50}{363,27 + 20,15 + 827,20} = \frac{1285,66}{1210,62} = 1,062. \end{aligned}$$

ბ) ხოლო ფიქსირებული შედგენილობის ინდექსი გაიანგარიშება როგორც:

$$\begin{aligned} I &= \frac{\sum R_1 d\Phi_1}{\sum R_0 d\Phi_1} = \frac{27,36 \times 13,35 + 13,96 \times 1,57 + 9,45 \times 85,08}{25,14 \times 13,35 + 12,84 \times 1,57 + 9,85 \times 85,08} = \\ &= \frac{365,25 + 21,91 + 898,50}{335,61 + 20,15 + 838,04} = \frac{1285,66}{1193,80} = 1,077; \end{aligned}$$

გ) სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი კი გამოითვლება როგორც:

$$\begin{aligned} I &= \frac{\sum R_0 d\Phi_1}{\sum R_0 d\Phi_0} = \frac{25,14 \times 13,35 + 12,84 \times 1,57 + 9,85 \times 85,08}{25,14 \times 14,45 + 12,84 \times 1,57 + 9,85 \times 83,98} = \\ &= \frac{335,61 + 20,15 + 838,04}{363,27 + 20,15 + 827,20} = \frac{1193,80}{1210,62} = 0,986. \end{aligned}$$

მაშასადამე, ფირმის (გაერთიანების) საერთო რენტაბელობის დონე საანგარიშო პერიოდში საბაზისო წელთან შედარებით 6,2%-ით, ანუ 75,04 (1285,66-1210,62) ლარით გაიზარდა. აქედან შიგასანარმოო რიგის ფაქტორების გავლენის შედეგად გაიზარდა 7,7%-ით, ანუ 91,8 ლარით (1285,66-1193,80), ხოლო სტრუქტურული ძვრების გავლენით შემცირდა 1,4%-ით, ანუ -16,82 ლარით (1193,80-1210,62=-16,82. საბოლოოდ  $75,04=91,86+(-16,82)$ ).

ანალოგიურ მაჩვენებელს მივიღებთ ფიქსირებული შედგენილობისა და სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსთა ნამრავლით. ე.ი.  $1,077 \times 0,986 = 1,062$ .

ამრიგად, მოგების სიდიდისა და რენტაბელობის დონის ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური შესწავლა შესაძლებლობას იძლევა ეფექტური ფუნქციონირების ამაღლების მიზნით გამოვლინდეს საანარმოოში არსებული ფარული რეზერვები. მოგების გეგმური მაჩვენებლის გაანგარიშებას ანარმოებენ როგორც პირდაპირი, ასევე ანალიზური მეთოდების გამოყენებით (იხ. გამოყ. ლიტ-რა 1).

#### **§ 12.4. საანარმოს ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის მდგომარეობის შეფასება**

როგორც უკვე აღინიშნა, მოგების აბსოლუტური სიდიდე სრულად ვერ ასახავს საანარმოს მუშაობის ეფექტიანობას, ამიტომ საანარმოს ფინანსური ანალიზის საანარმოებლად გამოიყენება შეფარდებითი სიდიდეები, კერძოდ რენტაბელობის მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავენ თვითღირებულების ავანსირებულ საშუალებათა ქონებისა და წმინდა პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებს.

ცნობილია, რომ საანარმოს საქმიანობის შედეგების შეფასება და სინთეზურ მახასიათებლებზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა რთული და მრავალმხრივია. მიუხედავად ამისა, გარდა განზოგადებული მახასიათებლებისა, საჭიროა ცალკეული მაჩვენებლების დონის დადგენა და ეფექტურობის დახასიათება. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა ფარდობით მაჩვენებლებს, რომლებიც ფინანსური საქმიანობის შედეგების გან-



საზღვრაში ფართოდ გამოიყენება დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში. მათ იყენებენ აგრეთვე ინფორმაციის შიგა და გარე მომხმარებლები ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში (6) აღწერილია ფარდობით მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები:

(ა) საოპერაციო ფარდობითი მაჩვენებლები;

(ბ) მიმდინარე ლიკვიდურობის ფარდობითი მაჩვენებლები;

(გ) ფარდობითი მაჩვენებლები საბრუნავი კაპიტალის ეფექტურობის შესაფასებლად;

(დ) ფარდობითი მაჩვენებლები საშუალო და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შესაფასებლად;

(ე) ფარდობითი მაჩვენებლები ინვესტორებისათვის.


ზემოთ აღნიშნული ფარდობითი მაჩვენებლების განსაზღვრა მოცემულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მასალებში („ACCA“-ს პროგრამის სასწავლო ლიტერატურა თარგმან. რუს. თავი 22-24).

ფარდობითი მაჩვენებლები, რომლებიც სანარმოს მომგებიანობის შესაფასებლად გამოიანგარიშება, არის: ა) საერთო მოგების კოეფიციენტი, ე.ი. საერთო მოგების პროცენტული შეფარდება რეალიზაციასთან (საერთო მოგება არის სხვაობა რეალიზაციიდან შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის);

ბ) სუფთა მოგების პროცენტული თანაფარდობა რეალიზაციასთან (გაყიდვებთან). სუფთა მოგება გამოიანგარიშება შემდეგნაირად: საერთო მოგებას აკლდება დანახარჯები პროცენტებზე (კრედიტებზე), ცვეთაზე და სხვა ხარჯებზე;

გ) უკუგება კაპიტალზე (ROCE), რომელსაც უპირველეს ფარდობით მაჩვენებელსაც უწოდებენ. მის გამოსათვლელად არსებობს რამდენიმე გზა, მაგრამ ძირითადად იგი მოგების კაპიტალზე შეფარდებით გამოითვლება.

საოპერაციო ფარდობითი მაჩვენებლების სტრუქტურა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ სქემაზე (12.2).



ნახ. 12.2. საოპერაციო ფარდობითი მაჩვენებლების სტრუქტურის სქემა

როგორც ნახ. 12.2-ში ნაჩვენებია, თუ არსებობს შესაფერისი ინფორმაცია, მაჩვენებელი ROCE შეიძლება დაიყოს რამდენიმე უფრო წვრილ მაჩვენებლად. უკუგება კაპიტალზე მაჩვენებლის ცვლილება დამოკიდებულია დანარჩენი მაჩვენებლების ცვლილებაზე. არსებობს ორი ფაქტორი, რომლებიც მოქმედებენ კაპიტალის უკუგებაზე: ა) გაყიდვების მომგებიანობა და ბ) აქტივების გამოყენების კოეფიციენტი. აქვე შევნიშნავთ, რომ მათი ნამრავლით მიიღება კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი (ROCE), ანუ

$$ROCE = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{საოპერაციო აქტივები}} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{გაყიდვები}} \times \frac{\text{გაყიდვები}}{\text{საოპერაციო აქტივები}}$$

ქვემოთ მოტანილია დასავლეთის ეკონომიკის პრაქტიკაში გამოყენებული განსაზღვრება უკუგება კაპიტალზე, კერძოდ:

ა) ბიზნესში საერთო კაპიტალის გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$ROCE = \frac{\text{მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდა}}{\text{საქციო კაპიტალი + რეზერვები + გრძელვადიანი ვალდებულებები}} \times 100$$

(ან მნიშვნელი შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც სულ აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები).

ბ) ჩვეულებრივ აქციონერთა კაპიტალის გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$ROCE = \frac{\text{მოგება დაბეგრამულ, მაგრამ პროცენტებისა და დივიდენდების შემდეგ} \times 100}{\text{ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი} + \text{რეზერვები}}$$

(ან მნიშვნელში შეიძლება იყოს სუფთა აქტივებს მინუს პრივილეგირებული აქციები).

ფარდობითი მაჩვენებლები ლიკვიდურობისა და ფონდების მართვის შესაფასებლად

სანარმოს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის განსაზღვრას ანარმოებენ შემდეგი მაჩვენებლებით:

ა) მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც არის სანარმოს მიმდინარე აქტივების თანხების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან (მას ზოგჯერ საბრუნავ კაპიტალსაც უწოდებენ);

ბ) სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება როგორც მიმდინარე აქტივებს მინუს საქონლის მარაგები, შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან.

სანარმოს ფინანსური მდგომარეობის უკეთ გარკვევისათვის ანარმოებენ შემდეგი მაჩვენებლების გამოთვლას. კერძოდ, განისაზღვრება სამი ფარდობითი მაჩვენებელი, რომელიც დაკავშირებულია მოკლევადიან აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებთან. კერძოდ:

ა) სასაქონლო მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შეფარდებით მარაგების საშუალო წლიურ რაოდენობასთან (მარაგების საშუალო წლიური სიდიდე გაიანგარიშება როგორც მარაგების საწყისი და საბოლოო სიდიდეთა ჯამის ნახევარი). მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტის გამოთვლა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{მარაგების საშუალო რაოდენობა}}{\text{გაყიდული საქონლის თვითღირებულება}} \times 365 \text{ დღე (ან საანგარიშგე-}$$

ბო პერიოდში დღეების რაოდენობაზე)

ბ) მოთხოვნების (დავალიანებათა კრედიტში გაყიდვისას) დაფარვის პერიოდი, რომელიც არის პერიოდის ბოლოს მოთხოვნების ანგარიშის ნაშთის შეფარდება კრედიტის საშუალო ხანგრძლივობასთან დღეებში. კრედიტში გაყიდვის დღიური ნორმა იან-



**საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი  
განსაზღვრის საილუსტრაციო მაგალითი**

მოცემულია ინფორმაცია სანარმოს საბრუნავი კაპიტალის წლიური ბრუნვისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან:

	(ათას ლარებში)
1. შემოსავალი გაყიდვებიდან	6 250,5
2. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	210,4
3. ნედლეულის მარაგების შესყიდვები	140,0
4. სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)	31,3
5. სავაჭრო ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანებები)	21,6
6. სასაქონლო მარაგები	92,5

(ნაგულისხმევია, რომ შესყიდვებსა და გაყიდვებს მხოლოდ კრედიტში ანარმოებდნენ).

ამოხსნა:

1. გაიანგარიშება სავაჭრო მოთხოვნების გადახდების საშუა-

ლო პერიოდი, ე.ი. 
$$\frac{\text{სავაჭრო ვალდებულებები}}{\text{შესყიდვები}} \times 365 = \frac{21,6}{140,0} \times 365 = 56 \text{ დღე}$$

2. გაიანგარიშება სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის საშუალო

პერიოდი, ე.ი. 
$$\frac{\text{სავაჭრო მოთხოვნები}}{\text{შემოსავალი გაყიდვებიდან}} \times 365 = \frac{31,3}{250,5} \times 365 = 46 \text{ დღე}$$

3. გაიანგარიშება მოთხოვნების დაფარვის საშუალო პერიოდი (საქონლის მარაგების ბრუნვა)

ე.ი. 
$$\frac{\text{საქონლის მარაგები}}{\text{გაყიდული საქონლის თვითღირებულება}} \times 365 = \frac{92,5}{210,4} \times 365 = 160 \text{ დღე}$$

სანარმოს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი უდრის  $46+160-56=150$  დღეს.

სანარმოს დაფინანსების გზები განსაზღვრავენ სანარმოს სტაბილურობისა და გაკოტრების რისკის (ხარისხის) მაჩვენებლებს. სანარმო, რომლის საერთო კაპიტალშიც ნასესხები კაპიტალი ჭარბობს საკუთარს, ბუნებრივია, უფრო მეტ რისკს ეწევა, რადგანაც ნასესხებ კაპიტალზე უნდა გადაიხადოს პროცენტები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოგებას ვერ მიიღებს.

სანარმოს რისკის ხარისხის შეფასებას ანარმოებენ საკუთა-

რი კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები+რეზერვები) აქტივებთან თანაფარდობით.

ე.ი. სანარმოს რისკის კოეფიციენტი უდრის

$$\frac{\text{ჩვეულებრივი აქციები+რეზერვები}}{\text{სულ აქტივები-მოკლევადიანი ვალდებულებები}} \times 100$$

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი ახასიათებს პროცენტის უზრუნველყოფის ხარისხს. ცნობილია, რომ სასესხო თამასუქებზე პროცენტის გადახდას ანარმოებენ, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მოგება სანარმოს.

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

საერთო მოგებას მინუს ცვეთისა და სხვა ხარჯების ჯამი, ე.ი. მოგებას პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე ვუფარდებთ გადახდილი პროცენტის თანხას.

მაგალითი: შემოსავალი გაყიდვებიდან შეადგენს 250,5 ათას ლარს, გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 210,4 ათას ლარს. დანახარჯები ცვეთაზე შეადგენს 12 ათას ლარს, გადასახადები (სხვა ხარჯები) 8 ათას ლარს. პროცენტებზე გადახდილი თანხა 4 ათას ლარს. ამ მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება სესხის პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი. პირველყოვლისა, გაიანგარიშება საერთო მოგება:

საერთო მოგება იქნება:  $250,5 - 210,4 = 40,1$  ათასი ლარი, აქედან გამოიქვითება ხარჯები ცვეთაზე (12,0) და სხვა ხარჯები (8,0) ათასი. სულ საოპერაციო მოგება შეადგენს 20,1 ათას (40,1-20,0) ლარს.

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (ხარისხი) უდრის

$$\frac{20,1}{4,0} = 5,0, \text{ ანუ } 5\text{-ჯერ, ე.ი. თუ სანარმოს მოგება არ შემცირდება}$$

მნიშვნელოვნად, მაშინ მას არ ექნება პრობლემები პროცენტის თანხის გადახდასთან დაკავშირებით.

ფარდობითი მაჩვენებლები ფართოდ გამოიყენება ინვესტიციების შესაფასებლად. ინვესტიციებისათვის საჭირო ინფორმაციების მოპოვებისას გაიანგარიშება აქციის ფასი, რომელიც დამოკიდებულია ბირჟაზე. იმ სანარმოსათვის, რომლებიც არ არიან კოტირებული საფონდო ბირჟაზე, აქციის ფასი გამოითვლება ძირითადი პრინციპით, ანუ თუ რა ღირს სანარმო.

ასევე პრაქტიკაში გაიანგარიშება შემოსავალი ერთ აქციაზე

(EPS); თანაფარდობა ფასი/შემოსავალი, ე.ი. P/E, რომელიც გამოსახავს, თუ რამდენჯერ აღემატება აქციის საბაზრო ფასი ამ აქციიდან შემოსავალს. ან P/E-ს შებრუნებული კოეფიციენტი

$\frac{1}{P/E}$  — მომგებიანობის კოეფიციენტი. ეს მაჩვენებლები უფრო დეტალურად განხილული იქნება საფონდო ბაზრის სტატისტიკაში (იხ. თემა 14).

ამრიგად, ფინანსების სტატისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს მისი საფინანსო-ფულადი ურთიერთობების რაოდენობრივი დახასიათება იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც განაპირობებენ ფულადი რესურსების ფორმირებას, განაწილებასა და გამოყენებას. აქედან გამომდინარეობს სანარმოთა ფინანსების სტატისტიკის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც ძირითადად მოიცავს ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობაში საფინანსო-ფულადი ურთიერთობების მდგომარეობის ანალიზს, მოგების ოდენობისა და რენტაბელობის დინამიკის ანალიზს, სანარმოს მიერ საფინანსო-საკრედიტო ვალდებულებათა შესრულებას კრედიტორებისა და სახელმწიფოს წინაშე, სანარმოს ფინანსური მდგარადობისა და გადახდისუნარიანობის შესწავლას და სხვა.

ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სტატისტიკური ანალიზის ინფორმაციულ წყაროებად გვევლინება ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ბასს-ით) მოიცავს დარიცხვის მეთოდით შედგენილ ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, ანგარიშგებას კაპიტალის შესახებ და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. საჭიროების შემთხვევაში გამოიანგარიშება დამატებითი მონაცემები (ფასიანი ქაღალდებით ყიდვა-გაყიდვის, დივიდენდების გაცემის და სხვა), რომლებიც ზემოთ ხსენებული ანგარიშგების კომპონენტებში სათანადოდ არ არის ასახული.

### *საკონტროლო კითხვები*

1. დაახასიათეთ სანარმოთა ფინანსები და მისი შესწავლის საგანი, სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში გამოყენებული მაჩვენებელთა სისტემა.

2. დაახასიათეთ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ი) მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები (ანგარიშგების სრული პაკეტი).

3. როგორ გამოითვლება სანარმოს საბალანსო და დასაბეგრი მოგება?

4. როგორ ხდება სანარმოს მოგება-ზარალის უწყისის (ანგარიშგების) ფორმირება?

5. აჩვენეთ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების შედგენა პირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

6. როგორ გამოითვლება სანარმოს ეფექტიანობის შეფარდებითი სინთეზური მაჩვენებელი — რენტაბელობა? და მოიყვანეთ რენტაბელობის ცალკეული მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდიკა.

7. რომელი ორი ძირითადი მაჩვენებელი გამოიყენება სანარმოს ერთობლივი კაპიტალის (ქონების) შესაფასებლად?

8. განმარტეთ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი დაფინანსების ძირითადი (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) ნესები.

9. რომელი ფორმულების გამოყენებით ახდენენ სანარმოს (სანარმოთა ჯგუფების) რენტაბელობის დონის დინამიკის შეფასებას?

10. აჩვენეთ ფარდობით მაჩვენებელთა სისტემის ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება პრაქტიკაში სანარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად.

11. როგორ გამოითვლება უკუგება კაპიტალზე (ROCE)?

12. აჩვენეთ ფარდობითი მაჩვენებლები ლიკვიდურობისა და ფონდების მართვის შესაფასებლად.

13. როგორ გამოითვლება სანარმოს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი?

14. როგორ გამოითვლება სანარმოს სტაბილურობისა და გაკოტრების რისკის მაჩვენებლები?

15. რომელი ფარდობითი მაჩვენებლები გამოიყენება ინვესტიციების შესაფასებლად?

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. გ.ცაავა, ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი, თსუ, სოხუმის ფილიალი, თბ., 1999.



2. ზ.ლიპარტია, ფირმის ეკონომიკა და ბიზნესგეგმა (რუს. ენაზე), თსუ, თბ., 1995.

3. რ.ძაძამია, ფინანსური აღრიცხვა (ბასს-ის მიხედვით), თბ., 2000.

4. ე.კუპრეიშვილი, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება და მისი ანალიზი, ჟურნ. ბუღალტრული აღრიცხვა, საქ. პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამომც. თბ., 2001.

5. ვ.ომიადე, მრეწველობის სტატისტიკა, თსუ, თბ., 1993.

6. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მასალები: „ACCA“ პროგრამის სახელმძღვანელო (მოდული 1), თარგმნილი რუს. თავი 22-24.

7. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.Н.Иванова), М., 1998.

## თემა 13. სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკა

### § 13.1. სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს, რომლითაც მთავრობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა განვითარებაზე. სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრავს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირების ფორმებსა და მეთოდებს, მათი გამოყენების მიმართულებებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, და რომელიც აისახება სახელმწიფოს საბიუჯეტო (ფისკალურ) პოლიტიკაში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის ქვეყნის ფინანსური სისტემის ცენტრალური რგოლი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების (ხარჯების) ჩამონათვალს ფულად ფორმაში. იგი ქვეყნის ძირითადი ფინანსური გეგმაა მიმდინარე პერიოდისათვის, რომელსაც კანონის ძალა გააჩნია და რომლის მიერ აკუმულირებული ფულადი სახსრები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

სიტყვა „ბიუჯეტი“ ფრანგულიდან Rudget pochette ნიშნავს - ტყავის ქისას, რომელიც „გადააკეთეს“ ინგლისელებმა - budget-ად და ნიშნავს - ტყავის ჩანთას, ტომარას. მე-17 საუკუნიდან იგი გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამ ცნებაში - „ბიუჯეტი“, გულისხმობენ ქვეყნის ფულადი სახსრების ფონდს, რომელიც იქმნება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად.(5)

თანამედროვე, განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის როლი და არსი სრულყოფილად აისახება მის ფუნქციებში, რომელთა შორის გამოვყოფთ:

1. ერთობლივი ეროვნული პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას;
2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებასა და სტიმულირებას;
3. სოციალური პოლიტიკის ფინანსურ უზრუნველყოფას;
4. ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებას;
5. ფისკალური პოლიტიკის გავლენას ეკონომიკის ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე;

6. საბიუჯეტო რესურსების მობილიზაციისა და მათ გამოყენებაზე საბიუჯეტო კონტროლის უზრუნველყოფას.

სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკური შესწავლა მოიცავს მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებას, რომელშიც აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა: შემოსავლები, ოფიციალურად ბიუჯეტში მისაღები ტრანსფერტები, ხარჯები, დაკრედიტება, შემოსავლების გადაჭარბება ხარჯვით ნაწილზე (პროფიციტი) ან ხარჯების გადამეტება საშემოსავლო ნაწილზე (დეფიციტი).

შემოსავლები, რომლებიც დაიყოფა მიმდინარე და კაპიტალურ სახეობად, შეადგენს ბიუჯეტში სავალდებულო უკან არადაბრუნებად საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებს, ბიუჯეტში მისაღებ ოფიციალურ ტრანსფერტებს (უსასყიდლოდ, არადაბრუნებად, არასავალდებულო, არარეგულარული, ნებაყოფლობით სანყისებზე მისაღები შემოსავლებია), სხვა სახელმწიფო მმართველობის დაწესებულებებიდან (როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთიდან) ან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

გასავალი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს მიერ გასაწევ ყველა ხარჯს. ბიუჯეტის ხარჯები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად.

მიმდინარე ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის ხარჯი, რომელსაც სახელმწიფო ეწევა მმართველობითი, თავდაცვის (სამხედრო), სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გასატარებლად და სხვა.

ბიუჯეტის კაპიტალურ ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის საბიუჯეტო გასავალი (ხარჯი), რომელიც მიმართულია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკაში საინვესტიციო და საინოვაციო პროგრამებისა და კაპიტალის გადაცემასთან (ასიგნებასთან) დაკავშირებითაც, ყველა ხარჯის დასაფინანსებლად.

ქვემოთ მოყვანილია სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა (ნახ. 13.1).

შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური შეფასება მომდევნო პარაგრაფებში პოვებს ასახვას, კერძოდ, წარმოდგენილი იქნება შემოსავლებისა და გასავლების ფუნქციური კლასიფიკაციები, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალის შეფასება და ა.შ.

შემოსავლები	გასავალი (ხარჯები)
<p>I. გადასახადები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახელმწიფო სექტორის ეკონომიკური სუბიექტებიდან;</li> <li>- კერძო სექტორის ეკონომიკური სუბიექტებიდან;</li> <li>- მოსახლეობიდან.</li> </ul> <p>II. სახელმწიფო სესხებიდან (კრედიტებიდან).</p> <p>III. ქალაქის ფულის ემისიიდან.</p> <p>IV. სახელმწიფო ქონებიდან და სანარმოებიდან.</p> <p>V. მისაღები ოფიციალური ტრანსფერტები და სხვა.</p>	<p>I. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ხარჯები.</p> <p>II. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- განათლების;</li> <li>- ჯანმრთელობის დაცვის;</li> <li>- სოციალური უზრუნველყოფის.</li> </ul> <p>III. თავდაცვის (სამხედრო) ხარჯები.</p> <p>IV. მმართველობითი ხარჯები.</p> <p>V. სხვა ხარჯები (სატრანსფერტო გადასახადები)</p>

*ნახ. 13.1. სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურის სქემა*

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების (აფხაზეთისა და აჭარის) ბიუჯეტებს;

გ) ტერიტორიული ერთეულების (რაიონების, ქალაქების, დაბებისა და სოფლების) ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გამოიყენება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად. ასევე ადგილობრივი (ტერიტორიული) ბიუჯეტებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სესხების და მიზნობრივი ტრანსფერტების დასაფინანსებლად.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი დამოკიდებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისაგან. მათ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები და დამოუკიდებლად განსაზღვრავენ შემოსავლების ხარჯვის მიმართულებებს (გარდა მიზნობრივი ტრანსფერტებისა და სესხებისა, რომლებიც მათ ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაეცემათ).

ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს მიმდინარე წლის სახელმწიფოს ძირითად ფინანსურ გეგმას, რომელსაც კანონის ძალა აქვს, არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ძირითადი იარაღი, გადასახადებისა და ხარჯების მეშვეობით იგი ახორციელებს სახალხო მეურნეობაში განმანაწილებელი პროცესების ორგანიზატორის ფუნქციას და უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილიზაციას, სოციალურ სფეროს სრულფასოვან დაფინანსებას.

საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები, კერძოდ, მისი მეშვეობით განისაზღვრება:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საერთო სიდიდე. შემოსავლების ხარჯებზე გადამეტების (პროფიციტის) ან პირიქით, ხარჯების საშემოსავლო ნაწილზე გადამეტების (დეფიციტის) სიდიდე.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის გასაღების (ხარჯების) სტრუქტურა.

4. საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების წყაროები.

5. შიდა სახელმწიფო ვალის სიდიდეები.

6. სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის გამოკვლევა.

7. ფისკალური პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე.

### *§ 13.2. შემოსავლების კლასიფიკაცია და მიღებული ოფიციალური ტრანსფერტები*

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების თავმოყრისა და გამოყენების ძირითად ფინანსურ გეგმას. ბიუჯეტს ადგენენ ბალანსის სახით (ე.ი. შემოსავლებსა და ხარჯებს შორის წონასწორობის პრინციპის მეშვეობით), სადაც შემოსავლები და ხარჯები წარმოშობის წყაროების მიხედვით გარკვეულ ჯგუფებად არის კლასიფიცირებული, რაც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს, თუ საიდან ღებულობს სახელმწიფო შემოსავლებს და რა შეადგენს ხარჯვის მიზნებს.

როგორც პოსტსოციალისტური ეკონომიკის ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები დაფუძნებული იყო 1930 წლიდან 1990 წლამდე ძირითადად გადასახადის ორ სახეზე, კერძოდ, ბრუნვის გადასახადსა და მოგებიდან გადასახადზე. ისინი შეადგენდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 90%-ზე მეტს.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანასთან დაკავშირებით შეიცვალა საგადასახადო სისტემა. საქართველოს საგადასახადო კოდექსით (3) გათვალისწინებულია გადასახადების მრავალი სახეობა, რომლის სტრუქტურა წარმოდგენილია პირდაპირ და ირიბ გადასახადებად.

გადასახადების არსი, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის ნაწილს და რომელთა მობილიზაცია ხდება საბიუჯეტო სისტემის ყველა რგოლში, გამოიხატება მათ ფუნქციებში:

ა) ფისკალური ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სისტემაში მეტი სახსრების მობილიზაციას, და

ბ) მარეგულირებელი ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ გადასახადების მეშვეობით კვლავწარმოების პროცესის ჩარევაში.

პირდაპირი გადასახადები ითვალისწინებენ გადასახადის გადამხდელისაგან შემოსავლის ნაწილის უშუალო ამოღებას. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადი, ეკონომიკური სუბიექტების გადასახადი მოგებიდან, ქონების გადასახადი, საგარეო ვაჭრობისა და ოპერაციებზე გადასახადი და სხვა.

ირიბი გადასახადები, რომლებსაც მიაკუთვნებენ ისეთ გადასახადებს, როგორცაა დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზები, საბაჟო გადასახადები და სხვა.

საერთაშორისო საბიუჯეტო კვალიფიკაციების შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებას აწარმოებენ:

ა) საგადასახადო შემოსავლების, ბ) არასაგადასახადო შემოსავლებისა და გ) ოფიციალური ტრანსფერტების (გრანტების) მეშვეობით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1997-2000 წწ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ჩამონათვალს და მათ სიდიდეებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების  
კლასიფიკაცია მილიონ ლარებში

N	მაჩვენებლების დასახელება	1997 წ.	1998	1999	2000
		(ფაქტი)	(დამტკიცებული გეგმა)	(პროგნოზი)	დამტკიცებული გეგმა (ცვლელის გარეშე)
1.	საგადასახადო შემოსავლები - სულ მათ შორის: დღგ (ადგილობრივი და იმპორტზე)	352,7 199,9	476,8 253,4	524,9 286,1	
	აქციზები (ადგილობრივი და იმპორტზე)	49,1	108,0	80,5	
	საშემოსავლო	28,8	36,6	46,1	
	მოგების	13,5	19,9	27,6	
	საბაჟო გადასახადი	58,7	58,9	84,6	
	სხვა საგადასახადო შემოსავლები	2,7	-	-	
2.	არასაგადასახადო შემოსავლები	101,2	59,0	108,1	
3.	კაპიტალური შემოსავალი	13,1	59,0	70,1	
4.	შემოსავალი სახელმწიფო ფონდებიდან - სულ მათ შორის: სოციალური დაზღვევის ფონდი	101,8 71,7	177,0 147,7	222,5 164,1	205,8 148,3
	დასაქმების ფონდი	3,2	4,3	6,1	5,3
	საგზაო ფონდი	26,9	25,0	52,3	52,2
5.	მთლიანი შემოსავლები (1+2+3+4)	568,8	727,8	925,5	
6.	მისაღები ტრანსფერტები (გრანტები) მთლიანი შემოსავლები და ტრანსფერტები	24,4 593,2	34,0 761,8	36,7 962,2	874,4

როგორც 13.1 ცხრილიდან ჩანს, ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ირიბ გადასახადებს (დღგ, აქციზები, საბაჟო გადასახადები). მაგალითად, 1997 წლის ბიუჯეტში მათზე მოდიოდა საგადასახადო შემოსავლების საერთო თანხის თითქმის 88%-მდე.

### *§13.3. სახელმწიფო ბიუჯეტის გასაღების კლასიფიკაცია*

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში ჩვენს ქვეყანაში ადრე არსებული ბიუჯეტის სტრუქტურა, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, მკვეთრად შემცირდა ცენტრალური საბიუჯეტო ასიგნებანი სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებაზე.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, საერთაშორისო სტატისტიკის ბიუჯეტური კლასიფიკაციის შესაბამისად, მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ:

1) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციური დანიშნულებით;

2) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით.

საბიუჯეტო დაფინანსებას აწარმოებენ შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე:

ა) მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მინიმალური დანახარჯებით;

ბ) საბიუჯეტო ასიგნებათა დაუბრუნებადობა;

გ) საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყენების მიზნობრივი ხასიათი;

დ) საბიუჯეტო სახსრების განაწილება ადრე გაცემულ ასიგნებათა გამოყენების გათვალისწინებით.

განვიხილოთ ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებული ხარჯები (იხ. ცხ. 13.2). ქვეყანაში მიმდინარე მძიმე ეკონომიკური კრიზისის დახასიათების მიზნით მოყვანილია საქართველოში მიმდინარე ფისკალური რეფორმის განმახორციელებელი ბარენცის ჯგუფის მიერ ჩატარებული სახელმწიფო ბიუჯეტის (1999 წ.) სტრატეგიული მიმოხილვა და ბიუჯეტის მაჩვენებელთა დეტალური შეფასება (2).

ცხრილის (13.2) ანალიზის მიხედვით ვასკვნით, რომ მიმდინარე ხარჯების ზრდის ტემპი (16,5%) ჩამორჩება მთლიანი ხარჯების ზრდის ტემპს (23,3%). მთლიანი კაპიტალური ხარჯები გაიზარდა (28,2%) წინა წელთან შედარებით, რომლის დიდი ნაწილი მოდის ტრანსპორტის სფეროზე, ძირითადად გზების შესაკეთებელ სამუშაოებზე.

ამასთან, მსოფლიო ბანკის კრედიტებით დაფინანსებული დაკრედიტების ზრდის ტემპი დაფარვის გამოკლებით, წინ



ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებული  
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები მლნ ლარებში

N	მაჩვენებლების დასახელება	1997 (ფაქტი)	1998 (გეგმა)	1999 (პროექტი)	(ცვლილება 1998 ნელთან შედარებით (%)
I.	მიმდინარე ხარჯები				
1.	ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე სულ	419,0	393,2	475,7	21
	მათ შორის:				
	ხელფასები	71,1	90,4	126,3	31,7
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	7,8	13,9	21,6	55,2
	მივლინებები	12,7	6,3	10,1	61,8
	სხვა საქონელი და მომსახურება	327,4	282,7	317,8	12,4
2.	პროცენტების გადახდა	70,0	88,5	132,6	49,8
	მათ შორის:				
	საშინაო (ადგილობრივი) ვალების და სხვა	26,8	44,8	67,5	50,7
	საგარეო ვალის (ფინანსური ორგანიზაციების)	43,2	43,7	65,1	49,0
3.	სუბსიდიები და სხვა მიმდინარე ტრანსფერტები	184,2	358,1	369,8	3,2
	მათ შორის:				
	- მიმდინარე ტრანსფერტები	145,5	300,7	290,0	-3,5
	- სუბსიდიები	38,7	57,5	79,8	38,8
	სულ მიმდინარე ხარჯები	673,2	839,9	978,1	16,5
	II. კაპიტალური ხარჯები				
4.	ძირითადი კაპიტალის შეძენა	87,4	55,0	71,3	29,5
	- აღჭურვილობის შეძენა	-	9,6	9,5	-0,6
	- კაპიტალური ინვესტიციები	-	16,4	12,4	-24,2
	- კაპიტალური შეკეთება	-	29,1	49,4	-69,6
5.	აქციების შეძენა	0,9	0,9	0,4	-54,8
	სულ კაპიტალური ხარჯები	88,2	55,9	71,7	29,2
6.	დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით (ინვესტიციების დაკრედიტება)	15,4	43,0	107,7	150,3

უსწრებს მთლიანი ხარჯების ზრდის ტემპს. ცვლილება 1998 ნელთან შედარებით შეადგენს 64,7 მლნ ლარს (107,7-43,0), ანუ 150,3%. ეს დაკრედიტება მიმართულია საინვესტიციო

მიზნებისათვის საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში (მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება ენერგოსექტორს).

განვიხილოთ ფუნქციური სფეროების მიხედვით კლასიფიცირებული ხარჯები (იხ. ცხრილი 13.3) ქვეყნის ბიუჯეტში 1997-1999 წლების მონაცემების საფუძველზე.

*ცხრილი 13.3*

ხარჯების ფუნქციური კლასიფიკაცია მლნ ლარებში

N	მაჩვენებლების დასახელება	1997 (ფაქტი)	1998 (დაბუჯტ გეგმა)	1999 (პროექ)	ცვლადობა 1998 წ. შედარებით %
1.	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	95,8	96,5	230,9	139,2
2.	თავდაცვა	67,5	70,0	71,9	2,8
3.	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	93,3	84,0	92,8	3,8
4.	განათლება	46,3	48,1	51,0	6,1
5.	ჯანდაცვა	25,6	50,4	39,3	-22,0
6.	სოციალური უზრუნველყოფა	190,0	274,1	3000,0	9,4
7.	საბინაო-კომუნალური მომსახურება	5,8	9,8	9,0	-7,5
8.	კულტურა, სპორტი და რელიგია	36,1	46,1	39,5	-14,3
9.	სათბობენერგეტიკა	11,9	1,3	2,2	63,9
10.	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ნადირობა	17,4	34,4	34,2	-0,3
11.	სამთო მრეწველობა და მინერალური რესურსები	2,7	6,8	5,1	-24,3
12.	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	38,6	60,3	54,2	-10,1
13.	სხვა ეკონომიკური საქმიანობა	3,4	23,1	7,9	-65,8
14.	ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიების ხარჯებს	142,5	187,9	219,4	16,8
15.	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	776,8	998,1	1157,5	16,0

როგორც 13.3 ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, 1999 წლის ბიუჯეტში ხარჯების ზრდა ნაგულისხმევია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 1998 წლის 96,5 მლნ ლართან შედარებით 230,9 მლნ ლარამდე, რომელიც ძირითადად

განპირობებულია მსოფლიო ბანკის კრედიტების ამ კატეგორიაში გაერთიანებით, რომელიც შემდგომში გადანაწილდება შესაბამის კატეგორიებში. ასეთი მიდგომა იწვევს ცვლილებებს დანარჩენი კატეგორიების ხარჯებში. 1998 წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 16%-ით გაიზარდა.

ბიუჯეტის ხარჯებში ერთ-ერთ პრიორიტეტად წარმოდგენილია ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნება და მომსახურება. ხარჯები თავდაცვაზე შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 6,2 პროცენტს, ანუ 71,9 მლნ ლარს. ანალოგიური მაჩვენებელი საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებაზე შეადგენს 8,0 პროცენტს, ანუ 92,8 მლნ ლარს. განათლებაზე გამოყოფილია 51,0 მლნ ლარი, ანუ 4,4 პროცენტი. ჯანდაცვაზე ხარჯები შეადგენს 39,3 მლნ ლარს, ანუ მთელი ხარჯების 3,4 პროცენტს. მნიშვნელოვნად იზრდება (1999 წლის პროექტში) სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, 9,4 პროცენტით.

ზემოთ ნაჩვენები ანალიზით ვადგენთ, რომ ხარჯები ძირითადად მიმართულია ნაკლებშემოსავლიანი მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის გარანტიების შექმნასა და სოციალური მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტური გამოყენებისაკენ, მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალური გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ ბიუჯეტის ხარჯების ფორმირებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის შემდგომი განვითარება, ხელი შეუწყოს კერძო სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასა და სტაბილური ეკონომიკისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რომელიც მოიზიდავს შემდგომში უცხოურ ინვესტიციებს ადგილობრივი წარმოების განსავითარებლად.

#### *§ 13.4. საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალის კლასიფიკაცია*

სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტის დაბალანსება (შემოსავლები უდრის ხარჯებს) ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის უმთავრესი პირობაა.

ცნობილია, რომ ხარჯების შემოსავალზე გადამეტება ქმნის ბიუჯეტის დეფიციტს. ბიუჯეტის დაბალანსებისათვის მტკიცდება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული დონე.

როდესაც შეიქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ქვეყანაში ადგილი ექნება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული დონის ნიშ-

ნულზე გადამეტებას, მაშინ გამოიყენება ბიუჯეტის ხარჯების სეკვესტრის მექანიზმი.

სეკვესტრი არის დარჩენილი ფინანსური წლის მანძილზე საბიუჯეტო ხარჯების ყოველთვიური პროპორციული შემცირება ბიუჯეტის ხარჯების ყველა მუხლის (დაცული მუხლების გარდა) მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება იყოს ნებისმიერ ქვეყანაში და განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენს. მაგალითად, ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ახორციელებს მსხვილ ინვესტიციებს (დაბანდებებს) ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ასეთი დეფიციტი, ბუნებრივია, საშიში არ არის.

როგორი მდგომარეობაა საქართველოში? საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი განპირობებულია არა მსხვილი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებით, არამედ, როგორც გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი ვ. ზურაბიშვილი სამართლიანად თვლის, საბაზრო ურთიერთობის ფორმირების დაწყებიდან (1991 წლიდან) ეკონომიკაში არსებული კრიზისული მოვლენებით (6).


საერთაშორისო სავალუტო ფონდს შემუშავებული აქვს საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების ოპერაციების ორი კლასიფიკაცია. ესენია: საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო და სავალო (სასესხო) ვალდებულებების ტიპის ოპერაციების გამოყენება (სხვადასხვა სახის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ემისია).

საინტერესოა დეფიციტური დაფინანსების პოლიტიკის გატარების შესახებ ჯ.მ. კეინსის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. იგი მხარს უჭერს ეკონომიკური ზრდის გამხნევების მიზნით და სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად დეფიციტური დაფინანსების პოლიტიკის გატარების მიზანშეწონილობას (5).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის წევრია 177 ქვეყანა, შეიქმნა 1944 წელს აშშ ინიციატივით და ცნობილია „ბრატინ-ვუდის“ სისტემის სახით. საერთაშორისო სავალუტო ფონდს მინიჭებული აქვს გაეროს სპეციალიზებული დანესებულების სტატუსი. პრაქტიკულად, იგი სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა შორის სავალუტო ურთიერთობას, მათ საგადამხდელო

ბალანსს, გასცემს მოკლევადიან სესხებს სავაჭრო ანგარიშ-სწორების მოსაგვარებლად და სხვა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ე.წ. „კრედიტორების ტიპის“ სქემა განხილულია ქვემოთ. საერთო დაფინანსება მოიცავს დაფინანსებას როგორც საშინაო წყაროებიდან, ასევე საგარეო წყაროებიდან (იხ. სქემა 13.2).



*ნახ. 13.2. ბიუჯეტის დეფიციტის „კრედიტებით“ დაფინანსების საშინაო და საგარეო წყაროების სქემა*

სავალო (სასესხო) ვალდებულებების ტიპის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების სქემის (იხ. ნახ. 13.3) ანალიზი უჩვენებს, რომ დაფინანსების წყაროები დაკავშირებულია სახელმწიფოს ვალდებულებების გამოშვებასთან და განთავსებასთან, მსესხებელთათვის სავალო ვალდებულებების მომსახურების დაფარვის უზრუნველყოფასთან.

**ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება**

დაფინანსების საშინაო წყაროები
1. გრძელვადიანი ობლიგაციები (სახელმწიფო სასესხო ვალდებულება)
2. მოკლევადიანი ობლიგაციები და თამასუქები
3. გრძელვადიანი სესხები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანარჩენ სასესხო კატეგორიებს
4. მოკლევადიანი სესხები და ავანსები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანარჩენ კატეგორიებს
5. სხვადასხვა ვალდებულებები
6. ლიკვიდურობის მართვისათვის განკუთვნილი ნაღდი ფულის, დეპოზიტების, ფასიანი ქაღალდების მოცულობების ცვლილებით მიღებული სახსრები

დაფინანსების საგარეო წყაროები
1. გრძელვადიანი ობლიგაციები (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან)
2. მოკლევადიანი ობლიგაციები და თამასუქები
3. გრძელვადიანი სესხები და ავანსები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანარჩენ კატეგორიას
4. მოკლევადიანი სესხები და ავანსები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანარჩენ კატეგორიას
5. სხვადასხვა ვალდებულებები
6. ლიკვიდურობის მართვისათვის განკუთვნილი ნაღდი ფულის, დეპოზიტების, ფასიანი ქაღალდების მოცულობების ცვლილებით მიღებული სახსრები

*ნახ. 13.3. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების „სავალო ვალდებულებების“ ტიპის სქემა*

ქვემოთ განხილული გვაქვს საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზე ხარჯების გადამეტების - დეფიციტის ზღვრული ოდენობის 389,7 მლნ ლარის დაფარვის წყაროები (1), კერძოდ:

ა) დაფინანსების საშინაო წყაროებიდან - 148,1 მლნ ლარი, მათ შორის: ეროვნული ბანკისადმი წმინდა დავალიანების (მიღებული 5 წლის ვადით კრედიტის) ზრდა - 29,6 მლნ ლარი,

- სახელმწიფოს სახელით ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები საბაზინო ვალდებულებების განთავსების გზით მობილიზებული სახსრებით - 9,5 მლნ ლარი,

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობიდან მიღებული შემოსავალი - 103,0 მლნ ლარი,

- საანგარიშო წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი - 6 მლნ ლარი.

ბ) დაფინანსების საგარეო წყაროებიდან - 241,6 მლნ ლარი.

მათ შორის: - მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 223,6 მლნ ლარი,

- აშშ-ის მთავრობის მიერ გამოსაყოფი კრედიტით მიღებული საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხები.

საქართველოში წარმოშობილმა კრიზისულმა მოვლენებმა, რაც განპირობებულია ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსების უკმარისობით (პოსტსოციალისტურ პერიოდში ჩამოყალიბებული საწარმოო სამეურნეო კავშირების რღვევით), ინფლაციური და სხვა ნეგატიური მოვლენების გაღრმავებით, გამოიწვიეს სახელმწიფო ბიუჯეტის დადგენილი დეფიციტის გადამეტება, საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი შემცირება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო იძულებული ხდება უკანასკნელი პერიოდის მანძილზე აამოქმედოს ბიუჯეტის სეკვესტრირების მექანიზმი.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესახებ ინფორმაციები მოტანილია ქვემოთ (იხ. ცხრილი 13.4).

*ცხრილი 13.4*

საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი 1992-2000 წლებში  
(საზომი ერთეულები: 1992 წ. - მლნ მან., 1993-1994 წწ. - მლნ კუპ.,  
1995-2000 წწ. - მლნ ლარი)<sup>1</sup>

წლები	დეფიციტის თანხა	დეფიციტი პროცენტობით	
		საბიუჯეტო ხარჯების მიმართ	მთლიანი შიდა პროდუქციის მიმართ
1990	-	-	-
1991	-	-	-
1992	24995,5	55,0	18,1
1993	693881,9	52,1	2,5
1994	22769833,0	37,6	1,3
1995	177,78	39,6	4,8
1996	254,27	32,9	6,7
1997	180,35	19,4	4,0
1998	146,68	14,4	3,1
1999	266,33	22,4	4,8
2000	196,47	23,6	3,2

როგორც ცხრილიდან (13.4) ჩანს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 1992 წელს მთელი საბიუჯეტო ხარჯების 55,0 პროცენტს შეადგენდა, 1993 წელს - 52,1 პროცენტს. მართალია, იგი 1997-1998 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა (შესაბამისად, შეადგენდა 19,4 და 14,4 პროცენტს), მაგრამ 1999-2000 წლებში კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება (22,4 და 23,6

<sup>1</sup> მონაცემები აღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებიდან ბიუჯეტის, შესრულების შესახებ.

პროცენტით). ასეთ პირობებში, მართალია, 1992 წელთან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტი თითქმის სანახევროდ შემცირდა, მაგრამ ეს შემცირება მიღწეულ იქნა საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრი შემცირებით. შესაბამისად, ვერ დაფინანსდა სოციალური მნიშვნელობის მრავალი ღონისძიება (6).

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ხდებოდა 1998 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყოფილი ხუთწლიანი კრედიტით 54,0 მლნ ლარის ოდენობით (30,5%) ბიუჯეტის დეფიციტის მიმართ) 11-პროცენტია სარგებლით, 1999 წელს - 155,0 მლნ ლარის კრედიტით 12-პროცენტია სარგებლით, 2000 წელს - 64,9 მლნ ლარის კრედიტით (რაც კოეფიციენტის ზღვრული ოდენობის მიმართ შეადგენს 22,1%) - ხუთწლიანი ვადით 12-პროცენტია სარგებლით.

ბიუჯეტის დეფიციტის ბანკის კრედიტით დაფარვა სახარბიელო არ არის, რადგან იგი განაპირობებს მიმოქცევაში ფულის მასის ზრდას და აძლიერებს ქვეყანაში ინფლაციურ პროცესებს.

მსოფლიო ეკონომიკური პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო კრედიტის სხვადასხვაგვარი ფორმები. კერძოდ, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებისა და განთავსების შედეგად მობილიზებული სახსრები.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოიყენება საგარეო წყაროებიც. კერძოდ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ გამოსაყოფი გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტებით გათვალისწინებული იყო 1997 წლის ბიუჯეტის დეფიციტის დადგენილი ზღვრული ოდენობის დასაფარავად 102,4 მლნ ლარის ოდენობით (მთელი დეფიციტის 51,2 პროცენტი. შესაბამისად, 1998 წელს - 87 მლნ ლარის (49,2 პროცენტი), 1999 წელს - 284,8 მლნ ლარის (92 პროცენტი), 2000 წელს - 184,5 მლნ ლარის (63 პროცენტი) და 2001 წელს - 177,6 მლნ ლარის (64 პროცენტი) ოდენობით. მართალია, ეს კრედიტები შეღავათიანია, მაგრამ მათი საშუალებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ასეთი მაღალი მასშტაბებით იწვევს ქვეყნის საგარეო ვალის ზრდას.

ქვეყნის სახელმწიფო ვალეები სავალ ვალდებულებათა მესაკუთრეების ტიპებიდან გამომდინარე კლასიფიცირდება შიგა სახელმწიფოებრივ და საგარეო ვალებად.



ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ასეთ კრიზისულ პირობებში ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის საქმეში პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იყოს მიჩნეული საბიუჯეტო შემოსავლების გადიდება, რაც მიიღწევა ეკონომიკის გაჯანსაღებით, წარმოების გაფართოებისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მეშვეობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკური შესწავლა მოიცავს ისეთ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებას, რომელშიც აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგი მაჩვენებლები: შემოსავლები, მისაღები ტრანსფერტები, ხარჯები (მიმდინარე და კაპიტალური), დაკრედიტება, ბიუჯეტის დეფიციტი და მისი დაფარვის წყაროები ან ბიუჯეტის პროფიციტი (შემოსავლების გადამეტება ხარჯვით ნაწილზე).

სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა წარმოდგენილია შემოსავლების და გასავლების (ხარჯების) სახით. იგი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის (წლის) ძირითად ფინანსურ გეგმას, რომელსაც კანონის ძალა აქვს, არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ძირითადი იარაღი, უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსურ სტაბილიზაციას და სოციალური სფეროს სრულფასოვან დაფინანსებას.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების (აფხაზეთისა და აჭარის) ბიუჯეტებს;

გ) ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების (რაიონების, ქალაქების, დაბებისა და სოფლების) ბიუჯეტებს.

ბიუჯეტში შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც ბალანსის ფორმით არის წარმოდგენილი, კლასიფიცირებულია მათი წარმოშობის წყაროების მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს, თუ საიდან ლეზულობს შემოსავლებს და რა შეადგენს ხარჯვის მიზნებს.

გადასახადები (პირდაპირი და ირიბი), ასრულებენ ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციას და უზრუნველყოფენ საბიუჯეტო სისტემაში შემოსავლების ფორმირებას. ამასთანავე, ბიუჯეტში შემოსავლების მიღების წყაროებად გვევლინება არასაგადასახადო შემოსავლები და მისაღები ოფიციალური ტრანსფერტები (გრანტები), კაპიტალიდან შემოსავალი და სხვა. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია

საგადასახადო განაკვეთები, რომლის საფუძველზეც ინარმოება დასაბეგრი თანხის ოდენობის დადგენა.

საერთაშორისო სტატისტიკის ბიუჯეტური კლასიფიკაციის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების (გასავლების) კლასიფიკაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციური დანიშნულებით;

2) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით.

ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის უმთავრეს პირობად გვევლინება სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტის დაბალანსება (შემოსავლები უდრის ხარჯებს). როცა ადგილი აქვს ხარჯების შემოსავალზე გადამეტებას, წარმოიშობა სიტუაცია, რომელიც იწოდება საბიუჯეტო დეფიციტად და ბიუჯეტის დასაბალანსებისათვის მტკიცდება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული დონე. ასე, მაგალითად, 2000 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის ზღვრულ დონედ აღიარებულია 389,7 მლნ ლარი. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის პროცესში, თუ მოსალოდნელია ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული დონის გადამეტება (ე.ი. ადგილი აქვს შემოსავლების შემცირებას), მაშინ გამოიყენება ბიუჯეტის ხარჯების სეკვესტრის მექანიზმი.

სეკვესტრი არის დარჩენილი ფინანსური წლის მანძილზე საბიუჯეტო ხარჯების ყოველთვიური პროპორციული შემცირება ბიუჯეტის ხარჯების ყველა მუხლის (დაცული მუხლის გარდა) მიხედვით.

საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების ოპერაციების საწარმოებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდი იყენებს საკრედიტო და სავალო (სასესხო) ვალდებულებების ფორმატებს (სახელმწიფო ობლიგაციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება და განთავსება).

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას უზრუნველყოფენ საშინაო და საგარეო წყაროების მეშვეობით. საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის 1992-2000 წლებში ანალიზით დასტურდება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისი, რომელიც წარმოშობს სახელმწიფო ვალებს. იგი კრედიტორის ტიპიდან გამომდინარე, დაიყოფა შიგა სახელმწიფოებრივ და საგარეო ვალებად.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის მიზნით, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია

საბიუჯეტო შემოსავლების გადიდება ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებით, რაც მიიღწევა ადგილობრივი წარმოების გაფართოებით და მენარმეობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებით.

### *საკონტროლო კითხვები*

1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით როგორ შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკის ამოცანები?
2. დაახასიათეთ სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები (სტრუქტურა).
3. მოიყვანეთ საერთაშორისო საბიუჯეტო კლასიფიკაციები და მათი ფორმირების პრინციპები.
4. დაახასიათეთ საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და შემოსავლების კლასიფიკაცია საშემოსავლო და არასაშემოსავლო გადასახადების (მათი სახეების), მისაღები ტრანსფერტების მიხედვით.
5. დაახასიათეთ საქართველოს ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია (ანალიზის წარმოებით), როგორც ფუნქციური, ასევე ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით.
6. რაში გამოიხატება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში?

### *გამოყენებული ლიტერატურა*

1. საქართველოს კანონი 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
2. საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სტრატეგიული მიმოხილვა - ქვეყნის ფისკალური რეფორმის მასალები მომზადებული აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ბარენცის ჯგუფის - Barehst Group LLC მიერ. თბ., 1999.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ., 1997.
4. საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“.
5. გ. ცაავა, ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თსუ სოხუმის ფილიალი, თბ., 1999.

6. ვ. ზურაბიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში (1991-2000 წლები), უურნ. ბულალტრული აღრიცხვა, თბ., 2001 წ. N 4, გვ. 18-22).

7. ი. მესხია, საბიუჯეტო კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები. საქართველოს IV რესპუბ. ეკონომისტთა კონფერენ. მასალები, თსუ სოხუმის ფილიალი, 2001.

8. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 1997.

9. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., 1999.

10. გ. გამსახურდია, ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის საკითხი. თბ., 1997.

11. ჯ. შათირიშვილი, საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის სრულყოფის აქტუალური საკითხები. საქართველოს IV რესპუბ. ეკონომისტთა კონფერენ. მასალები, თსუ სოხუმის ფილიალი, 2001.

12. ნ. ძიმცვიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზის ზოგიერთი ასპექტი. საქართველოს IV რესპუბ. ეკონომისტთა კონფერენ. მასალები, თსუ სოხუმის ფილიალი, 2001.

13. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.И. Иванова), М., 1998.

## თემა 14. საფონდო ბაზრის (ფასიანი ქაღალდების) სტატისტიკა

### § 14.1. საფონდო ბაზრის ცნება და სტატისტიკის ამოცანები

საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი და განუყოფელი ნაწილია საფონდო ბაზარი, რომელიც ფართო გაგებით არის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სადაც მიმდინარეობს დაგროვების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესი. საფონდო ბაზრის მდგომარეობაში აისახება მიმდინარე მაკროეკონომიკური კონიუნქტურა, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ საფინანსო (ფისკალური) და ფულადსაკრედიტო (მონეტური) პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.


საფონდო ბაზრის სტატისტიკურმა შესწავლამ უნდა უზრუნველყოს საფონდო ბაზრის მდგომარეობის შემაჯამებელი მაჩვენებლების განსაზღვრა, რომლებიც ახასიათებენ ფასების დონეს, საპროცენტო განაკვეთებისა და შემოსავლების დონეებს, რისკის ხარისხს, ფინანსური აქტივების მონაწილეობით წარმოებული ოპერაციების მოცულობებს და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ არსებობდა. მისი ჩამოყალიბება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც რეგულირდება მოთხოვნა-მიწოდების კანონის მეშვეობით, წარმოადგენს როგორც ფულად ბაზარს (სადაც ხორციელდება დაგროვების მოკლევადიანი მოძრაობა), ასევე კაპიტალის ბაზარს (სადაც ხორციელდება დაგროვების საშუალო და გრძელვადიანი მოძრაობა), რომლებიც ასევე მოიცავენ პირდაპირი საბანკო კრედიტების მოძრაობას, შიდასაწარმოო (საფირმო) კრედიტებს, ფულადი რესურსების გადანაწილებას სადაზღვევო დარგის მეშვეობით და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი მრავალი თვალსაზრისით ეკონომიკური ზრდის დაფინანსების მარტივი და საუკეთესო წყაროა. ნებისმიერ ეკონომიკაში, მის ერთ პოლუსზე წარმოიშობა ფულადი დაგროვება, მეორეზე არსებობს დამატებითი ფულადი სახსრების ინვესტიციებში ჩართვის მოთხოვნილება. შესაბამისად, არსებობს წინაპირობა ეკონომიკაში გადამანაწილებელი მექანიზმის წარმოებისათვის.

ცნობილი ქართველი მეცნიერი, საფინანსო-საბანკო საქმის თვალსაჩინო მენეჯერი გ. ცაავა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - „ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი“ (3) საბაზრო ეკონომიკის არსებობისათვის ფულადი დანაზოგების მოძრაობის პრინციპულად ახალ მექანიზმს წარმოგვიდგენს (იხ. ნახ. 14.1).



*ნახ. 14.1. ფულადი დანაზოგების მოძრაობის გადამანაწილებელი მექანიზმის სქემა საბაზრო ეკონომიკის მოდელში*

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი არასაკმარისად არის განვითარებული. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირება მოითხოვს მისი მომსახურე პროფესიონალების მომზადებას. ძირითად პროფესიონალებად საფონდო ბაზარზე გვევლინებიან ბროკერები (შუამავლები გარიგებების დადებისას), დილერები (გარიგებაში მონაწილეობენ თავიანთი კაპიტალით) და ჯობერები (ბაზრის კონიუნქტურის სპეციალისტები). მათთან ერთად საფონდო ბაზარს ემსახურებიან ასევე ბანკის მოსამსახურეები, საინვესტიციო ფონდის, სახელმწიფო მოხელეები, იურისტები და აუდიტორები.

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების არსის გარკვევა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია და მისი სტატისტიკური შესწავლა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად გვესახება.

**§ 14.2. ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია და ძირითადი სახეები (აქციები, ობლიგაციები)**

ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის შესახებ ეკონომისტთა წრეში განსხვავებული თვალსაზრისია ჩამოყალიბებული (2; 3). მიუხედავად ამისა, ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- ა) ფასიანი ქაღალდები შემოსავლის მიხედვით;
- ბ) ფასიანი ქაღალდები ემიტენტის მიხედვით;

გ) ფასიანი ქაღალდები მოქმედების ვადისა და ფუნქციონირების ადგილის მიხედვით.


შემოსავლის მიხედვით ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს: 1) სასესხო და 2) საინვესტიციო.

სასესხო ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება ყველა სახის ობლიგაცია და თამასუქი ემიტენტისა და მათი არსებობის ხანგრძლივობისაგან დამოუკიდებლად და მასში ნაგულისხმევია ემიტენტის ვალდებულება დაფაროს ძირითადი თანხა და გადაიხადოს პროცენტი (სარგებელი) შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთისა და ვადების მიხედვით.

საინვესტიციო ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება ყველა სახის აქცია და იგი მის მფლობელს აძლევს ემიტენტის აქტივების ნაწილზე საკუთრების უფლებას.

ემიტენტი არის სახელმწიფო, საწარმო, დანესებულება, ორგანიზაცია, რომელიც უშვებს მიმოქცევაში ფულად ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს, საგადამხდელო-საანგარიშგებო დოკუმენტებს. ეროვნული ბანკი ახდენს ფულადი ნიშნების, სახაზინო თამასუქების ემიტირებას. კომერციული ბანკები იყენებენ ფასიანი ქაღალდების, აკრედიტივების და სხვა საგადასახადო დოკუმენტების ემისიას.

ქვემოთ მოყვანილია ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია (იხ. ნახ. 14.2).



ნახ. 14.2. ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის სქემა

ზემოთ მოყვანილი ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციაში (14.2) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ობლიგაციები და აქციები, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოთ იყო წარმოდგენილი (იხ. თემები 12; 13). აქ ჩვენ მათზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

განვიხილოთ ფასიანი ქაღალდების კატეგორიები:

ობლიგაცია იურიდიული, სტანდარტიზებული დოკუმენტია, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენს. იგი სავალო მონმობაა, რომელიც მოიცავს ორ მთავარ ელემენტს:

1) ემიტენტის ვალდებულებას, დაუბრუნოს ობლიგაციის მფლობელს დათქმული ვადის გასვლის შემდეგ თანხა, რომელიც მან მიიღო მოცემული ობლიგაციის გამოშვების დროს;

2) ემიტენტის ვალდებულებას, გადაუხადოს ობლიგაციის მფლობელს რეგულარული ფიქსირებული შემოსავალი ობლიგაციაზე აღნიშნული ნომინალური ღირებულებიდან პროცენტის სახით.

ობლიგაციების კლასიფიკაციას აწარმოებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- 1) ემიტენტის სტატუსის;
- 2) გამოშვების მიზნის;
- 3) ვადების;
- 4) გამოშვების ფორმის;
- 5) საიმედოობის;
- 6) შემოსავლების გადახდის;
- 7) დაფარვის წესის მიხედვით.

და, როგორც წესი, ობლიგაციების ბაზარზე ემიტენტებად გვევლინებიან: 1) სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოები, 2) კერძო კომპანიები და 3) საგარეო მსესხებლები, რომლებიც თავის მხრივ სახელმწიფო და კერძო მსესხებლებად იყოფა. ემიტენტის სტატუსი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ნაკლებია მისი გაკოტრების რისკი. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით სახელმწიფოს ეგიდით გამოშვებული ობლიგაციები „საიმედოობის ეტალონად“ მოიაზრება.

სესხის ობლიგაციები გამოშვების მიზნის მიხედვით დაიყოფა:

1) ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია ახალი პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა განხორციელებასაც ემიტენტი აპირებს,

2) ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია ემიტენტის დავალიანების რეფინანსირებისათვის,



3) ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომელთაც ემიტენტის საქმიანობასთან კავშირი არა აქვს.

როგორც უკვე აღინიშნა, ობლიგაცია წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტს, რომელშიც მოიაზრება ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოშვებულია ერთ ნელზე მეტი ვადით. აქედან გამომდინარე, ობლიგაციები გამოშვების ვადის მიხედვით იყოფა საშუალოვადიან (1-დან 10 წლამდე მოქმედების ვადით) და გრძელვადიან (10 წელზე მეტი მოქმედების ვადით) ობლიგაციებად.

საფონდო ბაზრების მოქმედების პრაქტიკაში შემუშავებულია ობლიგაციების გამოშვებისა და მათი დამცავი მექანიზმის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს იმათი ინტერესების დაცვას, ვინც თავის სახსრებს ობლიგაციაში აბანდებს. უფრო ეფექტიანი მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ობლიგაციის გამოშვება შეიძლება შედგეს, თუ თითოეულ გამოშვებას ეყოლება ნდობით აღჭურვილი პირი პრაქტიკაში. ასეთად ჩვეულებრივად გვევლინება ბანკი, რომელიც ასრულებს ობლიგაციების გამოშვების პირობებისა და მათ დაცვაზე კონტროლის ფუნქციებს.

აშშ-ში არსებული კანონმდებლობით ნდობით აღჭურვილი პირის არჩევა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების შესახებ კომისიის მიერ უნდა იქნეს დაშვებული. ეს უკანასკნელიც ნდობით აღჭურვილ პირთან ერთად ჩართულია კონტროლის მექანიზმში ემიტენტის მიერ ობლიგაციის მფლობელთა ვალდებულებების დაცვაზე.

საიმედოობის თვალსაზრისით ობლიგაციები იყოფა:

1) მატერიალური აქტივების სანინდრით (საგირავნო) უზრუნველყოფილი და 2) სანინდრით არა უზრუნველყოფილი.

როგორც წესი, სანინდრის ხასიათი დაითქმება ემისიის დროს და იგი შეიძლება იყოს „ღია“ (ე.ი. შესაძლებელია მათი განმეორებითი დაგირავება). „დახურული“. სანინდრის „ხარისხი“ მაღალია, თუ იგი მატერიალური აქტივებით (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები) არის წარმოდგენილი.

ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არის ვალის თანხა ობლიგაციის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, რომელიც შემდგომში დაფარვას ექვემდებარება. იგი დაფიქსირებულია ობლიგაციის გამოშვებისას (დასაწყისშივე) და არ იცვლება მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან ერთდროულად ნომინალი

არის მნიშვნელოვანი ათვისების ნერტილი, სავალო მონმობის მიერ გამომუშავებული შემოსავლისათვის.

ყოველწლიურად ობლიგაციის ვადის განმავლობაში ობლიგაციის მფლობელობასთან დაკავშირებული ფიქსირებული თანხის მიღების უფლებას ანუიტეტი ენოდება.

წლის განმავლობაში მიღებული სარგებლის თანხის (პროცენტის) თანაფარდობას ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ობლიგაციის შემოსავლიანობა (კუპონის შემოსავლიანობა) ენოდება.

როგორც წესი, იმ პერიოდის გასვლის შემდეგ, რა პერიოდითაც ობლიგაცია იყო გამოშვებული, წარმოებს მისი დაფარვა - ე.ი. ობლიგაციის მფლობელისათვის ნომინალური ღირებულების დაბრუნება.

როგორც უკვე აღინიშნა, სასესხო ფასიან ქალაღდს მიეკუთვნება ასევე თამასუქი (ინგ. Note), რომლის გამოყენება ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება. პრაქტიკაში გამოიყენება მარტივი (ჩვეულებრივი) და გადასაპირებელი თამასუქები. თამასუქების დაფარვამდე დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით ისინი დაიყოფიან მოკლევადიან (1 წლით) და გრძელვადიან თამასუქებად. თამასუქის ვადა განისაზღვრება დღეთა იმ რაოდენობით, რომელშიც თამასუქი მოქმედებს. ამ ვადის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია თამასუქის რეკვიზიტებიდან თამასუქის გაცემისა და დაფარვის თარიღი. თამასუქის დანარჩენი აუცილებელი რეკვიზიტებიდან აღვნიშნავთ თამასუქის დასახელებას (მარტივი ან გადასაპირებელი), ნომინალურ ღირებულებას (გასანაღდებელ თანხას), საპროცენტო განაკვეთს, თამასუქის მიმღების (რემიტენტი ენოდება), თამასუქის მიმცემის დასახელებას და მის ხელმოწერას.

თამასუქის პროცენტი არის რემიტენტისათვის თამასუქის გამცემის მიერ თამასუქის ნომინალს ზევით გადასახდელი თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თამასუქში აღნიშნული საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე. პროცენტი (P) გამოითვლება ფორმულით:

$$P = N \times I \times T, \quad (14.1)$$

სადაც  $N$  - არის თამასუქის ნომინალური თანხა;

$I$  - საპროცენტო განაკვეთი;

$T$  - თამასუქის ვადის წილი წელიწადში (დღეებში).

პროცენტის გამოანგარიშება ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე. დავუშვათ, რომ თამასუქის, რომლის ნომინალი 1000 ლარს შეადგენს, დაფარვის ვადა არის 73 დღე გამოანგარიშებული 365-დღიანი საფუძველით (პრაქტიკაში ასევე გამოიყენება 360-დღიანი საფუძველი), საპროცენტო განაკვეთი 24 პროცენტს შეადგენს. მაშინ ზემოთ მოცემული ფორმულის (14.1) საფუძველზე გამოანგარიშებული პროცენტის (სარგებლის) თანხა შეადგენს  $P = 1000 \times 0,24 \times 73/365 = 48$  ლარს.

გასანაღდებელი თანხა, რომელიც არის თამასუქის ნომინალისა და დაფარვის თარიღისათვის გამომუშავებული პროცენტის სარგებლის ჯამი, ჩვენს მაგალითში შეადგენს 1048 (1000+48) ლარს.

ზემოთ განხილული ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციით საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ჯგუფს მივაკუთვნებთ ყველა სახის აქცია (იხ. ნახ. 14.2). ქვემოთ აქციის ეკონომიკურ არსს უფრო დეტალურად განვიხილავთ.

აქცია (ინგ. Share, Stak) არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის სააქციო საზოგადოების წევრობის, მფლობელობის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში, მოგების განაწილებაში და როგორც კრედიტორი (გარკვეული წილის მფლობელი სააქციო საზოგადოებაში, აქცია ინგლისურიდან ნიშნავს „წილს“) იღებს ყოველ წლიურ შემოსავალს - დივიდენდს.

დივიდენდი (ინგ. Dividend) არის საანგარიშო პერიოდში სააქციო საზოგადოების მიერ მიღებული მოგების ნაწილი, რომელიც აქციონერთა შორის უნდა განაწილდეს.

ამრიგად, აქციები წარმოადგენს მაღალორგანიზებული, კოლექტიური საკუთრების ფორმის ინსტრუმენტს, რომელიც დომინირებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. ცნობილია კოლექტიური საკუთრების სამი ძირითადი იურიდიული ფორმა. ესენია: ა) „სრული ამხანაგობა“; ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და გ) სააქციო საზოგადოება. ჩვენ აქ არ განვიხილავთ ზემოთ მოტანილი კოლექტიური საკუთრების ფორმების არსს, არამედ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმაზე, რომ სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება მრავალრიცხოვანი ადამიანის დანაზოგთა გაერთიანებით და ეს მსხვილი კოლექტიური საკუთრების ფორმის საზოგადოება (მონაწილეთა შეთანხმებით) შესაძლებელია იყოს დახურული სააქციო საზოგადოება (ანუ ამერიკული ტერმინოლოგიით - „კერძო კორპორაცია“) და ღია სააქციო საზოგადოება, ანუ „საჯარო კორპორაცია“.

ჩვეულებრივი აქცია არის სტანდარტული მონაწილეობა (ინგ. Ordinary Share), რომელიც გამოშვებულია მოცემული სააქციო საზოგადოების ფორმირების შემდეგ. იგი გაიცემა ყველაზე, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საზოგადოების კაპიტალის შექმნაში. ამასთან, გაცემული აქციების რიცხვი შეტანილი პაის (წილის) პირდაპირპროპორციულია, მაგრამ აქციის შესაკუთრეს მისი შეტანილი წილის (პაის) უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება არა აქვს (აქციის მფლობელს საკუთრების უფლება აქვს საზოგადოების შესაბამისი კაპიტალის ნაწილზე).

აქციები განკარგვის მიხედვით დაიყოფა: ა) სახელობით და ბ) წარმომადგენლობით (მფლობელის გვარის მითითების გარეშე) აქციებად. წარმომადგენლობითი აქცია ყიდვა-გაყიდვის ობიექტია. აქციებზე ფასების სიდიდის განსაზღვრას ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით არეგულირებენ.

აქციის ნომინალური ღირებულება (აქციაზე აღნიშნული ღირებულება) მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმირების პირველი აქტის დასაწყისში გვევლინება რეალური სახით (აქციების ნომინალურ ღირებულებათა ჯამი სააქციო კაპიტალის სიდიდის ტოლია), სხვა შემთხვევაში აქციის ნომინალური ღირებულება პირობითია. ეს კი იმით დასტურდება, რომ მრავალ ქვეყანაში დაშვებულია აქციის ემისია ნომინალური ღირებულების აღნიშვნის გარეშე (მაგ., აშშ-ში ასეთი აქციები წარბოხს). როგორც წესი, აქცია განასახიერებს საპაიო შენატანს, არა მისი პირველდანიყებითი თანხით, არამედ დინამიკაში. აქციას გააჩნია აგრეთვე სხვა საინტერესო თვისებებიც, რომელიც ფართოდ არის გაშუქებული ეკონომიკურ ლიტერატურაში (3; 6). ასე, მაგალითად, სააქციო საზოგადოების მართვაში აქციასთან დაკავშირებულ ხმის უფლებას აქვს ერთი მხრივ, რაოდენობრივი მხარე (ერთი ჩვეულებრივი აქცია თავის მფლობელს აძლევს ერთ ხმას) და, მეორე მხრივ, ხარისხობრივი (ხმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც წარმოადგენს სს მართვის უმაღლეს ორგანოს და ირჩევს საზოგადოების დირექტორთა (სამეთვალყურეო) საბჭოს).

მთავარი და ერთადერთი, რისთვისაც რიგითი მოქალაქეები იძენენ აქციებს და რითაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს აქციის მფლობელის მიერ გაღებული კაპიტალის (აქციების შეძენისათვის) უკუგება, არის აქციიდან შემოსავალი (დივიდენდი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, აქცია არის მონაწილეობა საკუთრებაზე უფლების შესახებ, რომელიც ფორმით არის საქონელი, ფასიანი

ქალაქების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის საგანი. ამდენად, მნიშვნელოვანია აქციის ფასის განსაზღვრა. ცნობილია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში აქციის ფასს ტრადიციულად კურსი ეწოდება.

როგორია აქციების შეფასების კრიტერიუმები?

აქციის კურსის გამოთვლას, რომელიც ეწოდება დივიდენდის კაპიტალიზაციად, საფუძვლად უდევს სარგებლის ნორმასა (აქციების კურსის სანყისი საზომი) და სასესხო სარგებელს (საპროცენტო განაკვეთი - ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე ფულად საშუალებათა მოთავსების დროს) მორის თანაფარდობის პრინციპი, რომელიც გამოისახება კლასიკური ფორმულით:

$$\text{აქციის კურსი} = \frac{\text{დივიდენდი}}{\text{სარგებლის საბაზრო განაკვეთი}} \times 100 \quad (14.2)$$

ე.ი. აქციის კურსი პირდაპირპროპორციულია მის მიერ მოტანილი დივიდენდისა და უკუპროპორციულია სარგებლის განაკვეთისა დაბანდების მიხედვით.

ამრიგად, აქციების თვისებების განხილვა, მისი საბაზრო კურსის განსაზღვრა, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, არის ე.წ. ჩვეულებრივი აქციებისთვის დამახასიათებელი. მაგრამ იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ აქციებზე, აუცილებელია ობლიგაციების მსგავსი აქციების განხილვა.

განვიხილოთ ე.წ. პრივილეგირებული აქციები (ინგლისურიდან Preference Share სიტყვასიტყვით „უპირატესი აქციები“). არსებობს პრივილეგირებული აქციების შემდეგი სახეები:

1) კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები (ჩვეულებრივ აქციებზე გადაცვლის ფიქსირებული კურსის უფლებებით);

2) პრივილეგირებული აქციები სხვა ქალაქებზე გაცვლის უფლებით (ობლიგაციებზე);

3) პრივილეგირებული აქციები კორექტირებადი დივიდენდით;

4) პრივილეგირებული აქციები დივიდენდით.

ამრიგად, აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვით ფასიანი ქალაქების ბაზარზე წარმოიშობა სააქციო საზოგადოების აქციონერული კაპიტალის ზრდა, რომელიც შეადგენს მის საკუთრებას მთლიანობაში და არა მისი ცალკეული წევრების კაპიტალს.

**§ 14.3. ფასიანი ქაღალდების განთავსების ორგანიზაცია და  
ობლიგაციების ბაზრის ინდექსები**

საფონდო ბაზარი (ფასიანი ქაღალდების ბაზარი) სხვადასხვა საფონდო აქტივების ან საფონდო ფასეულობების ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა სისტემაა. საფონდო ბაზარი იყოფა პირველად და მეორად ბაზრებად.

პირველადი ბაზარი გულისხმობს ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განთავსებას ემიტენტისათვის ფინანსური რესურსების მიღების მიზნით. ემიტენტის როლში (მინოდების ბაზარზე) გამოდიან მთავრობის, ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოები, სხვადასხვა ფირმები და ა.შ. მოთხოვნას ფასიანი ქაღალდებზე ახორციელებენ (მყიდველები ბაზარზე) ინდივიდუალური და ინსტიტუციური ინვესტორები (სახელმწიფო დაწესებულებები, საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ბანკები, ტრანსკომპანიები და ა.შ.).

პირველად ბაზარზე განთავსებული ფასიანი ქაღალდები ხდებიან გაყიდვის ობიექტად, რომელთა ხელახალი გაყიდვა ხორციელდება ე.წ. მეორად ბაზარზე. როგორც პირველად, ისე მეორად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის საქმიანობა (ვაჭრობა) ხორციელდება საფონდო ბირჟაზე.

საფონდო ბირჟა (ინგ. Exchange) არის ფასიანი ქაღალდებისა და სხვა საფინანსო ინსტრუმენტების ორგანიზებული, რეგულარულად ფუნქციონირებადი ბაზარი, სადაც ხორციელდება საბირჟო შუამავლების მონაწილეობა და სავაჭრო გარიგებები საფონდო ფასეულობების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ბირჟის წესდების განსაზღვრული ოფიციალური წესით. აღსანიშნავია, რომ საფონდო ბირჟა და მისი პერსონალი არ ახორციელებს ფასიანი ქაღალდებით გარიგებას, არამედ იგი ემსახურება ამ გარიგებების დადებას, ეწევა საკონსულტაციო და საარბიტრაჟო, აგრეთვე ტექნიკურ მომსახურებას. ამასთანავე, ბირჟა თავის კლიენტებს აძლევს განსაზღვრულ გარანტიებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების ხარისხსა და უტყუარობასთან მიმართებაში).

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სამი ტიპის საფონდო ბირჟა:

- 1) საჯარო უფლების (იმყოფება სახელმწიფოს მუდმივი კონტროლის ქვეშ);
- 2) კერძო და
- 3) შერეული. კერძო საფონდო ბირჟები, როგორც კერძო კომპანიები, იქმნება სააქციო საზოგადოებების სახით. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ითვლიან 200-მდე საფონდო ბირჟას.

ამრიგად, საფონდო ბირჟა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების კონცენტრაცია და მათი დაბალანსება საბირჟო ფასნარმოქმნის საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ფასიანი ქაღალდის ძირითად რაოდენობრივ მახასიათებლად მისი ფასი გვევლინება. განასხვავებენ ა) ნომინალურ და ბ) საბაზრო ფასებს.

ნომინალური ფასის სიდიდეს ფასიან ქაღალდზე განსაზღვრავს ემიტენტი და იგი, ფასიანი ქაღალდის ტიპიდან გამომდინარე, ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. როგორც წესი, ნომინალური ფასი გამოიყენება სააღრიცხვო მიზნით.

საბაზრო ფასები წარმოიშობა სავაჭრო გარიგებების პროცესში. საფონდო ბირჟაზე სავაჭრო დღის განმავლობაში შესაძლებელია დაფიქსირდეს (ე.ი. მოხდეს ფასების კოტირება-განსაზღვრა) საუკეთესო ფასები: შესყიდვის, გაყიდვის ან უკანასკნელი გარიგების, რომელთა საფუძველზეც ხდება გაყიდვებსა და შესყიდვებზე საშუალო ფასების კოტირება, სავაჭრო დღის საშუალო ფასების დაფიქსირება და ა.შ. მათი გამოყენებით ხდება ბაზრის (ბირჟის) შემაჯამებელ მაჩვენებელთა გამოანგარიშება.

ფასიანი ქაღალდების სტატისტიკაში გამოითვლება თითოეული ფასიანი ქაღალდის ინდივიდუალური მაჩვენებლები და მათი საბაზრო კოეფიციენტები. მაგ., აქციებზე გამოანგარიშება კოეფიციენტები:

ა) ერთ აქციაზე აქციის ფასის შეფარდება კომპანიის საერთო მოგებასთან მიმართებაში;

ბ) ერთი გაცემული დივიდენდის სიდიდის შეფარდება აქციის ფასთან მიმართებაში.

ამ კოეფიციენტების მეშვეობით განისაზღვრება აქციების ბაზარზე შეფასების ხარისხი და მისი წლიური შემოსავლების სიდიდე.

სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსებისას, მაგალითად, სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების განთავსებისას, გამოიყენება დისკონტირებული ღირებულების მეთოდი, ე.ი. ფასები განსაზღვრულია პროცენტებით ნომინალიდან გამომდინარე და იფარება ნომინალით ადრე შეთანხმებულ ვადებში. ერთ ფასიან ქაღალდზე შემოსავალი განისაზღვრება სხვაობით შესყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. წლიური შემოსავლის სიდიდეს (Y) განსაზღვრავენ ფორმულით:

$$Y = \frac{100 - P}{P} \times 365 / t \quad (14.3)$$

სადაც  $P$  - შესყიდვის ფასია (ნომინალიდან პროცენტებით განსაზღვრული),

$t$  - ვადა დაფარვამდე დღეებში.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს (7), ქვეყანაში ყოველკვირეულად ანარმოებენ სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების განთავსებას ბაზარზე, შესაბამისად, ერთდროულად ბაზარზე განთავსებულია რამდენიმე ფასიანი ქალაქი სხვადასხვა დაფარვის ვადებით. იმისათვის, რომ განსაზღვრონ სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების შემოსავლების შემაჯამებელი მაჩვენებელი მეორად ბაზარზე, ყოველ სავაჭრო დღეზე გაიანგარიშება საშუალო შემოსავლების დონე შენონილი არითმეტიკული საშუალოს მეშვეობით. კერძოდ კი, იგი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Y = \frac{\sum Q_i P_i t_i y_i}{\sum Q_i P_i t_i}, \quad (14.4)$$

სადაც  $Q_i$  - ფასიანი ქალაქების რაოდენობა;

$P_i$  - დღეში ფასიანი ქალაქების გაყიდვის გარიგებებზე დადებული საშუალო ფასია;

$t_i$  - ვადა ფასიანი ქალაქების დაფარვამდე;

$y_i$  - შემოსავლების სიდიდე ფასიანი ქალაქების დაფარვისათვის.

ე.ი. საშუალო შემოსავლიანობის დონე არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) შემაჯამებელი მაჩვენებელი, ხოლო ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია დაფარვის ვადებთან (კრედიტის გამოყოფა ხდება შესაბამის ვადაზე). აქედან გამომდინარე საჭიროა გამოითვალოს დამატებითი მაჩვენებლებიც, რომელიც უჩვენებს დაფარვამდე საშუალო ვადის სიდიდეს, ანუ ეს მაჩვენებელი იწოდება ბაზრის დიურაციად (7, გვ. 366-67).



#### ჭ 14.4. საფონდო ბაზრის მახასიათებელი ინდექსები (საფონდო ინდექსები)

საფონდო ბაზრის საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად აუცილებელია განისაზღვროს საფონდო (აგრეგირებული) ინდექსები, რომლებიც ზოგადად განსაზღვრული დროის მომენტისათვის (მაგალითად, სავაჭრო დღის ბოლოს) უჩვენებენ ფასიანი ქაღალდების კოტირების დონეს.

საშუალო სიდიდეების მეთოდით გამოთვლილ საფონდო ინდექსებს განასხვავებენ:

ა) კომპანიების ერთობლიობით (ე.ი. სანარმოთა ჩამონათვალი, რომელთა აქციებიც არის ჩართული ინდექსის გაანგარიშებაში);

ბ) გამოყენებული საშუალოების სახეების მიხედვით;

გ) შენონილი საშუალოების გამოყენებისას, წონების განსაზღვრის ხერხების მიხედვით.

საფონდო ინდექსის გამოთვლის გაანგარიშებაში რომელიმე სანარმოს აქციების ჩართვის ძირითად კრიტერიუმად აღიარებულია მოცემული ფასიანი ქაღალდის სავაჭრო აქტიურობა, რომელიც განისაზღვრება სავაჭრო დღის განმავლობაში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საშუალოდ განხორციელებულ გარიგებათა რაოდენობით. გაანგარიშების ერთობლიობაში ჩაირთვება მხოლოდ ის აქციები, რომელთა სავაჭრო აქტიურობა უსწრებს დადგენილ მინიმალურ დონეს.

მეორე მნიშვნელოვან კრიტერიუმად აღიარებულია რეპრეზენტატურობა (ნარმოადგენლობის დაცვა). ერთი მხრივ, ერთობლიობაში უნდა იყოს შესული იმ კომპანიების აქციები, რომლებიც ნარმოადგენენ ეკონომიკის ძირითად დარგებს (რაც საშუალებას იძლევა გამოთვალოს ასევე დარგობრივი ინდექსებიც) და, მეორე მხრივ, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ფასების დონე, რომლებიც ნარმოიშობა გარიგების დროს ძირითად სავაჭრო ადგილებზე. მაგალითად, აშშ-ში ინდექსის სტანდარტი (Standart) კომპანიის - &, გათვლების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს 500 კომპანიის აქციებს, იქმნება იმ აქციების შერჩევის გზით, რომელთა კოტირებაც ხდება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE), ამერიკის საფონდო ბირჟაზე (AMEX) და ფასიანი ქაღალდების დილერების ეროვნული ასოციაციის ელექტრონული სისტემის არასაბირჟო ბაზარზე (NASD).

საშუალოების სახეების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქმნება ერთობლიობის მოცულობა. როგორც წესი,

ეს ხდება ჯამური წესით, ამიტომ უფრო ხშირად გამოიყენება საშუალო არითმეტიკული სიდიდე, ამასთანავე, გაითვალისწინება, საშუალო არითმეტიკული მარტივი იქნება თუ შენონილი, და თუ შენონილია, მაშინ დგინდება, რამ უნდა შეასრულოს წონების როლი.

განვიხილოთ, თუ როგორ იანგარიშება ინდექსები საშუალო არითმეტიკული შენონილის მეშვეობით, სადაც წონებად აიღება საბაზრო კაპიტალის მოცულობები (საბაზრო კაპიტალის სიდიდე გაიანგარიშება როგორც ნამრაველი საბაზრო ფასისა და მიმოქცევაში მყოფი აქციების რაოდენობისა), S კომპანი P და NYSE ინდექსების მაგალითზე.

გაანგარიშებას ანარმოებენ ლასპეირესის ინდექსის ფორმულის ანალოგიურად (ლასპეირესის ინდექსის გამოყენება განხილულია მე-10 თემამში).

საბაზრო კაპიტალის მოცულობების სიდიდით შენონილი ინდექსები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$I_t = \frac{\sum (P_t/P_0) P_0 Q_0}{\sum P_0 Q_0} I_0 = \frac{\sum P_t Q_0}{\sum P_0 Q_0} I_0, \quad (14.5)$$

სადაც  $P_t$  და  $P_0$  - აქციების ფასებია  $t$  მიმდინარე (1) პერიოდსა და საბაზისო პერიოდში (მომენტში);

$Q_0$  - მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობაა;

$I_0$  - ინდექსის საწყისი მაჩვენებელი (ინდექს კომპანი S&P) საბაზისო მომენტად აღებულია 1943 წ. ბოლო საწყისი სიდიდე - 10, ხოლო NYSE Composite-თვის საბაზისო მომენტის 1965 წ. საწყისი ნიშნული - 50).

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნერილია (7;8) ანალოგიური ფორმულის გამოყენებით რუსეთის არასაბირჟო ბაზარზე რუსეთის სავაჭრო სისტემის ინდექსის - ინდექსი РТС (Российской торговой системы), რომლის გამოთვლის ერთობლიობაში ჩართული იყო 24 კომპანიის აქციები. ასევე ინდექსი AK S M და ASP (სააგენტო „სკაი“ პრესის) გამოანგარიშების მაგალითები.

სტატისტიკაში ძირითადი მასივის მეთოდის გამოყენებით გამოთვლილი საყოველთაოდ ცნობილი ДОУ-ДЖОНС-ის ინდექსი იწოდება მრეწველობის საშუალო ინდექსად.

ინდექსი ДОУ-ДЖОНСА (DJIA-DOW JONES Industrial Aver-

age, რომელიც 1898 წლიდან ქვეყნდება, გამოითვლება 30 მსხვილი კომპანიის აქციებით შემდგარი ერთობლიობის საფუძველზე, რომელთა კოტირება (განსაზღვრა) ხდება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე.

ასევე შესაძლებელია მოვიყვანოთ საფონდო ინდექსების გამოთვლის მაგალითები მარტივი საშუალო გეომეტრიული ფორმულის გამოყენებით. კერძოდ, ინდექსი VLA (Value Line Average), რომელიც გამოთვლილია 1961 წელს კომპანიი Arnold Bernhsrd Co.C მიერ და ინდექსი SOBI, გამოთვლილი რუსეთის საკონსულტაციო სააგენტო „СониаС“-ის მიერ.

ამრიგად, სტატისტიკაში საფონდო ინდექსები გამოითვლება საფონდო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ფასების შეფარდებითი დონისა და მათი დინამიკის (შეფასების) მიზნით, აგრეთვე ფასიან ქაღალდებზე ფასების კოტირებისა და ფასნარმოქმნის პოლიტიკის ფორმირებისათვის.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც რეგულირდება მოთხოვნა-მიწოდების კანონის მეშვეობით, მოიცავს როგორც ფულად ბაზარს, სადაც ხორციელდება დაგროვების მოკლევადიანი მოძრაობა, ასევე კაპიტალის ბაზარს. იგი მრავალი თვალსაზრისით ეკონომიკის ზრდის დაფინანსების წყაროა. მისი მეშვეობით ხორციელდება დაგროვილი ფულადი მასის ჩართვა ფულადი სახსრების ინვესტიციებში ე.წ. ეკონომიკაში გადამანანილებელი მექანიზმის ამოქმედება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბაზრის) მდგომარეობაში აისახება ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესები. ამდენად მისი სტატისტიკური შეფასებით განისაზღვრება საფინანსო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

### *საკონტროლო კითხვები*

1. დაახასიათეთ ფასიანი ქაღალდების ბაზარი და უჩვენეთ მისი როლი საინვესტიციო მექანიზმის ფორმირებაში.
2. დაახასიათეთ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი პროფესიონალები (ბროკერები, დილერები, ჯობერები და სხვა) და უჩვენეთ მათი როლი გარიგებების დადების საქმეში.
3. მოიყვანეთ ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია და განსაზღვრეთ ობლიგაციების კლასიფიკაციის კრიტერიუმები.
4. რა არის სათამასუქო ვალდებულებები? რაში გამოიხატება

გადასაპირებელი თამასუქების გამოყენების თავისებურებანი?  
5. რა არის აქცია? დაახასიათეთ კოლექტიური საკუთრების იურიდიული ფორმები.

6. როგორ განისაზღვრება აქციის კურსი? აქციის კურსის განსაზღვრა უჩვენეთ კონკრეტული სააქციო საზოგადოების მაგალითზე.

7. როგორ იწარმოება ფასიანი ქაღალდების განთავსება საფონდო ბირჟაზე?

8. რომელი ინდივიდუალური მაჩვენებლები (ინდექსები) გამოითვლება ფასიანი ქაღალდების სტატისტიკის პრაქტიკაში.

9. გაიანგარიშეთ შემოსავლების შემაჯამებელი მაჩვენებელი სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების მეორად ბაზარზე სავაჭრო დღის ბოლოსათვის კონკრეტული ბირჟის მონაცემების მეშვეობით.

10. რა ძირითადი ფუნქციები აქვს დაკისრებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედ საფონდო ბირჟებს?

11. დაახასიათეთ საქართველოს საფონდო ბირჟაზე კლირინგისა და ანგარიშსწორების ორგანიზაციის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.

2. კაკულია რ., ხაბურზანია ლ., საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნან. I-II, თბ., 1993.

3. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი, თბ., 1999.

4. ერვინ როდუუ, ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. ქუთაისი. 1998.

5. ერიკ ნ. კომპტონი, კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები (თარგმნილი ინგლის.), თბ., 1993.

6. სვირავა გ., ფინანსური აქტივები და საფონდო ბირჟა. ზუგდიდი, 1995.

7. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.И. Иванова), М., 1998.

8. Мирсин Я. Ценные бумаги и фондовый рынок, М., Перспектива, 1995.

## თემა 15. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა

### § 15.1. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის არსი და მიზნები

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები ობიექტურად მოითხოვენ ინტეგრაციული პროცესების შემდგომ გაღრმავებას, რომელიც ეროვნული სამეურნეო ცხოვრების აღორძინების საწინდარია.

თანამედროვე ეპოქაში ფართოდ განვითარებულმა ტრანსნაციონალურმა ეკონომიკამ, რომლებმაც ეროვნული საწარმოებიც კი გააერთიანა, ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციას. ეს უკანასკნელი მოიცავს კაპიტალის გატანას, საგარეო ვაჭრობას, მეცნიერულ-ტექნიკურ გაცვლას. საკაცობრიო პრობლემებმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფო-თაშორისი ურთიერთობების ფორმირების აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში მრავალრიცხოვანია საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც ამა თუ იმ ზომით თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნებს შორისი ეკონომიკური კავშირებისა და თანამშრომლობის განვითარების ფასდაუდებელ საქმეში. ასე, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო სისტემას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მსოფლიო ეკონომიკაში საგადაამხდელო და საანგარიშსწორებო ოპერაციები, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აქვე დავასახელებთ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილ საერთაშორისო ორგანიზაციების კატეგორიებს:

ა) ორგანიზაციები, რომლებიც დასაქმებულია საკაცობრიო პრობლემების მოგვარებით;

ბ) ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მიერ საბაზრო ეკონომიკასთან კავშირში;

გ) ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპულ ინტეგრაციასთან.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე განვითარებადი ქვეყნების პროგრამების პრინციპების შემუშავებაზე დასაქმებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეა და გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების სფეროში იუნკტადი. იგი 1964

ნელს შეიქმნა. იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც ხელს უწყობენ განვითარებად ქვეყნებს ნედლეულისა და ფინანსური რესურსების გამოყენების განვითარების სფეროში. ასევე გაეროსთან 1945 წლიდან ფუნქციონირებს გაეროს „ორგანიზაცია სურსათისა და სოფლის მეურნეობის გზით“ გაეროს განვითარების პროგრამა 1966 წლიდან და სხვა. განვითარებად ქვეყნებში ფინანსური გაჯანსაღების უზრუნველმყოფ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია 1944 წლის ივლისში აშშ-ის ქალაქ ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის მონაწილე 44 ქვეყნის წარმომადგენლის მიერ საფუძველჩაყრილი ორგანიზაციები (ბრეტონ-ვუდსის სისტემის ორგანიზაციები) და სხვა.

საგარეო ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მიერ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების განვითარების შეფასებისათვის სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების მატარებელი დოკუმენტები, როგორცაა საგადამხდელო ბალანსი და სავაჭრო ბალანსი. ეს დოკუმენტები ჩვენ მიერ ნახსენებია წინამდებარე ნაშრომში (იხ. თემა 3. „ეროვნული ანგარიშთა სისტემა“; ასევე 12; 13). მაგრამ ამჟამად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათ მივცეთ უფრო დეტალური განმარტება.

საგადამხდელო ბალანსი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (წელიწადში) ასახავს თანაფარდობას მოცემული ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსავლებსა და სხვა ქვეყნებისათვის გადახდილ თანხებს შორის. როგორც წესი, ეს გადახდები აღირიცხება ორმაგი ბუღალტერიის მეთოდით. შემოსავალსა და გასავალს (ხარჯებს) შორის სხვაობას უწოდებენ საგადამხდელო ბალანსის სალდოს. საგადამხდელო ბალანსი აქტიურია, როცა შემოსავალი აღემატება ხარჯებს და პასიურია, როდესაც ქვეყანა იმაზე მეტ ფულს ხარჯავს საზღვარგარეთ, ვინემ იქიდან ლებულობს, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საკუთარი ვალუტის კურსის სტაბილურობაზე.

საგადამხდელო ბალანსი მოიცავს სამ მთავარ განყოფილებას:

- ა) მიმდინარე ოპერაციების ანგარიშს (ბალანსს);
- ბ) კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებულ ანგარიშს (ბალანსს);
- გ) ანგარიშსწორებებს, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მიხედვით.

სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება, უნინარეს ყოვლისა, ასახვას პოულობს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებში. შესაბამისად, საგადამხდელო ბალანსის იმ ნაწილს, რომელიც ასახავს მხოლოდ ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობას, სავაჭრო ბალანსი ეწოდება.

სავაჭრო ბალანსი აქტიურია, როცა ექსპორტი (საქონლის გატანა) სჭარბობს იმპორტს (საქონლის შემოტანას) და სავაჭრო ბალანსი პასიურია (დეფიციტურია), როცა იმპორტი სჭარბობს ქვეყნიდან გატანილ ნაწარმს — ექსპორტს.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებში ასევე ასახვას პოულობს სხვადასხვა სახის მომსახურება (საზღვაო და საავიაციო ფლოტის მომსახურება, ტურიზმი, საელჩოების და სხვა ოფიციალური სტრუქტურების მომსახურება და ა.შ.) და ცალმხრივი ერთჯერადი გადასახადები.

კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშის განყოფილებაში ასახვას პოულობს საზღვარგარეთული აქტივების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები. ასევე გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების მიწოდებასა და სხვა ქვეყნებიდან მათ მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

საგადამხდელო ბალანსის ანგარიშსწორებები ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მიხედვით მოიცავს ისეთი ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის კომერციულ საქმიანობასთან. ამასთანავე, მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია საგადამხდელო ბალანსის აქტიური და პასიური სალდოს ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, საგადამხდელო ბალანსი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური დოკუმენტია, რომელშიც საკმარისადაა ასახული მისი მონანიღობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში (საგარეო ვაჭრობაში) და იმავდროულად ნათლად უჩვენებს საშინაო ეკონომიკურ მდგომარეობას (მენარმეობის დონეს ქვეყანაში), რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებს საჭირო დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს მომავალი საგარეო საქმიანობის გააქტიურებისათვის.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანი მართვისათვის და, უპირველეს ყოვლისა, საგარეო ვაჭრობის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჩვენს პრაქტიკაში არსებული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლების შეცვლა და საერთაშორისო სტანდარ-

ტების დანერგვა საგარეო ეკონომიური ოპერაციების წარმოების პირობებში, ე.ი. აუცილებელი ხდება საბაჟო სტატისტიკის მონაცემების გამოყენება, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკას.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანებად გვევლინება ისეთ მაჩვენებელთა ფორმირება, რომლებიც ახასიათებენ საგარეო ვაჭრობის სიდიდებს, დინამიკას და სტრუქტურას, უზრუნველყოფენ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც გამოავლენენ ვაჭრობის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და სხვადასხვა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელთა შედარებით ანალიზს.

საბაჟო სტატისტიკა არის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სტატისტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც, იმ საქონლის გარდა, რომლებიც გადაკვეთენ ქვეყნის საზღვრებს, აღრიცხავს ასევე შესრულებულ სამუშაოებსა და განეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ოპერაციებსაც.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მიზნები მდგომარეობს შემდეგი ამოცანების გადანყვეტაში:

1. უზრუნველყოს ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე მონაცემების სრული და უტყუარი აღრიცხვა.

2. საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი საერთო მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზთან კავშირში.

3. ქვეყნის საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი.

4. საბაჟო საკანონმდებლო აქტების მომზადებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების, სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ოპერაციულ-კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად სათანადო ინფორმაციების მოპოვება და მიწოდება.

5. სავალუტო კონტროლის განხორციელება და სხვა.

ამრიგად, საბაჟო სტატისტიკის დაკვირვებისა და შესწავლის საგნად გვევლინება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, ე.ი. საქონელთა ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი და ღირებულებითი შეფასება და მათი გეოგრაფიული მიმართულების მიხედვით აღრიცხვა (პრინციპით: „საქონელი — ქვეყანა“, „ქვეყანა — საქონელი“).



*§ 15.2. საგარეო ვაჭრობის (საბაჟო) სტატისტიკის  
მეთოდოლოგიური საფუძვლები*

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიურ-მა საფუძვლებმა ასახვა პოვეს საქართველოს საბაჟო კოდექსში.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების დოკუმენტურ საფუძველს შეადგენს ინფორმაცია, რომელიც ასახულია აღრიცხვის პირველად დოკუმენტში — სატვირთო საბაჟო დეკლარაციაში (სსდ – ГТД – Грузовая Таможенная Декларация).

განასხვავებენ სამი ტიპის დეკლარაციას:

ა) საექსპორტო საქონლის დეკლარაციას, ბ) საიმპორტო საქონლისა და გ) სატრანზიტო საქონლის დეკლარაციებს.

დეკლარაციებში აისახება შემდეგი სახის ინფორმაციები: საანგარიშო პერიოდი, სასაქონლო ნაკადის მიმართულება (შემოტანა ან გატანა), წარმოშობის ქვეყანა (შემოტანისას), დანიშნულების ქვეყანა (გატანისას), სტატისტიკური ღირებულება, კოდი და დსთ ქვეყნების გარეეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო ჩამონათვალიდან საქონლის დასახელება, ნეტო წონა, კოდი და დამატებითი საზომი ერთეულების დასახელება, საბაჟო რეჟიმის სახე და ა.შ. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ მონაცემთა საფუძველზე ხდება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის ფორმირება, სსდ-ს შევსებისას სარგებლობენ აღრიცხვის ერთიანი წესით. პრაქტიკაში გამოიყენება ასევე საერთაშორისო და ლოკალური კლასიფიკატორები და ნომენკლატურა.

ინფორმაციები მოცემულ სატვირთო საბაჟო დეკლარაციაში შესაძლებლობას იძლევა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული დაყოფა ვანარმოთ არა მარტო პრინციპით „ქვეყანა დანიშნულების — წარმოშობის“, არამედ „ქვეყანა გაყიდვის — შესყიდვის“ (კონტრაქტის ქვეყანა) პრინციპით.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული და დანარჩენი სსდ-ის გრაფების შევსებით (მნიშვნელოვანია საქონლის კოდირება ცხრანიშნა სუბპოზიციად) იქმნება მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აისახება საგარეო ვაჭრობის (საბაჟო) სტატისტიკაში.

საგარეო ვაჭრობის (საბაჟო) სტატისტიკის მეთოდოლოგიაში ასახულია წესები და პროცედურები, რომლებიც ეფუძნება გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მეთოდოლოგიურ საფუძვლებში განსაზღვრული საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის დაკვირვების ობიექტები და მა-

თი აღრიცხვის ნესები, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვაში გამოყენებულ სისტემაზე.

საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში არსებობს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების აღრიცხვის ორი სისტემა:

ა) სპეციალური და ბ) საერთო (ზოგადი).

საგარეო ვაჭრობის „საერთო (ზოგადი)“ წესით აღრიცხვის პირობებში ექსპორტი და იმპორტი რეგისტრირდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს, ხოლო „სპეციალური“ პირობებში — როდესაც საქონელი გადაკვეთს ქვეყნის საბაჟო საზღვარს. აღრიცხვაში ეს სხვაობა მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქონელთა ნაკადები მოძრაობენ „თავისუფალ საბაჟო ზონებსა“ და „თავისუფალ სანყობებში“, რომლებიც არიან ქვეყნის არასაბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარებიან.

საქონელი, რომელიც თავისუფალი საბაჟო ზონებისა და სანყობებიდან მომდინარეობს, სტატისტიკაში „სპეციალური“ აღრიცხვის სისტემის გამოყენებისას (სპეციალური იმპორტი) მას შემდეგ აღრიცხებიან, როცა ისინი ამ ზონებიდან გამოდიან და თავისუფალ რეჟიმში იწყებენ მოძრაობას.

სპეციალურ ექსპორტში მოიაზრება როგორც საქონელთა ჯგუფი, რომელიც წარმოებულია, აღმოჩენილია, მოყვანილი ან გადამუშავებულია ქვეყანაში, ასევე ის საქონელი, რომელიც თავდაპირველად შემოტანილი იყო როგორც სპეციალური იმპორტი.

გაეროს სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად სასურველია საბაჟო სტატისტიკაში „საერთო“ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების, აღრიცხვის მეთოდის გამოყენება, რადგანაც „საერთო სისტემის“ დროს აღრიცხება ყველა შემოსული საქონლის სრული მოცულობა.

საბაჟო სტატისტიკაში, რომელიც ახორციელებს ქვეყანაში შემოტანილი და გატანილი საქონლის აღრიცხვას „საერთო“ პრინციპებიდან გამომდინარე, გამოიყოფა საქონელთა შემდეგი კატეგორიები:

ქვეყნის იმპორტი, რომელიც დაჯგუფებულია შემდეგ სახეობებად:

— საქონელი, რომელიც შემოდის თავისუფალი მიმოქცევის სათვის;

— რეიმპორტირებული საქონელი;

— საქონელი, რომელიც შემოიტანება საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში გადასამუშავებლად;

— საქონელი, რომელიც შემოიტანება გადამუშავების შემდეგ საბაჟო ტერიტორიის გარეთ გასატანად;

— საქონელი, რომელიც შემოიტანება საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად;

— საქონელი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიტანება რეექსპორტის რეჟიმში;

— საქონელი, რომელიც შემოიტანება ქვეყნის ტერიტორიის თავისუფალ საბაჟო ზონებსა და თავისუფალი სანჯობების რეჟიმში;

— შემოტანილი საქონელი, რომელზედაც სახელმწიფოს სასარგებლოდ უარს აცხადებს მფლობელი პირი;

— საქონელი, რომელიც შემოიტანება ერთი წელი და მეტი ხნით არენდის მიზნით.

ქვეყნის ექსპორტი რომელიც დაჯგუფებულია შემდეგ სახეობებად:

— საქონელი, რომელიც გაიტანება ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად;

— ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული შემოტანილი საქონელი, რომელიც შემდეგ ქვეყნიდან გაიტანება ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად;

— საქონელი, რომელიც გაიტანება საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების შემდეგ;

— საქონელი, რომელიც გაიტანება საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების შემდეგ;

— საქონელი, რომელიც გაიტანება არასაბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად;

— საქონელი, რომელიც გაიტანება რეექსპორტის რეჟიმის შესაბამისად;

— საქონელი, რომელიც საზღვარგარეთ გაიტანება თავისუფალი საბაჟო ზონებიდან და თავისუფალი სანჯობებიდან;

— უცხოური და სამამულო საქონელი, რომელიც გაიტანება ქვეყნის გარეთ და ექვემდებარებიან ბაჟის გარეშე (უბაჟო) ვაჭრობას;

— საქონელი, რომელიც გააქვთ დროებით არენდის წესით ერთი ან მეტი წლით.

საქონლის ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება საბაჟო სტატისტიკაში აღრიცხვას, უნდა იყოს საკმაოდ სრული და მოიცავდეს ყველა საქონელსა და ფასეულობებს, რომლებიც შემოაქვთ ან გააქვთ ქვეყნიდან, სატრანზიტო ტვირთების გარდა. ჩვეულებრივ გამოყოფენ საქონლის სამ კატეგორიას:

— საქონელი, რომელიც ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ აღრიცხვაში ჩართვას;

— საქონელი, რომელიც ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკიდან მის ამოღებას;

— საქონელი, რომელიც ცალკე აღირიცხება.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში ძირითადად აღირიცხება ყველა საქონელი (მათ შორის ფასეულობები, მიმოქცევაში მყოფი ვალუტის გარდა), რომელთა შემოტანით ან გატანით იზრდება ან მცირდება ქვეყნის მატერიალური რესურსები.

საბაჟო სტატისტიკაში არ აღირიცხება შემდეგი საქონელი:

ა) საქონელი, რომელთა ღირებულება არ აღემატება სტატისტიკური დაკვირვების ნიშნულს, ე.ი. ეს ისეთი ღირებულების ან ნეტო ტონაჟის ზღვრული მაჩვენებელია, რომელთა ქვემოთ აღნიშნული მახასიათებლებით საქონელი არ აღირიცხება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში;

ბ) სავალუტო ფასეულობები (მათ შორის მონეტური ოქრო), რომლებიც იმყოფებიან მიმოქცევაში და მათი მეშვეობით ბანკები აწარმოებენ ურთიერთანგარიშსწორების რეგულირებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირიქით, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში ჩაირთვება ის ძვირფასი მეტალები, რომლებიც არ გამოიყენება გადახდის საშუალებებად, ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც არ იმყოფებიან მიმოქცევაში, ისინი აღირიცხებიან ექსპორტსა და იმპორტში ბექდვითი მასალების კომერციული ღირებულების რეჟიმით (და არა ნომინალით);

გ) საქონელი, რომელიც გამიზნულია უცხოური ქვეყნების საზღვარგარეთელ წარმომადგენელთა (დიპლომატიურ-საკონსულო ორგანიზაციებისათვის) სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად, სახელმწიფო ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, სახელმწიფოს მეთაურების, პარლამენტი-სა და მთავრობების წევრების საჩუქრად.

როგორც წესი, ნებისმიერ ქვეყანაში უცხო ქვეყნის წარმომადგენლობა განიხილება იმ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილად, რომელსაც ისინი წარმომადგენენ. აქედან გამომდინარე, საქონელთა მოძრაობა ამ ქვეყნიდან მის წარმომადგენლობამდე განიხილება როგორც შიდა საქვეყნო მიწოდება და, ბუნებრივია, არ ჩაითვლება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში;

დ) საქონელი, რომელიც არ ითვლება კომერციული ოპერაციების საგნად. მაგ., ფიზიკურ პირთა საქონელი არაკომერციული მიზნების განსახორციელებლად, მათ შორის, გზავნილები საერთაშორისო საფოსტო და სატვირთო წესით (საფოსტო ნიშნები, ცერემონიებისა და ადათ-ჩვეულებათა მატარებელი საგნები და სხვა). აქვე აღვნიშნავთ, რომ ფართო მოხმარების საქონლის ფიზიკური პირების მიერ შემოტანა, კომერციული მიზნით, ექვემდებარება გაეროს მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში ჩართვას. ამ მხრივ საინტერესოა რუსეთის ფედერაციის მაგალითზე ფიზიკური პირების ე.წ. არაორგანიზებული ვაჭრობის მიერ შემოტანილ საქონელთა მოცულობა, რომელმაც 1996 წელს შეადგინა ქვეყნის მთელი იმპორტის თითქმის 20 პროცენტი. 1997 წლიდან ამ ქვეყანაში საბაჟო სტატისტიკაში აღირიცხება ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი საქონელი, რომელთა ღირებულება ფასდება 1000-ზე მეტი დოლარით ან მათი წონა შეადგენს 50 კგ-ზე მეტს (8).

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, პირდაპირი რექსპორტისაგან განსხვავებით, რომელიც აღირიცხება ქვეყნის ექსპორტში, არაპირდაპირი რექსპორტი (ქვეყანაში შემოტანის გარეშე რექსპორტი) არ ჩაითვლება ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელში.

როგორც უკვე აღვნიშნა, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა აწარმოებს ქვეყანაში შემოტანილი და ქვეყნიდან გატანილი საქონლის აღრიცხვას ნატურალურ (რაოდენობრივ) და ღირებულებით მაჩვენებლებში. ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულია (იხ. თემა 3) ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებაში განეული მომსახურების ღირებულების ასახვაც.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, მისი საერთაშორისო კავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გვევლინება საგარეო სავაჭრო ბრუნვის ღირებულებითი შეფასება. ასევე ექსპორტისა და იმპორტის ღირებულება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

მინოდების კომერციული თავისებურებიდან გამომდინარე, ფასი ანგარიშფაქტურაში, რომელსაც მიუთითებს გამყიდველი მყიდველს, ანალოგიურ საქონელზე განსხვავებულია, რამდენადაც საქონლის მოძრაობას მისი მწარმოებლისაგან მომხმარებელამდე მისი სანყის ღირებულებას ემატება ხარჯები მის გადაზიდვაზე, დაზღვევაზე და დანარჩენ ზედნადებ ხარჯებზე. ყველა საექსპორტო საქონელზე შესადარი ფასების მისაღებად აუცილებელია მათი დაყვანა ერთიან ბაზისურ ფასამდე.

საქონლის მიწოდება ერთი ქვეყნიდან მეორეში ინარმოება საგარეო ვაჭრობის კონტრაქტით, რომელიც დაიდება სავაჭრო ტერმინების განმარტების წესების („ინკოტერმსის“) რეგლამენტით.

მაშასადამე, ექსპორტირებული საქონლის საფაქტურო ღირებულებას განსაზღვრავს ბაზისური ფასი შრშ (გაყიდვის პირობებიდან გამომდინარე, საქონლის ფასს ემატება გადაზიდვის ხარჯები და ხარჯები გემზე ჩატვირთვის ოპერაციების სანარმოებლად) ან FOB (საქონლის ფასს ემატება გადაზიდვის ხარჯები მყიდველი ქვეყნის საზღვრამდე) საფუძველზე. ხოლო იმპორტირებული საქონლის საფაქტურო ღირებულების სტატისტიკური განსაზღვრისთვის მოწოდების პირობებიდან გამომდინარე აუცილებელია მისი დაყვანა ბაზისურ ფასზე ДАФ, რომელიც სამი სიტყვის ნაერთია. ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი ან СИП — დანიშნულების პუნქტის ქვეყნის საზღვრამდე.

საგარეო ვაჭრობის ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტი უფრო ვრცლად განხილულია ზემოთ (თემა 10).

ქვეყანაში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს ანარმოებენ აშშ-ის დოლარებში, ხოლო საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მაჩვენებელში იგი აისახება ეროვნულ ვალუტაში. ღირებულების გადაანგარიშებას ანარმოებენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსით, რომელიც იყო კოტირებული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შედგენის დღისათვის.

მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური კავშირების ანალიზისათვის მათი განვითარების ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივების მაჩვენებელთა გამოსავლენად ისეთი მაჩვენებლის განსაზღვრა, როგორცაა საქონელბრუნვის გეოგრაფიული განაწილება.

„ქვეყანა კონტრაგენტის“ სხვადასხვაგვარად გააზრების მიზეზია ის, რომ მაჩვენებლები, რომლებსაც აქვეყნებენ „ქვეყანა იმპორტიორი“ და „ქვეყანა ექსპორტიორი“, შეუდარისობით ხასიათდებიან. საერთაშორისო სტატისტიკაში გამოიყენება სამი ძირითადი მეთოდი, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანა კონტრაგენტები დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

1) საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საქონლის დანიშნულების ქვეყანა;

2) ქვეყანა მყიდველი და ქვეყანა გამყიდველი;

3) ქვეყანა გადამტვირთავი და ქვეყანა მომწოდებელი.

საბაჟო სტატისტიკაში ქვეყნები კონტრაგენტებად ითვლებიან:

შემოტანისას — საქონლის წარმოშობის ქვეყანა;

გატანისას -- საქონლის დანიშნულების ქვეყანა.

ქვემოთ მოგვყავს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში გამოყენებული სასაქონლო ნომენკლატურის კლასიფიკატორი, რომელიც მიღებულია დსთ ქვეყნების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში. ჰარმონიზებული სისტემის ვერსია, რომელიც ძალაშია 1997 წლის 1 იანვრიდან, მოიცავს ცხრანიშნა ციფრების კოდს, რომელშიც შემდეგი ელემენტებია წარმოდგენილი:

— პირველი ექვსი ნიშნავს საქონლის კოდს ჰარმონიზებული სისტემით;

— ეს ექვსივე ციფრი პლუს მეშვიდე და მერვე ნიშნები ქმნიან საქონლის კოდს ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურით (KHEC);

— მეცხრე ციფრის დანიშნულებაა მომავალში ამა თუ იმ საქონელთა პოზიციის შესაძლო დეტალიზება.

დსთ ქვეყნების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (ТН ВЭД СНГ) საკლასიფიკაციო სქემა აგებულია პრინციპით საქონლის დამუშავების ხარისხიდან გამომდინარე, ე.ი. ნედლეული – ნახევარფაბრიკატი – მზა ნაწარმი.

ზემოთ აღნიშნული კლასიფიკატორის ჰარმონიზებული სისტემის (ГС) ვერსიის გამოყენებით მიიღწევა საერთაშორისო დონეზე საგარეო ვაჭრობის ეროვნულ მონაცემთა შესადარისობა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ჩავატაროთ საგარეო ეკონომიკური კავშირების კვალიფიციური ანალიზი.

### *§ 15.3. საინდექსო მეთოდის გამოყენება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში*

როგორც ეს წინა თემების განხილვისას ვუჩვენეთ ინდექსების მეშვეობით, განისაზღვრება საქონელბრუნვის და სტრუქტურის ცვალებადობის დინამიკა, ფასების დონის ცვლილების მაჩვენებლები და ა.შ.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი ინდექსებია: საშუალო ფასების ინდექსები, ფიზიკური მოცულობის, ღირებულებისა და სავაჭრო პირობების ინდექსები. ამ ინდექსებიდან განმეორებით მოგვყავს ის ინდექსები, რომლებიც ჩვენს სამამულო საბაჟო სტატისტიკაში გამოიყენება, ესენია:

1. საშუალო ფასების ინდექსი (პააშეს ცნობილი ფორმულა):

$$I_q = \frac{\sum P_1 q_1}{\sum P_0 q_1} \quad (15.1)$$

2. ფიზიკური მოცულობის ინდექსი (ლასპაირესის ცნობილი ფორმულა):

$$I_q = \frac{\sum P_1 q_0}{\sum P_0 q_0} \quad (15.2)$$

სადაც  $P_1$  და  $P_0$  — საანგარიშო და საბაზისო პერიოდის საქონლის ფასია.

$q_1$  და  $q_0$  — საანგარიშო და საბაზისო პერიოდში შესასწავლი საქონლის რაოდენობაა.

ქვემოთ შევჩერდებით საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციების ანალიზის საწარმოებლად სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული ე.წ. „ვაჭრობის პირობების“ ინდექსის განსაზღვრაზე, რომელიც იანგარიშება როგორც ექსპორტის საშუალო ფასების ინდექსის შეფარდება იმპორტის საშუალო ფასების ინდექსთან. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$I_{\text{ვაჭ. პი.}} = \frac{I_{p_2}}{I_{p_1}} \quad (15.3)$$

სადაც  $I_{p_2}$  — ექსპორტის საშუალო ფასების ინდექსია.

$I_{p_1}$  — იმპორტის საშუალო ფასების ინდექსია.

თუ ინდექსის მაჩვენებელი ერთზე მეტია, ნიშნავს, რომ ქვეყანაში სავაჭრო პირობები დადებითია, წინააღმდეგ შემთხვევაში არასასურველ სავაჭრო პირობებთან გვაქვს საქმე, რამეთუ იმპორტის სიდიდე ჭარბობს საქონელთა ექსპორტს. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვეყნის ექსპორტ-იმპორტთა მაჩვენებლების შეფასებისათვის საჭიროა საგარეო ვაჭრობის როგორც მიმდინარე და შესადარი ფასების კომპლექსური შესწავლა, იმ ფაქტორების სრულყოფილად გამოსავლენად, რომლებიც ზემოქმედებენ საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე.



1996 წლიდან საბაჟო სტატისტიკაში ინდექსების გამოსათვლელ საინფორმაციო ბაზად გვევლინება სატვირთო საბაჟო დეკლარაციის მონაცემები.

განვიხილოთ ვაჭრობის პირობების ინდექსის გაანგარიშების მაგალითი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხ. 15.1) მოყვანილია პირობითი მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში ორი სახის პროდუქტზე (A და B), რომელთა საფუძველზეც გამოიანგარიშება:

1.1. შესადარი ქვეყნების მიმართებაში „A“ პროდუქტზე (საქონელთა ჯგუფზე) ხვედრითი ფასების კრებისით ინდექსი, პააშეს ფასების ინდექსის გამოყენებით:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{35572}{40940} = 0,869 \text{ ანუ } 86,9\%.$$

1.2. იგივე „B“ პროდუქტზე შესადარი ქვეყნების მიმართებაში (რადგანაც იმპორტი საბაზისო და საანგარიშო პერიოდში აღინიშნა მხოლოდ N1 ქვეყანაში) გამოითვლება ფასების ინდივიდუალური ( $i_p$ ) ინდექსი

$$i_p = \frac{p_1}{p_0} = \frac{787,5}{712,1} = 1,106 \text{ ანუ } 110,6\%.$$

1.3. ორივე საქონლის (სასაქონლო ჯგუფის) ხვედრითი ფასების ჯამური (კრებისით) ინდექსი გამოითვლება პააშეს საშუალო პარმონიული ინდექსის ფორმულის გამოყენებით:

$$i_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum \frac{p_1 q_1}{i_p}} = \frac{51281 + 1344}{\frac{51281}{0,869} + \frac{1344}{1,106}} = \frac{52625}{60226,7} = 0,874, \text{ ანუ } 87,4\%.$$

ზემოთ ჩატარებული გამოთვლებით მიღებული ინდექსები გამოიყენება ექსპორტის ფიზიკური მოცულობების ინდექსების გამოსათვლელად. კერძოდ, ფიზიკური მოცულობის ინდექსი ( $I_q$ ) გაანგარიშება ექსპორტის ღირებულების ინდექსის ( $I_w$ ) ფასების საშუალო (ხვედრით) ინდექსზე გაყოფით. გათვლები მოცემულია ცხრილი 15.2-ში.

ორი სახის (A და B) პროდუქტზე სხვადასხვა ქვეყნის სატვირთო საბაჟო დეკლარაციის მონაცემები ცხრილი 15.1

პროდუქციის დასახელება	საბაჟოსო პერიოდი		საანგარიშო პერიოდი		I ტონის ფასი დოლარებში		ინდექსის გათვლები
	რაოდენობა ტონებში (ა.)	შესაძრის ღირებულება ათას დოლ. (ა.ა.)	რაოდენობა ტონებში (ბ.)	შესაძრის ღირებულება ათას დოლ. (ბ.ბ.)	$P_0$	$P_1$	
A. პროდუქტი სულ	21931	31435	39764	51281	1433,4	1289,6	$i_p = \frac{P_1}{P_0}$
მთ შორის							$i_p$
N1 ქვეყანაში	2997	4840	5791	8136	1614,9	1404,9	0,90
N2 ქვეყანაში	2293	2910	5227	6142	1269,1	1175,1	0,87
N3 ქვეყანაში	5184	7285	5278	7360	1405,3	1392,5	0,926
N4 ქვეყანაში	5177	7684	—	—	1484,3	—	0,992
N5 ქვეყანაში	—	—	10829	15709	—	1450,5	—
N6 ქვეყანაში	6280	8716	12639	13934	1387,9	1102,5	—
სულ შესადარი ქვეყნების მიმართებაში პროდუქტი "A"	1675 (21931-5177)	423751	28935	35572	X	X	0,869
B პროდუქტი სულ	3869	1393	2843	1344	360	472,7	1,313
მთ შორის							
N1 ქვეყანაში	66	47	353	278	712,1	727,5	1,106
N2 ქვეყანაში	3803	1346	—	—	353,9	—	—
N3 ქვეყანაში	—	—	2490	1066	—	428,1	—
სულ შესადარი ქვეყნების მიმართ პროდუქტი B	66 (3869-3803)	47	353	278	X	X	1,106
სულ ორივე პროდუქტზე (A+B)	X	32828 (31435+1393)	X	52625 (51281+1344)	X	X	0,907
მთ შორის შესადარი ქვეყნების მიმართებაში	X	23798 (23751+47)	X	35850 (35572+278)	X	X	0,874
							251,4
							58002,5
							41204,4

ექსპორტის ღირებულების, ფასებისა და ფიზიკური მოცულობების ინდექსები

ცხრილი 15.2

	$I_{pq}$	$I_p$	$I_q = I_{pq}/I_p$
A პროდუქტი	51281/31435=1,631	0,869	1,877
B პროდუქტი	1433/1393=0,965	1,106	0,872
ორივე პროდუქტზე (A+B)	52625/32828=1,603	0,874	1,834

15.1 ცხრილის მაჩვენებლების გამოყენებით გამოიანგარიშება:

1.1. „A“ პროდუქტზე საექსპორტო საშუალო ფასების ცვლილება:

$$I_{p \text{ საშ.ზღ.}} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum q_1} : \frac{\sum p_0 q_0}{\sum q_0} = 51281/39764 : 31435/21931 = 1,2896 : 1,4334 = 0,90, \text{ ანუ } 90\% - \text{ს.}$$

მაშასადამე, A პროდუქტზე საშუალო საექსპორტო ფასები 10%-ით შემცირდა.

1.2. „B“ პროდუქტზე საექსპორტო საშუალო ფასების ცვლილების გაანგარიშება ხდება ანალოგიურად:

$$I_{p \text{ საშ.ზღ.}} = 1344/2843 : 1393/3869 = 0,4727 : 0,360 = 1,313,$$

ანუ ფასები გაიზარდა 31,3 პროცენტით ( $1,313 - 1,0 \times 100$ ).

რადგანაც საექსპორტო ფასები ოთხივე (N 1, 2, 3, 6) ქვეყანაში (ცხ. 15.1) შემცირდა, ამიტომ საშუალოდ ამ შემცირების დონის გაანგარიშება შესაძლებელია:

1.3. მუდმივი (ფიქსირებული) შედგენილობის ინდექსის ფორმულის მეშვეობით:

$$I_{\text{საშ.ზღ.}} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum q_1} : \frac{\sum p_0 q_1}{\sum q_1} = 1,229 : 40440/28935 = 1,2294 : 1,4149 = 0,8689, \text{ ანუ } 86,9\% - \text{ს.}$$

ე.ი. საშუალოდ შემცირდა 13,1 პროცენტით (100-86,9).

1.4. სტრუქტურული ძვრების გავლენა უმნიშვნელოა, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_{\text{სტრ.კ.}} = \frac{\sum P_0 q_1}{\sum q_1} : \frac{\sum P_0 q_0}{\sum q_0} = 1,4149 : 1,4176 = 0,998, \text{ ანუ } 99,8\%.$$

ინდექსებს შორის არსებული ალგებრული კავშირების გამოყენებით შესაძლებელია ფასების საშუალო ცვალებადი ინდექსის გამოთვლა, კერძოდ,

$$I_{P(\text{ფაქტორ})} = I_{P(\text{ფაქტორ})} \times I_{P(\text{სტრ.კ.})} = 0,869 \times 0,998 = 0,867, \text{ ანუ } 86,7\%.$$

ე.ი. საშუალო საექსპორტო ფასები შემცირდა 13,3 პროცენტით.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ქვეყნის მიერ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირებისათვის სტრატეგიული და ტაქტიკური მმართველობითი გადანყვეტილებების მიღებაში უმნიშვნელოვანესია საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციების როლი. აქედან გამომდინარე, საბაჟო სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესადაარი მაჩვენებლებისა და სრულყოფილი ინფორმაციების მოსაპოვებლად.

### საკონტროლო კითხვები

1. დაასახელეთ, რომელი მაჩვენებლებით ხდება საგარეო ვაჭრობის (საბაჟო) სტატისტიკის ფორმირება და რაში გამოიხატება სტატისტიკის მიზანი?

2. რომელი საქონელი (საქონელთა ჯგუფი) შეიტანება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში (ცალ-ცალკე იმპორტისა და ექსპორტის ჩვენებით).

3. დაასახელეთ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ძირითადი მახასიათებლები.

4. დაახასიათეთ ძირითადი საბაჟო რეჟიმი, რომლებიც აღირიცხებიან და რომლებიც არ შეიტანება საბაჟო სტატისტიკაში.

5. უჩვენეთ, რა სხვაობაა საქონლის ღირებულების შესაფასებელ — ФОН და ფასს СИФ-ს შორის?

6. დაახასიათეთ საბაჟო კოდექსში ასახული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მეთოდოლოგიური ასპექტი და მიუთითეთ საბაჟო დეკლარაციის ტიპები.

7. სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული რომელი ან-გარიშსწორების შედეგები აისახება სავაჭრო ბალანსში?

8. დაასახალეთ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების აღრიცხვის „სპეციალური“ და ზოგადის (საერთოს) სისტემის არსი და რას ნიშნავს „სპეციალური იმპორტი“?

9. რა არის ქვეყანა კონტრაგენტი? დააჯგუფეთ ისინი სტატისტიკის პრაქტიკაში მიღებული პრინციპებით.

10. უჩვენეთ საგარეო ვაჭრობის, საბაჟო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული ინდექსები და მოიყვანეთ მათი გამოყენების პრაქტიკული მაგალითები.

11. დაახასიათეთ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსი.

12. მოიპოვეთ სტატისტიკური ინფორმაციები ერთგვაროვან პროდუქტებზე, რომლებიც „მოდრაობს“ სხვადასხვა ქვეყანაში. მათი შედარების საფუძველზე განსაზღვრეთ ექსპორტის ღირებულების, ფასების, ფიზიკური მოცულობისა და სტრუქტურული ძვრების ინდექსები.

### *გამოყენებული ლიტერატურა*

1. საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2001 წლის 1 აპრილის მდგომარეობით. თბ., 2001.

2. ქარუმიძე ვ. საბაჟო საქმის საკითხები. თბ., 1996.

3. ნ. ასლამაზიშვილი, საგარეო ურთიერთობის სტატისტიკა, თბ., 1996.

4. ტ. სართანია, საერთაშორისო სტატისტიკა, თბ., 1996.

5. ბასარია რ., მესხია ი. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბ., 1995.

6. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი, თბ., 1999.

7. Таможенная статистика, Учсб. пособие (под ред. А.Ф. Лисова), М., Российская таможенная академия, 1996.

8. Статистика международной торговли. Концепции и определения (ООН). 1982.

9. Пунин Е.И. Ценообразование в международной статистике. М., 1995.

10. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю.И. Иванова), М., „ИНФРА-М“, 1998.

# ЭКОНОМИЧЕСКАЯ СТАТИСТИКА

## *Резюме*

В учебнике рассматриваются основы современной социально-экономической статистики, данные которой позволяют обеспечить систематическое количественное описание всех основных аспектов экономики.

Курс социально-экономической статистики подготовлен с учетом того, что его читатели знакомы с курсом общей теории статистики, в котором сформулированы общие методы и принципы определения количественных характеристик массовых явлений и процессов, в частности, методы исчисления средних величин, индексов, показателей анализа вариационного ряда, выборочного наблюдения и т. д.

При переходе к рыночной экономике возникла необходимость в трансформации социально-экономической статистики, приведении ее в соответствие с рыночной экономикой. Одна из целей этой трансформации – переход к использованию в статистике международных стандартов. Например, международным стандартом в области национального счетоводства является Система национальных счетов (СНС), одобренная статистической комиссией ООН в 1993 г.; в области финансов таковыми являются рекомендации Международного валютного фонда (МВФ) по статистике государственных финансов, платежного баланса, кредитной и денежной статистике.

Следует отметить, что переход к этим стандартам позволит отечественной статистике:

1) применять показатели, которые предназначены для описания и анализа рыночной экономики и апробированы в мировой практике;

2) обеспечить международную сопоставимость данных:

С учетом взаимосвязи между экономическими и социальными процессами в учебнике большое внимание

уделено рассмотрению ряда важнейших показателей социально-демографической статистики (численность и структура населения, показатели воспроизводства населения и т. д.), а также показателей уровня жизни населения.

Особое внимание уделено тем показателям и классификациям, которые особенно важны для анализа макро- и микроэкономики, а также для разработки экономической политики.

Под термином “система показателей” социально-экономической статистики понимается некоторое упорядоченное множество взаимосвязанных и взаимосогласованных показателей, характеризующих экономику в целом. Система показателей социально-экономической статистики представляет собой совокупность взаимосвязанных подсистем экономической информации, например, СНС, статистика цен, статистика финансов и т. д. (см. рис. 1.1).

В соответствии с Законом о статистике Грузии (1997 г.) Государственный департамент статистики Грузии организует сбор необходимой информации, ее обработку и хранение; обеспечивает функционирование Единого государственного регистра предприятий и организаций, созданного для единого государственного учета всех хозяйствующих субъектов на территории Грузии с присвоением им идентификационных кодов исходя из общегосударственных классификаторов; взаимодействует с региональными и отраслевыми информационно-вычислительными системами, внедряет новейшие технологии обработки информации, выпускает справочные информационно-аналитические издания и др.

Таким образом, социально-экономическая статистика представляет цифровую информацию, необходимую для управления экономикой и разработки экономической политики, методология которой излагается с учетом

международных стандартов и современной практики грузинской статистики.

Ниже приведен перечень основных экономических категорий и терминов (в алфавитном порядке) экономической статистики, а также методика их расчета, которая на наш взгляд, позволяет студентам экономических факультетов ответить на многие вопросы, связанные с развитием экономики и социальной сферы.

### Перечень основных категорий и терминов экономической статистики

**1. Баланс народного хозяйства (БНХ)** — система взаимосвязанных макроэкономических показателей, применяемая в СССР и других социалистических странах; БНХ основан на марксистских концепциях общественного воспроизводства.

**2. Брутто-коэффициент воспроизводства населения** — среднее число девочек, рожденных одной женщиной за свою жизнь; определяется путем умножения суммарного коэффициента рождаемости на 0,488 (удельный вес девочек среди родившихся).

**3. Бюджетные классификации** в соответствии с рекомендациями Международного валютного фонда подразделяются:

на классификацию доходов, включая полученные официальные трансферты;

на классификацию расходов, включая кредитование за вычетом погашения (включает функциональную и экономическую классификации);

на классификацию финансирования бюджетного дефицита;

на классификацию государственного долга.

**4. Валовая добавленная стоимость** — показатель результатов экономической деятельности отдельных хозяйствующих субъектов, отраслей и секторов экономики; представляет собой разность между стоимостью выпуска продукции и промежуточным потреблением.

**5. Валовое накопление основного капитала (компонент ВВП)** — вложение средств в объекты основного капитала для создания нового дохода в будущем путем использования их в производстве. Оно состоит из следующих компонентов: приобретение за 300






Рис. 1.1. Схема основных показателей (блоков) социально-экономической статистики

вычетом выбытия новых и существующих основных фондов; затраты на улучшение произведенных материальных активов; расходы в связи с передачей права собственности на произведенные активы.

**6. Валовой внутренний продукт (ВВП)** — центральный макроэкономический показатель; характеризует стоимость конечных товаров и услуг, произведенных резидентами данной страны за тот или иной период, в ценах конечного покупателя.

**7. Валовой национальный доход (ВНД)** — сумма первичных доходов, включая доход от собственности, полученных резидентами данной страны в связи с их участием в производстве ВВП данной страны и ВВП остальных стран мира; ВНД отличается от ВВП на сальдо первичных доходов, полученных резидентами данной страны из сектора «остального мира».

**8. Валовой национальный располагаемый доход (ВНРД)** — сумма первичных доходов и чистых текущих трансфертов, полученных резидентами данной страны; ВНРД отличается от ВНД на сальдо текущих трансфертов, полученных резидентами данной страны от сектора «остального мира».

**9. Возрастные коэффициенты рождаемости** — коэффициенты, характеризующие отношение числа родившихся за год у женщин данной возрастной группы к среднегодовой численности женщин этого возраста.

**10. Выпуск** — стоимость товаров и услуг, произведенных отдельными хозяйствующими субъектами, отраслями и секторами экономики.

**11. Государственный долг** — неоплаченная сумма официально признанных обязательств органов государственного управления перед другими секторами экономики и остальными странами мира, образующая в результате их операций в прошлом, которая должна быть погашена посредством операций органов государственного управления в будущем или реинформирована в бессрочный долг.

**12. Денежная база** охватывает денежный агрегат М0 (наличные деньги в обращении), денежные средства в кассах банков, обязательные резервы коммерческих банков в Центральном банке и их средства на корреспондентских счетах в Центральном банке.

**13. Денежная масса** — совокупный объем покупательных и платежных средств, обслуживающих хозяйственный оборот,

принадлежащих частным лицам, предприятиям и государству (кроме центрального правительства) и являющихся обязательством всей банковской системы. Денежная масса измеряется рядом показателей денежных агрегатов: М0, М1, М2 и др. Денежный агрегат М2 — наиболее универсальный показатель денежной массы. Исходя из методологии банка страны, он определяется как сумма наличных денег в обращении, средств на расчетных, текущих и специальных счетах предприятий, населения и местных бюджетов, депозитов населения и предприятий в коммерческих банках, депозитов населения до востребования в сберегательных банках, средств Госстраха (М1) с добавлением срочных депозитов населения в сберегательных банках, сертификатов.

14. Дефицит государственного бюджета — превышение суммы расходов, включая кредитование за вычетом погашения, над суммой доходов, включая полученные официальные трансферты.

15. Дефлятор ВВП — индекс цен, исчисленный для ВВП в целом; определяется косвенным путем как частное от деления индекса стоимости ВВП на индекс физического объема ВВП.

16. Децильный коэффициент — показатель распределения доходов населения, характеризующий степень превышения минимального среднедушевого денежного дохода 10% наиболее богатой части населения над максимальным среднедушевым денежным доходом 10% наименее обеспеченного населения.

17. Занятыми в экономике являются лица, которые в отчетном периоде:

выполняли работу по найму за вознаграждение, а также любую другую приносящую доход работу не по найму, а самостоятельно либо с одним или несколькими компаньонами как с привлечением, так и без привлечения наемных работников независимо от сроков получения оплаты или доходов за свою деятельность;

выполняли работу без оплаты на семейном предприятии;

временно отсутствовали на работе по причине выходных дней, ежегодного отпуска, болезней, административного отпуска и других причин, которые не прерывают формальных связей с работодателем.

18. Изменение запасов материальных оборотных средств (компонент ВВП) — изменение стоимости производственных запасов, незавершенного производства, готовой продукции и товаров для перепродажи.

**19. Индекс потребительских цен (ИПЦ)** — индекс, характеризующий среднее изменение цен за тот или иной период на товары и услуги, включенные в потребительскую корзину; исчисляется обычно с помощью формулы Ласпейреса.

**20. Иностранная инвестиционная позиция** — стоимость иностранных активов, держателями которых являются резиденты данной страны, за вычетом их обязательств по отношению к остальному миру.

**21. Индекс Фишера** — индекс, который исчисляется как средняя геометрическая взвешенная из индексов Ласпейреса и Пааше; широко применяется в международных сопоставлениях ВВП, так как не зависит от выбора базисной страны.

**22. Конечное потребление (компонент ВВП)** — стоимость конечных товаров и услуг, использованных домашними хозяйствами для удовлетворения текущих потребностей, а также органами государственного управления и некоммерческими организациями, обслуживающими домашние хозяйства, в процессе их текущей деятельности. В СНС используется две концепции этого показателя: расходы на конечное потребление и фактическое конечное потребление.

**23. Коэффициент Джини** — показатель концентрации распределения доходов населения, отражающий степень отклонения фактически сложившегося распределения доходов от линии их равномерного распределения.

**24. Коэффициент полных затрат ( $B_{ij}$ )** — коэффициент, отражающий прямые и косвенные затраты (с учетом всей технологической цепи) продукта  $i$  на производство единицы продукта  $j$ .

**25. Коэффициент младенческой смертности** — коэффициент, определяемый как сумма двух составляющих: первая — отношение числа умерших до года в текущем году из поколения родившихся в текущем году к общему числу родившихся в рассматриваемом году; вторая — отношение числа умерших до года в текущем году из поколения родившихся в предыдущем году к общему числу родившихся в предыдущем году:

$$K_{мл.см} = \frac{m_1^1}{N^1} + \frac{m_1}{N_0}$$

**26. Кредит** — предоставление ресурсов во временное пользование на возвратной и возмездной основе. Одной из форм кредита является ссуда.

**27. Международная стандартная отраслевая классификация всех видов экономической деятельности (МСОК)** — одна из наиболее важных классификаций экономической статистики. Единицей классификации является заведение, т. е. подразделение предприятия, относительно однородное с точки зрения состава производимой продукции, структуры затрат и применяемой технологии, находящееся в одном месте, при условии, что имеются данные о выпуске и затратах этого подразделения.

**28. Межотраслевой баланс** — важный раздел СНС, с помощью которого исследуются межотраслевые связи, сложные зависимости между промежуточным потреблением, конечным спросом и выпуском отраслей экономики.

**29. Метод двойного дефлятирования** — метод переоценки в постоянные цены добавленной стоимости; состоит в дефлятировании выпуска и промежуточного потребления с последующим вычитанием из первой величины второй.

**30. Метод непрерывной инвентаризации** — метод исчисления восстановительной стоимости основных фондов (на ту или иную дату); состоит в суммировании годовых инвестиций за период, равный среднему сроку службы основных фондов (по группам), с последующим вычитанием выбытия основных фондов за этот же период. Инвестиции пересчитываются в восстановительные цены с помощью индексов цен.

**31. Метод Гири—Камиса** — метод многосторонних международных сопоставлений ВВП, основанный на решении системы линейных уравнений, в результате чего получают средние международные цены на отдельные продукты или группы продуктов, а также паритеты покупательной способности валют различных стран по отношению к условной международной валюте. Метод Гири—Камиса позволяет получить индексы, соответствующие требованиям транзитивности, аддитивности, независимости от выбора базисной страны.

**32. Метод ЭКШ** — метод многосторонних сопоставлений ВВП, целью которого является получение индексов, соответствующих требованиям транзитивности и лишь в наименьшей степени отклоняющихся от требования характерности весов.

**33. Налоги на производство и импорт** — обязательные безвозмездные невозвратные платежи, взимаемые государством с производящих единиц в связи с производством и импортом товаров и услуг или использованием факторов производства. К ним относятся налоги на продукты и другие налоги на производство.

**34. Налоги на продукты** — налоги, взимаемые пропорционально количеству или стоимости товаров и услуг, производимых, продаваемых или импортируемых резидентами. К ним относятся, например, налог на добавленную стоимость (НДС), акцизы, таможенные пошлины.

**35. Налоги на производство** — налоги, связанные с использованием фактора производства, а также платежи за лицензии и разрешения заниматься какой-либо производственной деятельностью, или другие обязательные платежи, уплата которых необходима для деятельности производящей единицы — резидента. К ним относятся, например, налоги на заработную плату, на землю, здания, сооружения, транспортные средства, предпринимательские или профессиональные лицензии и т. п.

**36. Национальное богатство** — сумма чистого собственного капитала всех хозяйствующих субъектов, являющихся резидентами данной страны, на ту или иную дату; национальное богатство равно сумме всех активов резидентов данной страны за вычетом их финансовых обязательств.

**37. Национальное сбережение** — часть валового национального располагаемого дохода за вычетом конечного потребления; представляет собой наиболее важный источник финансирования инвестиций.

**38. Нетто-коэффициент воспроизводства населения** — среднее число девочек, рожденных одной женщиной за свою жизнь и доживших до возраста, в котором была женщина при рождении каждой из этих девочек.

**39. Основное уравнение межотраслевого баланса:**  $X = (E - A)^{-1} Y$  — выразит соотношение между вектором выпуска отраслей экономики ( $X$ ), вектором конечного спроса ( $Y$ ) и матрицей коэффициентов полных затрат  $(E - A)^{-1}$

**40. Оплата труда** — вознаграждение в денежной или натуральной форме, которое должно быть выплачено работодателем наемному работнику за работу, выполненную в

отчетном периоде. Она учитывается на основе начисленных сумм и складывается из двух основных компонентов: заработной платы, отчислений работодателей на социальное страхование.

**41. Основные фонды (основной капитал)** — важнейшая часть национального богатства страны. Это активы, являющиеся результатом производства, которые многократно используются в процессе производства. Они включают: здания и сооружения, машины и оборудование, транспортные средства; скот; сады, виноградники и другие насаждения; затраты на геологоразведочные работы; затраты на программное обеспечение и базы данных для ЭВМ; оригиналы литературных и художественных произведений (фильмы, звукозаписи, рукописи и т. п., являющиеся основой для тиражирования).

**42. Оборачиваемость оборотных средств** — показатель, характеризующий скорость движения оборотных средств в процессе воспроизводства; измеряется посредством коэффициента оборачиваемости (число оборотов, совершаемых оборотными средствами за рассматриваемый период) или длительности одного оборота в днях (соотношение произведения среднего остатка оборотных средств, участвующих в обороте, на число дней в рассматриваемом периоде и себестоимости реализованной продукции).

**43. Общие коэффициенты рождаемости и смертности** — коэффициенты, характеризующие отношение соответственно числа родившихся живыми и умерших в течение календарного года к среднегодовой численности наличного населения; измеряются в промилле, т. е. на 1000 человек.

**44. Промежуточное потребление** — стоимость товаров и услуг, полностью израсходованных в процессе производства.

**45. Первичный доход** — доход, получаемый институциональными единицами в результате первичного распределения национального дохода в порядке вознаграждения за прямое участие в производстве товаров и оказании услуг или за предоставление во временное пользование земли, финансовых и других непроектируемых активов; первичные доходы включают оплату труда, доходы от собственности, прибыль, смешанный доход, налог на производство и импорт.

**46. Платежный баланс** — важный раздел макроэкономической статистики; систематизирует сведения о всех внешнеэко-

номических операциях, происходящих между резидентами данной страны и остальным миром.

**47. Прибыль и смешанные доходы** — часть валовой добавленной стоимости, которая остается у производителей после вычета расходов, связанных с оплатой труда и уплатой налогов на производство и импорт. Эта статья измеряет прибыль (или убыток), полученную от производства, до учета доходов от собственности. Для некорпоративных предприятий, принадлежащих домашним хозяйствам, она содержит элемент вознаграждения за труд, который не может быть отделен от дохода владельца или предпринимателя. В этом случае она называется смешанным доходом.

**48. Потребление основного капитала** — уменьшение стоимости основного капитала в течение отчетного периода в результате его физического и морального износа и обычных повреждений, не носящих катастрофического характера. Оно должно определяться исходя из текущей восстановительной стоимости основного капитала и его возраста.

**49. Прибыль** — конечный финансовый результат производственно-хозяйственной деятельности предприятий и коммерческих организаций. Получение прибыли является результатом производства и продажи товара в любой форме (продукция, работы или услуги), основанных на привлечении капитала, труда и природных ресурсов. Обобщающим финансовым результатом производственно-хозяйственной деятельности является балансовая прибыль. Балансовая прибыль возникает от реализации продукции (работ, услуг), основных средств и другого имущества хозяйствующих субъектов и включает также доходы (за минусом убытков) от внеэкономических операций. Прибыль от реализации продукции (работ, услуг) рассчитывается как разность между выручкой от ее продажи и затратами на производство и реализацию, включаемыми в себестоимость продукции.

**50. Паритет покупательной способности валют (ППСВ)** — статистический коэффициент, характеризующий соотношение цен различных стран; исчисляется на основе обработки большого массива данных о ценах на товары-представители, подбираемые для различных компонентов ВВП.

**51. Постоянные цены** — цены какого-либо текущего периода, принятого в качестве базисного; используются для исчисления



индексов физического объема стоимостных показателей, которые можно разложить на элементы количества и цены. Постоянные цены, как правило, изменяются один раз в пять лет, однако в некоторых случаях в качестве постоянных используются цены предыдущего периода.

**52. Расходы на рабочую силу** — издержки, которые несет работодатель в связи с наймом и содержанием рабочей силы.

**53. Расходы на конечное потребление** — расходы домашних хозяйств—резидентов на потребительские товары и услуги, а также расходы органов государственного управления и некоммерческих организаций, обслуживающих домашние хозяйства, на товары и услуги для индивидуального и коллективного потребления. Такая группировка показывает, кто финансирует расходы на конечное потребление.

**54. Процент за кредит** — часть вновь созданной стоимости, поступающей к кредитору, которая является платой заемщика за пользование кредитом.

**55. Резиденты** — институциональные единицы (предприятия, учреждения, домашние хозяйства и т. д.), имеющие центр экономического интереса на экономической территории данной страны в течение относительно длительного периода.

**56. Рентабельность** — показатель, характеризующий прибыльность работы предприятия. Различают общую рентабельность, рентабельность реализованной продукции, рентабельность капитала. Эти показатели определяются путем отнесения балансовой прибыли и прибыли от реализации соответственно к среднегодовой совокупной стоимости основных производственных средств, нематериальных активов и материальных оборотных средств и к текущим затратам.

**57. Сальдо по текущим операциям платежного баланса** — сальдо поступлений резидентам данной страны от их операций с нерезидентами с товарами и услугами, первичными доходами и текущими трансфертами; равно также превышению национального сбережения над инвестициями в отечественную экономику.

**58. Система национальных счетов (СНС)** — система взаимосвязанных показателей и классификаций, используемая для описания и анализа рыночной экономики на макроуровне; в основе СНС лежат концепции политэкономического характера,

разработанные Д. Кейнсом, Дж. Хиксом и другими видными экономистами.

**59. Скорректированный располагаемый доход** — доход, определяемый как сумма располагаемого дохода и социальных трансфертов в натуральной форме; распадается на фактическое конечное потребление и сбережение.

**60. Средняя продолжительность предстоящей жизни** (или ожидаемая продолжительность жизни при рождении) — число лет, которое в среднем предстояло бы прожить человеку из поколения родившихся при условии, что на протяжении всей жизни этого поколения повозрастная смертность останется на уровне этого года, для которого вычислен показатель.

**61. Субсидии на производство и импорт** — текущие безвозмездные невозвратные платежи, которые государство производит предприятиям в связи с производством, продажей или импортом товаров и услуг или использованием факторов производства для проведения определенной экономической и социальной политики. Они состоят из субсидий на продукты и других субсидий на производство.

**62. Субсидии на продукты** — субсидии, выплачиваемые пропорционально количеству или стоимости товаров и услуг, производимых, продаваемых или импортируемых резидентами. К ним относятся, например, регулярные возмещения предприятиям из государственного бюджета постоянных убытков, возникающих в результате того, что продажная цена на производимую ими продукцию устанавливается ниже средних издержек производства, субсидии на экспорт и импорт и др.

**63. Субсидии (другие) на производство** — субсидии, которые предприятия получают от государства в связи с использованием факторов производства, например, субсидии, выплачиваемые для использования труда инвалидов, для стимулирования использования определенных видов сырья, энергии и т. п., для уменьшения загрязнения окружающей среды и др.

**64. Суммарный коэффициент рождаемости** — сумма возрастных коэффициентов рождаемости, рассчитанных по одногодичным возрастным группам; показывает среднее число детей, рожденных женщиной за свою жизнь.

**65. Трансферты** — показатель, характеризующий перераспределение доходов и богатства; представляет собой безвозмездную передачу одной институциональной единицей

другой товаров, услуг или активов. Трансферты подразделяются на текущие и капитальные, на трансферты в денежной и натуральной форме.

**66. Требования к индексам международных сопоставлений** — требования, касающиеся согласованности индексов, соответствия логически выведенным тестам аксиоматической теории индексов. Различают следующие основные требования: транзитивности, аддитивности, независимости от выбора базисной страны, факторной пробы.

**67. Уровень безработицы** — отношение численности безработных к численности экономически активного населения. Безработными являются лица в возрасте от 16 лет и старше, которые в отчетном периоде: не имели работы (доходного занятия); активно занимались поисками работы; были готовы приступить к работе.

**68. Учетная ставка** — процентная ставка, которую берут кредитные учреждения за покупку векселей.

**69. Фактическое конечное потребление** — стоимость всех товаров и услуг, приобретенных домашними хозяйствами — резидентами для индивидуального потребления независимо от источника финансирования, и стоимость коллективных услуг, предоставляемых органами государственного управления обществу в целом. Для домашних хозяйств оно включает их расходы на покупку потребительских товаров и услуги, стоимость индивидуальных товаров и услуг, полученных домашними хозяйствами от органов государственного управления и от некоммерческих организаций бесплатно в качестве социальных трансфертов в натуральной форме. Для органов государственного управления фактическое конечное потребление равно стоимости коллективных услуг; у некоммерческих организаций, обслуживающих домашние хозяйства, фактическое конечное потребление отсутствует. По итогу для экономики в целом показатели фактического конечного потребления и расходов на конечное потребление равны.

**70. Финансирование дефицита государственного бюджета** определяется суммой заимствованных за рассматриваемый период средств за вычетом погашения долга и величины прироста остатков ликвидных финансовых средств учреждений государственного управления, а также чистого приобретения требований к другим секторам; по своей величине

финансирование равно дефициту бюджета, но имеет противоположный знак.

**71. Фонд заработной платы** — суммы, начисленные предприятиями и организациями для оплаты труда в денежной и натуральной формах за отработанное время, за неотработанное время, а также стимулирующие доплаты, надбавки и премии, компенсационные доплаты и надбавки, связанные с режимом работы и условиями труда, регулярные выплаты на питание, жилье и топливо.

**72. Чистое кредитование (заимствование)** — превышение или дефицит источников финансирования по сравнению с расходами на чистое приобретение нефинансовых активов. На уровне экономики в целом чистое кредитование (или чистое заимствование) показывает объем ресурсов, которые страна предоставляет в распоряжение остального мира или которые остальной мир предоставляет странам.

**73. Экономически активное население** — часть населения, которая предлагает свой труд для производства товаров и услуг. Численность экономически активного населения включает занятых в производстве и безработных.

**74. Экспорт (импорт) товаров** — стоимость вывезенных из страны (ввезенных в страну) товаров. Кроме товаров, учитываемых статистикой внешнеэкономической деятельности, экспорт и импорт товаров в СНГ включает товары, поставляемые в порядке оказания безвозмездной (гуманитарной) помощи и в качестве дара, товары неорганизованной торговли, посылки, имущество мигрантов.

**75. Экспорт (импорт) услуг** — экспорт (импорт) транспортных услуг, туризма, коммуникационных услуг, строительных, страховых, финансовых, компьютерных и информационных услуг, рекламы и других видов услуг.

**76. Экономические активы** — объекты, на которые распространяются права собственности и владение которыми и использование которых в течение определенного времени может приносить владельцу экономическую выгоду. Они состоят из финансовых и нефинансовых активов. К нефинансовым активам относятся произведенные активы (основные фонды, материальные оборотные средства и ценности) и непроизведенные активы (земля, полезные ископаемые, лесные ресурсы; патенты, лицензии и др.). К финансовым активам относятся монетарное

золото и специальные права заимствования, наличные деньги и депозиты, ценные бумаги, ссуды, страховые технические резервы, дебиторская и кредиторская задолженность.

77. **Эффект Гершенкрона** — систематическое опережение индексом Ласпейреса индекса Пааше; назван по имени Гершенкрона — американского ученого, который один из первых описал этот феномен.

# ECONOMIC STATISTICS

## *Summary*

The text book deals with the principles of modern economic statistics which provide with the systematic quantitative description of economic process and economy in a whole.

The course of economic statistics has been prepared with the account of that its readers get to know with the course of general theory of statistics where the methods and principles for definition of quantitative characteristics of mass phenomena and processes are formulated, in particular calculation methods of mean values, indices and so on.

Under the transition to the market economy the necessity in the transformation of economic statistics was arisen. One of the intentions of this transformation is the transition to the using of international standards in statistics. etc.:

In the sphere of national book-keeping the international standard is the system of national accounts (SNA) approved by the statistic commission of UNO in 1993; in the sphere of finance such things are the references of International Monetary Fund by statistics of state finance, payable balance, credit and monetary statistics.

It is necessary to mark that the transition to these standards of national statistics allows:

1) To use in statistics the indicators intended for description and analysis of market economy and approbated in the world practice.

2). To provide the international comparison with the account of interrelation between economic and social processes. Much attention is given to the consideration of some important indicators of social and demographic statistics (number and population structure and so on), and also living standard.

This textbook gives a special attention to those indicators and classifications that are very important for analysis of macro and microeconomic policy.

The term "Indicator System" of economic statistics is realized as some well regulated multitude of mutually agreed indicators characterized with the basic aspects of economic process and economy in a whole.

Indicator system of economic statistics presents the totality of interrelated subsystems of economic information etc.: statistics of price, finance and so on.

According to the statistics law of Georgia (1997) State Department Statistics organizes collection of necessary information, its processing and keeping; provides the function of united State register of enterprises and organization established for the united state calculation of all economic subjects in Georgia. It also interacts with the regional and branch informative and calculative centres; and introduces the latest know-how of processing information, issues directories and informative and analytical publications.

Thus, economic statistics presents figure information which is necessary for management of economic policy.

დადართი  
სსიფსოთს ოპერატიული და მართვალური კლასიფიკატორი

#	სახელმწიფოს დასახელება კლასიფიკატორი	ფართობი კმ <sup>2</sup>	მოსახლეობა (1997)	დედაქალაქი	ფულადი ერთეული კლასიფიკატორი	სახელმწიფო ენა
1	2	3	4	5	6	7
1	აუსტრალია	7704	18268	კანბერა	დოლარი აუსტრ.	ინგლისური
2	აუსტრია	84	8023	ენა	შოლინგი ეისერი.	გერმანული
3	აულანდი	658	22664	ქაბული	აფანი	ფარული, პუტუ
4	აზერბაიჯანი	87	7677	ბაქი	მანათი აზერბ.	აზერბ., რუს., სომხ.
5	ალბანეთი	29	3249	ტირანა	ლექი	არაბული
6	ალფორი	2382	29189	ელ-ვაზირი	დინარი ალფორ.	კატალანური
7	ანდორა	0.5	73	ანდორა	ფრანკი (ფრ) კატა (კატ)	კორტუგალიური
8	ანგოლა	1247	103343	ლუანდა	კვანზა	
9	არაბთი გაერთ.					
10	ანტიგუა და ბარუდა	86	3057	ახუ-დაბი	დორამი	არაბული
11	არგენტინა	0.4	66	სენტ-ჯონსი	დოლარი აღმ. კარ.	ინგლისური
12	აშშ	2778	34673	ბუენოს-აირსი	პესო არგენტ.	ესპანური
13	ახალი ზელანდია	9363	265569	ვინგტონი	დოლარი	ინგლისური
14	ბანგლადეში	269	3548	ეკლანტონი	დოლი ახალ ზელ.	ინგლისური
15	ბარბადოსი	141	123063	დასა	ტაკა	ბენგალი
16	ბაჰამის კუნძულები	0.4	257	პრიჯოუნი	დოლარი ბარბად.	ინგლისური
17	ბაჰრეინი	14	259	სანა	დინარი ბაჰამის.	არაბული
18	ბელარუსი	0.6	590	მინსკი	რებლი ბელარ.	ბელარუს., რუს.
19	ბელიზი	208	104416	ბელმოპანი	დოლარი ბელიზ.	ინგლისური
20	ბელგია	23	219	ბრიუსელი	ფრანკი ბელგუ.	ფრანკ., ინგლ.
21	ბენინი	31	10170	პორტო-ნოვი	ფრანკი	ფრანკული
22	ბოლივია	113	5710	სუკრე, ლა-პასი	ბოლივიანი	ესპ., კობარა, კეჩუა
23	ბოსნია-ჰერცეგოვინა	1099	7165	სარაევო	დინარი რეგოსლ.	სერბო-ხორვატ.
24	ბოტსვანა	51	2656	გაბორონე	პულა	ინგლისური
25	ბრაზილი	600	1478	ბრაზილია	რეალი	პორტუგალიური
		8512	162661			



1	2	3	4	5	6	7
26	ბრუნეი	BN	300	ბანდარ-სერი-ბეგავანი	დოლარი ბრუნ.	ბნდაური
27	ბულგარეთი	BG	8613	სოფია	ლენი	ბულგარული
28	ბურკინა-ფასო	BF	10623	უაგადუგუ	ფრანკი	ფრანგული
29	ბურუნდი	BI	6943	ბუგუმბურა	ფრანკი ბურუნდ.	ფრანგ-კორუნდი
30	ბუტანი	BT	1823	თიზიუხუ	ნგულტრეზი	ნიპანგე
31	ბჰოთი	GA	268	ლობკელი	ფრანკი	ფრანგული
32	გაბონი	GY	215	ჟორჯთუნი	ფრანკი გაბონ.	ინგლისური
33	გამბია	GM	11	ბანჯული	დალასი	ინგლისური
34	განა	GH	17698	აკრა	სედი	ინგლისური
35	გერმანია	DE	238	ბერლინი	მარკა	დემონი
36	გვატემალა	GT	356	გვატემალა	კუისალი	ესპანური
37	გვინეა	GN	109	კონაკრი	ფრანკი გვინეის	გერმანული
38	გვინეა-ბისაუ	BW	246	ბისაუ	პესო გვინ.-ბის.	ფრანგული
39	გრენადა	GD	36	სენტ-ჯორჯსი	დოლარი ადმ. კარ.	პორტუგალიური
40	გრენადა	DK	0.3	კონსტანტინი	კრონა გვინე-ბის.	ინგლისური
41	დასავლეთი სამოა	EH	43	აია	ტალა	დანონი
42	დასავლეთი სამოა	GB	3	ლონდონი	ფუნტი სტერლ.	სამოანური, ინგლის.
43	დომინიკი	DO	244	სანტო-დომინგო	პესო დომინგ.	ინგლისური
44	დომინიკა	DM	48	როზო	დოლარი ადმ. კარ.	ესპანური
45	დომინიკა	EG	0.8	კაირო	ფუნტი ადმ. კარ.	ინგლისური
46	ეკვატორი	ET	1002	ადის-აბება	ფუნტი ეკვატ.	არაბული
47	ეკვატორი	EC	1134	კიბო	სუკინე	ესპანური
48	ეკვატორი	GQ	284	მალაბო	ფრანკი	ესპანური
49	ეკვატორი	IQ	431	ბაღდადი	დინარი ერაყის	არაბული
50	ერითრეა	ER	21422	ასმარა	ბირი ეთიოპური	ტერცინული, ტინგინ
51	ესპანეთი	ES	3910	მადრიდი	პესეტა	ესპანული, ესპ.
52	ესტონეთი	EE	39181	ტალინი	კრონა ესტონური.	ესპანური
53	ესტონეთი	VU	1459	ვილა	კიბუ	ფრანგული, ინგლის.
54	ესტონეთი	VA	178	ვატიკანი	ლირა ვატ., იტალ.	ლათინური, იტალ.
			0.8	0.0004		

1	2	3	4	5	6	7
55	ვიეტნამი	VU	73977	სანო	დონგი	ვიეტნამური
56	ვენესუელა	VE	21983	კარაკასი	ბოლივარი	ესპანური
57	ზირი	ZR	46499	კინშასა	ზირი	ფრანგული
58	ზამბია	ZM	9169	ლუსაკა	კენა ზამბიური	ინგლისური
59	ზიმბაბვე	ZW	11271	ჰარარე	დღლარი ზიმბაბ.	ინგლისური
60	თურქეთი	TR	62484	ანკარა	ღირა თურქული	თურქული
61	თურქმენეთი	TM	4149	აშხაბადი	მანათი თურქმენ.	თურქმენ. რუს. უზბეკ.
62	იაპონია	JP	2592	კინგტონი	დღლარი იამაიკა	ინგლისური
63	იაპონია	JP	125450	ტოკიო	იენა	იაპონური
64	იუგენი	YE	13483	სანა	რიალი იუგენის	არაბული
65	ინდონეზია	IN	952108	დელი	რუპია ინდონეზი	ინგლის.
66	ინდონეზია	ID	206612	ჯაკარტა	რუპია ინდონეზ.	ინდონეზიური
67	იორდანია	JO	4212	ამანი	დინარი იორდან.	არაბული
68	ირანი	IR	66094	თეირანი	რიალი	სპარსული, ქურთ.
69	ირლანდია	IE	3567	დუბლინი	ფუნტი ირლანდ.	ინგლის, ირლანდ.
70	ირლანდია	IS	270	რეიკიავიკი	კრონა ისლანდ.	ისლანდიური
71	ისრაელი	IL	5422	იერუსალიმი	შეკელი	ივრიტი, არაბული
72	იტალია	LI	14	რომი	ლირა	იტალიური
73	იუგოსლავია	YU	102	ბელგრადი	დინარი იუგოსლ.	სერბ, ხორვ. ალბან.
74	კამბოჯა	CV	4	პრეა	ესკუდო	პორტუგალიური
75	კამბოჯა	KM	181	ანომენი	რეალი	კმეური
76	კამერუნი	CM	475	იაუნდე	ფრანკი კამერ.	ინგლის, ფრანგ.
77	კანადა	CA	9976	ოტავა	დღლარი კანად.	ინგლის, ფრანგ.
78	კატარი	QA	22	დოჰა	რიალი კატარის.	არაბული
79	კენია	KE	563	ნაირობი	შილინგი კენიის	სუაჰილიური, ინგლის.
80	კვიპროსი	CY	9	ნიქოზია	ფუნტი კვიპროს.	ბერძნული, თურქ.
81	კოჩინატი	CO	0.9	ტარაიკა	დღლარი აესტრ.	ინგლისური
82	კოლუმბია	CO	1139	ბოგოტა	პესო კოლუმბ.	ესპანური
83	კომოროსი	KM	2.2	მორონი	ფრანკი	არაბ., ფრ., კომორ.
84	კონგო	CG	342	ბრაზავილი	ფრანკი	ფრანგული
85	კორეა, სამხრეთი	KR	45482	სეული	ფრანკი	კორეული
86	კორეა, ჩრდილოეთი	KP	23904	ფენიანი	ვონა	კორეული
87	კოსტა-რიკა	CR	3463	სან-ხოსე	ვონა	ესპანური
88	კოტ-დ'ივუარი	CI	14762	იამუსუკრო, აბიჯანი	კოლანი	ფრანგული
89	კუბა	CU	10951	ჰავანა	ფრანკი	ესპანური

1	2	3	4	5	6	7
90	დასისი	LA 237	4976	ვიეტნამი	კი-სი	ლაოსური
91	ლატვია	LV 64	2469	რეგა	ლატი	ლატვიური
92	ლესოტო	LS 30	1971	მასერუ	ლატი	ინგლისური
93	ლიბანი	LB 10	3776	ბეირუთი	ფუნტი ლიბან	არაბული, ფრანგ.
94	ლიბერია	LR 111	2110	მონროვია	დოლარი ლიბ.	ინგლისური
95	ლიბია	LY 1760	5445	ტრაპიზი	ფრანკი ლიბიურ.	არაბული
96	ლიტვა	LT 65	3646	ვილნიუსი	ლიტი	ლიტვიური
97	ლონგვეტონი	LJ 0.2	31	ეიფრუტი	ფრანკი ვეიციარ.	გერმანული
98	ლუქსემბურგი	LU 2.6	416	ლუქსემბურგი	ფრანკი ლუქსემბ.	ფრ., გერმ., ლუქს.
99	მავრიკი	MU 2	1140	პორტი ლუი	რუპია	ინგლისური
100	მავრიტანია	MR 1031	2336	ნუაკოტონი	რუპია	არაბული
101	მადაგასკარი	MG 597	13671	ანტანანარივუ	ფრანკი მადგ.	მადაგასკარი, ფრანგ.
102	მალდინია	MIL 26	2104	სელიუტი	დენარი	მალდინიური
103	მალაი	MW 119	9453	ლულონგე	კუპა	ინგლის., ჩინანგა
104	მალაიზია	MY 333	19963	კუალა-ლაჰპური	რინგითი	ინგლის., მალაიური
105	მალდიველი	MV 0.3	2719653	მალე	რუფია	მალდივიური
106	მალდი	ML 1204	376	ბამაკო	ფრანკი	ფრანკი
107	მალტა	MT 0.3	29779	ვალეტა	ლირა მალტის	ფრანგული
108	მაროკო	MA 446	58	რინატი	დირამი	მალტური, ინგლის.
109	მარშალის კუნძულები	MH 0.2	95772	მაჯური	დოლარი აშშ	არაბული
110	მექსიკა	X 1958	45976	მეხიკო	პესო მეხიკო	ინგლისური
111	მიანმა	BU 678	125	ნეიპი	კიატი	ბირმული
112	მიკრონეზია	FM 0.7	17878	პალიკორი	დოლარი აშშ	ინგლისური
113	მოზამბიკი	MZ 783	4464	მპაუტუ	მეტკალი	ინგლისური
114	მოლდოვა	MD 34	32	კიშინიოვი	ლეუ	მოლდოვიური
115	მონაკო	MC 0.002	2497	მონაკო	ფრანკი ფრ., მონეგ.	ფრანგული
116	მონღოლეთი	MN 1565	1677	ულანბატორი	ტუნგი	მონღოლური
117	ნამიბია	NA 824	10	ვინდჰუკი	დოლარი	ინგლისური
118	ნაურუ	NR 0.02	9113	ფრინგი	ფრანკი	ფრ. კანკ. ინგლის.
119	ნიუჯირი	NE 1267	103912	ნიამეცი	დოლარი ავსტ.	ნიუჯირი
120	ნიუგვინია	MQ 924	15568	ნიამეცი	ფრანკი	ინგლისური
121	ნიდერლანდები	NL 41	4272	ამსტერდამი	გულდენი	ნიდერლანდური
122	ნიკარაგუა	NI 148	22094	მანაგუა	კორდობა	ნიკარაგუა
123	ნიკალა	NP 141	4384	კატმანდუ	რუპია ნეპალურ.	ნიკალური
124	ნორვეგია	NO 324	2187	ოსლო	კრონა ნორვეგ.	ნორვეგული
125	ომანი	OM 212		მასკატი	რიალი ომანის	არაბული

1	2	3	4	5	6	7	
126	პაკისტანი	PK	129276	ილაჰაბადი	რუჰია პაკისტ.	PKR	რუფე, ინგლის.
127	პალაუ	PH	17	სორანი	დოლარი აშშ	USD	ინგლის, პალაუნი
128	პანამა	PA	2655	პანამა	ბალბოა	PAB	ესპანური
129	პარაგვაი	PY	5504	ასუნსიონი	გუარანი	PVG	ესპანური
130	პაპუა-ახალი გვინეა	PG	4395	პორტ-მორსბი	კინა	PGK	ინგლისური
131	პერუ	PE	24523	ლიმა	სოლი	PEN	ესპანური, კეჩუა
132	პოლონეთი	PL	313	ვარშავა	ზლოტი	PLZ	პოლონური
133	პორტუგალია	PT	92	ლისაბონი	ესკუდო	PTE	პორტუგალიური
134	რუმინდია	RW	26	ბუქრესტი	ფრანკი რუმინდის	RWF	ფრანკ-კინიარუანდის
135	რუმინეთი	RO	238	ბუქრესტი	ლეი	ROL	რუმინული
136	რუსეთი	RU	17075	მოსკოვი	რუბლი	RUB	რუსული
137	სამედიცინო	GR	10539	ათენი	დრაკმა	GRD	ბერძნული
138	სალვადორი	SV	21	სან-სალვადორი	კოლონი	SVS	ესპანური
139	სამხრეთ აფრიკა	ZA	1221	კეპტაუნი, პრეტორია	რენდი	ZAR	აფრიკანს, ინგლს.
140	სან-მარინო	SM	0.06	სან-მარინო	ლირა იტალიური	ITL	იტალიური
141	სან-ტომე და პრინცი	ST	1	სან-ტომე	დოზა	STD	პორტუგალიური
142	საუდი არაბეთი	SA	2253	ერ-რეჟე	რიალი საუდის	SAR	არაბული
143	საფრანგეთი	FR	552	პარიზი	ფრანკი	FRF	ფრანგული
144	საქართველო	GE	70	თბილისი	ლარი	LAR	ქართული
145	სეიშელი	SC	0.4	ვიტორია	რუპი სეიშელის	SCP	ინგლის, ფრანგ.
146	სენეგალი	SN	196	დაკარი	ფრანკი	CFA	ფრანგული
147	სენტ-იუსტე და გრენადის	NC	0.4	კინგსტაუნი	დოლარი აღმ. კარ.		ინგლის, ფრანგ.
148	სენტ-იუსტი და ნევისი	KN	1	ბასტერ	დოლარი აღმ. კარ.		ინგლისური
149	სენტ-ლუსია	LS	0.6	კასტრი	დოლარი აღმ. კარ.		ინგლისური
150	სეზელენდი	SZ	17	მბანენე	ლოლანგენი	SZL	სოციალ. ინგლის
151	სიერა-ლეონე	SL	72	ფრიტაუნი	ლეონი	SLL	ინგლისური
152	სინგაპური	SQ	0.6	სინგაპური	დოლარი სინგაპ.	SCD	ინგლისური და სხვ.
153	სირია	SY	185	დამასკი	ფუნტი სირიული	SYF	არაბული
154	სლოვაკეთი	SK	49	ბრატისლავა	კრონა სლოვაკ.	SIK	სლოვაკური
155	სლოვენია	SI	20	ლუბლიანა	დოლარი	SBD	სლოვენ. სერბ, ხორვ.
156	სოლომონის კუნძულები	SB	29.8	მონიარა	დოლარი სოლ. კ.კ.	SOS	ინგლისური
157	სომალის	SO	638	მოსამბიკი	შალინი სომალის	AMD	სომალური
158	სომხეთი	AM	30	ერევანი	დრამი	AMD	სომხური
159	სუდანი	SD	2506	ხარტუმში	დინარი სუდანის	SDO	არაბული

1	2	3	4	5	6	7	
160	სურამები	SR	163	პარამარიბი	გულდერი სურამი.	SPG	ნიდერლანდური
161	ტაივანი	TW	21466	ტაიპეი	დოლარი ტაივან.	TWD	ჩინური
162	ტაილანდი	TH	58851	ბანგკოკი	ბატი	THB	ტაისური
163	ტანზანია	TZ	29058	დარ-ეს-სალამი	პოლნი ტანზან.	TZS	სეამილი ინგლის.
164	ტაჯიკეთი	TJ	5916	დუშანბე	რუბლი რუსული	RUR	ტაჯიკური
165	ტოგო	TG	4571	ლომე	ფრანკი	CFA	ფრანკული
166	ტონგა	TO	106	ნუკულოფა	პანგა	TONG	ტონგური, ინგლის.
167	ტომბილი და ტომბაკი	TT	1272	პორტო-ფოსკონ	დოლარი ტრ. ტომ.	TTD	ინგლისური
168	ტრუვალი	TV	10	ფინლანდია	დოლარი ტრ. ავს.	TVD	ტრუვალი, ინგლის.
169	ტუნისი	TN	9020	ტუნისი	დინარი ტუნისის	THD	არაბული
170	ტუნისი	TC	20158	კამპალა	ფრანკი უგანდ.	UGX	ინგლისური
171	უგანდა	UZ	23418	ტამპერე	საპეი	UZS	უზბეკური, რუს.
172	უზბეკეთი	UA	50864	კიევი	კარბოვანეცი	UAK	უკრაინული, რუს.
173	უკრაინა	HU	10003	ბუდაპეტი	ფორინტი	HUF	უნგრული
174	უნგრეთი	UY	3239	მონტევიდეო	პესო ურუგვაის	UYU	უნგრული
175	ურუგვაი	BH	74481	მანადა	პესო ფილიპინ.	PHP	ფილიპინური, ინგლ.
176	ფილიპინები	FI	5105	პელასიკი	მარკა ფინური	FIM	ფინური, გერმანი.
177	ფინეთი	FJ	782	სუვა	დოლარი ფიჯის	FJD	ინგლისური
178	ფოჯი	KW	1950	ელ-ქაუთი	დინარი ქუვეითი.	KWD	არაბული
179	ქუვეითი	KZ	16916	აქტოლა, ალმატი	ტენგე	KZT	არაბული
180	ყაზახეთი	SE	8901	სტოკჰოლმი	კრონა შვედური	SEK	შვედური
181	გერმანია	CH	41	ბერნი	ფრანკი შვეიცარ.	CHF	გერმ. ფრანკი, იტალ.
182	გერმანია	DK	18553	კოპენჰეი	რუბლი დანიური	LKR	სინგაპური
183	რაფი	TD	1284	ნჯამენა	ფრანკი	CFA	ფრანკ. არაბული
184	ჩეხეთი	CZ	10321	პრაღა	კრონა ჩეხური	CZK	ჩეხური, სლოვაკ.
185	ჩილე	CL	14333	სანტიაგო	პესო ჩილენი	CLP	ჩილენური
186	ჩინეთი	CN	1210005	პეკინი	იენი	CNY	ჩინური
187	კინგდომი	CF	3274	ბანგი	ფრანკი	CFA	ფრანკული
188	სინგაპური	HR	5004	ზაგრები	კუნა	HRK	სინგაპური
189	სლოვაკეთი	DJ	428	ჯიბუტი	ფრანკი ჯიბუტის	DJF	ფრანკული, არაბ.
190	საბუტი	HT	8732	პორტ-ო-პრენსი	გურდი	HTG	ფრანკული
191	სინგაპური	HN	5605	ტანკო-სანტო-სპე	ლემპირა	HNL	ესპანური

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	3
<b>თავი I. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ზოგადი საფუძვლები .....</b>	<b>5</b>
თემა 1. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, როგორც მეცნიერება და მისი ორგანიზაცია .....	5
§ 1.1. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის არსი, საგანი და მეთოდი .....	5
§1.2. სტატისტიკის ორგანიზაცია და ამოცანები .....	11
თემა 2. სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები, დაჯგუფებანი და ნომენკლატურა .....	20
§ 2.1. ძირითადი კლასიფიკაციები, მნიშვნელოვანი დაჯგუფებანი და ნომენკლატურა .....	20
§ 2.2. ეკონომიკური საქმიანობის სახეობების დარგობრივი კლასიფიკაციები (SIC) .....	21
§ 2.3. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) კლასიფიკაცია .....	30
§ 2.4. სტატისტიკაში გამოყენებული უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური დაჯგუფებები და აღნიშვნების სისტემები ..	33
თემა 3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის საფუძველი (მაკროეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტი) ..	36
§ 3.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) არსი: ძირითადი კონცეფციები, მაჩვენებლები და განსაზღვრებანი .....	36
§ 3.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურული მახასიათებლები .....	40
§ 3.3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენება მაკროეკონომიკურ ანალიზსა და განვითარების პროგნოზირებაში .....	49

თავი II. სოციალურ-დემოგრაფიულ მაჩვენებელთა სისტემა, შრომის ბაზრის, ანაზღაურებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სტატისტიკა .....	53
---	----

თემა 4. სოციალურ-დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა .....	53
--	----

§ 4.1. მოსახლეობა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი და ობიექტი. ინფორმაციები მოსახლეობაზე .....	53
--	----

§ 4.2. მოსახლეობის რიცხოვნობის, გადაადგილებისა და შემადგენლობის შესწავლა .....	54
--	----

§ 4.3. ტერიტორიის დემოგრაფიული სიტუაციის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა .....	58
---	----

§ 4.4. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშება (დემოგრაფიული პროგნოზირება).....	63
---	----

თემა 5. მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები, შრომის ბაზრისა და შრომის ანაზღაურების სტატისტიკა ....	71
--	----

§ 5.1. სამუშაო ძალის კლასიფიკაცია, მოსახლეობის შრომითი მონყობისა და დასაქმების მაჩვენებლები .....	71
---	----

§ 5.2. შრომითი რესურსების ბალანსი .....	75
---	----

§ 5.3. სამუშაო ძალის მოძრაობის მაჩვენებლები .....	76
---	----

§ 5.4. სამუშაო დროის სტატისტიკური შესწავლა (სამუშაო დროის გამოყენება) .....	78
---	----

§ 5.5. შრომითი კონფლიქტების სტატისტიკური შესწავლა ...	82
---	----

§ 5.6. შრომის ანაზღაურების სტატისტიკური შესწავლა (შრომის ანაზღაურების ფონდის შედგენილობა) .....	85
---	----

§ 5.7. ხელფასის დონისა და დინამიკის მაჩვენებლების ანალიზი .....	87
---	----

§ 5.8. სამუშაო ძალის შენახვის ხარჯების სტატისტიკა .....	90
---	----

თემა 6. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა .....	93
--	----

§ 6.1. მოსახლეობის ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებლები .....	93
---	----

§ 6.2. საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების მაჩვენებლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (ეას) .....	96
--	----

§ 6.3. მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური მაჩვენებლები .....	98
§ 6.4. მოსახლეობის გასავლების და მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების სტატისტიკური შესწავლა .....	101
§ 6.5. მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შესწავლის მეთოდი. სიღარიბის დონე და საზღვარი .....	103
<b>თავი III. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტატისტიკური ანალიზი .....</b>	<b>107</b>
<b>თემა 7. ქვეყნის განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის (შეფასების) მეთოდოლოგიური საფუძვლები .....</b>	<b>107</b>
§ 7.1. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზოგადი მახასიათებლები. ....	107
§ 7.2 მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები .....	108
§ 7.3. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთა გამოთვლა მუდმივ ფასებში (მშპ-ის სტატისტიკური ანალიზი) .....	115
§ 7.4. ეროვნული შემოსავალი და შემოსავლების სხვა მაჩვენებლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში .....	124
<b>თემა 8. ეროვნული სიმდიდრე და მისი , სტატისტიკური შესწავლა .....</b>	<b>130</b>
§8.1. ეროვნული სიმდიდრის ზოგადი კონცეფცია და განსაზღვრება .....	130
§ 8.2. ეროვნული სიმდიდრის კლასიფიკაცია .....	131
§ 8.3. ძირითადი ფონდების სტატისტიკური შესწავლა .....	136
§8.4. მატერიალურ ფასეულობათა რეზერვების (საბრუნავ საშუალებათა მარაგების) სტატისტიკური შესწავლა .....	148
<b>თემა 9. ეკონომიკის ცალკეული დარგების, პროდუქციის სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდები .....</b>	<b>155</b>
§ 9.1. მრეწველობის პროდუქციის სტატისტიკა .....	156
§ 9.2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტატისტიკა .....	158



§ 9.3. მშენებლობის პროდუქციის სტატისტიკა .....	161
§ 9.4. ტრანსპორტის პროდუქციის (მომსახურების) სტატისტიკა .....	164
§ 9.5. ვაჭრობის პროდუქციის სტატისტიკა .....	165
<b>თემა 10. ფასების სტატისტიკა .....</b>	<b>168</b>
§ 10.1. ფასების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა და მათი გამოყენების ამოცანები .....	168
§ 10.2. ფასების სტატისტიკური ანალიზი .....	171
§ 10.3. ფასის განსაზღვრის პარამეტრული მეთოდის გამოყენება (საგარეო ვაჭრობის მაგალითზე).....	182
§ 10.4 საგარეო ვაჭრობის ფასის გაანგარიშების პრაქტიკული ასპექტი (ნაკეთობა „დიზელის ძრავა - § 24 ცხენის ძალის მაგალითზე).....	188
<b>თემა 11. პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკა .....</b>	<b>195</b>
§ 11.1. პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები .....	195
§ 11.2. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის სტატისტიკური შესწავლა .....	199
§ 11.3. პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზი .....	203
<b>თემა 12. ფინანსების სტატისტიკა .....</b>	<b>221</b>
§ 12.1. სანარმოთა (ორგანიზაციების) ფინანსების სტატისტიკის საგანი და ამოცანები .....	221
§ 12.2. ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სტატისტიკური შესწავლა .....	222
§ 12.3. მოგება და რენტაბელობის დონის დინამიკა .....	228
§ 12.4. სანარმოს ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის მდგომარეობის შეფასება .....	236
<b>თემა 13. სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკა .....</b>	<b>246</b>
§ 13.1 სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა .....	246
§ 13.2. შემოსავლების კლასიფიკაცია და მიღებული ოფიციალური ტრანსფერტები .....	249

§ 13.3. სახელმწიფო ბიუჯეტის გასაღების კლასიფიკაცია .	252
§ 13.4. საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალის კლასიფიკაცია .....	255
<b>თემა 14. საფონდო ბაზრის (ფასიანი ქაღალდების) სტატისტიკა .....</b>	<b>265</b>
§ 14.1. საფონდო ბაზრის ცნება და სტატისტიკის ამოცანები .....	265
§ 14.2. ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია და ძირითადი სახეები (აქციები, ობლიგაციები) .....	266
§ 14.3. ფასიანი ქაღალდების განთავსების ორგანიზაცია და ობლიგაციების ბაზრის ინდექსები .....	274
§ 14.4. საფონდო ბაზრის მახასიათებელი ინდექსები (საფონდო ინდექსები) .....	277
<b>თემა 15. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა .....</b>	<b>281</b>
§ 15.1. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის არსი და მიზნები ...	281
§ 15.2. საგარეო ვაჭრობის (საბაჟო) სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	285
§ 15.3. საინდექსო მეთოდის გამოყენება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში .....	291
<b>Резюме - Экономическая статистика .....</b>	<b>298</b>
<b>Summary - Economic Statistics .....</b>	<b>314</b>
<b>დანართი - მსოფლიოს ქვეყნებისა და მათი ვალუტის კლასიფიკატორი .....</b>	<b>316</b>

**Липартия Зураб Шалвович**

**СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ  
СТАТИСТИКА**

*(на грузинском языке)*

Издательство Тбилисского Университета  
Тбилиси 2001

გამომცემლობის რედაქტორი ა. სტურუა  
კორექტორი ნ. ილურიძე  
ხელმოწერილია დასაბეჭდად  
საბეჭდი ქალაქი 60X84 1/16  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 20,5  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 16,01

ტირაჟი 500                    შეკვეთა № 79

**ფასი სახელშეკრულებო**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1